„არ ჩანდა შენაპირი“ – დანაპირების შეუსრულებლობით გამოწვეული საყვედურის ინტონაციითაა გამსჭვალული იმ ანონიმის მიმართ, ვინც შექმნა ნაპირი და ვისაც ეკუთვნის დაპირება. პირველი ფრაზების უმნიშვნელოდ დადებითად შეფერილი ენერგეტიკა უცებ და მკვეთრად, მოჭრით იცვლება შეუსრულებლობით გამოწვეული იმედგაცრუებით: „ვერ ვნახე ვერაფერი ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“. გარდა იმისა, რომ აქ სახეზეა სამი პირდაპირი უარყოფა (ვერ, ვერაფერი, გარეშე), დანარჩენი სამი სიტყვა სიცივის, მიუსაფრობისა და მდუმარების დენოტატებია. ვნახე – ვერ ნახვა. ამასთან, ფრაზის შინაარსი და გარემოს („შენაპირის“) აღქმის ხარისხი სემანტიკათა უბრალო ჯგამი კი არ არის, არამედ გართულებული ემოციური აღქმის ენობრივი (სინტაქსური და ფრაზეოლოგიურ-ინტონაციური) კორელატი: ფრაზაში „არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,/ ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“ – „შენაპირის“ ერთი მნიშვნელობა უკავშირდება სივრცულ წარმოდგენებს: ნაპირს, კიდეს მიჯნას, საზღვარს და ა. შ., მეორე კი – დანაპირებს, ალთქმულს, მოსალოდნელსა და შესაძლებელს. „ვერ ვნახე ვერაფერი“ შესაბამისობაშია ორივე მნიშვნელობასთან. სწორედ მეორე მნიშვნელობით (დაპირება, შეპირება) შემოდის სივრცულ აღქმაში (ნაპირი) სასონარკვეთის ასოციაციური ნაკადი მოლოდინის იმედგაცრუების გამო, რადგან ეს მხოლოდ ნაპირი კი არ არის, არამედ ალთქმული, ანუ შეპირებული ნაპირია. ნაპირი და შენაპირი ერთი სემანტიკური ძირიდან წარმოებული სემანტიემებია. შენაპირმა უნდა „ახსენოს“ და გაგვ-ახსენოს ნაპირი ასოციაციურ-კონოტაციურ დონეზე. რომ არა სიტყვის ეს უცნაური ფორმა („შენაპირი“), ვერ მოხდებოდა სივრცული აღქმი-

სა და იმედგაცრუების ემოციის თანხვედრა შეგრძნების დონეზე. გალაკტიონი აქ სიტყვებით „თამაშობს“ – ენა არღვევს სასუბრო ენის კონვენციას და გადის დენოტაციურ მნიშვნელობათა საზღვრებიდან ახალ შესაძლებლობათა მოძიების მიზნით.

ბინარულობა, როგორც განსხვავებათა კერძო და რადიკალური შემთხვევა, მხატვრულ ენაში გადაილახება როგორც თანდათან, მნიშვნელობათა დაახლოებით, ისე ერთბაშად – სემანტიკური ურთიერთშეჭრის გზით. ორივე იმ ტიპის სემანტიკური წანაცვლება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ჩვეულებრივ, ქმნის განსაკუთრებული დაძაბულობის წერტილებს ლექსში და ათვალსაჩინოებს პოეტური ენის მუშაობის განსხვავებულ, ინტენსიურ რეჟიმს (მას უწოდებენ კიდევ „T- ენას“ (Tensive language) (Вилрайт 1990: 82), ენის დაძაბულობა პოეტური რეფერენციის დროს იზრდება მოულოდნელობების შემოტანით. მაგალითად, სინესტეზია, ოქსიუმორონი, მეტაფორა სასუბრო ენის პოზიციებიდან არის ლოგიკური შესაბამისობის რღვევა სემანტიკურ რიგებს შორის, გრძნობადისა და ინტელიგიბელურის გადათამაშება. თამაშის საზრისი აქ სწორედ თავისუფლება და ახალ კონვენციაში ჩართვაა თვითრეფერენციის უფლების მოპოვების მიზნით.

„ჩამავალ მზით ნაფერი“ ელვარე ნაპირის შენაცვლება უნაპირო (უსაზღვრო), ცივი და მიუსაფარი, ანუ უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სემანტიკებით ამზადებს გადასვლის წამის ემოციურ დაძაბულობას, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება და საბოლოოდ განმტკიცდება სტრიქონის ბოლოს და მომდევნო სტრიქონის დასაწყისში ორჯერ ზედიზედ გამეორებული სიტყვათშეთანხმებით „მდუმარების გარეშე“. ამ გამეორებით ენა საბოლოოდ აღიარებს ცივი და მიუსაფარი სამუდამო მხარის ეჭვმიუტანელ „სიმწუხარესა“ და „მდუმარებას“.

სიცივის ნიშანთა გამეორებით აქცენტირდება „ტემპერატურათა სხვაობა“ აქაურ და მიღმურ სივრცეთა შორის. მწუხარების მნიშვნელობის გასაფართოებლად გალაკტიონი ქმნის უჩვეულო აღმნიშვნელს „სიმწუხარე“, რომელის მნიშვნელობაც ფართოვდება „სი-ე“ მანარმოებლების მეშვეობით და საყოველთაო, ყოვლისმომცველი მწუხარების დამატებით სივრცულ-სემანტიკურ განფენილობას იძენს. პოეტი ზედიზედ ემშვიდობება ამქვეყნიურობისთვის დამახასიათებელ ენერგეტიკულ ნაკადებს. აღარაფერი რჩება საზღვრის სუსტი სინათლის აღქმიდან. ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ იძირება მდუმარებასა და „სიცივის თარეშში“. პირველ ორ სტროფში ოთხჯერ მეორდება „ცივ“ და „სი-ცივ-ის“ სემანტიკები. ს, ც და შ ფონემების ალიტერაცია ამ სტრიქონებში ქარის სისინის, სიბნელისა და სიცივის მნიშვნელობათა დამატებით ფენას ქმნიან („ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე / მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში / სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა“...) ყველაფერი სრულდება საშინელი იმედგაცრუებით, რომლის რელევანტური გამოსახულება ცივ სამარეში მწოლარე ადამიანის ხატია, იმ ადამიანის ხატი, რომელმაც ვერ იხილა ალთქმული ნაპირი, სიცოცხლის მეორე მხარე,

გარდაცვალება: **„ცეცხლი არ კრთის** თვალებში, ნევხარ **ცივ სამარეში**, ნევხარ **ცივ სამარეში** და **არც სულს უხარია“**.

ლექსის მთელი ეს პირველი ნაწილი, ახლახანს მოყვანილი დამაგვირგვინებელი ფრაზით ერთგვარი უვერტურაა იმისათვის, რასაც გალაკტიონი მომდევნო სტრიქონებში აღწერს. დასრულებულია სივრცის შერღვევის აქტი, გადალახულია საზღვარი. ის, ვისი პირითაც ენა მეტყველებს, უკვე აქაა, ამ სივრცეში, სამუდამო მხარის ზღურბლს მიღმა. თვალის მოვლების პლასტიკა ტრაგიკულ, მწუხარე შეფასებით ფრაზებში გარდაისახება და სწრაფად, აჩქარებულ რიტმში იწყებს დაფუძნებას. ერთი სიტყვით, პოეტური ტექსტის პირველ ფრაგმენტში ჩვენ საზღვარზე შეყოვნებულ ადამიანს ვხედავთ. ამ მომენტიდან კი გალაკტიონის წარმოსახვა მხოლოდ სამუდამო მხარის ფანტასმაგორიულ, შემზარავ სურათებს ხატავს: „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით/ უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან“... ხატის მოძრაობის შინაგანი იმპულსი აისახება ლექსის რიტმში და პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, ფრაზის დაძაბულობა მატულობს, ტემპი სულ უფრო და უფრო ძლიერდება.

გალაკტიონი ამბობს ძალზე ბუნდოვან ფრაზას: „სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით/ ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“. იგი აშკარად მიმართავს ვიღაცას, ვიღაცეებს. ის თითქოს სამუდამო მხარის მასპინძლის სახელით ლაპარაკობს, თითქოს ეპატიჟება და თავის იმქვეყნიურ გამოცდილებას უზიარებს მათ, ვისაც ელის. აქ ისმის რალაც, დაპირებისმაგვარი, რომ ის მარტო არაა, რომ „ყველანი აქ არიან“. „ყველანის“ მნიშვნელობა უცნობია და მისი რაიმე ობიექტური სახით დაზუსტებას, ცხადია, არ გულისხმობს, თუმცა ჩანს, რომ ლექსის შემოქმედებითი კონცეპციისათვის ამ ფრაზას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ისინი, ვინც მიმართვის ობიექტებად შეიძლება ვივარაუდოთ, უფრო მკაფიო კონტურებს თვით ლურჯა ცხენების სიმბოლური ხატის მიღმა ნაკითხული კონოტაციური რიგის ამოკითხვის შემდეგ შეიძენენ. ისინი, ვისაც გალაკტიონი „სიზმარიან ჩვენებაში“ უხმობს, „ლურჯა ცხენებზე“ ამხედრებულნი, იმ ერთიანი კრებულის („ყველანი“) ნაწილია, რომლებსაც გალაკტიონი საკუთარ თავთან ერთად სამუდამო მხარის მასპინძლებად მოიაზრებს.

„ყველანი აქ არიან“ ასოციაციურად ებმის თბილ და შინაურულ გარემოს, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებს „სამუდამო ბალიშის“ ინტიმური კონოტაციები: „იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება: /ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში; /გაქრა ვნება–წამება, როგორც ღამის ზმანება, /ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“. ბალიშის „ყოველდღიური“ მნიშვნელობის გადატანა გაურკვეველი, უცნაური და უცნობი „სამუდამოსაკენ“ სემანტიკური ინოვაციის აქტია, რომლის მიზანიც სემანტიკური ველების ხელახალი კონსტრუირებაა. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია, თუ არა „ახალი ცოდნის შემოტანა ახალი კავშირების მოხელთების გზით, არა გარეგანი, არამედ შინაგანი მსგავსების საფუძველზე, საგანთა შორის იმ შინაგანი შესაბამისობის

აღმოჩენა და გამოხატვა, რომელიც ლოგიკური გზით არ მტკიცდება“ (კვაჭანტირაძე 1999:208)

დროის მიმართ გულგრილობა („იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება“) უკვე სამუდამო მხარის მიღმური სამყაროს სრული აღიარებაა (შდრ.: „დღეები რბიან და მე ვბერდები“ – „თოვლი“, 1916, – სადაც სინანულის მიზეზი ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობაა). დროს აქ ისევე ეკარგება მნიშვნელობა, როგორც ცრემლს (შეიძლება დავუშვათ, რომ გალაკტიონს არ ანუხებეს დროის სრბოლა, რადგან ის მარადისობის ბინადარია და იქიდან გვესაუბრება. ამ კონტექსტში შესაძლებელი ხდება ოდნავ მივუახლოვდეთ „ყველანის“ მნიშვნელობას). ამ ფრაზით ორი ნაპირის შედარება რაკურსს იცვლის და სამუდამო მხარის უპირატესობის ნიშნებით აღიბეჭდება („გაქრა ვნება–წამება“). შედარების სტიქია აქ უფრო ღრმა ფაზაში შედის, რომლის მიზანიც მიღმურისა და ამქვეყნიურის არამხოლოდ ანალოგიების გზით დაახლოება, არამედ განსხვავებათა მონიშვნაცაა. მთელი ეს ფრაგმენტი ოპოზიციურ მხარეთა მორიგების, სიმეტრიულობისა და ჰარმონიულობის აღდგენის, ყოფიერების ანტიტეტურობის წაშლის სურთში გადაიზრდება და ფუძნდება სიტყვით „გაქრა“ („...ვნება–წამება, როგორც ღამის ზმანება,/ ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“), რომელიც კონოტაციური შლეიფის სახით მოიყოლებს დნობის, განლევის ასოციაციებს. ამქვეყნიურობის მახასიათებლებად გამოდიან „ცრემლი“, „ვნება–წამება“ და ა. შ. მომდევნო სტრიქონებში გაჟღერებული სულისკვეთება უკვე სიცოცხლესთან განშორების სინანულის, მეტიც, მტკივნეული დაპირისპირების ელფერიითაა მოსილი. გონების სცენას ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი ატრიბუტები ტოვებენ: „ყვავილნი არ არიან, არც შვება–სიზმარია, / ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები! / რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს? / ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს? / ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში, / სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!“ ხ და შ ფონემების აქცენტირება გამოუვალობის, დახშულობის მნიშვნელობებს ბადებენ და „სამუდამო მხარის“ სიბნელისა და უნუგეშობის აღქმას აძლიერებენ.

ლექსის ორივე ეს ფრაგმენტი, რომელიც მხოლოდ ლურჯა ცხენების ქროლვის ორტაეპედიითაა გამოყოფილი, ერთიანობაში მოიცავს სიცოცხლესთან პოეტის დამოკიდებულების მთელ სპექტრს – დადებითსაც და უარყოფითსაც (შდრ. ფრაგმენტები: „იჩქარიან წამები.“... და „ყვავილნი არ არიან“...). ამქვეყნიური არსებობის სახეები, რომლებსაც გალაკტიონი მიღმურის ანტიტეზებად იყენებს, თვითონვე არიან ერთმანეთის მიმართ ანთიტეტურები და თვით ყოფიერების წინააღმდეგობრივ, ამბივალენტურ ბუნებას ათვალსაჩინოებენ. მას უჩვეულო ძალით იპყრობს გადასვლის წამი, უსაზღვროების მონიშვნა, ერთ უკიდურესობაში ჩასახული მეორის საიდუმლო, დაფარულისა და უჩინარის მზადება გასაცხადებლად, ლეღვა და თამაში, მალვა და თავისჩენა (შდრ.: „როგორ მალეღვებს მე ყოველთვის იგი სიჩუმე.../მასში იდუმალ ძალით სძინავს ახალ ქაოსებს. /იგი ლეღვაა დაფარული, უჩინარ ცეცხლის“ („თითქოს არა აქ, 1916 წ).

მნიშვნელობათა საინტერესო ინტუიტიურ-ლოგიკურ ბმას ვხვდებით სიტყვებში „სახე“, „სახელი“, „დახილი“. აღნიშნული სემანტიკები ქმნიან ალსანიშნო ერთგვარ „მცურავ ჯაჭვს“ (რ. ბარტი), სადაც ადამიანის ძირითადი ეგზისტენციალური მოდუსების (მდგომარეობების) ნაშლაა დასახელებული: უსახეობა, უსახელობა და დიალოგის შეუძლებლობა („დახილს ვინ გაიგონებს“). ყველა ეს სემანტიკა ასახელებს ქაოსს, ქაოსის მდგომარეობას, რადგან სახელის შერქმევით დასრულდება ქაოსი და იქმნება კოსმოსი; სახე უკვე ფორმამიცემული ქაოსია. რაც შეეხება დახილს, ესაა კოსმოსის გამოხმობა ქაოსიდან (ანალოგიურად ღმერთის შედახილისა „იქმენ“), რომელიც აქ უშედეგო და უპასუხოა („დახილს ვინ გაიგონებს“. შდრ.: ნიკო სამადაშვილი: „ვინ დამიძახა დედამინიდან?“). ძილი, როგორც სიკვდილის არქეტიპი, აქ ყველა არსისა და არარსის გაბატონებული და ერთადერთი მდგომარეობაა („სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“).

ეს აზრობრივ-ემოციური სეგმენტი, თავისი მწუხარე და გამოუვალი განწყობით აქ განსრულდება და გადადის ძალზე მნიშვნელოვან ორტაეპედში, რომელიც მიმართულებას უცვლის ლექსის ემოციურ ტონალობას: „მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა, /მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ლელდება“. განვმართოთ: კამარა რკალური სივრცეა, ერთგვარი ნახევარწრე. ამა-რა-კამარას ონომატოპეა არამხოლოდ „კამარის“ პლასტიკურ ხატს აძლიერებს, არამედ დამატებითი მუსიკალური ობერტონი შემოაქვს ამ სივრცის აღქმაში.

ფრენის მატისენი ელიოტთან დაკავშირებით საგანგებოდ აღნიშნავს მისი პოეზიის „სმენითი წარმოსახვის ძალას“ (ელიოტი 1989: 160), რაც, ვფიქრობ, გალაკტიონის პოეზიისთვისაც უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. რაც შეეხება „ლელდება“-ს, იგი მალლა-დაბლა ოპოზიციების განუწყვეტელი, მარადიული ურთიერთშენაცვლების აღმნიშვნელია. ტალღური ტრაექტორია სემანტიკურ კავშირშია ღელვისა და ტრიალის მუდმივგანმეორებად მოძრაობებთან, რომელიც, მცირეოდენი სახეცვლილებით, ორგზისაა წარმოდგენილი, როგორც ლურჯა ცხენების მოძრაობის მახასიათებელი. ასე რომ, იქმნება ორმაგი კოდი მოძრაობისა. ერთია „შუქთა კამარა“ და „ბედის ტრიალი“, როგორც წრიული მოძრაობა, მეორე კი „ზღვის ხეტიალი“ (მიქცევა-მოქცევა) და „ლელდება“, როგორც მოძრაობის ტალღური ბუნების მახასიათებელი. ლურჯა ცხენების მოქმედების ეს ორივე აღმნიშვნელი – ბრუნვა და რხევა – სამყაროს ენერგიათა (მოძრაობათა) ორი უმთავრესი და მარადგანმეორებადი სახეა. აქ გალაკტიონი სიცოცხლის შესაქმის მეტაფიზიკური სურათის კონტურებს მოხაზავს: სინათლის ენერგიის მატერიალიზაციის წამს („შუქთა კამარა“) და მოძრაობის ენერგიაში, მატერიაში გადასვლის მომენტს („ლელდება“). როგორც სამყაროს დინამიკის ძირითადი ტრაექტორიებისა და რიტმების მახასიათებლები, ღელვა და ბრუნვა („ზღვის ხეტიალი“, „ბედის ტრიალი“) სემანტიკური და სტილისტური პარალელიზმით აჩენს სამყაროს დინამიკისა და ლურჯა ცხენების მოძრაობათა კორელაციის აღქმას, რაც სხვა არაფერია, თუ არა პოეტური გონისა და ლოგოსის სტრუქტურათა ჰომოლოგიურობის აღიარება.

ფინალური სტრიქონები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ენის მიერ შედარების სტრუქტურის („ზღვის ხეტიალი“, „ცეცხლის გრიალი“, „ბედის ტრიალი“ – „ლურჯა ცხენების“ მოძრაობა) გამოყენება არა, ასე ვთქვათ, სემიოტიკურად – ნიშანთა დაახლოებისა და ჩანაცვლების გაგებით, არამედ მსგავსების სემანტიკური ასპექტის გაძლიერების მიზნით, ანუ არა სუბსტიტუციის (ჩანაცვლების), არამედ პრედიკაციის (სუბიექტის განსაზღვრების) ფუნქციით.

„ლურჯა ცხენების“ სტრუქტურის ანალიზი აუცილებლობით მოითხოვს შეგრძნების სემანტიკურ როლის განსაზღვრას წარმოსახვის პროცესში. პოეტური შეგრძნების სტრუქტურის ანალიზისას პოლ რიკიორი აუცილებლად მიიჩნევს იმ ფაქტორის გათვალისწინებას, რომ პოეტური ხატის სტრუქტურა ეფუძნება ვერბალურ და იმაგინაციურ სტრუქტურათა შორის გახლეჩილ (დანაწილებულ) რეფერენციას. ჰაიდეგერის ყოფიერების ანალიტიკაზე დაყრდნობით, იგი შენიშნავს, რომ რეალობის იმ ასპექტების მიმართ, რომელთა რეფერენციასაც ენა ახორციელებს და რომლებიც ვერ გადმოიცემა ობიექტის ტერმინებით, ჩვენ „განწყობილი“ ვართ მხოლოდ და მხოლოდ შეგრძნების მეშვეობით (Рикер 1990: 432). ყოფიერების უცნობი ზონების მიმართ გალაკტიონის პოეტური შეგრძნება ამ განწყობის პოეტურ ენაზე „სათარგმნელად“ მოიხმობს შედარებას („როგორც ნისლის ნამქარი“, „როგორც ზღვის ხეტიალი“, „როგორც ბედის ტრიალი“ და ა.შ.), რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მისი პოეტური ინტუიცია იმთავითვე მიმართულია წარმოსახვით და ვერბალურ სტრუქტურათა შორის გახლეჩილი რეფერენციის გადალახვისაკენ. ანუ ის, რასაც მიღმურის მიმართ გალაკტიონის პოეტური შეგრძნება მოიხელთებს, ვერბალურ დონეზე იგება რეალობის იმ ასპექტების „გავლით“, რომლებსაც ენა უშუალოდ ობიექტების ტერმინებით ვერ გადმოსცემს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამომსახველობითი, ანუ იკონური ასპექტი სწორედ მათი მსგავსების აღმოჩენით მიიღწევა.

გალაკტიონის ენა ცდილობს, მოითვინიეროს წარმოსახვის სტიქია, რომელიც მას განუწყვეტლივ უსხლტება ხელიდან. მთელი ლექსი სხვა არაფერია, თუ არა დევნა-მოხელთების პროცესი ვერბალურ და იმაგინაციურ სტრუქტურებს შორის. ენა, რომელიც მუდმივად ცდილობს განდევნოს დენოტატი, ჩანაცვლოს იგი ახალი დენოტატი; მნიშვნელობა, რომელიც გაურბის ნიშანს (სიტყვას) და სიტყვა, რომელიც უხილავი მნიშვნელობის მოხელთებას ცდილობს. განწყობილების, შეგრძნების, ალქმის ფრაგმენტები ცდილობენ გაერთიანებას, მაგრამ ლოგიკა განუწყვეტლივ ეწინააღმდეგება ინტუიციას და რეფერენცია სულ გადაიდება.

როგორც ვთქვით, დაახლოების პოეტური ინტუიცია აქ მიმართულია განხეთქილების, დაშორების გადალახვისაკენ, თითქოს, ასე ვთქვათ, „უსიტყვო ენა“ ასახელებს სამყაროს პირველ მოძრაობას, პირველად კონსტრუქციას („მშრალ რიცხვების ამარა...“), ჩანასახოვან სამყაროს, შეიგრძნობს პირველ რიტმებს და ხატებად გარდაქმნის ყველაზე არქაულსა და იდუმალს. ფრაზა „მშრალ რიცხვების ამარა“ ლოგიკური უაზრობაა, ინტუიცია პოეზი-

ის კვარცხლბეკზე. მთელი ლექსი ქაოსის დიდებულების, მისი ვერტიკალური ენერგეტიკის გა-ცხად-ებისა და გამო-ცხად-ებისკენ მოძრაობს. სწორედ ეს გადასვლა ლექსის ეგზისტენციალური აღსანიშნის. „ლურჯა ცხენები“ ქაოსი-კოსმოსის მარადიული მონაცვლეობის, მარადიული განმეორების, ამ განმეორების მისტიკის მუსიკალურ-ვიზუალური ხატია. აქ აუცილებლად მიგვაჩნია პოეზიის ენაზე ელიოტის მოსაზრების გახსენება, რომელიც ზუსტად ახასიათებს „ლურჯა ცხენების“ პოეტურ სუბსტანციას: „ აზროვნება და ემოციები დაუბრუნდა სანყისს და უკან დაიბრუნა სიცოცხლის უღრმესი შეგრძნება“ (ელიოტი 1989:162). „ლურჯა ცხენები“ „გარდაცვალების“ შემდგომ პირველი ხილვის შთაბეჭდილებაა, ხელახალი ციკლის დასაწყისი, ახალი სიცოცხლის დაბადების პირველი მოძრაობა, პირდაპირი და უმეშვეო შეხვედრა შეგრძნების დონეზე აღმოცენებულ წარმოსახვასთან, რომელსაც შედარების კოგნიტიური სტრუქტურა ხატებად ალაგებს.

ლურჯა ცხენების ხატი ყოფიერების რიტმების პოეტური სტრუქტურის იმაგინაციაა.

„შუქთა კამარასა“ და „ზღვის ხეტიალს“ შორის განთავსდება ფრაზა, რომელიც ტექსტში ორჯერ მეორდება: „შემლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით / უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება“. ამ კვაზიმატერი-ალური გამოსახულებით გალაკტიონი სიკვდილის ფანტომების ყოველნამიერ გაჩენასა და ქრობაზე გვატყობინებს. ფრაზის პირველ ნაწილს ორივეჯერ მოსდევს ფრაზა „უსულდგმულო დღეები“. ერთგან ამ უკანასკნელს ებმის „რბიან, მიიჩქარიან“, მეორეგან კი – „ჩნდება და ქვესკნელდება“, რაც პირველ შემთხვევაში იწვევს ჰორიზონტალური, მეორეგან კი ვერტიკალური მოძრაობის ასოციაციას. ერთგან მოძრაობა განგრძობითობის აღქმას ბადებს, მეორეგან კი წყვეტისა და ტალღისებური, სინუსოიდალური რხევის პერცეპციას. რა ინტუიცია კარნახობს გალაკტიონს ამ ცვლილებას? არის თუ არა ზმნათა ორ წყვილს – „რბიან, მიიჩქარიანსა“ და „ჩნდება და ქვესკნელდებას“ შორის დროის სვლის მიმართ პრინციპული კონცეპტუალური ხასიათის ცვლილება, თუ ეს აღსანიშნის მხოლოდ სივრცული განზომილებით ჩანაცვლებაა? ვფიქრობ, ეს უპასუხო კითხვაა, თუმცა ვარაუდის სახით შეიძლება იმის თქმა, რომ იგი უკავშირდება სამყაროს დროსივრცული სუბსტანციის ანტითეატრობის პოეტურ ინტუიციას, რომელსაც გალაკტიონი რიტმულ-სტილისტური კორელაციით ეხმაურება. ისევე, როგორც „რბიან, მიიჩქარიან“, „ჩნდება და ქვესკნელდებაც“ განუწყვეტელი ცვლილებისა და ურთიერთმონაცვლეობის დინამიკას ქმნის და გაქრობის, გაუჩინარების, უარყოფის ასოციაციებთან ერთად ხელახალი გაჩენის, დაბრუნების ფარულ მნიშვნელობებსაც აღმოაცენებს. ამასთან, „ჩნდება და ქვესკნელდება“ თითქოს „უსულდგმულო დღეებისა“ და „ჩონჩხიანი ტყეების“ სრბოლის დასრულებას წინასწარმეტყველებს და „გაქრა ვნება-ნამება“-სთან ასოციაციური გადაძახილით ლექსის მძიმე ემოციურ კონტექსტს დადებით შეფერილობას ანიჭებს. ერთი სტრიქონის მერე, ამჯერად „ლურჯა ცხენების“ მოძრაობასთან მიმართებაში ჩნდება სიტყვები „ზევით თუ სამარეში“,

სადაც ხატის ვერტიკალური დინამიკა კიდევ ერთხელ გადაკვეთს ჩვენი წარმოსახვის ეკრანს და კიდევ უფრო მეტ სიღრმეს სძენს „ვერტიკალური დიფერენციალის“ (ბაშლიარი) აქსიოლოგიურ აღქმას.

დ. წერედიანი გალაკტიონის პოეზიის განსაკუთრებული ხიბლის გასაღებად მიიჩნევს „შეგრძნებათა ემოციურ სიზუსტეს“ და აღნიშნავს, რომ „ეს სულის მუსიკაა“ (წერედიანი 2002:107,112). „ლურჯა ცხენების“ სტრიქონების ფონზე „სულის ხმოვანება“ „სულის მუსიკის“ ინვარიანტია („გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,/ ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“). „სულის ხმოვანების“ გაქრობა „ლოცვის სიმხურვალეში“ პოეზიის ლოცვით საწყისზე მინიშნებაა, მომდევნო ორი სტრიქონი კი („ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი/ ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“) გალაკტიონის პოეტური გზნების, ექსტაზის, მისი შინაგანი მუსიკის რიტმული გამოსახულება, მისი არამხოლოდ ვიზუალური, არამედ მუსიკალური ხატია. ხმაური და უხმაურობა, გრგვინვ-გრიალი და აბსოლუტური მდუმარება ამ „შინაგანი მუსიკის“ ფაზებია. სწორედ გალაკტიონის სმენითი წარმოსახვა ქმნის სინესთეზურ ხატებს, სადაც სამყაროს მუსიკის ობერტონები და მისი მრავალფეროვანი მატერიის მუსიკალური შეგრძნებები რელევანტურ ვიზუალურ და ვერბალურ ხატებად გარდაიქმნებიან. „ლურჯა ცხენებში“ სამყაროს ფრაქტალური არსი, მატერიისა და (=) ენერჯის (მოძრაობის) ფორმათა ანალოგიურობაა „დაჭერილი“.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ სტრიქონებს „მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა,/ მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება“. აქ გალაკტიონი რადიკალურად არღვევს სასაუბრო ენის კონვენციას და ვერბალურ შესატყვისს უძებნის წინარესუბიექტურ ინტუიციას. ცნობიერებას შეგრძნების სახით ეძლევა სამყაროს თავდაპირველი ხილვა: „მშრალი რიცხვების“ მღელვარება ჯერაც მნიშვნელობამიუცემელი, მიუმართავი, უფორმო „ღელვაა“, ყოფიერების რიტმების პულსაცია და ვიბრაცია, ღელვის აბსტრაქტული, არამატერიალური სუბსტანცია. ამ პროცესში თითქოს მხოლოდ ენა მონაწილეობს და არა სუბიექტი. ენა ასახავს მოვლენის სუფთა, უბინო ფორმას, რეფერენციამდელ, ნიშნამდელ მდგომარეობას, ეს-ესაა იწყებს ღელვის კონცეპტის ფრეიმირებას.

შეკითხვაზე, თუ როგორ „ებმის“ შეგრძნება მნიშვნელობას, პოეტური ენის მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრება ასეთია: „ერთი მხრივ, წარმოსახვა აყოვნებს აზრის პირდაპირ რეფერენციას ჩვენი სასაუბრო ენის ობიექტების მიმართ, მეორე მხრივ წარმოსახვა ქმნის მოდელს რეალობის ახლებური წაკითხვისათვის“ (Рикер 1990: 431), რაც იმას ნიშნავს, რომ შედარების გზით ენა ცდილობს გადალახოს ფუნდამენტური კავშირის უკმარისობა ვერბალურსა და იმაგინაციურს შორის. მნიშვნელობა მოძრაობს ვერბალურს, იმაგინაციურსა და კოგნიტიურს შორის, რათა დაასახელოს მანამდე უცნობი ემოციური რეალობა. ეს ახალი მოდელი კი, თავის მხრივ, არამხოლოდ რეალობის ახალ აღქმას გვთავაზობს, არამედ მნიშვნელობას წარმოგვიდგენს, როგორც

ამ ახალი ემოციური რეალობის ნაყოფს. შედეგად, ჩვენ ვიღებთ ბუნდოვან, არამდგრად მნიშვნელობას, რომლის ემოციურ სტრუქტურაში გამთლიანებულია ვერბალურსა და იმაგინაციურს შორის დანაწილებული რეფერენცია.

მნიშვნელობებსა და ბგერათშეთანხმებებს, პოეტურ სტრუქტურებსა და მოვლენებს შორის კავშირის ეს უჩვეულო გამოცდილება ვერ იქნება მხოლოდ თუნდაც ვირტუოზული პოეტური ტექნიკის ნაყოფი. და მაინც, როგორ უკავშირდება აქ აზრი გამოსახულებას? როგორ იძენს გამოსახულების სახეს? რა არის ეს – სმენა თუ ხედვა? იქნებ, სულაც ამ ორი შეგრძნების ერთდროულობა, რომელიც ჯერ კიდევ დაუნანვერებლად არსებობს პერცეპციაში, ჯერ ისევ ატარებს ყოფიერების იმ უძირო საიდუმლოს, რომლის მიმართაც ენას რეფერენცია არ განუხორციელებია?

გალაკტიონი სამყაროს **მუსიკას** ხედავს. ის საზღვარზეა და უმზერს უხილავი ყოფიერების თავისჩენას რაღაც უცნობ განზომილებაში, უსმენს ქაოსმოსს, ხედავს ჯერაც ფორმამიუცემელი კოსმიური მატერიის რხევას და ციმციმს, სუნთქვას და ფშვინვას, შეკუმშვასა და გაფართოებას, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ აწევ-დანევას. სიცოცხლის შემქმნელი, ჯერაც აბსტრაქტულ („მშრალ რიცხვების ამარა“) ენერგიათა ნაკადების მოძრაობას, მათ გამოსვლას დღის სინათლეზე, ურთიერთმისაღმებლასა და შეხვედრას. შესაქმის გზებით დატვირთულ ამ კოსმიურ სურათში, სადაც ერდროულად თანაარსებობს ჯე-რაც ფორმამიუცემელი მატერია და დროის დისკრეტული პულსაცია, გარკვეული რიტმული პერიოდულობით გაისმის ლურჯა ცხენების გრგვინვა-გრიალის ხმა. გალაკტიონის პოეტური სმენა იჭერს მიუზნდომელ კავშირს ყოფიერების რიტმებსა და პოეტურ რიტმებს შორის. ამ აზრს კიდევ უფრო აძლიერებს ბგერათა მუსიკალურ-ფონეტიკური თანწყობა, რომელიც თითქოს ენისა და ყოფიერების საერთო გენეზისს, პოეტური სუბსტანციის ბუნებრივობას, ყოფიერებისადმი მის მიკუთვნებულებას ათვალსაჩინოებს.

ასე რომ, სავარაუდოდ, ლურჯა ცხენების სინკოპირებული მოძრაობა ყოფიერების ორი ნაპირის ხელახალ შეხვედრას, სიცოცხლის სუბსტანციის მარადიულ მოძრაობას, გადასვლა-გადმოსვლას განასახიერებს. ლურჯა ცხენები, სავარაუდოდ, ყოფიერების სასიცოცხლო რიტმების ხატია, რომელთაც პოეტური ენა ახალ ემოციურ რეალობად გარდაქმნის.

რაც შეეხება ლურჯა ცხენების ხატის ზუსტ სემანტიკას, როგორც ეს მოსალოდნელიცაა, იგი მკაფიოდ არ იკვეთება. სემანტიკური ველი, რომელიც ლექსის ანალიზის პროცესში მოიხაზა, ზუსტ საზღვრებში ვერ ექცევა, თუმცა კონოტაციურ დონეზე ჩნდება ხატის გენტიკური ლიტერატურული წინაპრებისა და კიდევ უფრო ღრმად – მათი ავტორების ასოციაციები (რომლებიც, სავარაუდოდ, უნდა მოიაზრებოდეს ფრაზაში „ყველანი აქ არიან“). მათ შორის, უპირველესად, ვგულისხმობთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანს. ვფიქრობ, თავის ლექსში გალაკტიონი არამხოლოდ მერანის უსაზღვრო ქროლვის იდეას ეხმიანება და „მე ვარ“ – ის, როგორც თავისუფალი პოეტური ყოფიერების მარადიულობის აზრს ახმოვანებს (კვაჭანტირაძე 2013: 110), არამედ ყოფიერებისა და

პოეტური სუბსტანციის თანაობის იდეას წამოსწევს და სიცოცხლის პირველადი მუსიკისა და პოეტური რიტმების ფუნქციური ანალოგიის ინტუიციის განსხეულებასაც ახდენს. თუკი გასტონ ბაშლიარის იმ აზრს გავიზიარებთ, რომ „ხატის გადაცემა ფუნდამენტური ონტოლოგიური მოვლენაა“, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ „ლურჯა ცხენები“ პოეზიის არსზე და მის მარადიულ სასიცოცხლო დანიშნულებაზე გალაკტიონის ფარული ცოდნის იმაგინაცია და მკითხველისთვის მისი გადაცემის ფუნდამენტური ონტოლოგიური აქტია.

#### დამონშებანი:

- T'abidze G. *Rcheuli*. Tbilisi: gamomtsemloba "sachota sakartvelo", 1973 (ტაბიძე გ. რჩეული. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973).
- Eliot' i, T. *Ati Esei*. Inglisuridan Targmnes P. da R.. Chkheidzeebma. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1989 (ელიოტი, თ. ათი ესეი. ინგლისურიდან თარგმნეს პ. და რ. ჩხეიძეებმა. თბილისი: „მერანი“, 2007)
- K'vach'ant'iradze M. *Otar Ch'iladzis Mkhat'vruli Sist'emis Semiologiuri Aspekt'ebi*. Tbilisi: 1999 (კვაჭანტირაძე მ. ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის სემიოლოგიური ასპექტები. თბილისი: 1999).
- K'vach'ant'iradze M. *Vekt'orebi*. Tbilisi: gamomtsemloba "meridiani", 2013 (კვაჭანტირაძე მ. ვექტორები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013).
- Rikior P. *Metaforicheskij Protsess kak Poznanie, voobrazhenie i Oshchushchenie*. "Teoria Metafory." M.: Progress, 1990 (Рикер П. Метафорический процесс как познание, воображение и ощущение - "Теория метафоры". М.: "Прогресс", 1990).
- Uilrait F. *Metafora i Realnost'*. "Teoria Metafory". M.: "Progress", 1990 (Уилрайт Ф. Метафора и реальность. "Теория метафоры". М., "Прогресс", 1990).
- Ts'erediani D. "Musik'a Up'irveles Q'ovlisa". *Galakti'onologia*. T.I. Tbilisi: 2002 (წერედიანი დ. „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. გალაკტიონოლოგია. ტ I, თბილისი: 2002).
- Eko Y. *Otsustvuyushchaya Struktura. Vvedenie v semiologiyu*. Sankt-Peterburg. Too TK. "Petropolis" 1998 (Эко, У. Отсутствующая структура. Введение в семиологию. Санкт-Петербург. ТОО ТК. "Петрополис", 1998).

**Manana Kvachantiradze**  
(Georgia)

## “Blue Horses”. Reconstruction of the Semantic Field

### Summary

**Key Words:** semantic field, reference, being rhythms, imagination.

The first word of Galaktion Tabidze’s “Blue Horses” (“Like”) demonstrates the poet’s intention to compare two shores of existence – worldly and discarnate, visible and invisible, name the signs of the endless, invisible, netherworld shore the experience of reference of which is unknown to the language and which could not be named in any way, except for comparison.

Poet “drowns” into the environment of comparison to make us sense the difference and to overcome this difference. At the connotation-association level the evaluative position between the conditions of being and not being can be read and shows up as the poetic construct as such. By attracting material factors and conditions determining being Galaktion names the pre-material being but not as the nothingness but joint movement of invisible particles of matter to showing up (“Nothing could block out the light from this chamber”), movement of nothingness as such, to overcome its substance (“No promise of sight, nothing to look at”... – “nothing could block out”). Binariness as the universal principle of the language, demonstrates the language’s readiness to overcome this contradiction through conjunction (comparison) and turn it into the structure filling the nothingness between being and not being, between yes and no, i.e. find and tell us about the conjunction where such conjunction cannot be clearly seen. Through poetical power turn unawareness into awareness, experience. Create, through unveiling of the notification (turning it into the image) the poetic substance, as a new reality that could not be reduced to any reality of the other type, while its sense is not the result of substitution or replacement of something else, rather the transcendence of the substance of poetry into the word.

A word wherein the poet’s will is intentioned, depicts careful preparation for the meditational- mystical travel. He has to name what is sunk in unsaid, what is covered by radical silence. “No promise in sight, nothing to look at, / Only the quiet — nomadic and numb” – is saturated with the intonation of reproach caused by non-fulfillment of the promise to the anonym who has created the shore and who the promise belongs to. Seeing – is not seeing. Degree of perception of the phrase content and the environment (“promised shore”) is created not by the simple sum of the semantemes but linguistic (syntactic and phraseological-intonation) correlate of complicated emotional perception: one meaning is associated with the space: shore, edge, border, limit etc., and the other – with the promise, covenant, something expected and possible. “Nothing to look at” corresponds to both meanings. Associative flow of despair, due to disappointment comes into the spatial

perception (“shore”) with the second meaning (promise, covenant) as this is not only simply a shore but the promised shore.

In the first fragment of the poetic text we can see an individual that halted at the border. Mood in the further stances is covered with the regret of losing of life, moreover, with the painful contradiction with it. Last attributes of worldly life leave the scene of mind. Internal impulse of the image movement are reflected in the phantasmagorical, threatening pictures of the eternity’s realm, in the rhythm of the verse. Repetition of the signs of cold emphasizes the “temperature difference” between this and other worlds. Frequency of kh and sh phonemes makes perception of the darkness and hopelessness of the “eternity’s realm”. Unlike the first part, strain of the phrase increases, pace gradually accelerates.

Indifference to time (“And seconds race by. I am not concerned”) is full recognition of the eternity’s realm, the discarnate. Here time is senseless just like the tears. By this phrase comparison of two shores changes orientation and gives preference to the eternity’s realm (“The tortures that churned in you died”). Comparison power moves to the deeper stage, purpose of which is not only approaching of the eternal and worldly through analogies but also marking of the differences. Entire fragment transforms into the picture of conciliation of the opposing sides, restoration of the symmetry and harmony, elimination of antithetic nature of existence and establishes with word “died” (“...tortures that churned...”). Final stances could be regarded as use of the comparison structure (“hurricane’s rate”, “wildfire’s rate”, “turn of fate” – dart of “blue horses) not say, in semiotic manner – in the sense of approaching and substitution of the symbols but rather to strengthen the semantic aspect of similarity.

We can see interesting intuitional-logical link of the meanings in the words “face”, “name”, “moan”. These semantemes create some kind of “floating chain” of symbols (R. Bar) where there is mentioned elimination of key existential modi of individual: facelessness, namelessness and impossibility of dialogue (“Who’ll hear you whisper”). All these semantemes name chaos, chaotic condition as by giving name the chaos ends and cosmos creates. The face is already a chaos that has shape. As for the moan, this is calling of cosmos from chaos (similar to Lord’s “let there be”), here with no result and no response (“Who’ll hear you whisper”). Sleep, as archetype of death, is a dominating and only condition of everything existent and non-existent (“chimeras sleep, darkly twisted”).

The poet outlines the contours of metaphysic picture of life creation: the moment of materialization of the energy of light (“light from this chamber”) and movement to the energy, matter (“winds rise”). As the characteristics of the key trajectories and rhythms of the world’s dynamics, arising and turning (“hurricane’s rate”, “turn of fate”) creates perception of correlation of the world’s dynamics and dart of blue horses through semantic and stylistic parallelism, what is nothing else but recognition of homology of the poetic mind and logos structures.

“Blue Horses” is the impression of the first vision after “decease”, beginning of the new cycle, first movement of emergence of the new life, direct and immediate meeting

with the imagination emerged at the level of senses, placed as images by the cognitive structure of comparison.

What is captured by Galaktion's poetical sense towards the discarnate, at the verbal level is built "through" the aspects of reality that cannot be provided by the language directly by the object terms. "Burning soul howling in prayer" points to the prayer nature of the poetry, Galaktion's audition imagination creates synesthetic images where the overtones of the world and musical senses of its diverse matter are transformed into the relevant visual and verbal images. "Blue Horses" capture fractal essence of the world, similarity of the matter and (=) energy (movement) forms.

Galaktion can see the music of world. He is at the verge and looks at the invisible being in some unknown dimension, listens to chaosmos, sees the vibrations and sparkling of the cosmic matter that is not shaped yet, its breathing and snuffling, constriction and expansion, vertical and horizontal movement. Movement of the energy flows creating life that are yet abstract ("only dry numbers"), their coming to daylight, greeting and meeting. In this cosmic picture charged with the creation energy, where coexist a yet unformed matter and discrete pulsation of time, the thunderous roar of blue horses dart sounds with certain rhythmic periodicity. Galaktion's poetic ear can capture unachievable links between the rhythms of being and poetic rhythms. This idea is further strengthened by the musical-phonetic structure as though demonstrating common genesis of the language and being, naturalness of the poetic substance, its belonging to life. Supposedly, blue horses express the being, life rhythms, not only its visual but also musical image and imagination of the poetic structure of life.

In the stances "Nothing could block out the light from this chamber / from only dry numbers still desert winds rise" – Galaktion found the verbal analogue of pre-subjective intuition. It seems that in this process only language participates and not the subject. The language describes pure, intact form of the phenomenon, pre-reference, pre-symbolic condition, just commencing framing of the concept of rising.

Certainly, the semantic field of the blue horses' image outlined in the process of verse analysis cannot be placed within the accurate scopes though at the connotation level there appear the associations of the genetic literary forbearers and even more deeply – their authors (that, supposedly, should be implied in the phrase "world looks on"). Among them, primarily, we imply Nikoloz Baratashvili's "Pegasus" (Merani). In our opinion, in his verse, Galaktion responds not only to the boundless fly of Merani but offers the idea of unity of being and the poetic substance and embodies the intuition of the functional analogy of indigenous music and poetic rhythms. If we share Gaston Bachelard's opinion that "transfer of image is a fundamental ontological phenomenon", we should suppose that "Blue Horses" is Galaktion's imagination of concealed knowledge about the substance of poetry and its eternal vital purpose and fundamental ontological act of its transfer to the readers.

პაროდული ასოცირება ჯეიმზ ჯოისის მოთხრობაში  
„მადლი“

„...მადლი მას უნდა დაჰყვებოდეს გზაზე  
და იყოს მისი საყრდენი, რათა არ დაეცეს“.  
ნეტარი ავგუსტინე.  
„მადლისა და თავისუფალი ნების შესახებ“

ჯოისის კრებული „დუბლინელები“ (1914) იმდენად მყარ და კომპოზიციურად შეკრულ მთლიანობას წარმოადგენს, რომ ზოგჯერ მას რომანადაც აღიქვამენ, თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ მასში შემავალი ყოველი მოთხრობა ცალკე, დასრულებული ნაწარმოებია. „ჩემი ჩანაფიქრი იყო ქვეყნის ზნეობრივი ისტორიის შექმნა და დუბლინი სცენად იმიტომ ავირჩიე, რომ სწორედ ეს ქალაქი წარმომედგინა პარალიჩის ეპიცენტრად“, წერდა ჯოისი. „...გადავწყვიტე მისი ოთხი ასპექტის – ბავშვობის, სიყმაწვილის, ასაკობრივი სიმწიფის და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოჩენა. მოთხრობებიც ამ თანმიმდევრობით დავალაგე“ (Joyce II 1966: 134). მწერლის მიერ საკუთარი შემოქმედების შესახებ გამოთქმული აზრები ყოველთვის არ არის სარწმუნო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჯოისი ზუსტად განსაზღვრავს როგორც თავის მიზანს, ისე მოთხრობათა თანმიმდევრობის წესს. მათგან ყველაზე ცნობილია „მკვდრები“ (1907), რომელიც აგვირგინებს „დამბლადაციმული“ დუბლინის საზოგადოებრივი ცხოვრების პაროდულ სურათს, თუმცა იმათთვის, ვისაც ჯოისის შემდგომი მწერლური ევოლუციაც აინტერესებს, უფრო სხვა მოთხრობა, „მადლი“ (1905) უნდა იყოს საინტერესო. პირვანდელი ჩანაფიქრით, „დუბლინელები“ სწორედ ამ მოთხრობით უნდა დასრულებულიყო – 1905 წელს ძმისადმი მიწერილი წერილი ცხადყოფს (Joyce II 1966: 124), რომ „მადლი“ ჯოისს კრებულის მთავარ მოთხრობად წარმოედგინა, თუმცა მოგვიანებით მწერალს გეგმები შეეცვალა. გამომცემელთა მიერ მრავალგზის უარყოფილ, ჯერ კიდევ 1905 წელს დასრულებულ „დუბლინელებს“ საბოლოო ვარიანტში მოცულობით ყველაზე დიდი მოთხრობა – „მკვდრები“ დაემატა, რამაც მთელი კრებულის სახე შეცვალა.

„მადლში“ საფუძველი ეყრება ჯოისის შემოქმედებითი სიმწიფის ხანის ნაწარმოებთა მთავარ თვისებებს. ჩანასახობრივად, აქ თავმოყრილია მისი მხატვრული მეთოდის ყველა, ან თითქმის ყველა ის თავისებურება, რაც ბევრად უფრო რთული სახით, მის შემდგომი ხანის ნაწარმოებებში გვხვდება და სერიოზულ თავსატეხს უჩენს უკვე „პორტრეტის“, „ულისეს“ და „ფინეგანის“ მკითხვე-

ელს. „მადლი“ მარტივად აღსაქმელი მოთხრობა ნამდვილად არ არის – თავისი შემოქმედების უკვე ამ, ადრეულ ეტაპზე ჯოისი სიტყვის დიდოსტატია და მისი ნაწარმოების გააზრება სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. აქ უკვე ვხვდებით რთულ, წიგნიერ ირონიას, რომელსაც შეუმზადებელი მკითხველი ძნელად აღიქვამს, რადგან ხშირად არ ფლობს, ან ვერ აცნობიერებს იმ ინფორმაციას, რომელსაც ეს ირონია ეყდრნობა. „მადლში“ გვხვდება ლიტერატურულ, თეოლოგიურ და ისტორიულ წყაროთა პაროდირების ხერხი, რომელიც უსასრულოდ ამდიდრებს ჯოისის მოთხრობის ასოციაციურ ქვეტექსტს. მწერალი ფართოდ იყენებს ექსტრატექსტუალურ ასოციაციებს, დუბლინური ყოფის ირონიულ მინიშნებებს, ისტორიულ მოვლენათა მკრთალ თუ აშკარა გამოძახილს და მთელი ამ მასალის სინთეზირებით სწორედ იმ „ბუნდოვანებას“ (Ambiguity) წარმოქმნის, რომელიც ჯოზეფ კონრადს დიდი ლიტერატურის თვისებად მიაჩნდა (Conrad 2005: 457). ეს ბუნდოვანება შეუმზადებელ მკითხველში ერთგვარ დაბნეულობას იწვევს, მითუმეტეს, რომ მოთხრობის მთელი ასოციაციური სირთულე მარტივი, გამჭვირვალე ენით და თხრობის საოცარი უბრალოებით არის გადმოცემული. უფრო მეტიც – ავტორის მშრალი, ირონიული ტონი და დიალოგების საგანგებო ბანალურობა ხშირად მოსაწყენი ერთფეროვნების, ზოგჯერ – უაზრობისა და ალოგიკურობის შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რაც, როგორც წესი, ნაწარმოებთან ზედაპირული ნაცნობობის შედეგია და სერიოზული, დაფიქრებული განსჯისას სრულიად საპირისპირო განწყობილებით იცვლება.

„მადლის“ სიუჟეტი (თუკი საერთოდ შესაძლებელია ყოფითი სცენების მარტივ მონაცვლეობას სიუჟეტი ეწოდოს) საკმაოდ მდარეა, არავითარ „ინტრიგას“ ის არ შეიცავს: უგონოდ მთვრალი კომივოიაჟორი ტომ კერნანი პაბის საპირფარეოს კიბიდან გადმოვარდება და ბინძურ იატაკზე ზღართანს მოადენს. უსულგულო მდგომარეობაში მყოფს, მას ტუალეტიდან „ორი ჯენტლმენი“ ამოიყვანს და ბართან, იატაკზე დაასვენებენ. შემდეგ სერიოზულად დამავებული კერნანი მის მეგობარს, ბ-ნ პაუერს სახლში მიჰყავს, სადაც მას მეუღლე უვლის. ორი დღის შემდეგ, ავადმყოფ კერნანს სამი მეგობარი ესტუმრება – ბ-ნი კანინგემი, ბ-ნი მ'კოი და ბ-ნი პაუერი. მეოთხეს, ბ-ნ ფოგარტის, მოსვლა აგვანდება, მაგრამ ბოლოს ის მაინც მოუსწრებს დანარჩენ მეგობრებს. ერთხანს ისინი საუბრობენ რელიგიურ თემებზე და საუბრისას ხუთივე შეთანხმდება, რომ ორ დღეში ყველანი ერთად ეკლესიაში წავლენ განსაწმენდად და მოისმენენ მამა პერდონის ქადაგებას, რასაც ასრულებენ კიდეც. მოთხრობაც სწორედ ქადაგების სცენით მთავრდება.

„მადლისადმი“ ფართო ინტერესს ბიძგი მისცა ჯოისის ძმის, სტანისლოს ნიგნმა, რომელიც მოთხრობის შექმნიდან ნახევარი საუკუნით გვიან, 1957 წელს გამოქვეყნდა: „მადლი“ პირველი შემთხვევა იყო, სადაც ჩემმა ძმამ მოდელი გამოიყენა,“ წერდა სტანისლოსი. „ეს მარტივი სქემა ახალი არ არის და მის ამოცნობას დიდი ჰერმენევტიკული მიხვედრილობა არ სჭირდება – ჯოჯოხეთი, სალხინებელი, სამოთხე. ბ-ნ კერნანის ჩამოვარდნა ტუალეტის კი-

ბიდან მისი ჯოჯოხეთს ჩასვლაა, შინ ავადმყოფად წოლა – სალხინებელი, ხოლო ეკლესია, სადაც ის და მისი მეგობრები ბოლოს ქადაგებას ისმენენ – სამოთხე. „მადლში“ ეს სქემა ირონიულია, ოდნავი ფარული რისხვით შეფერილი, მაგრამ ჩემი ძმა თავის შემდგომ ნაწერებშიც იმიტომ იხმობდა მოდელებს, რომ მათ საკუთარ არეულ ცხოვრებაში ხედავდა. რახან ხელოვანი იყო და არა ფილოსოფოსი... ის პირადი გამოცდილებით ამდიდრებდა თავის შემოქმედებას და სწორედ ეს იყო ჭეშმარიტი მადლი, მასზე, როგორც მწერალზე, დაფრქვეული“ (Joyce 1958: 228). ერთი სიტყვით, სტანისლოსმა გაახმოვანა ის ფაქტი, რომ „მადლში“ ჯოისმა პირველად მოარგო თავისი სათქმელი სხვა, დიდი ეპიკური ნაწარმოების სქემატურ მოდელს – დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, ანუ პირველად გამოიყენა ის მხატვრული ხერხი, რომელიც მან მოგვიანებით და უკვე სულ სხვა მწერლურ დონეზე „ულისეში“ განახორციელა.

როგორც კი ეს ცნობილი გახდა, „მადლი“ და მთლიანად „დუბლინელები“, რომელიც მანამდე ჯოისის ადრეულდა ნაკლებად მნიშვნელოვან ნაწარმოებად აღიქმებოდა, უცებ ყურადღების ცენტრში მოექცა. კრიტიკა ისე ხარბად მიეძალა „მადლს“, რომ ბოლოს, უკვე საუკუნეთა მიჯნაზე გამოქვეყნდა წერილები, სადაც „მოთხრობაზე განხორციელებული ძალადობის“ შესახებ იყო საუბარი (Klein 1999-2000: 113). მართლაც, ნახევარი საუკუნის მანძილზე „მადლის“ გარშემო მთელი ეგზეგეტიკა შეიქმნა – დაინერა უამრავი კომენტარი და კრიტიკა ორ ბანაკად გაიყო. ისინი, ვინც ფლობერის „რეალიზმისადმი“ ჯოისის ცნობილი სიმპატიები სიტყვასიტყვით გაიგო, ოსტატურად დაგებულ მახეში გაებნენ. მოთხრობის უშუალო-აზრობრივი სიმარტივე მათ ბოლომდე ირწმუნეს და „ჩეხოვის გავლენაზე“ წამოიწყეს საუბარი, იმის გაუთვალისწინებლად, რომ „დუბლინელების“ შექმნისას ინგლისურენოვანი სამყაროსათვის ჩეხოვი უცნობი იყო. ჯოისი დიდად აფასებდა ჩეხოვს, მაგრამ როგორც პაუერის მოგონებები ცხადყოფს (Power 1974: 57-58), მის ნაწარმოებებს ის მხოლოდ მოგვიანებით, „ულისეზე“ მუშაობისას გაეცნო. კრიტიკოსთა სხვა ნაწილი გაჰყვა სტანისლოსის მიერ მონიშნულ გეზს, მაგრამ ისე შორს გაიჭრა ალუზიების ძიებაში, რომ თვით მოთხრობის ტექსტს გასცდა და ლიტერატურათმცოდნეობითი სქოლასტიკის სფეროში გადაინაცვლა. რალა თქმა უნდა, გამოდიოდა გონივრული, საქმის ცოდნით დანერგილი ესეებიც, მაგრამ გასული საუკუნის მიწურულისათვის „ალუზიებზე მონადირეთა“ რიცხვმა ისე იმრავლა, რომ ლამის შესაძლებელი გახდა „მადლის“ ინტერპრეტატორთა ცალ-ცალკე „სკოლებად“ დახარისხება. ყველა ამთვალსაზრისის მიმოხილვა ზედმეტი ინებოდა, ის კი უნდა ითქვას, რომ რახან კრიტიკის მთავარ დანიშნულებას ნაწარმოების ინტერპრეტაცია შეადგენს, ის ყველა თავის დასკვნაში ამ ნაწარმოებს უნდა ეყრდნობოდეს. ჯოისის ლიტერატურულ, თეოლოგიურ და სხვა ასოციაციებს, მთლიანად ჯოისის ტექსტს მოჭარბებულად ახასიათებს ურთიერთშეღწევა-დობის ის „ქიმია“, რომელსაც დღეს ინტერტექსტუალობას ვუწოდებთ. ცხადია, ეს დიდ გასაქანს აძლევს ტექსტის ინტერპრეტაციის მსურველს, მაგრამ

სრულებითაც არ აუქმებს თვით ამ ტექსტისადმი ერთგულების აუცილებლობას.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მოთხრობის სათაური არის „მადლი“ და არა „წყალობა“ (ან „ღვთისწყალობა“), როგორც მას, სამწუხაროდ, ქართული თარგმანებიდან ვიცნობთ. „თავისუფალი“ თარგმნა აქ წარმოუდგენელია, რადგან კათოლიკურ სახე-სიმბოლოებს მოთხრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მადლის (gratia) დოქტრინა კათოლიკურ თეოლოგიაში გამორჩეულად მნიშვნელოვანი და „წყალობისაგან“ (misericordia) არსებითად განსხვავებულია. გარდა ამისა, ინგლისური „grace“ ძირითადი მნიშვნელობითაც „მადლს“ ნიშნავს, თუმცა მოთხრობაში ჯოისი ხშირად მიმართავს ორაზროვან თამაშს და ოსტატურად იყენებს სიტყვის სხვა მნიშვნელობებსაც. თავის წიგნში სტანისლოსი ხაზს უსვამს, რომ ჯოისის „ყოველთვის აინტერესებდა მადლის უცნაური დოქტრინა და პირველქმნილ ცოდვასთან მისი მიმართების საკითხი“ (Joyce 1958: 227). იეზუიტების კოლეჯში ნასწავლი მწერალი ისედაც კარგად იცნობდა თეოლოგიას, მაგრამ ცნობილია, რომ უკვე „მადლის“ დასრულებისას, ის სპეციალურად დადიოდა რომის საჯარო ბიბლიოთეკაში ცალკეულ საკითხთა დასაზუსტებლად, რის შედეგადაც მან მოთხრობის „თეოლოგიური“ ნაწილი თავიდან გადაწერა (Joyce II 1966: 193). რალა თქმა უნდა, ჯოისი ღვთისმეტყველებას ფორმალურად მისდევს, მისი მხატვრული ხედვა პაროდულია. მოთხრობის ჯოჯოხეთი-სალხინებელი-სამოთხე მხოლოდ დანტესგან ნასესხები სქემა არ არის – გარკვეულწილად, ის მთელი კათოლიკური საიქიოს პაროდირებას წარმოადგენს, თუმცა უნდა ითქვას, რომ კათოლიციზმისადმი ჯოისის დამოკიდებულება ცალსახად ირონიული არასდროს ყოფილა. ი.ცხვედიანი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ჯოისის ამბოხი უფრო პროტესტს წარმოადგენდა აზროვნების შემბოჭველი ტოტალიტარული სისტემის წინააღმდეგ, თუმცა ინტერესი კათოლიკური ეკლესიის თეოლოგიური საფუძვლების მიმართ მან ბოლომდე შეინარჩუნა“ (ცხვედიანი 2006: 99). ჯოისი ირონიით ეპყრობა სამღვდელოებას, ძირფესვიანად სცვლის პოპულარული რელიგიური წარმოდგენების ფასეულობით ჟღერადობას, მაგრამ მცდარი იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ის აქილიკებდეს, ან აბუჩად იგდებდეს თეოლოგიას. ჯოისის პაროდია „მაღალი პაროდიაა“ – საოცრად ირონიული, ზედაპირზე იქნებ ცინიკურიც, მაგრამ სიღრმისეულ განზომილებაში უაღრესად სერიოზული და მკაფიო ზნეობრივი პოზიციით განმტკიცებული. ჯოისმა ახალი, უჩვეულო შინაარსი შესძინა პაროდის ცნებას, თუმცა ზოგადად, როგორც განსხვავებულ მხატვრულ სამყაროთა ასოციაციური შეპირისპირების ხერხი, ლიტერატურაში ის ყოველთვის იყო ცნობილი.

„მაღალი“ პაროდის ნიმუშად შეიძლება წარმოვიდგინოთ თვით სახარება, ძველ აღთქმასთან მის მიმართებაში, განსაკუთრებით – ქრისტეს ქადაგებები („თქვენ გსმენიათ წინაპართა მიერ თქმული... ხოლო მე გეუბნებით...“ (მათე, 5, 27-28)), რაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ქრისტე მოსეს ათ მცნებას „აქილიკებდეს“, ან მამა ღმერთს „უპირისპირდებოდეს“. სერვანტესიცი მიმართავს სარაინდო რომანების პაროდირებას „დონ კიხოტეში“, მაგრამ ირონიის

ნამდვილი ობიექტს იქ ფელიპე II-ის დროის ესპანური რეალობა წარმოადგენს და არა სარაინდო რომანების მაგისტრალური სიუჟეტი. თავის მხრივ, „ღონ კიხოტე“ დოტოვესკის „იდიოტშია“ პაროდირებული, ხოლო ჯოჯოხეთ-სალ-ხინებელ-სამოთხის სქემა – „ძმები კარამაზოვებში“. თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსი“ ერთიანად შეიცავს როგორც ნიცშეს ცხოვრების, ისე გოეთეს ფაუსტის და ივან კარამაზოვის ეშმაკთან შეხვედრის პაროდულ ასოციაციას, რაც იმას სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს მანი ირონიულად ეპყრობოდეს ან ნიცშეს, ან გოეთეს, ან დოსტოვესკის. ერთი სიტყვით, პაროდირების ხერხი სხვათა მიერ ადრე თქმულისა და ნაფიქრის განსხვავებულ განცდით-ინტელექტუალურ რეგისტრში, ახალ ფასეულობით სივრცეში გადატანას გულისხმობს, რაც სულაც არ არის სავალდებულოდ ირონიული ხასიათის, თუმცა შესაძლებელია ირონიულიც იყოს – გააჩნია „პაროდისტის“ შემოქმედებით ინდივიდუალობას. ჯოისის ირონიის უდიდესი ნაწილი იმდენად თეოლოგიას არ ეხება, რამდენადაც თვით დუბლინელებს, მათ ყოფით ფსიქოლოგიას, თეოლოგიაზე მათ წარმოდგენას და, მათი სახით, ადამიანის შეუსაბამობას იმ ზნეობრივ სტანდარტებთან, რომელთა ერთგულებასაც ის იჩემებს. დუბლინელთა ზნეობრივი უუნარობა ეჭვს იწვევს თვით ამ სტანდარტების მართებულობაშიც და მათ მიმართაც იწვევს ირონიას, თუმცა აშკარაა, რომ ჯოისისათვის ღვთისმეტყველება იმდენად ირონიის ობიექტი არ არის, რამდენადაც ირონიის ინსტრუმენტი. რიჩარდ ელმანის ცნობით, ჯოისს თავისი ციურხელი მეგობრის, ფრენკ ბაჯენისათვის უთქვამს, „შენ კათოლიკეს მიწოდებ, მაგრამ თუ დააზუსტებ და ჩემს სილუეტს სწორად მოხაზავ, უფრო იეზუიტი უნდა მიწოდო.“ მოქანდაკე არტურ სატერისათვის კი, იმავე ელმანის ცნობით, მეტად ნიშანდობლივი რამ განუცხადებია: „იეზუიტებისაგან ვისწავლე სათქმელის ისე დალაგება, რომ შესაძლებელი იყოს მასზე მსჯელობა და შეფასებაო“ (Eilmann 1983: 27). „მადლის“ აღქმისას მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ კათოლიკურ დოგმატიკას ჯოისი თავისი ნაწარმოების მაორგანიზებელ, სტრუქტურულ პრინციპად გარდასახავს დაგამომსახველობით საშუალებათა ერთობლიობაც ამ პრინციპით აქვს „დალაგებული.“ თეოლოგიურ ტერმინთა მნიშვნელობებს მიმართ ჯოისი ზედმინვენით სიზუსტეს იცავს და სწორედ ამგვარი ტერმინოლოგიური „ნიშანსვეტები“ ეხმარება მკითხველს მისი მოთხრობის ასოციაციურ ლაბირინთში გზის გაკვლევისას.

კათოლიკური მოძღვრების თანახმად, „მადლი არის ძღვენი, უსასყიდლო დახმარება, რომელსაც ღმერთი გვანდის, რათა ვუპასუხოთ მის მოწვევას: გავხდეთ ღვთის ძენი, მადლით შვილები, საღვთო ბუნებისა და მარადიული ცხოვრების მოზიარენი“ (კატეხიზმო 1997: 421). ადამიანი მრავალმხრივ ცოდვილია – პირველქმნილი ცოდვის გარდა, ის ისედაც, ნებისთ თუ უნებლიედ, გამუდმებით სცოდნავს, რის გამოც მადლის დამსახურება წარმოუდგენელია. მადლი ადამიანს „უსასყიდლოდ“, ღვთის უსასრულო სიყვარულით ეძლევა. წყალობას, ან შეწყალებას (ცოდვათა გამო არ დასჯას) ღმერთს ადამიანი ევედრება, ანუ აქტიური მხარე ამ შემთხვევაში ადამიანია. მადლი კი თავი-

სივე ძალით, ცოდვილის „დაუკითხავად“ მოქმედებს, როგორც ღვთაებრივი სიყვარულის ნიშანი და აქტიური მხარე ამ შემთხვევაში ღმერთია. ღვთის მადლით ყველაზე მძიმე ცოდვილიც ცხონდება – „ყველანი უსასყიდლოდ მართლებიან მისი მადლითა და იესო ქრისტესმიერი გამოსყიდვის წყალობით“ (რომაელთა, 3:24; 4:5). ერთადერთი, რაც ხსნის მაძიებელს მოეთხოვება, არის რწმენა: „მადლმა გიხსნათ რწმენის წყალობით; მაგრამ ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ნიჭია ღვთისა; და არც თქვენს საქმეთაგან, რათა არავინ იქადნოდეს“ (ეფესელთა 2:8-9). მოთხრობის რთულად ნიუანსირებული, წიგნიერი ირონიის გასააზრებლად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ „მადლი უპირველესად ყოვლისა და უმთავრესად სულის წმიდის ნიჭია, ჩვენი გამმართლებელი და განწმენდი“ (კატეხიზმო 1997: 422), ღვთის წინაშე „გამართლებისა“ და განწმენდის პირობა კი კათოლიციზმში მოქცევაა და მადლიც სწორედ ამ საიდუმლოებით მოქმედებს. მადლის თეოლოგია ერთნაირად შეადგენს როგორც ნაწარმოების ზოგად ირონიულ ქვეტექსტს, ისე მისი პოეტიკის საფუძველს; მოთხრობაში პაროდის ობიექტი სწორედ ამ საიდუმლოების რიტუალია – პროვინციული დუბლინის ყოფით რეალობაში დაცემა, მოქცევა და ხსნა კომიკურ ბუტაფორიად იქცევა. უნდა ითქვას ისიც, რომ ჯოისის დროინდელ კათოლიკურ წარმოდგენებში ტერმინი „დაცემა“ (ინგლ. *The Fall*, კატეხიზმო 1997: 86) უკვე აერთიანებდა როგორც ავგუსტინეს „პირველქმნილი ცოდვის“ დოქტრინას (*peccatum originale*), ისე საერთოდ, ადამიანის ამქვეყნიურ ცოდვილობას (*peccata mundi*).

ტრადიციულ, ყოფით წარმოდგენათა ჭრილში, ტუალეტში დაცემის ბანალური სცენა რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას არ უნდა წარმოადგენდეს (ბოლოს და ბოლოს, დათვრა კაცი და დაეცა, მითუმეტეს ირლანდიაში, სადაც ტრადიციულად ბევრს სვამენ და შესაბამისად ხშირად ეცემიან). მაგრამ ჯოისის პაროდული სიმბოლიკა უაღრესად მრავალნიშნადია – ის, რომ ტომ კერნანი კიბიდან გადმოვარდება და ბინძურ იატაკზე დაენარცხება, პირწმინდად ყოფითი ინციდენტის გარდა, სიმბოლურ „ცოდვით დაცემასაც“ გულისხმობს. ამ სავალალო მდგომარეობაში მყოფი, ის აშკარად მადლს საჭიროებს, რადგან, როგორც ვთქვით, ღვთის წინაშე ცოდვილი სული მხოლოდ მადლით გამართლდება. პროტესტანტად ნამყოფი კერნანის საბოლოო „მოქცევას“ (ანუ დედაეკლესიის წიაღში მის დაბრუნებას და ღვთის წინაშე „გამართლებას“) ისახვენ მიზნად მეგობრები, რომლებსაც ის სახლიდან ტაძარში მიჰყავთ. საინტერესოა, რომ „დაცემის“ (სულიერის, გინა ფიზიკურის) მოტივი ჯოისის შემოქმედებაში შემდგომშიც ხშირად გამეორდება – “ულისეს“ მეჩვიდმეტე ეპიზოდში („ითაკა“) ბლუმი თვისი სახლის შესასვლელთან კიბის ქვეშ, ორმოში ეცემა, თან კათოლიკური აღდგომისა და ებრაული ფეისახის თარიღებს ანგარიშობს. „ტრადიციულ“ კითხვა-პასუხზე აგებული „ითაკა“ კატეხიზმოს ფორმალური პაროდიაა და დაცემის შემდგეგ, ბინაში სარდაფის სართულიდან (*sic!*) შესული ბლუმი საპნით ხელის დაბანის ხანგრძლივ „რიტუალს“ შეუდგება, რომელსაც ჯოისოლოგები ირონიულად „საპონიდას“ უწოდებენ და რომელიც პაროდი-

ული განწმენდის რიტუალადაც მოიაზრება (Gilbert 1958: 369). ბლუმი „ოთხ ფეხზე ეცემა“ კირკეს ეპიზოდშიც, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვან სიმბოლურ დატვირთვას შეიცავს „ფინეგანის აღორძინება-ქელეხში“ ასოციაციური ჰამფთი-დამფთის გადმოვარდნა მშენებარე კედლიდან. პირქვე ეცემა თვით ვისკის სმისგან გაღეშებული ფინეგანიც და მისი „ცოცხალი“ ავატარი ჰამფრი ჩიმპდენ ერვიკერიც. „ფინეგანი“ საერთოდ „დაცემით“ იწყება, რასაც მოსდევს ცნობილი ჭექა-ქუხილის ცამეტენოვანი პაროდული იმიტაცია „The fall (bababadalgharaghtakamminarronkonnbronnt-onnerronnntuonnthunntrovarrhounawnskawntoohoordenent hurnuk!)“ (Joyce 1975: 3), მაგრამ ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული ჯოისური „დაცემა“ სწორედ „მადლში“ გვხვდება.

საინტერესოა, რომ ცოდვით დაცემული კერნანის სულიერ ძიებათა წარმოსახვისას ჯოისი იმდენად დანტეს არ ეყრდნობა, რამდენადაც ნეტარ ავგუსტინეს – მადლის მთელი თეოლოგია ცოდვით დაცემული სულის მოქცევის გზით, ამ სულის ხსნისკენ არის მიმართული და მის ავტორად ავგუსტინე ითვლება. როგორც თეოლოგი ედუარდ ვოლფი აღნიშნავს, „სწორედ „აღსარებანია“ ის ერთიანი, შემაკავშირებელი ნაშრომი, რომელიც დეტალურად განიხილავს როგორც ცოდვით დაცემას, ისე მოქცევას და ხსნას“ (Wolfe 2008: 2). ავგუსტინეს ნააზრევზე ორიენტაციას ჯოისის მთელი შემოქმედებითი და ინტელექტუალური ცხოვრება ცხადყოფს – ჯერ კიდევ სტუდენტობისას, დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში წაკითხული მოხსენებიდან, „პორტრეტში“, „ულისესა“ და ბოლოს, „ფინეგანში“ მის პაროდულ ციტირებამდე (Frangoli 2004: 243). კერნანის პაროდული სულიერი ევოლუციაც მოთხრობაში სწორედ „აღსარებანის“ ანალოგიით არის წარმოსახული, სადაც ავგუსტინე საკუთარი ბიოგრაფიის მაგალითზე ახდენს დაცემის, მოქცევისა და ხსნის თემატიკის ინტერპრეტაციას. „აღსარებანში“ ეს სულიერი განვითარების საფეხურები წარმოდგენილია, როგორც მადლის შემოქმედების შედეგი (McCabe 1902: 450-459) და საბოლოოდ, „მადლის“ კომპოზიციის ღერძად ჯოისი სწორედ ავგუსტინეს სქემას იყენებს, თუმცა პირველი, რასაც დაკვირვებული მკითხველი სრულიად მართებულად შენიშნავს, მოთხრობის „ღვთაებრივ კომედიასთან“ კავშირია. ამრიგად, ჯოისი იმ სამნაწილიან სქემას მისდევს, რომელიც დანტეს „შეთხზული“ ნამდვილად არ არის და რომელიც თვით დანტეს თეოლოგიიდან აქვს ნასესხები. მწერალი თითქოს სუბიექტური ასოცირების სივრცესაც უტოვებს მკითხველს, რომელსაც შეუძლია ეს სქემა როგორც დანტეს, ისე ნეტარ ავგუსტინეს, ან მოციქულთა საქმენის კათოლიკურ ინტერპრეტაციას დაუკავშიროს.

ტუალეტის ქვესკნელთან ასოცირების გარდა, დამატებით ნართაულს, რომელიც მიგვახვედრებს, რომ „ცოდვით დაცემა“ ეშმაკისეული ცდუნებით ხდება და ტუალეტის სცენა პაროდულ ჯოჯოხეთს გულისხმობს, გაურკვეველი „წითურთმიანი ჩია კაცი“ განასახიერებს. ის კერნანთან ერთად სვამს, შემდეგ უკვალოდ ქრება და მოგვიანებით, კერნანი მას დამახასიათებელი ფრაზით იხსენებს: „ეშმაკმა დალაზეროს (ან: წყეულიმც იყოს), არ მახსოვს, რა ერქვა“. წითურთმიანის გარდა, კერნანი მევახშე ჰარფორდთანაც სვამდა, ხოლო მე-

ვახშეები დანტეს „ჯოჯოხეთში“ ჰყავს განთავსებული (XVII ქება). თვით კიბე და მაინცდამაინც კიბიდან გადმოვარდნაც „ღვთაებრივი კომედიის“ პაროდული ასოციაციაა – კიბის, ზეალსვლის, აღსავლის მოტივი დანტესთან უმნიშვნელოვანესია – „ღვთაებრივი კომედიის“ უნივერსალური კიბე სამოთხეში აღმავალი კიბეა. ჯოისის პაროდია კიბეს საპირისპირო სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს – ქვესკნელში კერნანი სწორედ კიბიდან დაეშვება, თუმცა შემდეგ, ჯოჯოხეთიდან ამოსვლაში (ისევე კიბით!) მას ორი ჯენტლმენი ეხმარება. მოთხრობაში ტომ კერნანის „ცოდვილი სული“ სწორედ იმ სამ საფეხურს გადის, რომელიც „ღვთაებრივი კომედიის“ გრანდიოზული მხატვრულ სამყაროს მნიშვნელოვან სიმბოლურ ასპექტს შეადგენს და მათ ერთიანობას თვით დანტე, როგორც პოემის პერსონაჟი განასახიერებს. სულის „იქაურ“ ტერიტორიებს შორის მოძრაობა გადაკეტილია – ჯოჯოხეთიდან სალხინებლის გავლით სამოთხეში ვერავინ მოხვდება და ამ გზას თავიდან ბოლომდე მხოლოდ დანტე გადის თავის ხილვაში. რახან კერნანიც ამ სამ ეტაპს „უპრობლემოდ“ გადის – ის ტუალეტში „ცოდვით ეცემა“, სახლში „განიწმინდება“ და შემდეგ ეკლესიაში აღწევს პაროდულ „ხსნას“, ის ფაქტობრივად დანტეს მარშრუტს იმეორებს და პაროდულად მასთან არის გაიგივებული. ამას მოწმობს „მადლის“ სიუჟეტური ქრონოლოგიაც: მისის კერნანი შესწივლებს ბ-ნ პაუერს, რომ მისი ქმარი „პარასკევს აქეთია სვამს“, ორშაბათს სრულდება დაცემიდან ის ორი დღის ინტერვალი, რომლის შემდეგაც კერნანს მეგობრები ესტუმრებიან და ის დღე, როდესაც ხუთივე მეგობარი ერთად ეწვევა ეკლესიას, ხუთშაბათია. დანტოლოგიაში ცნობილია, რომ დანტე ჯოჯოხეთს 1300 წლის წითელ პარასკევს ჩადის და სამოთხეში პირველსაწყისის ხილვას აღდგომის მომდევნო ხუთშაბათს ესწრება (Boyde 2007: 163). ანუ სმის დაწყების დღიდან (პარასკევი), ეკლესიაში მისვლამდე (ხუთშაბათი) კერნანი არა მხოლოდ სქემატურად, არამედ ქრონოლოგიურად და თვით კალენდარულადაც „იმეორებს“ დანტეს მოგზაურობას. აქ, რაღა თქმა უნდა, ჯოისი იმ ხატოვანი მოდელის პაროდირებასაც ახდენს, რომელსაც ის თავის მოთხრობას აფუძნებს. მაგრამ ცალკე აღებული, სამნაწილიანი სქემა პირწმინდად რელიგიური ხასიათისაა, ის მხატვრულ დატვირთვას მოკლებულია და ჯოისი მას სრულიად ახალ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ჟღერადობას ანიჭებს. როგორც ნ. ყიასაშვილი აღნიშნავდა „ულისეს“ მითოსური სქემატიკის შესახებ მსჯელობისას, „დიდი, დამოუკიდებელი, ორიგინალური მხატვრული მასალა მხოლოდ ეყრდობა მითოსურ მოდელს, ხოლო მის ხორცშესხმას, მის ახალ მხატვრულ ფენომენად ქცევას ამ მოდელის, ამ სქემის გამომყენებელი ხელოვანის უნიკალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის ხელმისაწვდომი საშუალებანი და ოსტატობა განსაზღვრავს“ (ყიასაშვილი 2012: 837).

ჯოისის ღრმა თეოლოგიური განსწავლულობა უპირველესად მისი, როგორც პაროდისტის სიმბოლურ აზროვნებაში გამოიხატა. მნიშვნელოვან პაროდულ დატვირთვას მოთხრობაში ხშირად მოულოდნელი, ერთი შეხედვით

უმნიშვნელო დეტალები შეიცავს, რომლებიც თხრობის პროცესში საკვანძო სიმბოლოებად გარდაიქმნება. დაცემისას კერნანი მძიმედ შავდება – ის ისე დაარტყამს თავს, რომ ენას იკვნეტს და სისხლი სდის პირიდან. მაგრამ სიმთვრალეში დაცემისას მაინცდამაინც ენის მოკვნეცა ძნელად წარმოსადგენია, იმიტომ, რომ გაურკვეველია, როგორ (რა კუთხით) უნდა დაარტყას ადამინმა თავი იატაკს ისე, რომ ენა მოიკვნითოს. ამავე დროს, ეპილეპტიკური შეტევასა და დაცემა და ენის მოკვნეცა საკმაოდ გავრცელებული კლინიკური სურათია. ხშირად, ავადმყოფს შეტევის დროს კბილებს შორის უცხო საგანსაც უდებდნენ (მაგალითად კოვზს), რომ მას ენა არ დაეზიანებინა. ენის მოკვნეცაზე „მადლში“ გაუთავებლად არის საუბარი – დასაწყისში კერნანი სერთოდ ვერ მეტყველებს იმიტომ, რომ მან ენა მოიკვნითა, შემდეგ ის გზად ეუბნება პაუერს, ვერ გელაპარაკები, ენა მოვიკვნითო და საერთოდ, კერნანი თითქმის მთელი მოთხრობის მანძილზე ლულულულებს ენის ტკივილის გამო. სტუმრად მისული მეგობრების პირველი შეკითხვაც მოკვნითი ენის ტკივილს ეხება – შეხვედრა სწორედ ამ თემის განხილვით იწყება. მისის კერნანს „არ სურს სისხლისმოყვარული გამოჩნდეს, თორემ აუხსნიდა ჯენტლმენებს, რომ ბ-ნ კერნანის ენას ცოტაოდენი დამოკლება არაფერს დააკლებდა“ და ა.შ.. სულ კერნანის ენის მოკვნეცაზე მოთხრობაში შვიდეჯერ არის საუბარი და რაც მთავარია, მის სანახავად მოსული ბ-ნი კანინგემიც იხსენებს, რომ „ერთმა სამოცდაათის წლის მოხუცმა ეპილეფსიური შეტევისას ენის წვერი მოიკვნითა, რომელიც მერე ისე კარგად შეუხორცდა, რომ კვალიც აღარ ეტყობოდა“. ნიშანდობლივია, რომ ამ მონაცემს კერნანი პასუხობს, „მე სამოცდაათი წლის არ ვარო“, ანუ ის უარყოფს ასაკს, მაგრამ არ უარყოფს ეპილეფსიას, რაც ამ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. კერნანის ამ სიტყვებზე მისი მეგობრები ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედავენ – „კერნანს სურდა, რომ ინციდენტის დეტალები ბუნდოვანი დარჩენილიყო“, შენიშნავს ჯოისი საავტორო ტექსტში. მოგვიანებით, მოთხრობაში ირკვევა, რომ კერნანსაც ისევე კარგად შეუხორცდა ენა, როგორც კანინგემის მოთხრობილ შემთხვევაში ეპილეფსიით დაავადებულ მოხუცს. ცნობილია, რომ ეპილეფსიური გულყრისას ავადმყოფს ხშირად პირზე დუჟი ადგება; გულყრის შემდეგაც, ნერწყვის ჭარბი გამოყოფა და ყლაპვის უნარის დროებითი დაკარგვა ერთერთი გავრცელებული სიმპტომია ეპილეფსიის (Shorvon 2006: 48). ნერწყვის, ან დუჟის პირზე მოდგომას უჩივის კერნანიც, როდესაც მას მეგობრები ესტუმრებიან: „გულისრევის შეგრძნება მაქვს. რალაც ამომდის პირდაპირ ყელიდან, დუჟი თუ...“ „ეგ ლორწოა“, თქვა მისტერ მ'ქოიმ. „პირდაპირ ყელიდან ამომდის. გულისამრევია“. მაგრამ კანინგემი ამას ალკოჰოლიზმს უკავშირებს: „ბევრი ყლაპეთ და იმის ბრალია“. საერთოდ, ალკოჰოლიზმის აშკარა და ეპილეფსიის ფარული ასოციაციური მოტივები პარალელურ თემებად გასდევს მთელ მოთხრობას. ჯერ კიდევ პაბში იატაკზე დასვენებულ კერნანს სახეზე რუხი ფერი (grey pallor) ედება, რაც ისე შეაშინებს ბარმენს, რომ ის პოლიციელს გამოიძახებს. სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ ამგვარი სახის ფერია

მოყვანილი ერთ-ერთ სიმპტომად, რომლითაც ეპილეფტიკურ გულყრას სხვა შეტევებისგან განასხვავებენ (Orient 2010: 591). მოგვიანებით, შემოქმედებითი სიმნიფის ხანაში ჯოისი ხშირად დაუბრუნდება ეპილეფსიისა და ბნედიტი ვარდნის თემას – უკვე „ჯაკომო ჯოისში“ ნახსენებია „ავხორცი ღმერთი“ და „ბნედიანი უფალი“, რომლის კლანჭებსაც, ჯაკომოს ეროტიკულ ფანტაზიებში, მისი წარმოსახვითი სატროფო „ჭიკჭიკით დააღწევს თავს“. „ულისეს“ მე-15 ეპიზოდში („კირკე“), ბორდელში მისულ ბლუმს, მისსავე ფანტასმაგორიულ ზმანებებში, დოქტორი ბაკ მალიგანი „შთამომავლობითი ეპილეფსიის“ დიაგნოზს უსვამს, ხოლო შემდეგ, ჰალუცინაციურ ბოდვაში ქალ-ბლუმად ქცეული ბლუმი „ბნედიანის გამკვიანი ყვირილით ოთხ ფეხზე დაეცემა“ (ჯოისი 2012: 492). „ულისეში“ ეპილეფსიის თემა სიმბოლურ განვითარებას მოკლებულია და იქვე, „კირკეში“ მთავრდება, თუმცა როგორც პატრიკ ჰოლგანი ამტკიცებს (Holgan 2014: 164-65), არ არის გამორიცხული, რომ მთელი ეპიზოდის ჰალუცინაციური ზმანებების გასაღები სწორედ ბლუმის ეპილეფსიური შეტევა იყოს. „მადლში“ ენის მოკვნიტის დეტალი იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ის კერნანის დაცემის არა მხოლოდ ალკოჰოლურ, არამედ ეპილეფსიურ ხასიათზეც მიანიშნებს. ჯოისი ამ ორაზროვნებას შეგნებულად მიმართავს, რათა ალკოჰოლური ინტექსიკაციის თემის პარალელურად, მოთხრობაში ეპილეფსიის სიმბოლური მოტივიც შემოიტანოს. ეპილეფსია „ვარდნითი“ დაავადებაა (falling disease), ხოლო კერნანი – ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც „დავარდნილი“, ანუ „ცოდვით დაცემული“ ადამიანი (fallen man), რომელიც ღვთაებრივ მადლს საჭიროებს.

როგორც ეს ხშირად ხდება ჯოისის შემოქმედებაში, ეპილეფსიის მოტივი „მადლშიც“ ორაზროვანია. ერთი მხრივ, ესაა ე.წ. morbus sacer, ან morbus divinus – საკრალური, „ღვთაებრივი“ ავადმყოფობა, როგორადაც მას ანტიკურ ხანაში იცნობდნენ, როდესაც ეპილეფსიურ შეტევებს ღვთაებრივ ძალთა ჩარევას უკავშირებდნენ (თუმცა უკვე „ჰიპოკრატულ“ ტრაქტატში „De Morbo Sacro“ ხაზგასმით გაცდხადდა ამ დაავადების პირნმინდად ფიზიოლოგიური ხასიათი. Miller 1953: 1-15). შუა საუკუნეები ნაწილობრივ დაუბრუნდა ადრეულ ცრურწმენას და იმ დროის რელიგიურ წარმოდგენებში ეპილეფსია სწორედ „ცოდვით დაცემის“ დაავადებაა, დემონით შეპყრობილობის ნიშანი, რომელიც ავი სულების განდევნას, „ეგზორსიზმს“ (იგივე ღვთაებრივ ჩარევას!) საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ შუასაუკუნეობრივ წარმოდგენებში „დემონით შეპყრობილებს“ ხშირად ადგებოდათ პირზე დუჟი. მეორე მხრივ, ეპილეფსიას ღვთაებრიობის ნიშნებიც მიენერებოდა, რადგან როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ზოგ წინსანარმეტყველს სწორედ ბნედიტი ვარდნისას განეხვინებოდა ჭეშმარიტების ბჭენი და ისინი ღვთის ნება-სურვლის აუწყებდნენ ქვეყნიერებას (Altschuler 2002). მოციქული პავლე, მაგალითად, სწორედ მაშინ მოექცა, როდესაც ის – მანამდე ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი – დამასკოს მიმავალ გზაზე შეტევით დაეცა და მას ქრისტეს ხმა ჩაესმა (საქმენი, 9, 3-6). შემზადებული მკითხველის ცნობიერებაში მოთხრობის კონტექსტმა ეს სიუჟეტური პარალელიც უნდა გამოიწვიოს – ცოდვით დაცემა, მოქცევა, უფლის

ხმა ამ შემთხვევაში ის ინტერტექსტუალური ნიშნებია, რომლებიც ჯოისის „მადლს“ ისევე უკავშირებს მოციქულთა საქმენს, როგორც დანტეს პოემას და ავგუსტინეს თეოლოგიას. ცხადია, ჯოისთან მთელი ეს მასალა პაროდიალად გარდასახულია – კერნანი ვარდნითი სენით დაავადებული, „ცოდვით დაცემული“ („დემონით შეპყრობილი“) ლოთია და როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ განკურნებას საჭიროებს. ირკვევა, რომ როგორც ცოდვით (ბნედით) დაცემულთან, ანუ როგორც „ღვთაებრივი სენით“ შეპყრობილთან, სულიწმიდას მადლი დაცემის მომენტიდანვე კერნანთან არის – ჯერ „წამოაყენებს“ (მისი ნაცნობ-მეგობრების სახით), შემდეგ „განკურნავს“ (შინ წოლითა და მოვლით), ხოლო ბოლოს განწმენდს და „გაამართლებს“ მამა პერდონის პაროდიალური ქადაგებით, რომელიც ისე ჩაესმის კერნანს, როგორც ქრისტეს ხმა ჩაესმის დამასკოს მიმავალ პავლეს. ასოციაციური ანალოგიის ძალით, ტომ კერნანი არა მხოლოდ პაროდიალურ დანტედ, არამედ პაროდიალურ ავგუსტინედ და თვით პავლე მოციქულად წარმოგვიდგება. „მადლში“ ჯოისი პაროდიალად აგრძელებს დასავლური ღვთისმეტყველების ამ ტრადიციას – ავგუსტინე „აღსარებანში“ მოციქულ პავლეს გამოცდილებას ეყრდნობა, დანტე ეყრდნობა ნეტარ ავგუსტინესა და თომა აქვინელს, ხოლო ჯოისი დანტესგან ნასესხებ მოდელზე აფუძნებს თავის მოთხრობას, სადაც ასოციაციურად სამივე წყაროს იყენებს – როგორც პოეტურს, ისე თეოლოგიურს და ბიბლიურს.

კიდევ ერთი მინიშნება ეპილეფსიაზე, როგორც „ღვთაებრივ დაავადებასა“ და პაროდიალურ-ღვთაებრივ (ან ეშმაკეულ) შეპყრობილობაზე მოთხრობაში გვხვდება მაშინ, როდესაც ავადმყოფი კერნანის სანახავად მოსული კანინგემი, მ'კოი და პაუერი რწმენის საკითხებს განიხილავენ, საუბრობენ კათოლიკურ ეკლესიაზე, იეზუიტების ორდენზე და რომის პაპებზე. პიუს IX, რომელსაც თანამეინახენი ლეო XIII-სთან ერთად „ვატიკანის ტყვედ“ მოიხსენიებენ, მთელი ცხოვრების მანძილზე ეპილეფსიით იყო დაავადებული, რაც თავის დროზე მისი საეკლესიო კარიერისათვის სერიოზულ დაბრკოლებად იქცა. გარემოებათა გამო, პიუსისათვის უპრეცედენტო გამონაკლისი დაუშვეს და ოფიციალური ბიოგრაფიის თანახმად, ის ეკლესიის წიაღში სასწაულებრივად „განიკურნა“ (Legge 1875: 22-26). გარდა ამისა, სწორედ პიუსი იყო რწმენის საკითხებში პაპის უცოდველობის დოქტრინის ავტორი, რომელიც ვატიკანის პირველმა საეკლესიო კრებამ (1869–1870) დოგმატად გააფორმა. პაპის უცოდველობა (Infallibility), რომლის შესახებაც საუბრობენ კერნანთან შეკრებილი მეგობრები, სრული ანტიპოდია ცოდვით დაცემის (the Fall), რაც წესით, პაპსა და ტუალეტში დაცემულ კერნანს შორის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ უფსკრულს უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ჯოისი მათ ფარული ეპილეფსიის ნიშნით აერთიანებს, რაც დამატებით ირონიულ, ლამის სარკასტულ ელფერს სძენს კერნანის მეგობრების „თეოლოგიურ“ საუბარს. ირონია პიუსის მიერ დაკანონებულ დოგმატს ეხება: პაპი უცოდველი, ანუ „დაუცემელია“ (infallible) მაშინ, როდესაც ის იმთავითვე „დაცემითი“ სენით (falling disease) არის შეპყრობილი და მამასადამე, „დაცემული“ ადამიანია. საუბარი ამჟღავნებს კერნანის მეგობრების

სრულ უმეცრებას როგორც რწმენის, ისე ეკლესიის ისტორიის საკითხებში და ჯოისის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ამ ხალხს, საშუალო კლასის რესპექტაბელურ წარმომადგენლებს და ღვთისმოსავ კათოლიკეებს, რომლებსაც გადანყვეტილი აქვთ ეკლესიაში განსაწმენდად წასვლა (თან მოყვასსაც უპირებენ „მოქცევას“), სინამდვილეში წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა არის მათი რწმენის საგანი. ისინი კომპეტენტური ტონით მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, რაც მხოლოდ ყურის მოკვრით გაუგიათ და ცდილობენ, რომ საკუთარი უმეცრება ხან პატრიოტიზმს ამოაფარონ („ირლანდიურ სამღვდელეობას უდიდეს პატივის სცემენ მთელ მსოფლიოში!“), ხან თითქოს მხოლოდ მათთვის განდობილ, „განსაკუთრებულ“ ინფორმაციად წარმოაჩინონ („იეზუიტები მაღალ საზოგადოებას უჭერენ მხარს“), ხან რომის პაპების პირად ცხოვრებაში საკუთარი ინფორმირებულობა გამოაჩინონ („პაპა ლეონმა ერთი ლექსი ფოტოგრაფიის აღმოჩენას მიუძღვნა – ლათინურად, რა თქმა უნდა“). კერნანის მეგობრების ეს პროვინციული სნობიზმი, რომის პაპებზე, კარდინალებზე, იეზუიტების „არისტოკრატიზმზე“ საუბარი, გარდა იმისა, რომ თავისთავად კომიკურია, რეალურ სიტუაციაში – ტუალეტში დაცემული ლოთის სანახავად მოსულ ნასვამ მეგობართა სცენაში – გროტესკულ სახეს იღებს და სწორედ იმ „ფარული რისხვით შეფერილ“ სარკაზმად აღიქმება, რომელზედაც სტანისლოსი საუბრობს თავის წიგნში.

როგორც ვთქვით, მეგობართა საუბარი ძირითადად ვატიკანის პირველ საეკლესიო კრებას შეეხება, სადაც პიუს IX-მ პაპის უცოდველობის დოგმატი გამოაცხადა („ხოდა შეიკრიბნენ ყველანი იქ, კარდინალები და ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები მსოფლიოს ყველა კუთხიდან...“). მეგობრები ამ კრების მსვლელობაზე საუბრისას უსაშველოდ ურევენ ერთმანეთში სინამდვილეს და ყურმოკრულ ჭორებს. მაგალითად, კანინგემი კომპეტენტური ტონით „კარდინალად“ მოიხსენიებს თეოლოგ იოჰან დიოლინგერს (1799-1890) და კრებაზე მის „გაცხარებულ კამათს“, თუმცა დიოლინგერი კარდინალი არასოდეს ყოფილა და არც ვატიკანის კრებას არ დასწრებია. კანინგემი ამახინჯებს მის გვარსაც („ის გერმანელი კარდინალი, გვარად დოლინგი... თუ დაულინგი...“). პატრიოტულ ექსტაზში შესული კანინგემი საქციელს უქებს ირლანდიელ ტუამის არქიეპისკოპოსს ჯონ მაკჰილს („მაშინ აღიმართა ფეხზე და ლომის ხმით დასჭექა: Credo!“) რომელსაც მსგავსი არაფერი გაუკეთებია და პირიქით, უცოდველობის დოგმატის წინააღმდეგი იყო, თუმცა ბოლოს ძალიან უხალისოდ აჰყვა უმრავლესობის ნებას. მიუხედავად ამისა, „ბ-ნ კანინგემის ნათქვამმა მსმენელთა წარმოდგენაში ეკლესიის დიდებული ხატება შექმნა. დაბალი, ხრინჩიანი თქმით წარმოთქმულმა რწმენისა და მორჩილების ამ სიტყვებმა მეგობრები ერთიანად შესძრა.“ სცენის ამალღებულ, პატრიოტულ-რელიგიურ პათოსს ირონიულად „ადაბლებს“ კერნანის ცოლი, რომელიც სწორედ ამ მომენტში წინსაფარზე ხელების მშრალებით შემოდის სამზარეულოდან: „მისის კერნანს საზეჯიმო დუმილი არ დაურღვევია, სანოლის თავს უხმოდ მიეყრდნო“. საუბარი რომის პაპებზე ასოციაციურად უკავშირდება ალკოჰოლიზმსაც, თან ლო-

თობა წარმოსახულია ისეთ ჩვევად, რომელიც ხელს არ უშლის პაპის „უცოდველობას“. უსასრულოდ ირონიულია კანინგემის მსჯელობა იმის თობაზე, რომ მართალია, პაპებს შორის „იყვნენ არარობანიც... მაგრამ განსაცვიფრებელია, რომ არც ერთ მათგანს, რაგინდ გამოუსწორებელი ლოთი და უკანასკნელი არამზადაც არ უნდა ყოფილიყო, არც ერთს ex cathedra ყალბი დოქტრინის სიტყვა არ წასცდენია. განა ეს საოცარი არ არის?“ ანუ შემთვრალ კანინგემს რომის პაპები ლოთებადაც წარმოუდგენია, უკანასკნელ არამზადებადაც, მაგრამ ის, რომ რომელიმე მათგანს კათედრიდან „ცოდვილი“ სიტყვა დასცდენოდა, მისთვის წამოუდგენელია. მეგობრები იხსენებენ პიუს IX-ის და ლეო XIII-ის ლათინურ დევიზებსაც, მიუხედავად იმისა, რომ პაპებს დევიზები არასოდეს ჰქონიათ. უბრალოდ, ტრადიცია მიაწერდა მათ ცნობილ ფრაზებს, რომლებიც შემთვრალ მეგობრებს „დევიზები“ ჰგონიათ და რომლებსაც ისინი დამახინჯებული სახით იმეორებენ, თან „უსწორებენ“ ერთმანეთს. შეზარხოშებულთა საუბარში გახსენებული და ჭორის ყაიდაზე გადასხვაფერებული ეს ნახევარსიმართლევ აბსურდად მოჩანს. მთლიანად საუბარს (საეკლესიო ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტს, ვატიკანის კრებას) სადღაც, მიუწვდომელ სფეროებში მომხდარ (ან არ მომხდარ) ამბავთა გამოძახილის, ყრუ პროვინციაში ყურმოკრული და სახეშეცვლილი ჭორის მკაფიო სურნელი დაჰკრავს. ამგვარი „ხალხური“ კატოლიციზმი, სადაც ინფორმაცია ჭორშია არეული და ფაქტები ალკოჰოლურ ფანტაზიებს ერწყმის, ჯოისისათვის ქვეყნის ზნეობრივი პარალიზის სურათს განასახიერებს და კულტურული დეგრადაციის სიმბოლოდ აღიქმება.

ნიშანდობლივია, რომ სიტყვა Fall (დაცემა) მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს და სხადასხვა კომბინაციებში გვხვდება – ხან პირდაპირი, ხან სიმბოლური ან გადატანითი მნიშვნელობით, ხან როგორც საპირიპირო მნიშვნელობის სიტყვის ძირი (Infallible), ხანაც – მეტაფორული მნიშვნელობით, როგორც კერნანის მეგობრების საუბრისას, სადაც „ჭიქებში ვისკის დაცემის მსუბუქმა მუსიკამ სასიამოვნო ინტერლუდია შექმნა“ („The light music of whisky falling into glasses made an agreeable interlude“). ჭიქაში ვისკის „დაცემა“ (და არა „დასხმა“) ინგლისურად თითქმის ისევე უხერხულად ჯღერს, როგორც ქართულად და საგანგებო სტილური შეუსაბამობა აქ ავტორის სათქმელს გამოხატავს – „დაცემას“ ჯოისი აქაც ირონიულ მეტაფორად გამოჰყოფს და ზნეობრივი დაცემის სიმბოლურ მოტივს ალკოჰოლიზმის თემას უკავშირებს. საერთოდ, მოთხრობაში ძალიან ენერგიულად ეტანებიან სასმელს – მისის კერნანის გარდა, სვამს პრაქტიკულად ყველა მოქმედი პირი, იმათი ჩათვლით, ვინც მოქმედებაში უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას და რომელთა შესახებაც მოთხრობაში მხოლოდ საუბარია. ვისკის, ბრენდის და სხვა ალკოჰოლური სასმელების გაუთავებელი დაგემოვნება ცხოვრებისეულ ნორმად არის წარმოსახული და თითქოს მსუბუქი, მიმტევებლური იუმორითაა შეფერილი, რაც კიდევ უფო ამძაფრებს ზნეობრივი დეგრადაციის ამ ისედაც ტევადი სიმბოლოს ირონიულ ჟღერადობას. ნასვამი გადმოვარდება კიბიდან ტომ კერნანი; მას, უკვე ზემოთ ამოყვანილს და იატაკზე დასვენებულს, ისევე ასმევენ ბრენდის; ნასვამია ის ორი

ჯენტლმენი, რომლებსაც კერნანი ტუალეტიდან ამოჰყავთ; კერნანთან ერთად სვამს „ნითურთმიანი ჩია კაცი“, რომელიც შემდეგ უკვალოდ ქრება; მათთან ერთად სვამს მევახშე ჰარფორდი; „თეოლოგიური“ საუბრისას აქტიურად ეტანებიან სასმელს ბ-ნი კანინგემი, ბ-ნი პაუერი, ბ-ნი მ'კოი და ბ-ნი ფოგარტი; საერთოდ მსმელი კაცია ბ-ნი ჰარფორდი, რომელსაც კერნანის მეგობრები საგანგებოდ იხსენებენ – ის მოგზაურად ასაღებს თავს, რათა გარეუბნის პაბებში დალიოს, სადაც მას არ იცნობენ (ირლანდიაში გრკვეული საათის შემდეგ სასმელი მხოლოდ მოგზაურებზე იყიდებოდა); პოტენციურ ლოთებად კანინგემის საუბარში გამოყვანილნი არიან თვით რომის პაპები („რაგინდ გამოუხსნორებელი ლოთი და არამზადა არ უნდა იყოს...“). საერთოდ, სმასთან, ალკოგოლიზმთან დაკავშირებული ლექსიკა მოთხრობის ენობრივი ფაქტურის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს: მიმტანი ბ-ნი კერნანს „ცოტაოდენ რომს“ მიაერთმევს, გაღმეილ კერნანს ისევ „ბრენდის ჩაასხამენ ხახაში“, გონს ძლივს მოსული კერნანი „ახლაგაზრდა ველოსიპედისტთან“ საუბარში სინანულს გამოსთქვამს, რომ მათ „თითო ჭიქაც ვერ დალიეს ერთად“; მისის კერნანი ჩივის, რომ მისი მეუღლე „პარასკევს აქეთია სვამს“, მაგრამ „ქმრის ლოთობას ჩვეულებრივ ამბად სთვლის“; მეგობრის სანახავად მოსულ კანინგემს საჩუქრად ვისკი მოაქვს, მაგრამ კერნანს ეუბნება, რომ „ყველაფერი სასმელის ბრალია“, თან საუბრის სხვა ნაწილში, უკვე თვადაც შეზარხოშებული, უმეორებს „ზედმეტი ყლაპეთო“. კერნანი თავისას არ იშლის და ცოლს ეკითხება, „ჩემთვის ხომ არაფერი გაქვს შემონახულიო“, რაზეც მისის კერნანი მკვახედ მოუჭრის, „რაც გუშინ დალიე, ისიც გეყოფაო.“ სტუმრები „ბოთლებს სიცილ-ხარხარში ჩამოირიგებენ“; კანინგემი „ბოთლს აიღებს და ყველას ჩამოუხსამს“; „სტუმრები, ერთმანეთის ნაბაძვით, კიდევ თითო ჭიქას დალევენ“, „ჭიქებს გამოცლიან და ისევ მაგიდაზე დადგამენ“; ფოგარტიც მეგობრებს ხელდამშვენებული ენვევა – „ნახევარ პინტა მაგარ ვისკის“ მოიტანს; ბ-ნი მ'კოი „ვისკის სიამოვნებით მოსვამს“; პაპა ლეონის ლათინურ პოეზიაზე საუბრისას ფოგარტიც „დიდის ამბით შესვამს“ და ა.შ.. ლეონ XIII-ის ხსენებაც ასოციაციურად ალკოჰოლს უკავშირდება. პაპი, რომელიც ახლადგამოგონილ ფოტოგრაფიაზე ლათინურ ლექსებს წერდა, ცნობილი იყო, როგორც 1860-იან წლებში შექმნილი პოპულარული სასმელის, ე. წ. „მარიანის ღვინის“ (Vin Mariani – ფრანგული ბორდო, კოკაინის ფოთოლზე დაყენებული) ინტენსიური მომხმარებელი. მისი სრულიად უმწეო ლათინური ლექსი, რომელიც მოყვანილი აქვს რ. ბოილს (Boyle 1969: 17) იმის გულუბრყვილო მტკიცებას შეიცავს, რომ ფოტოგრაფიას უფრო დიდი ხელოვნების შექმნა ძალუძს, ვიდრე კაცობრიობის ნებისმიერ დიდ მხატვარს, რაც, რა თქმა უნდა, ჯოისის ირონიულ ლიმილს იწვევს, მაგრამ სავსებით შეესაბამება მეგობართა დისკუსიის საერთო ინტონაციას. სიახლეთა დამფასებელმა ლეონ XIII-მ „მატონიზირებელი“ სასმელის გამომგონებელ ანჯელო მარიანის ვატიკანის ოქროს მედალი უბოძა და მისი ნაწარმის სარეკლამო პოსტერზეც გამოჩნდა (Mann 2009: 63). ის, რომ დისკუსიაში ნახსენები ორი რომის პაპიდან ერთი სიმბოლურად „ცოდვით დაცემული იყო“, ხოლო მეორე არც მალავდა

ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას, უსაზღვროდ ამდიდრებს მოთხრობის ირონიულ ქვეტექსტს, მითუმეტეს, რომ შემთვრალ მეგობართა საუბარი, მათივე წარმოდგენით, მეტად სერიოზულ, ამაღლებულ-რელიგიურ და პატრიოტულ თემებს შეეხება. მოთხრობის პაროდიულ ასოციაციათა ჭრილში ტომ კერნანი, თავისი ალკოჰოლიზმითა და ფარული ეპილეფსიით, ორივე რომის პაპს – ლეო XIII-ს და პიუს IX -ს ერთნაირად უკავშირდება.

ზნეობრივი დაცემულობის მოტივი და სულიწმიდასგან წამოსული მადლის ორაზროვნება პაროდიულად არის გათამაშებული მოთხრობის იმ ნაწილში, სადაც მისის კერნანის „ხალხურ“, ფოლკლორულ რელიგიურობაზეა საუბარი. კერნანის ცოლი ერთი უბრალო დიასახლისია, რომელსაც „ქორწინების მეოთხედი საუკუნის თავზე ილუზიები თითქმის არ შერჩა. რელიგია მისთვის უფრო ჩვევად იყო ქცეული და მას აეჭვებდა, რომ მისი ქმრის ასაკის კაცი სიკვდილამდე დიდად შეიცვლებოდა... თავგადაკლული მორწმუნე ის არ იყო, მაგრამ მტკიცედ სწამდა იესოს წმინდა გულის, როგორც ყველაზე გამოსადეგი კათოლიკური სალოცავის და სწამდა წმინდა საიდუმლოებების. მისი რწმენა სამზარეულოს ფარგლებს არ სცილდებოდა, მაგრამ თუ გაუჭირდებოდა, ერთნაირად სწამდა სულიწმინდაც და ბანშიც“. ერთი სიტყვით, მისის კერნანს ეჭვი შეაქვს თვით მადლის ქმედითობაში – მეგობრებს კერნანი ეკლესიაში განსაწმენდად მიჰყავთ, მას კი არა სწამს იმის, რომ მისი მეუღლე დიდად შეიცვლება. დახასიათებაში გამოსჭვივის რელიგიისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება (იესოს წმინდა გული, როგორც „გამოსადეგი“ სალოცავი), მაგრამ მთავარი ირონია იმაში მდგომარეობს, რომ მისის კერნანი თავის რწმენაში ბანშის და სულიწმინდას აიგივებს. ბანში ირლანდიური ფოლკლორის დემონიური ფიგურაა – წითელში გამოწყობილი კუდიანი, რომელიც სიკვდილს მოასწავებს – იმ სახლში, რომლის მახლობლადაც მას შენიშნავენ, ან რომლის კართანაც ის შეჩერდება, სიკვდილი დაისადგურებს (ამ ფოლკლორულ პერსონაჟზე იხ. Lysaght 1996). თუ ღვთაებრივი მადლი სულიწმიდასგან მოდის, ბანში, როგორც დემონიური ძალების გზავნილი, სრულიად საპირისპირო სანყისს განასახიერებს. თუმცა მოთხრობაში ფიზიკურად არავინ არ კვდება, მხედველობაშია მისაღები, რომ დანტეს ასოციაციურ ჭრილში, „მადლის“ მოქმედება საერთოდ პაროდიულ საიქიოში ხდება, მისი პეროსნაჟები ზნეობრივად დამბლადაცემული ცოცხლად მკვდრები არიან. გარდა ამისა, კრებულის ფინალური მოთხრობის სათაური სწორედ „მკვდრებია“, რაც ირონიასთან ერთად ისეთსავე პირქუშ ასოციაციურ ელფერს სძენს მთელ კრებულს, როგორც მის პირველსავე გვერდზე ნახსენები საკვანძო სიტყვა-სიმბოლო „პარალიჩი“ (მოთხრობაში „დები“).

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ გარდა, მოთხრობა კომპოზიციურად იმეორებს ბიბლიური იობის წიგნის აგებულებასაც. მეგობრების სტუმრობა კერნანთან არ არის უბრალოდ, მისი ბედით დაინტერესებულ დუბლინელთა თავშეყრა და მათი პაროდიული საუბარი რელიგიაზე – ოდესღაც, ბიბლიურ წარსულში, ზუსტად ასევე „შეიტყო იობის სამმა მეგობარმა ყველა ეს უბე-

დურება, რაც თავს დაატყდა იობს, და მივიდნენ თავ-თავიანთი ადგილებიდან ელიფაზ თემანელი, ბილდად შუხელი და ცოფარ ნაყამათელი; შეიყარნენ ერთად, რომ მისულიყვნენ მისასამძიმრებლად და სანუგეშებლად“ (იობი, 2:11). იობის წიგნი ჯოისის პაროდული ასოციაციების არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა, ვიდრე „ღვთაებრივი კომედია“, მოციქულთა საქმენი, ან ავგუსტინეს თეოლოგია. იობის წიგნით, „მადლიც“ დაყოფილია შესავალ, ცენტრალურ და დასკვნით ნაწილად, სადაც ცენტრალური ნაწილი მოცულობით ყველაზე დიდია – „მადლში“ ის დაახლოებით ტექსტის სამ მეოთხედს შეადგენს. ისევე, როგორც იობის ფათერაკებით აღსავსე ისტორია, კერნანის ამბავიც მისი დაცემა-დაავადებით იწყება და ჯერ სცენაზე მეუღლის გამოჩენით, შემდეგ – მისი მეგობრების სტუმრობით და მათი „თეოლოგიური“ საუბრით გრძელდება. „მადლშიც“, ისევე როგორც იობის წიგნში, მეოთხე მეგობარს (ჯოისთან ფოგარტის, ბიბლიაში – ელიჰუს) შეხვედრაზე მოსვლა ავგვიანდება. ფოგარტიც, ბიბლიური ელიჰუს მსგავსად, კერნანის ოთხი მეგობრიდან ყველაზე ახალგაზრდაა. იობის წიგნის შესაბამისად, თხრობა თითქოს „მადლშიც“ ხსნით და ღვთის წინაშე გამართლებით უნდა დასრულდეს, მაგრამ ჯოისი ყველა თავის წყაროს პაროდულად გარდასავას – მოთხრობის სიმბოლურ ასოციაციათა ქრილში, კერნანი ისეთივე პაროდული იობია, როგორც პავლე მოციქული, ავგუსტინე და დანტე. პაროდულია მისი „მოქცევა“, აბსურდულია მისი მეგობრების „თეოლოგიური“ დისკუსიაც და, რაღა თქმა უნდა, სრულიად ყალბია, ბუტაფორიულია ეკლესიაში „განწმენდა“ – ზნეობრივად პარალიზებულ სოციუმში, რომელსაც დუბლინი განასახიერებს, ხსნა მიუღწეველია.

კომპოზიციური ანალოგიის გარდა, მოთხრობის ტექსტი სავსეა იობის წიგნის სიუჟეტური თუ სიმბოლური ასოციაციებით: კერნანი, ისევე, როგორც იობი, მის ბედ-იღბალში ღვთაებრივ (ან „ემმაკისეულ“) ძალთა ჩარევამდე მატერიალურად უზრუნველყოფლი იყო – მართალია, მისი მოკრძალებული შემოსავალი ვერ შეედრებოდა იობის სიმდიდრეს, მაგრამ, კომივოიაჟორის თაობაზე, ის ადრე ნორმალურად გრძნობდა თავს. ორივე პერსონაჟის ცხოვრებაში მატერიალურ კეთილდღეობას უკიდურესი სიდუხჭირე სცვლის – კერნანი ვალებშია ჩაფლული, მას თვით ფოგარტისაც მართებს, ანუ საჭმლის ფული უჭირს (ფოგარტი – პაროდული ელიჰუ – კერნანის სახლის მიმდებარე სასურსათო მაღაზიის მფლობელია), ხოლო იობს, სატანიც ჩარევით, ღმერთი უნადგურებს ყველაფერს, რაც გააჩნდა. კერნანის ალკოჰოლიზმმა და ეპილეფსიამ, ისევე როგორც იობის შემთხვევაში სატანის ჩარევამ, ორივე პერსონაჟი არა მხოლოდ მატერიალურად დააზარალა, არამედ მძიმედ დაავადა. ცხადია, კერნანი ამ თვალსაზრისითაც იობის ირონიულ, კომიკურად უმწეო ვერსიას წარმოადგენს – ტუალეტში მისი დაცემა და ენის მოკვნევა ვერ შეედრება იმ უბედურებას, რაც თავს დაატყდა იობს. მეტად საგულსხმოა კანინგემის, პაუერის და მ'კოის საუბრის სიახლოვეც ელიფაზის, ბილდადის და ცოფარის თეოლოგიურ დისკუსიასთან. ყოველი მათგანი ღვთაებრივი ჩანაფიქრის ინტერპრეტაციას ლამობს და თვით იობი მიუთითებს თავის მეგობრებს მათ

უმეცრებაზე: „თქვენი შეგონებები ნაცრის არაკებია, თქვენი საყრდენი თიხის საყრდენია“ (იობი, 13:12). ის, რომ იობი თავის მეგობრებს სწორედ პრეტენზიულობასა და უმეცრებაში ამხელს, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ბიბლიის ინგლუსურ ტექსტში: “Your pompous talk is dust and ashes” (Job, 13:12). ერთი სიტყვით, ორივე საუბრის ზოგადი სულისკვეთება ანალოგიურია – როგორც იობის, ისე კერნანის მეგობრები ისეთ საკითხებზე მსჯელობენ, რომელთა შესახებაც მათ არაფერი გაეგებათ. მნიშვნელოვანი პარადიული კონტრასტი იმაში მდგომარეობს, რომ იობის მეგობრებისაგან განსხვავებით, კანინგემი, პაუერი და მ’კოი საუბრისას ღმერთს საერთოდ არც ახსენებენ – ქრისტეს მათ დისკუსიაში დედა-ეკლესია სცვლის, თავისი პარადიული რომის პაპებით, თეოლოგებით, კარდინალთა დასით და „არისტოკრატიასთან დაკავშირებული“ იეზუიტებით. საგულისხმოა მისის კერნანის და იობის ცოლის სახეთა ასოციაციური სიახლოვეც: მოთხრობის წარმოსახვით სცენაზე კერნანის მეუღლე იობის ცოლივით დისკუსიის წინ გამორჩნდება. ორივე ქალბატონს თავიანთ ქმრებთან დაძაბული დამოკიდებულება აქვთ, თუმცა აქაც, მისის კერნანის ყოფითი, ბანალური გალიზიანება („რასა ჰგავს... ჯანდაბა მაგის თავს, ერთ მშვენიერ დღეს კისერს მოიტხს და ეგ იქნება!“) სიმბოლური სიღრმით და განცდით-ინტელექტუალური სიმძლავრით ვერ შეედრება იობის ცოლის რისხვით აღსავსე წამოძახილს, „ახლაც ეჭიდები შენს სიალალეს? ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდი!“ (იობი 2:9). ორივე ქალბატონს არ მოსწონს ის სურნელი, რომელიც მათ მეუღლეებს ასდის – მისის კერნანს აღიზიანებს ალკოჰოლის სუნი და პაბების ოხშივარი, იობის ცოლს კი, როგორც თვითონ იობი მოსთქვამს, „სუნთქვა შესძაგდა“ მისი (იობი, 19:17). მაგრამ მთავარი, რაც ორ ქალ-პერსონაჟს აერთიანებს და ასოციაციურად აკავშირებს ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ კონტექსტებს, ამ ქალბატონების რწმენის სიმყიფეა – მისის კერნანს სულიწმინდა და ბანში ერთაშენეთში ერევა, იობის ცოლს კი ეჭვი შეაქვს ღმერთის სამართლიანობაში და მეუღლისაგან მის დაგმობას ითხოვს. რაღა თქმა უნდა, თანამედროვე „მისის იობიც“, ბიბლიური იობის ცოლთან შედარებით, „მსუბუქ ჟანრშია“ გადანყვეტილი და მის პარადიულ ვარიანტს წარმოადგენს.

ისევე, როგორც იობი, კერნანიც უკმაყოფილოა თავისი მეგობრებით, თუმცა იობისგან განსხვავებით, მისი უკმაყოფილება არ გულისხმობს რწმენის საკითხებში უთანხმოებას – როგორც ვთქვით, კანინგემი, პაუერი, მ’კოი და ფოგარტი არც ახსენებენ ღმერთს, მათი დისკუსიის საგანი ეკლესია და რიტუალებია. ორი სცენის ასოციაციური პარალელი რწმენის და რიტუალის, ღმერთის და ეკლესიის ირონიულ კონტრასტს გულისხმობს. კათოლიკური ეკლესია ისევე შორს დგას ღმერთისგან, როგორც თანადროულ დუბლინში შეყრილი მეგობრების საუბარი – იობის წიგნში აღწერილი დისკუსიისაგან. პროვინციული დუბლინის ყოფით რეალობაში კათოლიკური რიტუალიც საგანდებოდ დეგრადირებული, პარადიული სახით წარმოგვიდგება. ღმერთი, როგორც უმაღლესი ზნეობრივი კრიტერიუმი ჯოისის პარადიულ იობს, კერნანს არც ახსენდება – თავისი მეგობრების მსგავსად, ისიც რიტუალზე ფიქრით არის დაკავებული,

თუმცა ეკლესიაში განსაზღვრულად ნასვლა მასში ენთუზიაზმს არ იწვევს („კერნანი პროტესტანტული ოჯახიდან იყო და თუმცა ქორწინებამდე კათოლიკედ მოექცა, ოცი წლის მანძილზე ეკლესიას არც გაჰკარებია. ის კი არადა, ზოგჯერ იკბინებოდა კიდეც კათოლიციზმის მისამართით“). კერნანი უნდომლად თანხმდება თავისი მეგობრების წამოწყებას („არ გეურჩებოდა, – თქვა ბ-მა კერნანმა და ნაძალადევად გაიღიმა“), მაგრამ როდესაც საუბარი ეკლესიაში სანთელბით დგომას ეხება (სანთლების როლი კათოლიკურ და პროტესტანტულ რიტუალებში მკვეთრად განსხვავებულია), ის უკვე ხმამაღლა გამოთქვამს პროტესტს: „არა, ღმერთმანი... ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ისე მოვიქცევი, როგორც წესი და რიგია, ვიმარხულე, მღვდელს აღსარებას ვეტყვი, ყველაფერს ვიზამ რაც საჭიროა, ოღონდ სანთლებს ხელში არ დავიჭერ! დალაზვროს ეშმაკმა, სანთელს ხელში რა დამაჭერინებს!“ – რაზეც მისი კერნანი ირონიულად შენიშნავს, ესეც თქვენი ღვთისმოსავი კათოლიკეო.

იობის წიგნის ზოგად პაროდულ ანალოგიას შეიცავს „მადლის“ ფინალიც – კომპოზიციურად, მამა პერდონის ქადაგებას ის ადგილი უჭირავს მოთხრობაში, რაც ღმერთის მონოლოგს – იობის წიგნში. ფინალში გვხვდება იობის წიგნზე პაროდული მინიშნებებიც, მაგალითად, როგორც უფალი იობისაგან, ისე მამა პერდონი თავისი მრევლისგან ითხოვს უფლის წინაშე „კაცურად,“ ან „ვაჟკაცურად“ წარდგომას (be like a man (იობი, 40:7) და be manly („წყალობა“) სინონიმურია), რაც იობის წიგნის ამაღლებულ კონტექსტში ადეკვატურად აღიქმება, მაგრამ კომიკურად ჟღერს მამა პერდონის ქადაგებაში და დაახლოებით ჩვენებური „კაცური კაცის“ ანალოგიურია. ფინალის ანტიკლერიკალურ ჟღერადობას ამძაფრებს მრუშობასთან და ზნეობრივ დეგრადაციასთან ასოცირებული წითელი ფერის ლაიტმოტივიც. მამა პერდონის გვარი იმჟამინდელი დუბლინის წითელი ფარნების რაიონთან, მონტოსთან ასოცირდება, რომელიც ჯოისმა მოგვიანებით „კირკეს“ ეპიზოდში უკვდავჰყო – სტივენ დედალოსი და ლეოპოლდ ბლუმი სწორედ მონტოს ერთ-ერთ ბოდრელში ხვდებიან ერთმანეთს. ამ რაიონის საროსკიპოებით ცნობილი ქუჩა, პერდონ სტრიტი ოდესღაც „კაცების ხაფანგის“ მეტსახელთაც იყო ცნობილი (The Man Trap), რაც ირონიულად თანაჟღერადია მამა პერდონის მოთხოვნის, რომ მისი მრევლი ღვთის წინაშე „კაცურად“ წარსდგეს. წითლად ელვარებს თვით მამა პერდონის სახე – ის, რომ მამაოს სახე წითელი აქვს, ჯერ კიდევ კერნანის სახლში საუბრისას იკვეთა („ნამდვილად გეცოდინებათ, ტომ... მხიარული კაცია... – ჰო... მგონი ვიცნობ, მაღალი რომაა, ძალიან წითელი სახით?“) და შემდეგ უკვე ეკლესიაში მეორდება („კათედრის მოაჯირზე აყუდებულიყო მისი სხეულის ორი მესამედი და განიერი, წითელი სახე“). ეკლესიაში შემოსული მრევლი ხედავს, რომ შორს, მთავარ საკურთხეველზე, წითელი შუქის ათინათი თამაშობს. შემდეგ, ქადაგების წარმოთქმის წინ, მუხლმოდრეკილი მამა პერდონი ლოცვით აიფარებს სახეზე ხელებს და სწორედ ამ წითელი ათინათისკენ მიტრიალდება. „სინითლე“ – წითელი ფარნების შუქის ანარეკლი – ზნეობრივი დეგრადაციის დამლასავით

ადევს როგორც თვით მამა პერდონს, ისე მისი ეკლესიის მთავარ საკუროთხეველს და, აქედან გამომდინარე, ირლანდიის სამღვდელეობას, მთელ ეკლესიას, ამქვეყნად ქრისტეს „მისტიკურ სხეულს“.

ღმერთი, რომლის ხმა იობის წიგნში გრიგალიდან ისმის, თვით იობისა და საერთოდ, მოკვდავთათვის ღვთაებრივი ბუნების შეუცნობლობაზე საუბრობს. ჯერ კიდევ მე-13 საუკუნის დიდი ებრაელი სწავლული ნაჰმანიდე (მოშე იბნ ნაჰმანი) ამ ეპიზოდის კომენტარში აღნიშნავდა, რომ „ღვთაებრივი სიბრძნე კაცთა მოდგმისთვის დაფარულია. უფალი მხოლოდ იმას აუწყებს მოკვდავთ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ღვთის შიში და განუდგნენ ბოროტს, ხოლო რაც შეეხება სასჯელსა თუ ჯილდოს, ბოროტთა უვნებლობას თუ სათნოთა ტანჯვას – ეს მათ არ განეცხადებათ. ამიტომ არის, რომ იობი ვერ არკვევს სამართალს და ვერც თავისი მეგობრების შეგონებებიდან ითვისებს რაიმე სიბრძნეს“ (Cooper 1997: 235). ღვთაებრივი ბუნების ამ სრული ირაციონალიზმისგან განსხვავებით, მამა პერდონის შეგონება აღსავსეა ყოფითი პრაგმატიზმით და ზუსტად არის გათვლილი იმ აუდიტორიაზე, რომელსაც მისი მრევლი განასახიერებს („მე თქვენთან მოვედი, როგორც გამოცდილი, პრაქტიკული ადამიანი, რათა საქმიან ხალხს საქმიანად დაგელაპარაკოთ. მეტაფორულად რომ ვთქვათ, დღეს მე თქვენი სულიერი ბუღალტერი ვარ. ამიტომ, მოდით ყოველმა თვენგანმა თავის დავთარში ჩაიხედოს, თავისი სულიერი ცხოვრების დავთარში, და ნახოს, ის მის სინდისს თუ შეესაბამება“). ჯოისის მამა პერდონი ნამეტანი „გაშინაურებულია“ ღმერთთან – ქრისტეზე ის ნამყო დროში საუბრობს, როგორც სამაგალითო პიროვნებაზე, თავის ნაცნობზე, ან ავტორიტეტზე, რომელიც „იყო“, მაგრამ არ „არის“ („ქრისტე არ იყო მკაცრი ზედამხედველი, მან იცოდა ჩვენი ცოდვები, იცოდა ჩვენი ზნედაცემული ბუნების სისუსტე და არც ამქვეყნიური ცდუნებები იყო მისთვის უცხო“). მის ინტერპრეტაციაში ღმერთი წვრილ ბიზნესში დასაქმებულთა კეთილ მეურვედ წარმოგვიდგება, რომელსაც უმცროსმა პარტნიორებმა ფინანსური ანგარიშები უნდა აბარონ: „თუ თქვენი ანგარიშები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ ასე უთხარით ღმერთს: აი, მე გადავამოწმე ჩემი ანგარიშები და ყველაფერი წესრიგში მაქვს. მაგრამ თუ იქ რამე შეუსაბამობაა, სიმართლე თქვით და კაცურად აღიარეთ: მე ჩავხედე ჩემს ანგარიშებს და აქა-იქ ყველაფერი რიგზე ვერ იყო, მაგრამ ღვთის მაღლით, ყველაფერს გამოვასწორებ.“

მრევლი, რომელიც ამ შეგონებებს უსმენს, დუბლინის ფართო სოციალურ ფენას – პროვინციულ საშუალო კლასს – წვრილ მენარმეებს, ბიუროკრატიას და საქმოსნებს განასახიერებს. მათგან ორი მევახშეა, სამი ქალაქის ადმინისტრაციაში დასაქმებული მოხელე, ერთი ადგილობრივი გაზეთის თანამშრომელი და ერთიც – ყოფილი კომერსანტი. „ბ-ნმა კანინგემმა ჩურჩულით ანიშნა ბ-ნ კერნანს ბ-ნ ჰარფორდზე, მევახშეზე, რომელიც ოდნავ მოშორებით იჯდა, შემდეგ კათედრასთან ახლოს მიმჯდარ ბ-ნ ფენინგზე, რეგისტრატორსა და საარჩევნო კამპანიის აქტივისტზე, რომელიც სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთ ახალდანიშნულ წევრთან ერთად იჯდა. ხელმარჯვნივ ისხდნენ ბე-

ბერი მაილკ გრაიმზი, სამი გამსესხებელი სალაროს მფლობელი და დენ ჰოგენის ძმისშვილი, რომელიც ადგილს ელოდებოდა მერიაში. შემდეგ, ნინა რიგში, ისხდნენ ბ-ნი ჰენდრიკი, „ფრიმენ ჯერნალის“ მთავარი რეპორტიორი და სანყალი ო'კეროლი, ბ-ნი კერნანის ძველი მეგობარი, რომელიც ოდესღაც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო კომერციაში.“ თავის პაროდულ „სამოთხეს“ ჯოისი პროვინციულ საზოგადეობად წარმოსახავს, სადაც ყველა ერთმანეთს სცნობს და იცის, „ვინ ვისი ვინ არის“, რას წარმოადგენდა წარსულში („სანყალი ო'კეროლი“, რომელსაც კანინგემი ბატონობითაც აღარ მოიხსენიებს), ან რის გაკეთებას აპირებს მომავალში („დენ ჰოგენის ძმისშვილი, რომელიც ადგილს ელოდება მერიაში“). საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ხელმოცარული კომერსანტი ო'კეროლია ერთადერთი, ვინც ოდესღაც იყო რაღაც ეკონომიკურ საქმიანობაში (ვაჭრობაში) ჩაბმული, დანარჩენები მწარმოებელთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან, ყველანი მომხმარებლები არიან და ორი მათგანი კი საერთოდ, მევახშეა. მოთხრობაში ასახული ეკონომიკური სიდუხჭირის თემა ცალკე დაკვირვების საგნად გამოდგება, მაგრამ პაროდული ასოცირების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ჯოისის სამოთხე დანტეს პერსონაჟების თანამედროვე პროტოტიპებით არის დასახლებული – მევახშეები დანტეს „ჯოჯოხეთის“ ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ჯურღმულის მკვიდრნი არიან (ქება XVII). მევახშე ჰარფორდი სიმბოლური ფიგურაა – ის თითქოს არც იღებს მოქმედებაში უშუალო მონაწილეობას, მაგრამ კერნანი იხსენებს, რომ სწორედ მასთან და „წითურ ახალგაზრდასთან“ სვამდა, სანამ ტუალეტში დაეცემოდა. ბოლოს ჰარფორდი ეკლესიაში გამოჩნდება, მაგრამ მასზე მანამდეც არის საუბარი: „ნაცნობი კათოლიკეები, როდესაც ჰარფორდის გამოძალგების მსხვერპლნი ხდებოდნენ, მას ირალნდიელ ურიას უწოდებდნენ და იდიოტი შვილი რომ ჰყავს, ღმერთმა დასაჯაო, ასე ამბობდნენ“. მევახშე ჰარფორდი ნაწარმოების თავშიც გამოჩნდება და ბოლოშიც, რითაც ჯოისს თავის პაროდულ „სამოთხეში“ სიმბოლური ჯოჯოხეთის ასოციაციები შემოაქვს. უკვე თავისთავად, ეკლესიაში მევახშეების და ყოფილი ვაჭრის დასწრება სახარების ცნობილი სიუჟეტის გროტესკული ასოციაციის შემცველია – ტაძარს შესულმა ქრისტემ, როდესაც იქ „მოვაჭრენი და მსხდომარე მეკერმენი (ფულის გადამცვლელები)“ ნახა, „დანა საბლისგან შოლტი და გამორეკა ტაძრიდან ყველა... მიმოფანტა მეკერმეთა ფული და ააყირავა მათი დახლები“ (იოანე, 2: 14-15).

მამა პერდონს რომ დავუბრუნდეთ, „ორგული მოურავის“ იგავი, რომლის ციტირებასაც ის ახდენს თავის ქადაგებაში, ცნობილია, როგორც სახარების ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი ეპიზოდი და მისი სიტყვასიტყვითი წაკითხვა (თუ სქოლასტურ ინტერპრეტაციებს არ გავითვალისწინებთ) მართლაც წინააღმდეგობრივ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგავში მოურავი, რომელმაც იცის, რომ ბატონი მას დათხოვნას უპირებს, ეშმაკობას მიმართავს – დაიბარებს თავისი ბატონის მოვალეებს და თამასუქებს თავიდან გადააწერინებს, ანუ ვალის ნაწილს ჩამოაჭრის იმ იმედით, რომ როდესაც მას დაითხოვენ, ეს ხალხი შეიფარებს და სამსახურს მისცემს. მოურავის საქციელს ბატონის უცნაური

რეაქცია მოჰყვება: „შეაქო ბატონმა ორგული მოურავი: ფხიანად მოიქეციო, ვინაიდან ამ სოფლის ძენი თავიანთ მსგავსთა შორის უფრო ფხიანნი არიან, ვიდრე ნათლის ძენი.“ არანაკლებ უცნაურია თვით ქრისტეს დასკვნაც: „ამიტომ გეუბნებით, შეიძინეთ მეგობრები უსამართლო სიმდიდრით, რათა, როდესაც გაღარიბდებით, მიგიღონ საუკუნო სამყოფელში“ (ლუკა, 16:8-9). სახარებისადმი მიძღვნილ უშველებელ ლიტერატურაში ამ ეპიზოდის ყველა კომენტარი, ტრადიციულად, იმის მტკიცებით იწყება, რომ „ეს ყველაზე რთული იგავია ბიბლიაში და მისი დამაკმაყოფილებელი ინტერპრეტაცია დღესაც არ არსებობს“ (Lampe 1962: 836). ამ მოარულ ფრაზას მამა პერდონი ისეთი „მძლავრი, დამაჯერებელი ხმით“ წარმოსთქვამს („სწორი ინტერპრეტაციისათვის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული ტექსტია მთელ საღმთო წერილში“), თითქოს პირიქით, სახარების სირთულე და ბუნდოვანება მსმენელთა თვალში მის სათქმელს ამყარებდეს. ოდნავ შეცვლილი სახით, ის ქრისტეს დასკვნითი სიტყვების ციტირებასაც ახდენს („შეიძინეთ მეგობრები უსამართლო სიმდიდრით, რათა, როდესაც მოკვდებით, მიგიღონ საუკუნო სამყოფელში“), რითაც მაცხოვარი საკმაოდ უცნაური მორალის მქადაგებლად გამოჰყავს – გამოდის, თითქოს თვით ღმერთი უბიძგებდეს ვაჭრებსა და მევახშეებს კორუფციისა და ფინანსური მაქინაციებისაკენ, რაც მამა პერდონს აშაკარად ამ ადგილის „სწორი ინტერპრეტაცია“ ჰგონია. ჯოისის ირონია აქაც ორაზროვანია: სახარების ციტატის მოხმობით, თვით მამა პერდონიც იქცევა „მონყალე ბატონის“ – ღმერთის გზავნილად, მის „ორგულ მოურავად“ და მრევლის „სულიერ ბუღალტრად“, რომელიც ქარაგმულად მოუნოდებს ეკლესიაში შეკრებილებს (ღვთისგან „დავალებულ“ მრევლს), რომ მათ თავიანთი „სულის დავთრებში“ ფინანსური ანგარიშები შეცვალონ და „კაცურად“ წარუდგინონ ისინი უფალს.

ცხადია, ჯოისი უხვად იყენებს სოციალური სატირის ელემენტებს, მაგრამ „მადლის“ ტექსტი იმდენად რთული და ასოციაციურად მრავალნიშნადია, რომ მისი აღქმა მხოლოდ სოციალური სატირის, ან თუნდაც „ქვეყნის ზნეობრივი ისტორიის“ კუთხით წარმოუდგენელია. მოთხრობის მხატვრულ ქსოვილს („მადლი“ კი უპირველეს ყოვლისა მხატვრული ნაწარმოებია და არა საზოგადოებრივ მანკიერებთა მამხილებელი დოკუმენტი) ასოციაციური სახესიმბოლოებით აზროვნება განსაზღვრავს, რაც უალრესად განზოგადებულ განცდით-ინტელექტუალურ ქვეტექსტს წარმოჰქმნის. ამის შედეგად, როგორც სონია ბაჟიჩი შენიშნავს, ჯოისის „ტექსტი, რომელიც იმად არ აღიქმება, რაც ის სინამდვილეში არის, თითქოს დამალობანას ეთამაშება მკითხველს“ (Basic 1991: 374). რთული, ინტელექტუალური თამაშის საფუძველს მოთხრობაში ხან გაკვრით ნახსენები, ხან სხვადასხვა აზრობრივ კომბინაციებში ლაიტ-მოტივად გამეორებული, ხანაც – საგანგებოდ ხაზგასმული სიმბოლური და ასოციაციური სახეები შეადგენს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც აგრეთვე მამა პერდონის ეპიზოდში გვხვდება, კვინკუნქსია – სიმბოლური სახე, რომელიც ჯვარცმული ქრისტეს სისხლიან იარებთან არის ასოცირებული და გრაფიკულად ასო X-ის ფორმას იმეორებს, ანუ წარმოადგენს მხრებზე დაყენებულ

ჯვარს. მეტი თვალსაჩინოებისათვის, კვინკუნქსი შეიძლება ისეც წარმოვიდგინოთ, როგორც კამათელზე გამოსახული „ფანჯი“. სწორედ ამ გრაფიკული ფიგურის მიხედვით განთავსდებიან გრძელ საეკლესიო სკამებზე ტაძარში განსაწმენდად მისული მეგობრები, რასაც ჯოისი საგანგებო სიზუსტით აღწერს: „ერთ სკამზე, კათედრასთან ახლოს, დასხდნენ ბ-ნი კანინგემი და ბ-ნი კერნანი. მათ უკან, მარტო მოთავსდა ბ-ნი მ'კოი, ხოლო მის უკან სკამზე დასხდნენ ბ-ნი პაუერი და ბ-ნი ფოგარტი. ბ-ნი მ'კოი უშედეგოდ ცდილობდა მეგობრების გვერდით ეპოვა ადგილი და როდესაც ბოლოს ყველანი კვინკუნქსის ფორმით დალაგდნენ, სცადა კიდევ რამდენჯერმე გახუმრება, მაგრამ წარუმატებლად.“

მოთხრობის ამ სახის მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს, მას ცალკე ნერილებიც ეძღვნება (Duffy 1972; Lobner 1991; Tejedor 2007 და სხვ.). საერთოდ, კვინკუნქსი, როგორც უნივერსალური ხატი, სიმბოლური კონოტაციების უსასრულო რიგს მოიცავს, რაც ხშირად მისი „თავისუფალი“ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამიტომაც არის, რომ ამ სახეზე მსჯელობისას კრიტიკოსთა ნაწილი ხან შუა საუკუნეების ნუმეროლოგიურ, ასტროლოგიურ და ალქიმიურ სიმბოლიკაში იფლობა, ხან ისე გულმოდგინედ იძიებს კვინკუნქსის კავშირს დანტესთან, რომ ჯოისის მოთხრობა გვერდზე რჩება და მთელი ყურადღება „ღვთაებრივ კომედიაზე“ გადასდის (Lobner 1989: ). დანტესგან განსხვავებით, ჯოისის სიმბოლურ სახეებს არა აქვს საკრალური ან რელიგიური მნიშვნელობა, ის არასოდეს არ გადადის ეზოთერიკის, ან „ნუმეროლოგიის“ სფეროში, ანუ არ მიაწერს რიცხვებს მისტიკურ შინაარსს. ჯოისისთვის რიცხვითი სიმბოლო და სიმბოლური სქემა ან ირაციონალური შინაარსისაგან დაცლილი პოეტიკური მოდელია, ან ასოციაციური სახე, რომელიც ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ წყაროს გულისხმობს და არა რაიმე ფარულ, ეზოთერულ „ცოდნას“. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ჯოჯოხეთ-სალხინებელსამოთხის სამება, რომელიც „მადლში“ ერთდროულად მიაწმენებს მკითხველს „ღვთაებრივ კომედიაზე“, ავგუსტინეს „აღსარებანსა“ და პავლეს მოქცევის ეპიზოდზე. ანალოგიურ როლს ასრულებს „ფინეგანის“ ოთხივე ნაწილში განმეორებადი ოთხება, როგორც ქვეყნიერების ტრადიციული სიმბოლო და თვით „ფინეგანის“ ოთხნაწილიანობა, რომელიც სახარების ასოციაციის შემცველია (დეტალურად იხ. Robinson 1991: 131-141).

„ფინეგანში“, ისევე, როგორც ვთქვათ, ფოლკნერის „ხმაურსა და მძვინვარებაში“, ოთხებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და მისი რიცხვობრივი შესატყვისი არის 3+1 – ნაწარმოების მეოთხე ნაწილი პირველი სამისგან განსხვავებულია, როგორც იოანეს სახარება არის მკაფიოდ გამორჩეული დანარჩენი სამი, „სინოპტიკური“ სახარებისგან. იგივე 3+1-ს, თუმცა სულ სხვა სიმბოლურ ჭრილში, მიმართავს დოტოევსკიც „ძმები კარამაზოვებში“ (3 ძმა + 1 – სმერდიაკოვი, რომელიც აგრეთვე „განსხვავებულია“). მინიატიურულ ვარიანტში, 3+1 დაცულია მადლშიც, სადაც ახალგაზრდა ფოგარტის დანარჩენ სამ მეგობართან შეკრებაზე აგვიანდება, ისევე, როგორც აგვიანდება ახალგაზრდა ელიჰუს იობთან და მის მეგობრებთან შეხვედრაზე (აქაც 3+1). დამატებით,

„მადლში“ ამ სქემასთან ასოცირებულია ჯონათან სვიფტი, რომელიც კერნანის საუბარში „იაჰუების“ ხსენებით არის მინიშნებული. სამი მასხარა სატირიდან „კასრის ზღაპარი“ – პიტერი, მარტინი და ჯეკი (მათგან ორი, პიტერი და მარტინი კანინგემის და მ'კოის სეხნიები არიან) თეოლოგიურ დისკუსიას მართავს „მეზღაპრესთან,“ რომელიც სვიფტის სატირაში ასევე მოგვიანებით უერთდება საუბარს. საბოლოოდ, „მადლში“ მეგრობრები ხუთეულს, ანუ კვინკუნქსს ჰქმნიან და აქ უკვე სქემა არის 4+1, რაც მოთხრობის ასოციაციურ ჭრილში სიმბოლურად გათამაშდება და დამატებით ასოციაციებს იწვევს. აღსანიშნავია, მაგალითად, რომ კვინკუნქსი ირლანდიური კულტურული ტრადიციის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. უკვე ჩვენს დროში, ცნობილი პოეტი შეიმას ჰინი ირალდიის ხუთი ისტორიული კოშკისგან (და შესაბამისად, ხუთი ისტორიული საგრაფოსგან) შემდგერ კვინკუნქსს მთელი ირლანდიის და თვით „ირლადიურობის“ (Irishness) სიმბოლოდ წარმოსახავს (Heaney 2011: 173-178). „მადლის“ ფინალში, სადაც ყველა ტრადიციული ფასეულობა თავდაყირა არის დაყენებული და თვით სამოთხეში ჯოჯხეთის ალი ელვარებს, ეს ტრადიციული, ისტორიულ-პატრიოტული მოტივიც პაროდირდება.

მთელი მისი მრავალნიშნადობის მიუხედავად, კვინკუნქსი როგორც ლიტერატურული სახე უპირველეს ყოვლისა „ღვთაებრივ კომედიას“ უკავშირდება, მაგრამ დანტეს პოემა გეომეტრიული ფიგურების და რიცხვთა სიმბოლიკის ისეთ სიმრავლეს მოიცავს, რომ მასში „მადლის“ ასოციაციური სახით მინიშნებული კონრეტული დეტალის მიგნება ერთობ ძნელია. შესაძლებელი ვარიანტებიდან ყველაზე დამაჯერებელი კავშირი აქ „სამოთხის“ XVIII ქებასთან შეინიშნება, სადაც დანტეს მზერას სარწმუნოებისათვის მებრძოლი გმირების და რაინდების სულები წარმოუდგება – ჯვარზე, რომელზედაც დანტეს ბეატრიჩე მიაწინებს, იესო ნავინის, იუდა მაკაბელის, როლანდის, კარლოს დიდის, ჟოფრუა დე ბუიონის და სხვათა ლანდები სწორედ კვინკუნქსის სქემით არიან განლაგებულნი. ჯოისის თანამედროვე თავგამოდებული კათოლიკეები, თავიანთი კომიკურ-რელიგიური აღტკინებით, ამ „სარწმუნოებისათვის მებრძოლთა“ პაროდულ ვერსიას განასახიერებენ – ისინიც ისე ჩამოლაგდებიან გარდინერ სტრიტზე მდებარე ეკლესიის სკამებზე, როგორც დანტეს რაინდები განთავსდებიან „სამოთხეში“ წარმოსახულ ჯვარზე. პარალელურად, ჯოისი კათოლიკური რიტუალის მნიშვნელოვან აქსესუარზეც მიაწინებს მკითხველს – რელიკვარიუმზე, ანუ ჯვრის კიდობანზე, რომელშიც წმინდანთა ნაწილები ინახება. საზეიმო მომენტის შესაბამისი შინაგანი თრთოლვითა და მოკრძალებით, მეგობრები ისე განლაგდებიან სკამებზე, როგორც წმინდანთა ნაწილებია ჩალაგებული ჯვრის ფორმის რელიკვარიუმში: თითო-თითო ოთხივე კუთხეში და ერთიც – ცენტრში. მ'კოი ამ დროს უმწეო გახუმრებას ცდილობს, მაგრამ მას მკაცრი მზერით ხმას გააკემენდინებენ.

მოთხრობა სრულდება მამა პერდონის იმედისმომცემი სიტყვებით, რომ ღვთის მადლით ყველა ცოდვით დაცემული ადამიანის ხსნა არის შესაძლებელი, მაგრამ მის საბუღალტრო ტერმინებით გადატვირთულ საუბარში თვით

სიტყვა „მადლი“ სულ სხვა ასოციაციას იწვევს – მეორე მნიშვნელობით, „grace“ საკრედიტო დავალიანებაზე გადახდის გადავადებას ნიშნავს. მომხმარებლური მერკანტილიზმი თვით საეკლესიო კათედრიდან ჟღერს – ხსნა მამა პერდონის ქადაგებაში დავალიანების დაფარვის გადავადებასთან, ფინანსურ „შვებასთან“, ეკონომიკური „ამოსუნთქვის“ საშუალებასთან არის ასოცირებული. ამ ირონიული ორაზროვნების შემოტანით, ჯოისი კიდევ ერთხელ, საგანგებოდ წარმოაჩენს ეკლესიის როლს იმ ზნეობრივ პარალიჩში, რომელმაც მოიცვა დუბლინი, ირლანდია და სიმბოლურად – მთელი თანადროულობა. კომიკურ აბსურდად არის ქცეული თვით ხსნის შესაძლებლობა პირფერ და უმეცარ, მომხმარებლური პრაქტიციზმით დაავადებულ სოციუმში, სადაც „ცოდვით დაცემული“ კერნანის სულიერი ძიებანი მადლით ნათელცემული გზა კი არ არის, არამედ იმთავითვე (ტუალეტში დაცემის მომენტიდანვე) ამ გზის პაროდიაა. კერნანს და მის მეგობრებს ჯოისი იმად წარმოსახავს, რაც ისინი მართლაც არიან – მასხარები პროვინციულ სცენაზე, რომელიც სადევრადაციოდ განწირულია. ზნეობრივ ფასეულობათა კრიზისს ყოველსმომცველი ხასიათი აქვს – ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს და ნევრთა ყოფით, სულიერ, ეკონომიკურ და ინტელექტუალურ დევრადაციაში გამოიხატება.

#### დამონშებანი:

*K'atolik'uri Ek'lesiis K'at'ekhizmo.* Citta del Vaticano: Libreria Editrice Vaticana, © 1997 (კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო. Citta del Vaticano: Libreria Editrice Vaticana, © 1997).

Tskhvediani, Irak'li. *“Ulises” Mitop'oetik'a.* Kutaisi: Ak'ak'i Ts'eretlis sax. Univetsit'et'is gamomtsemloba, 2006 (ცხვედიანი, ირაკლი. „ულისეს“ მითოპოეტიკა. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006).

Q'iasashvili, Nik'o. *K'oment'arebi. Joisi, Jeimz. Ulise.* Mtargmneli Nik'o Q'iasashvili. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris gamomtsemloba, 2012 (ყიასაშვილი, ნიკო. კომენტარები. ჯოისი, ჯეიმზ. ულისე. მთარგმნელი ნიკო ყიასაშვილი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012).

Altshuler, Eric Lewin. “Did Ezekiel Have Temporal Lobe Epilepsy?” *Archives of General Psychiatry* 59(6) (July 2002): 561-2

Bašić, Sonja. “A Book of Many Uncertainties: Joyce’s “Dubliners”” *Style*, Vol. 25, No. 3, James Joyce’s *Dubliners* (Fall 1991): 351-377

Boyde, Patrick. *Dante Philomytes and Philosopher: Man in the Cosmos.* Cambridge: Cambridge UP, 2007

Boyle, Robert. “Swiftian Allegory and Dantean Parody in Joyce’s ‘Grace.’” *James Joyce Quarterly*, Vol. 7, No 1, (Fall 1969): 11-21

Conrad, Joseph. *The Collected Letters*, v. 7, 1920-1922. Cambridge: Cambridge UP, 2005

Cooper, Alan. “The Sense of the Book of Job.” *Prooftexts*, Vol. 17, No. 3 (September 1997): 227-244

Duffy, Charles F. “The Seating Arrangement in ‘Grace’.” *James Joyce Quarterly* Vol. 9, No. 4 (Summer, 1972): 487-489

Ellmann, Richard. *James Joyce.* Oxford New York Toronto, Melbourne: Oxford UP, 1983

- Frangoli, Nicholas A., Gillespie, Micheal Patrick. *Critical Companion to James Joyce: A Literary Reference to His Life and Work*. New York: Facts On File Inc., 2006
- Gilbert, Stewart. *James Joyce's Ulysses. A Study*. New York: Vintage Books, © 1958
- Heaney, Seamus. *The Redress of Poetry*. London: Faber & Faber, 2011
- გრიგოლ. კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“. თბილისი:1996).
- Lotman U. M. “Simvolika Peterburga i Problema Semiotiki Goroda”. *Izbrannye Stat'i*. T. 2.Tallin: izd. “Aleksandra”, 1992 (Лотман Ю.М. “Символика Петербурга и проблема семиотики города” *Избранные статьи в 3 т т.* Таллин, изд. “Александра”, 1992. Т. 2. 26-49).
- Rimbaud Arthur“ L'Orgieparisienneou Parisserepeuple” [http://abardel.free.fr/petite\\_anthologie/l\\_orgie\\_parisienne.htm](http://abardel.free.fr/petite_anthologie/l_orgie_parisienne.htm)
- Rodenbach Georges, “Bruges la morte”; <http://bruges-la-morte.net/wp-content/uploads/Bruges-la-Morte-english-translation.pdf>
- Chubinidze Manana. “Kartuli Symbolist'uri Miniat'ura. K'lasik'uri da Tanamedrove Kartuli Mts'erloba. N8.2005 (ჩუბინიძე მანანა. „ქართული სიმბოლისტური მინიატურა“. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, № 8, 2005).

**Tamar Paichadze**  
**(Georgia)**

## **City – Cultural Space in the Symbolist Text** **(Intertext and Georgian Creative Experience)**

### **Summary**

**Key words:** modernism, literature, intertext, city, text.

Specific concepts, which bear certain symbolic binaries or creative-paradigm meaning by their creative value in literary criticism, are perceived differently in the modernist space from the comprehension and worldview perspective. In this regard, among other analogues (son, moon, God, water, Cross and etc.) is considered the city also, as the symbolic and creative concept in literary texts.

In Georgian literary discourse, the city concept related with conceptual perception and formed as the creative-symbolic binary from the beginning of the 20th century.

Creators of the given process in the literary reality of the 20th century were the modernists, as they perceived the world from irrational space and from the symbolic-paradigm discourse.

The given fact was initially reflected in the Caucasus and namely Georgian Symbolism.

The given process of centralization became irreversible, which was followed by the attraction of creative forces. The social and cultural function of the city was revealed to its full significance. The given process coincided with the introduction of modernist movements in arts. Starting from the given period emerged the character that developed the system of thought in the city and the so called “city text” (city requisite) was created – the oppositional creative form and the so called “oriental model” of symbolist perception. The

city text is the complex of concepts, motives and plots, which covers the author's model of city life – both generally and in its private manifestations.

For a symbolist writer the city is not only the space for thinking, but also the personified creative image; to the extent that it is the symbol of dynamism, modernity and innovation; and as result the space for action. Reason for such inspiration is always a certain methodological alteration or certain variation. We should also consider the previous and parallel periods of modernist era, the classical-realistic movements with outlined perception of materialization of subjects and events and sometimes with pseudo and utilitarian deviations; the counter-position or opposition of the given approach was formed in the modernist (in the given case symbolism) worldview; such perception saw reflection and became the characteristic feature of modernist methodic in the French, Russian and Georgian creative discourse.

To main codes of perception of the city, as of the creative space, are revealed: 1. City-bridgehead, the arena for physical existence, with the strictly restricted requisite of anaestheticity and randomness; 2. City-symbol, with the motivation of creative-symbolic perception, with the deliberate, conceptual-binary essence towards the new, paradigm of creative reconsideration. The second scheme must be noted too (mainly in the symbolistic discourse), which is related to the certain materialization of the city concept: on one hand the city is displayed as the generally congregatory, conceptual, schematic image, for example as: Paris, Petersburg, Moscow, Tbilisi or additionally the imaginary city with Biblical and antique (eternal) symbolic features and with all the parameters and characteristics of the worldview perception. In parallel with the given perception appears the specific thinking space, also characterized with all the methodological features.

Every symbolist worldview poet has reflected city topic in their works; series and poems have been created with the city topic dominating in their titles and essence. Certain city philosophy has been formed; “city myths” have been created, in which the reality intermixed with fantasy and tradition.

ნიკოლაი კონრადი

თანამედროვე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის  
პრობლემები

I

უკვე დიდი ხანია თანამედროვე კულტურული ქვეყნების, ყოველ შემთხვევაში ევროპული სახელმწიფოების, ლიტერატურული სამყარო ორი ელემენტისგან – ამავე ქვეყანაში შექმნილი და უცხოური ლიტერატურებიდან შემოტანილი თხზულებებისგან შედგება. წესად იქცა, რომ ამა თუ იმ ლიტერატურის ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები სხვა ქვეყნის ლიტერატურულ სამყაროს სწრაფად შეეთვისება და გარკვეულწილად მის კუთვნილებად იქცევა ხოლმე. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იმის შეთვისება ხდება, რაც ამ ქვეყნისთვის განსაკუთრებულად საყურადღებოა, მისი ლიტერატურული გარემოსათვისა და საზოგადოებრივი აზროვნებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანია; ან რაც ხელს უწყობს იმ ქვეყნის ლიტერატურული სიტუაციისა და საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობის გაგებას, სადაც ეს ნაწარმოები შეიქმნა. თუმცა, ხშირად ისეთი ტექსტებიც შემოდის ხოლმე, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში მხოლოდ ხანმოკლე, მაგრამ ხმაურიანი წარმატება ხვდა წილად; ხშირად მსგავს გადანაცვლებას ექვემდებარება ყველაფერი, რაც სალიტერატურო პროცესში მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოა.

ქვეყნისთვის, რომელშიც ამგვარი უცხო ლიტერატურა სისტემატიურად შემოდის, ამ უკანასკნელის როლი ზოგჯერ ძალზედ დიდია. არის შემთხვევები, როდესაც უცხო ლიტერატურის რომელიმე ნაწარმოები გაცილებით მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე საკუთარ წიაღში წარმოშობილი ტექსტი; ამავედროულად, ის ამ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზრზეც დიდ გავლენას ახდენს.

უკანასკნელი ასწლეულის მეორე ნახევარში ამგვარი სურათი მხოლოდ ევროპული ლიტერატურული სამყაროსთვის არაა ნიშანდობლივი. ზემოთ თქმული, მაგალითად, სრულიად მიესადაგება იაპონიასაც. ამ ქვეყნის შესახებ ალბათ, მეტის თქმაც შეიძლება: თარგმანის მეშვეობით მის ლიტერატურულ სამყაროში სრული სახით არსებობს არა მხოლოდ ევროპისა და ჩინეთის კლასიკური ლიტერატურა, ისევე როგორც ყველაფერი, რაც XX საუკუნის ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურებში თვალსაჩინო იყო, არამედ, თითქმის ყველაფერი ისიც, რაც საყურადღებოდ იქცა სხვა ქვეყნების მიმდინარე ლიტერატურებში. ხოლო, თანამედროვე ჩინეთის ლიტერატურულ სამყაროში, როგორც თარგმანთა რაოდენობით, ისევე საზოგადოებრივი მნიშვნელობითაც, ბოლო დრომდე საკმაოდ იგრძნობოდა რუსული საბჭოთა ლიტერატურის

თანაარსებობა\*. მოკლედ რომ ითქვას, ერთი ქვეყნის ლიტერატურულ სამყაროში სხვა ლიტერატურათა შეღწევის პროცესი ასწლებულის მეორე ნახევარში, თითქმის მთელ კულტურულ კაცობრიობაზე გავრცელდა. ეს პროცესი, თავისი მასშტაბის, ინტენსიურობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით კვლავ ვითარდება.

იგი საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მოიცავს მრავალ წინააღმდეგობასა და შეჯახებას, მაგრამ ის მაინც მიმდინარეობს, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კი – მასზე თვალის დევნება და შესწავლაა. ეს ხომ ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენაა: საუბარი ყოველი ცალკეული ქვეყნის ლიტერატურისა და მსოფლიო ლიტერატურის\*\* სტრუქტურას ეხება.

ერთი ლიტერატურის მეორეში შეღწევის ძირითადი იარაღი, რა თქმა უნდა, თარგმანი გახლავთ. თუმცა, მთარგმნელი მხოლოდ „შუამავალი“ არ არის. სხვა ენაზე დაწერილი ნაწარმოების საკუთარზე გადმოღება ყოველთვის შემოქმედებითი აქტია. თარგმანის შექმნა საკუთარი ლიტერატურის ამა თუ იმ დონის გამდიდრებაა. მშობლიური ენის ორბიტაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოები მისგან განუყოფელია; ხოლო სხვა ენაზე მისი გამოჩენა უკვე ამ ქვეყნის ლიტერატურულ ორბიტაზე მოხვედრას ნიშნავს. ამიტომ, არა მხოლოდ მწერლები, არამედ მთარგმნელებიც, ამავედროულად ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის მოღვაწეები არიან.

ამასთანავე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, იმისთვის რომ ერთმა ლიტერატურამ მეორის სამყაროში შეაღწიოს, თარგმანი სრულიად არ არის საჭირო. ერთსა და იმავე – ინგლისურ ენაზე კითხვისთვის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების მკითხველებს თარგმანი არ სჭირდებათ. არც ესპანეთისა და ცენტრალური, თუ სამხრეთ ამერიკული ქვეყნების (ბრაზილიის გარდა) მკითხველებს სჭირდებათ ის, ამავე ქვეყნების მწერალთა მიერ შექმნილი ნაწარმოებების გასაცნობად. პორტუგალიელი და ბრა-

\* რუსული საბჭოთა ლიტერატურის ჩინურ კულტურაზე მოხდენილი გავლენის დასახასიათებლად, კონრადი შემოაქვს ახალი ტერმინი – „ლიტერატურის თანაარსებობა“; ამგვარად, მეცნიერი განასხვავებს ერთიანი ლიტერატურულ-კულტურული სივრცის შექმნის პროცესის სხვადასხვა ფორმებს: თუ კულტურათა შორის ამა თუ იმ ტიპის სიახლოვე არსებობს, თარგმნილი ნაწარმოებიც მიმღები კულტურის „კუთვნილებად იქცევა“. თუმცა, საბჭოთა კულტურა ფეოდალური აზროვნების გამომხატველი იმდროინდელი ჩინური კულტურისგან იმდენად განსხვავდებოდა, რომ მათი ლიტერატურების შერწყმა სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ პერიოდში ჩინურ ენაზე ნათარგმნი რუსული საბჭოთა ლიტერატურა, მხოლოდ და მხოლოდ, თანაარსებობს ჩინურ ეროვნულ ლიტერატურასთან და მისი განვითარების პროცესზე გარკვეულ იდეურ ზეგავლენას ახდენს [ირინე მოდებაძე].

\*\* გასული საუკუნის 60-იან წლებში კონრადი ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ცნებების განსაზღვრის გზებს იკვლევდა; თავის მსჯელობებში იგი „ნაციის“ მარქსისტულ ცნებას ემყარება, რომელიც პოლიტიკურ-ტერიტორიული დატვირთვის მატარებლად მოიაზრება (იხ. ი. სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“); ამიტომ „ნაციონალური“ ლიტერატურის ცნებას კონრადი უკავშირებს „ქვეყნებს“, ანუ იმ სახელმწიფოებს, ვის ტერიტორიაზეც შეიქმნა და რომლის „ხალხის“ (მოსახლეობის) ინტერესებს გამომხატავდა ეს ლიტერატურა [ირინე მოდებაძე].

ზილიელი მკითხველები ორივე ქვეყანაში შექმნილ ნაწარმოებებს ორიგინალში კითხულობენ. ინდოეთის საზოგადოების განათლებული ფენების წარმომადგენლებსაც შეუძლიათ თარგმანის გარეშე ინგლისურენოვანი ლიტერატურის წაკითხვა. თურქეთის, არაბული ქვეყნების, ინდო-ჩინეთის მრავალ მკითხველს კი არ სჭირდებათ თარგმანი ფრანგულ ენაზე დაწერილი თხზულებების გაცნობისთვის. სკანდინავიური ქვეყნების მკითხველებიც გერმანულენოვან ლიტერატურას მეტწილად ორიგინალში ეცნობიან. სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში კი მათულობს მათი რიცხვი, ვისთვისაც თარგმანის გარეშე ხელმისაწვდომია რუსულენოვანი ლიტერატურა. ანუ, რომელიმე ქვეყნის ლიტერატურა, ამავე დროს, სხვა ქვეყნების ლიტერატურების კუთვნილებად იქცევა, როგორც თარგმანის მეშვეობით, ასევე მის გარეშეც; უკანასკნელ შემთხვევაში ეს ხდება ამ ქვეყნების მოსახლეობის ერთენოვანების, ან გარკვეული უცხო ენის ფართოდ გავრცელების შედეგად.

თუ ამ მოვლენის მასშტაბს გავითვალისწინებთ, ნათელი ხდება ლიტერატურათა ურთიერთშერწყმის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ლიტერატურული კავშირების საყოველთაო ხასიათი. ამიტომაც, ჩვენს დროში ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ არსებით ამოცანად ასეთი კავშირების შესწავლა იქცევა.

ჩვენ ვცხოვრობთ ნაციონალური ლიტერატურების ხანაში. რა თქმა უნდა, ტერმინ „ნაციონალური ლიტერატურის“ გააზრება მისი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობით უნდა მოხდეს, – როგორც ლიტერატურის გარკვეული, ზოგადი ხარისხის აღმნიშვნელი. ამ გაგებით „ნაციონალური ლიტერატურა“ – ის ლიტერატურაა, რომელიც მაშინ წარმოიშვება, როდესაც თვით ხალხი, თავისი ისტორიული განვითარებით ნაციის დონეს აღწევს, – ამ საზოგადო კატეგორიის მარქსისტული გაგებით. ამასთანავე, გრძელდება იმ ნაციონალური ლიტერატურების არსებობაც, რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ ისინი „ძველია“, მაღალხარისხოვანია; ასეთია, მაგალითად, ევროპული ლიტერატურების უმრავლესობა; აქვე ვხედავთ ჯერ კიდევ „ახალგაზრდა“ ლიტერატურებსაც, ანუ იმ ლიტერატურებს, რომლებიც ნაციონალური სახით არც ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდნენ; ასეთებია: ქართული, სომხური, იაპონური, თურქული, სპარსული; ვხედავთ იმ ლიტერატურებსაც, რომელთა, როგორც ნაციონალური ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება; ასეთ სურათს ვაწყდებით ძალიან ძველ, მაგრამ ბოლო დრომდე, ამა თუ იმ მიზეზის გამო, საზოგადოებრივი განვითარებით ჩამორჩენილ ხალხებში, როგორებიც არიან ჩინელები, ინდოეთის ხალხები; ხოლო საბჭოთა აღმოსავლეთის, არაბული სამყაროს, ინდონეზიისა და ინდოჩინეთის ხალხთა ნაციონალური ლიტერატურები ჩვენს თვალწინ ყალიბდება.

ეს მოვლენები ძალზედ მნიშვნელოვანია და იმის დასტურს წარმოადგენს, რომ წარსულს ჩაბარდა ნაციონალური ლიტერატურების სივრცის მხოლოდ ევროპით შემოფარგვლის ეპოქა. ჩვენს დროში, განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე მყოფი ნაციონალური ლიტერატურები – მსოფლიოს ყველა კულ-

ტურული ერის კუთვნილებაა. ეს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო, მსოფლიო-ისტორიული მარცხის პროცესის ერთ-ერთი შესანიშნავი შედეგია, იმ სისტემისა, რომელმაც ქვეყნების დიდი რაოდენობა, მათ შორის ძველი კულტურების მქონენიც, კოლონიურად, ნახევრად კოლონიურად, ან უმთავრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოკიდებულად აქცია. ამ ყველაფერმა კი მათი ეკონომიკური, სოციალური და ნაციონალური განვითარება შეანელა. ახლა კოლონიალიზმის სისტემა დაინგრა და ყოფილი კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ნაციონალური განვითარების აჩქარება უკვე იგრძნობა, რაც როგორც მათი ლიტერატურების, ისევე მსოფლიო ლიტერატურის სტრუქტურაზეც ზემოქმედებს.

თვალსაჩინოა კიდევ ერთი მოვლენა: ადრე, ნაციონალურ ლიტერატურებზე საუბრისას ბურჟუაზიული ერების ლიტერატურებს ვგულისხმობდით, – ახლა კი სოციალისტური ნაციების ლიტერატურებზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ; გაირკვა რომ ნაციონალური ლიტერატურებისთვის სრულიად არ არის აუცილებელი ისტორიული განვითარების ყველა საფეხურის გავლა. თუკი თანამედროვე რუსული ლიტერატურა სოციალისტური ნაციის ლიტერატურად იქცა, – ამავდროულად მას, როგორც ბურჟუაზიულ ერს დიდი და სახელოვანი ლიტერატურული ისტორია ჰქონდა, მაშინ როცა მრავალი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა, მაგალითად უზბეკური, ყაზახური და აზერბაიჯანული, სოციალისტურ ნაციათა ლიტერატურების სახით ვითარდებიან, თუმცა, მათი წარსული განვითარება „ხალხურობის“ ეტაპს ესადაგებოდა, მაქსიმუმ, მათში ადრეულ-ბურჟუაზიული „განმანათლებლობის“ ჩანასახებს თუ შევნიშნავდით.

განვითარების ტემპებიც არათანაბარია. იაპონურმა ნაციონალურმა ლიტერატურამ ბურჟუაზიული ლიტერატურის განვითარების ყველა „კლასიკური“ ეტაპი განვლო, – თუ „კლასიკურად« ინგლისის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ხალხთა გზას მივიჩნევთ, ანუ, კლასიციზმის, რომანტიზმის, რეალიზმის, ნატურალიზმისა და სიმბოლიზმის გზას; მაგრამ თუ ფრანგულ ლიტერატურას ამისთვის მთელი XIX საუკუნე დასჭირდა, იაპონურმა ეს გზა მაქსიმუმ 40 წელში – XIX საუკუნის 70-ანებიდან XX ს.-ის 10-იან წლებამდე განვლო. ჩინეთის ლიტერატურა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისამდე „განმანათლებლობის ეპოქის“ ფარგლებს ვერ აღწევდა, ანუ ჯერ კიდევ ფეოდალიზმის პირობებში ვითარდებოდა, როგორც ადრეული ბურჟუაზიული ლიტერატურა, XX საუკუნის 20-ანი წლებიდან სოციალისტური ნაციის ლიტერატურის ტიპთან მიახლოვებას იწყებს და სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, უკვე ამ სახით მკვიდრდება. განსაკუთრებული სიჩქარით ვითარდებიან საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურები. გზა აბაიდან „აბაის გზამდე“\*

\* აბაი – აბაი კუნანაევი (1845-1904) – ცნობილი მგოსანი, პოეტი, განმანათლებელი, მოაზროვნე; ახალი დამწერლობის ყაზახური ლიტერატურის ფუძემდებელი; „აბაის გზა“ – ცნობილი ყაზახი მწერლის მუხტარ აუეზოვის (1897-1961) რომანი-ეპოპეა – აბაი კუნანაევის ცხოვრების შესახებ [ირინე მოღებაძე].

– სიმღერის პოეზიიდან თანამედროვე რომანამდე, სხვა ლიტერატურებისთვის უზარმაზარი მანძილი, – ყაზახურმა ლიტერატურამ სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში განვლო.

თუმცა, ტემპის აჩქარებას შესაძლოა ორგვარი შედეგი მოჰყვეს. ერთი მხრივ, მას შეუძლია სხვა ხალხთა განვითარებულ ლიტერატურებთან მიაახლოვოს აქამდე ჩამორჩენილი ლიტერატურა, მაგრამ მეორეს მხრივ, შესაძლებელია ამ ლიტერატურების დონეებს შორის არსებული სხვაობის გაღრმავებაც. ზუსტად ამგვარად, თურქეთს აქვს რომანტიზმისა და რეალიზმის საკუთარი ნიმუშები, მაგრამ არც ერთი არ მოიძებნება ისეთი, რომლის მსოფლიო რომანტიზმსა და რეალიზმში, ჰიუგოსა და ბალზაკის ნაწარმოებების გვერდით, თანაბარუფლებიანი ჩართვა შეგვეძლოს. მართალია, არსებობს რაბინდრანათ თაგორის შემოქმედების მსგავსი მოვლენებიც, მაგრამ ამას უფრო გამონაკლისის სახე აქვს. ამიტომ, თუ მაგალითად, ახალი დროის რეალიზმის ლიტერატურას მსოფლიოს მასშტაბით განვიხილავთ, მხატვრული მეთოდის იდენტურობასთან ერთად, საგრძნობ სხვაობებს დავინახავთ, რაც არა მხოლოდ ცალკეული ეროვნული ლიტერატურების თავისებურებებით, არამედ მათი იდეური და მხატვრული დონეებითაა განპირობებული.

ყველა ცალკეულ შემთხვევაში, ამ რთული სურათის გაგება მხოლოდ მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ლიტერატურათმორისი კავშირების გათვალისწინებითაა შესაძლებელი. არ გამოგვივა, მაგალითად, ახალი იაპონური ლიტერატურის ისტორიაში გარკვევა, თუ ამ ლიტერატურის რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, და შედარებით ნაკლებად – გერმანულ ლიტერატურებთან კავშირს არ გავითვალისწინებთ. თავიანთი ლიტერატურის ისტორიის შესწავლისას, ამ კავშირებს იაპონელ მკვლევართა არც ერთი ნაშრომი გვერდს არ უვლის; არსებობს სპეციალური კვლევები, სადაც ცხადი ხდება, ამა თუ იმ ლიტერატურის მნიშვნელობა იაპონური ლიტერატურის ცალკეული მიმართულებების ფორმირებისთვის, ცალკეული მწერლების შემოქმედებითი გზისთვის, ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის პროცესისთვის. შეუძლებელია სახალხო ჩინეთის ლიტერატურის განვითარებაში გარკვევა, მისთვის რუსული საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული გამოცდილების მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე. ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ესპანეთისა და სკანდინავიური ქვეყნების ახალი ლიტერატურები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ევროპის ხალხთა ლიტერატურებთან დაკავშირებულია რუსული კლასიკური ლიტერატურაც. თანამედროვე კულტურული ხალხების ახალი დროის ყველა ლიტერატურა, ასე თუ ისე, ერთმანეთს არსებითად უკავშირდება და მათი განვითარება ამ კავშირის პირობებში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. ეს გარემო არა მხოლოდ არ გამორიცხავს თვითეული ნაციონალური ლიტერატურის დამოუკიდებლობას, არამედ, პირიქით, გაცილებით მეტ რელიეფურობას ანიჭებს მის ეროვნულ თავისებურებას.

ეს პირობები ახალი ლიტერატურული ერთობის – მიმართულებათა, იდეური შინაარსისა და მხატვრული მეთოდის ერთიანობის ფორმირებისთვის

საც ამზადებენ ნიადაგს. ამგვარი ერთობის მაგალითს გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურები. მრავალი მიმართულებით სიახლოვესა ან ერთიანობას დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტური ლიტერატურებიც დემონსტრირებენ.

ლიტერატურული ერთიანობა შესაძლოა ჩამოყალიბდეს საერთო ისტორიული ბედისა და ამოცანების ნიადაგზეც. ასე ერთიანდებიან ინდოეთის სხვადასხვა ხალხების და არაბული სამყაროს განვითარებადი ლიტერატურები, რომელთა ერთიანობას შეგვიძლია „ნაციონალური აღორძინების ლიტერატურა“ ვუწოდოთ. ჩვენი დრო – ნაციონალური ლიტერატურების ეპოქაა, მაგრამ, ამავდროულად, იგი ლიტერატურული ერთიანობების ეპოქაც არის. ვინაიდან, ნაციონალური ლიტერატურები ინტენსიურ და მრავალგვარ საერთაშორისო ლიტერატურული კავშირების გარემოში ვითარდებიან, ლიტერატურული ერთიანობებიც ამავე გარემოში ყალიბდება. ამიტომ მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობის კავშირების შესწავლა უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენს მიერ ასახული მსოფლიო ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობის სურათი შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა მრავალგვარად შეიძლება გავიაზროთ იმის მიხედვით, თუ რას სწავლობს იგი. შეგვიძლია ვიგულისხმოთ ორი, ან მეტი ცალკეული ლიტერატურის შესწავლა, თუკი წარსულში მათ შორის ისტორიული ერთიანობა არსებობდა. ამ შემთხვევაში, ყოფილი ერთობიდან ცალკეული ლიტერატურების გამოყოფის პროცესისა და ამ ლიტერატურების დამოუკიდებელ მოვლენათა სახით ჩამოყალიბების შესწავლით შემოვიფარგლებით. ამგვარად, შესაძლებელია, მაგალითად, ირანული წარმოშობის ორი ხალხის – სპარსელებისა და ტაჯიკების – ნაციონალური ლიტერატურების ჩამოყალიბების პროცესის შესწავლა.

შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში ასევე შეგვიძლია ვიგულისხმოთ სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურებში წარმოშობილ მოვლენათა შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა, რომელიც გარკვეული ისტორიული ერთიანობის წიაღში ჩამოყალიბებულ მოვლენებზე ვრცელდება. ამ კუთხით შესაძლებელია XIX საუკუნის კლასიკური რეალიზმის კვლევა. ამგვარი მიდგომისას საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთისა, სხვა ევროპული და ზოგიერთი აზიური ქვეყნის ლიტერატურებს ერთმანეთთან შედარებით-ტიპოლოგიური ასპექტით ვადარებთ. კვლევის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, შეგვიძლია რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის, მთელი მისი სირთულით გააზრება; მეორე მხრივ – საშუალება გვაქვს გამოვავაშკაროთ რეალიზმის ის ნაირსახეობა, რომელიც ამ ლიტერატურულ ერთიანობაში მყოფ ქვეყნებში აღმოცენდა.

შედარებით-ტიპოლოგიური ასპექტით შეგვიძლია ისტორიული ერთიანობის ფარგლებში ან ყოველგვარი კავშირების გარეშე სხვადასხვა ლი-

ტრატურებში ჩამოყალიბებული, მათ შორის, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში წარმოქმნილი მოვლენებიც კი ვიკვლით. მაგალითად, ცხოვრებათა ჟანრის ლიტერატურა, რომელიც ევროპის ხალხებში ქრისტიანობის წიაღში განვითარდა, ხოლო აზიის ხალხებში – ბუდიზმის შიგნით წარმოიშვა. ამ შემთხვევაში კვლევის მიზანი თითოეული ამ მოვლენის ანალიზია – რომელიც უფრო მეტად სრულყოფილი იქნება მათი ერთმანეთთან შეპირისპირების შემთხვევაში, ვიდრე სათითაოდ, იზოლირებული შესწავლისას.

შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლის ამოცანად შეიძლება დაისახოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოშობილ მოვლენათა შორის ტიპოლოგიური მსგავსების დადგენა. მაგალითად, ჩემი ვარაუდით, შესაძლოა დამტკიცდეს დასავლეთევროპული სარაინდო რომანისა და იაპონური „სამხედრო ეპოპეების“ (გუნკის), ან განმანათლებლობის ეპოქის ევროპული სატირული რომანისა და XIX საუკუნის ჩინური მამხილებელი რომანის ტიპოლოგიური მსგავსება.

და ბოლოს, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა სხვადასხვა ხალხების ლიტერატურათა კავშირებსაც გულისხმობს. ამ შემთხვევაში კვლევის ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ კავშირების არსებობის დადგენა, მათი ისტორიული მიზეზების, ხასიათის, გზებისა და საშუალებების გამოკვლევაა; ხოლო, მეორე მხრივ – ამ კავშირების შედეგების ახსნა, როგორც ცალკეული ლიტერატურებისთვის, ასევე იმ ლიტერატურათა ერთიანობისათვის, რომელზეც ეს კავშირები ვრცელდება. ზემოთ აღწერილი მსოფლიო ლიტერატურული რეალობის სურათი შედარებით-ისტორიული შესწავლისაკენ გვიბიძგებს. ამისათვის აუცილებელია თანამედროვე მეცნიერების მიერ ამ დარგში მოპოვებულ მასალას მივმართოთ.

## II

კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენს დროში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა დასავლეთში სწორედ ბოლოს ხსენებული მიმართულებით ვითარდება. სხვადასხვა ქვეყანაში მას განსხვავებულ სახელს უწოდებენ: ფრანგები საუბრობენ *littérature comparée*-ზე; იმავე სახელს, ოღონდ თავიანთ ენაზე, იყენებენ ინგლისელები და ამერიკელები – *comparative literature*; იაპონელები კი ხიკაკუ-ბუნგაკუ-ს უწოდებენ; გერმანელები იყენებენ ძველ ტერმინს – “*Vergleichende Literaturgeschichte*”. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა ყველა ქვეყანაში, ცალკეულ ავტორებთანაც კი, კვლევის ძირითადი ობიექტის მიხედვით გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა: გერმანელები და ფრანგები იყენებენ *Stoffgeschichte*-ს, თუ ისინი იკვლევენ ისეთ მოვლენას, რასაც აღნიშნავენ ტერმინით *themes, types, myths, legends*; გერმანელ და ზოგიერთ იტალიელ ლიტერატურათმცოდნესთან ვხვდებით ტერმინს – *Allgemeine Literaturgeschichte*. მიუხედავად ამ განმასხვავებელი ნიშნების არსებობისა, მთლიანობაში ეს მიმართულება ერთიანი სპეციფიკით ხასიათდება, რის გამოც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ზოგად ისტორიაში იგი ახალ მოვლენას წარ-

მოადგენს. ყველაზე ნათლად ეს სპეციფიკა ვლინდება ფრანგ მკვლევართა შრომებში, ისინი თანამედროვე დასავლეთევროპული და ამერიკული შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ფუძემდებლები არიან. ამიტომ, უპირველესად მათი შრომებია საყურადღებო.<sup>1</sup>

იოზეფ ტეკსტმა, რომელსაც ფრანგები ერთხმად *litterature comparee*-ს ფუძემდებლად მიიჩნევენ, ჯერ კიდევ 1890 წელს განსაზღვრა ახალი მიმართულების გენეალოგია: „ჩვენთვის გზა გეორგ ბრანდესმა, მაქს კოხმა, ერიჰ შმიდტმა და პოზნეტმა გაკვალეს“<sup>2</sup>, – გამოაცხადა მან.

ეს საწყისები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. ერთი მხრივ, ბრანდესის ნაშრომი „XIX საუკუნის ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობები“ და მეორეს მხრივ, მაქს კოხის ჟურნალი „*Zeitschrift für Vergleichendes Literaturgeschichte*“; პოზნეტის შემთხვევაში კიდევ უფრო განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ბრანდესის კონცეფციაში ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი იდეა გახლავთ, – მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ერის გენიოსი „რათა არ დაიხშოს“ მუდმივად საჭიროებს სხვა ხალხთა გენიოსებთან შეხებას, რაც მას განვითარებისთვის ახალ ძალებს ჰმატებს.<sup>3</sup> თუ გასული საუკუნის დამლევის მაქს კოხის ხელმძღვანელობით გამოცემული ჟურნალის ტომებს გადავხედავთ, *Stoffgeschichte*-ს გარკვეული ნიშნების გარდა, შევამჩნევთ სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურების ერთმანეთთან ურთიერთგავლენებით დაკავშირების მცდელობისკენ სწრაფვას. ხოლო პოზნეტის მიერ წარდგენილი მიმართულებისათვის დამახასიათებელია XIX საუკუნის სოციოლოგიაზე ორიენტირება, იგი მას სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურებში არსებული საერთო ნიშნების ასახსნელად მიმართავს. ნათელია, რომ ტეკსტის მიერ დასახელებული ლიტერატურათმცოდნეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ორიენტირად სწორედ მათი, და არა სხვების დასახვა, თავისთავად ძალზედ თვალსაჩინოა. შესამჩნევია, რომ გასული საუკუნის დამლევის ფრანგ მეცნიერებს წინამორბედებისგან განსხვავებული გზით სიარული სურდათ.

ამ ახალი გზის არსი 1924 წელს პოლ ვან ტიგემმა ჩამოაყალიბა ნაშრომში „პრერომანტიზმი“: „შეუძლებელია, ამა თუ იმ ერის რომელიმე ეპოქაში ისტორიული არსებობა სრულფასოვნად გავიაზროთ, ზოგადად ამ ეპოქის, დედამიწის იმ ნაწილის ისტორიის შესწავლის გარეშე, სადაც ეს ქვეყანა არსებობს. ასევე შეუძლებელია სრული და ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნას ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურული ისტორიის განვითარების რომელიმე მომენტის შესახებ, თუ იგი არ განიხილება დიდი ერთიანობის ნაწილად... რა თქმა უნდა, – ამატებს პოლ ვან ტიგემი, – ყველა ეროვნულ ლიტერატურას თავისი, საკმაოდ მტკიცე ტრადიციები გააჩნია, რომლებიც საკუთარი, ინდივიდუალური სახის შენარჩუნების საშუალებას იძლევა, მაგრამ ყოველი ასეთი ლიტერატურა მუდმივად ხვდება ხელოვნების ახალ იდეებსა და შეგრძნებებს, რომლებიც ამყარებენ და ამავე დროს ცვლიან კიდევ მას. ამ საერთაშორისო დინების შესწავლა არა ნაკლებ საჭიროა, ვიდრე ეროვნული ტრადიციების კვლევა“.<sup>4</sup>

1931 წ. გამოცემულ წიგნში “La litterature comparee”, – სადაც ფორმული-რეზუმულია ამ მიმართულების პრინციპები, განისაზღვრება ამოცანები, დგინდება მეთოდები, ცნობილია, რომ ეს არის პირველი ნაშრომი, რომელშიც ახალი მიმართულების ისტორია განიხილება – პოლ ვან ტიგემი წერს: „La litterature comparee ყველა ეროვნული ლიტერატურის ისტორიის ნაწილია, რომელიც მისი განვითარების თითოეულ ეტაპზე ხსნის ამ ლიტერატურის კავშირებს სხვა ხალხთა ლიტერატურებთან. წინანდელ კვლევებთან შედარებით La litterature comparee ამით ეროვნული ლიტერატურის ისტორიულ-ლიტერატურულ კვლევათა მეცნიერულ ღირებულებას საგრძნობლად ზრდის“.<sup>5</sup>

პოლ ვან ტიგემის ამ სიტყვებში საყურადღებოდ მიგვაჩნია ის, რომ ცალსახად გამოიყოფა ეროვნული ლიტერატურების, ანუ ცალკეულ ხალხთა ლიტერატურების შესწავლის მნიშვნელობა. იაპონიაში ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელი კ. ნაკაძიმაც ხაზს უსვამდა იმას, რომ საუბარი სწორედ საკუთარი ლიტერატურის შესწავლას ეხება; იგი დაჟინებით ამტკიცებს, რომ მკვლევარი მიეკუთვნება და უნდა მიეკუთვნებოდეს კიდეც, სწორედ საკუთარი ლიტერატურის მკვლევართა ბანაკს.<sup>6</sup>

ამას ამტკიცებს თანამედროვე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ორი წარმომადგენელი, ეს მტკიცება და მით უფრო – თვით კვლევები, რომლებიც ამ ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის წიაღში შესრულდა, გვიჩვენებენ, რომ შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მდგომარეობა წინანდელისაგან მართლაც ძალზედ განსხვავდება. წინა ეტაპი XIX ს-ის 30-ანი წლებით თარიღდება და მისი განვითარება ეთნოგრაფიის განსაკუთრებულ წინსვლას უკავშირდება. ეთნოგრაფიამ ერთმანეთისგან სრულებით განსხვავებული ხალხების შემოქმედებისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოაჩინა, მათ შორის (შესაძლოა, გამორჩეულადაც), საზოგადოების განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურებზე მყოფი ხალხების მიმართ. ასეთმა ყურადღებამ მსოფლიო, ზოგადსაკაცობრიო თემების, სიუჟეტებისა და სახეების გარკვეული ფონდის გამოვლენისკენ სწრაფვა გამოიწვია. არსებითად, აღნიშნულ ეტაპზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა ამ სიუჟეტებისა და სახეების, მათი დროში მოძრაობისა და სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურებში, განსხვავებულ ეპოქებში პირდაპირი, უშუალო, ან არაპირდაპირი, გაშუალებული გამოვლენების შესწავლისაგან შედგებოდა. როგორც ცნობილია, ამ ტიპის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა იაკობ გრიმის, ბოპისა და გასტონ პარის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული.

ნათელია, თუ რით განსხვავდება თანამედროვე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა წინანდელისგან. ის საერთაშორისო, კონკრეტულ, ისტორიულ-ლიტერატურულ კავშირებს სწავლობს. სწორედ ასე აყალიბებს მის ამოცანას 1951 წელს მ. ფ. გიუიარი ნაშრომში “La littérature comparée”, – რომელიც იმავე სახელწოდებისაა, რაც თავის დროზე, პ. ვან ტიგემმა საკუთარ კვლევას ანალოგიური ჩანაფიქრით უწოდა.

თუ *La littérature comparée*-ს წარმომადგენელთა მიერ შექმნილ უზარმაზარ სამეცნიერო ლიტერატურას მოვიხმობთ, აღმოჩნდება, რომ საქმე ძირითადად ცალმხრივ, თუ ორმხრივ ზეგავლენათა შესწავლას ეხება.

ჩვენი აზრით, ერთი ლიტერატურის მეორეზე ზეგავლენისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის, კვლევის მეთოდით, თვალსაჩინოა მეგრონის „რომანტიზმის ეპოქის ისტორიული რომანი“<sup>8</sup> და ეგლის „შილერი და ფრანგული რომანტიზმი“<sup>9</sup>. პირველი ნაშრომის ავტორი საფრანგეთში ისტორიული რომანის წარმოშობის კვლევისას გვიჩვენებს, თუ რა როლი შეასრულა ამ პროცესში ვალტერ სკოტის შემოქმედებამ. ეს ნაშრომი იმის მაგალითია, თუ როგორ ხდება ფრანგი მეცნიერების მიერ გარკვეული ჟანრის ფარგლებში ერთი ლიტერატურის მეორეზე გავლენის აღმოჩენა. ხოლო ეგლის ნაშრომი თვალსაჩინოს ხდის, თუ როგორ წარმოაჩინენ ერთი ქვეყნის ლიტერატურული მოვლენის გავლენის პრობლემას მეორე ქვეყნის გარკვეული მიმართულების ჩამოყალიბების პროცესზე, – თავდაპირველად დრამატურგიაზე, ხოლო შემდგომ, მისი მეშვეობით, მთელს დანარჩენ ლიტერატურაზე. პ. აზარის ნაშრომი „დიდი ფრანგული რევოლუცია და იტალიური ლიტერატურა“<sup>10</sup> გვიჩვენებს, თუ როგორ სწავლობდნენ ფრანგი ლიტერატურათმცოდნეები, მთლიანობაში, ერთი ქვეყნის ლიტერატურის გავლენას მეორე ქვეყნის ლიტერატურაზე.

ორი ლიტერატურის ურთიერთგავლენის შესწავლის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ესტევის გამოკვლევა „ბაირონი და ფრანგული რომანტიზმი“.<sup>11</sup> ავტორი თავდაპირველად იკვლევს ბაირონის შემოქმედების იმ მხარეებს, რომლებიც ამ ავტორთან ფრანგების გავლენით განვითარდა. მაგალითად, ესტევი მიიჩნევს, რომ „კორსარის“ ინდივიდუალიზმი და გრძნობათა კულტი. მრავალი თვალსაზრისით, რუსოს „ახალი ელოიზა“-დან მომდინარეობს; „დონ ჟუანის“ სკეფსისი კი მეტწილად ვოლტერის „კანდიდის“ გავლენით წარმოიშვა; რაც შეეხება „მანფრედის“ და „ჩაილდ ჰაროლდის“ „მსოფლიო სევდის“ მოტივს, ზოგი რამ შატობრიანის „რენედანაა“ ამოზრდილი. მისი აზრით, სპონტანურად გაჩენილი და ფრანგთა გავლენის მეშვეობით გაძლიერებული ეს ელემენტები გარდაისახა ბაირონის ინდივიდუალურ შემოქმედებაში და ასეთი რთული შერწყმით ახალი მხატვრული თვისებები შეიძინა.

საფრანგეთისგან ასე ბევრის მიმღებმა ბაირონმა, ამ ქვეყანას მოგვიანებით დაუბრუნა ვალი. მისი „ჩაილდ ჰაროლდი“, „კორსარი“ და „მანფრედი“, ესტევის აზრით, ფრანგებს შატობრიანის „ქრისტიანული სულის“ – 20-ანი წლების კათოლიკური რეაქციისა და პოლიტიკური კონსერვატიზმის დროშისაგან გათავისუფლებასა და რომანტიკული ლიტერატურის ეპოქის მონინავე იდეებისა და განწყობების გამომხატველად ხელახლა ქცევაში დაეხმარა. ბაირონმა გაამყარა ის მხარე, რომელსაც მემარცხენე, დემოკრატიულ რომანტიზმს უწოდებენ.

ეს რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს *litterature comparee* წარმომადგენელთა ძირითად იდეას – თავისი ქვეყნის ლიტერატურის მოვლენათა უკეთესი გაგებისათვის აუცილებელია მისი სხვა ქვეყნების ლიტერატურებთან კავ-

შირების გათვალისწინება. ამავე დროს ესტევის წიგნი იმასაც გვიჩვენებს, თუ როგორ დგინდება რამდენიმე ქვეყნის ლიტერატურათა ერთობლიობა.

ჯერ კიდევ პოლ ვან ტიგემმა მოხაზა თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ასეთ ერთიანობებში – ისინი თავისებური „სამეფოებია“ – *etats*, მაგრამ ძალზე თავისებური *etats de sensibilité, etats des idées littéraires...* ლიტერატურაში ასახული გარკვეულ გრძნობათა და იდეათა, გარკვეული თემებისა და ერთი და იმავე მხატვრული ფორმების სამეფოები... ასეთი „სამეფოების“ მკვლევრები ფაქტების ჯაჭვს ავლენენ, – ზოგჯერ პარალელურს, ზოგჯერ კი ერთმანეთთან გადაჯაჭვულს; პოულობენ სანყისებს, აფიქსირებენ წარმოშობას, თვალს ადევნებენ განვითარებას, აფასებენ მოდიფიკაციებს და აკვირდებიან ნიუანსებს.<sup>12</sup> ასეთი ერთიანობის დადგენის ამოცანისთვის გადამწყვეტი, დროისა და სივრცის თვალსაზრისით ყველაზე მასშტაბური შრომაა იმავე პოლ ვან ტიგემის „ლიტერატურის ისტორია ევროპაში და ამერიკაში რენესანსიდან ჩვენს დრომდე“.<sup>13</sup>

მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ლიტერატურული ერთიანობების საკითხისადმი გარკვეული სიფრთხილე შეინიშნება. მაგალითად, ჟ.-მ. კარე სიფრთხილისაკენ მოუწოდებს მკვლევრებს, თუკი ისინი ეხებიან ისეთ ცნებებს, როგორცაა: ჰუმანიზმი, კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი და რამდენიმე ხალხის ლიტერატურათა ერთიანობის ამ ცნებებით აღნიშვნა სურთ. იგი მიიჩნევს, რომ რამდენიმე ლიტერატურის გაერთიანება ასეთი ზოგადი აღმნიშვნელით შესაძლოა გადაჭარბებულ სისტემატიზაციაში გადაიზარდოს, აბსტრაქციად გარდაიქმნას და ცარიელ ფორმალობად იქცეს.<sup>14</sup>

ლიტერატურათაშორისი კავშირების კონკრეტული გამოვლინებების კვლევის პრაქტიკული სამუშაოების გარდა, ფრანგული შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენლებს ამგვარი კვლევების თეორიაც დაამუშავეს. ამ თეორიულ მსჯელობებში, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო მათ მიერ შემოთავაზებული ლიტერატურულ გავლენათა მექანიზმის კონცეფცია.

ისინი ამ მექანიზმში სამი ფაქტორის მოქმედებას განასხვავებენ: – *emetteur, iecepteur, transmetteur* – „*gamcemi*“, „*mimRebi*“ და „*gadamcemi*“. *zoghjer emetteur* -ის ნაცვლად იყენებენ ტერმინს *intermediaire*. ყველაზე დეტალურად „გადამცემის“ ანუ „შუამავლის“ საკითხია დამუშავებული.<sup>15</sup>

შუამავალი შესაძლოა იყოს ინდივიდუალური: პირი, ადამიანი; ან ჯგუფური – ლიტერატურული გაერთიანება, ჟურნალი. ინდივიდუალური შუამავლის მაგალითად ასახელებენ სტენდალს, ვინაიდან მან პირადად განახორციელა ფრანგული და ინგლისური ლიტერატურების დაკავშირება, და ჟ. დე სტალს, რომელმაც თავისი დროის ფრანგებს გერმანია და გერმანული ლიტერატურა აღმოაჩინა.<sup>16</sup> ჯგუფურ შუამავლად შეიძლება „პლუადების“ ჯგუფი დავასახელოთ. მან შეიყვანა ფრანგული ლიტერატურა იტალიაში ჩამოყალიბებულ რენესანსული ლიტერატურის ორბიტაზე, კერძოდ, ფრანგულ ლიტერატურაში შემოიტანა იტალიური პოეტური ფორმა – სონეტი. ფ. ბალდანს-

პერჟე ჯგუფურ შუამავლად მიიჩნევა დიდი ფრანგული რევოლუციისა და ნაწილობრივ, იმპერიის დროინდელ ფრანგულ ემიგრაციას: სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული ფრანგი ემიგრანტები გაეცნენ ინგლისის, გერმანიის, ესპანეთის, იტალიის, რუსეთის, ამერიკის ცხოვრებასა და ლიტერატურას, შემდგომ კი ამ ემიგრანტთა წრიდან გამოსულმა მწერლებმა ბევრი რამ თავიანთი სამშობლოს ლიტერატურაში შემოიტანეს.<sup>17</sup>

ფრანგული შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს *succes, fortune, influence*-ის სწავლება. „წარმატება“ გულისხმობს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერთი ქვეყნის ლიტერატურის ესა თუ ის მოვლენა სხვა ქვეყნის ლიტერატურისთვისაც; „ბედი“ ნიშნავს ამგვარი მოვლენის სხვა ქვეყანაში არსებობის ისტორიას; „გავლენა“ კი – ამგვარი არსებობის შედეგს გულისხმობს.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების თეორიისა და მეთოდის ამგვარი დამუშავების, ძირითადად, კი დაბეჭდვითი შესრულებული კონკრეტული სამუშაოების გამო, ფრანგულმა შედარებითმა ლიტერატურათმცოდნეობამ წამყვანი ადგილი დაიკავა XX საუკუნის პირველი ნახევრის მთელი დასავლეთის შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში.

### III

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მათ მიერ განეული სამუშაოსადმი? მიმაჩნია, რომ ის საკუთარ თავზე თავადვე მეტყველებს.

თანამედროვე ეტაპის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა – XX საუკუნის ღვიძლი შვილია. თუმცა, ლიტერატურული თეორია ხშირად თავისებური „ბოლოსიტყვაა“, რომელიც მასზე გაცილებით ადრე არსებულს მიეკუთვნება, ანუ ის წარსულის ნაწილია. პ. ვან ტიგემი ზემოთ ნახსენებ ნაშრომში ამ „ადრეულის“, „წინანდელის“ ყველაზე შორეულ საზღვარად აღორძინების ხანას მიიჩნევს; ხოლო გამოკვლევათა უმრავლესობის საგანი – XVII-XIX საუკუნეებში წარმოშობილი მოვლენებია.

ეს კი მაშინვე ამჟღავნებს საქმის მთავარ არსს.

აღორძინების ხანა – დროის ყველაზე შორეული წერტილია, საიდანაც შესაძლებელია თანამედროვე ევროპელი ხალხების ეროვნული ლიტერატურების ჩამოყალიბების პროცესს თვალი ვადევნოთ. XVII საუკუნე – ის დროა, როდესაც უკვე ნათლად გამოიკვეთა ამ ლიტერატურების ხასიათი. XIX საუკუნე – თითქმის ყველა ევროპელი ხალხის კლასიკური ფორმით გრანდიოზული განვითარების ეპოქაა. ამავდროულად, აღორძინების ხანაში იწყება საერთაშორისო ლიტერატურული კავშირების ფართო განვითარებაც; XVII საუკუნეში ისინი ნაციონალურ ლიტერატურებს შორის კავშირების ხასიათს იძენენ. ხოლო XIX საუკუნეში ლიტერატურათმცოდნეობის ურთიერთობანი უდიდეს დიაპაზონს აღწევს.

ფრანგმა ლიტერატურათმცოდნეებმა გაითვალისწინეს ეს ორმაგი პროცესი და ფაქტების მოხმობითა და თეორიული გზით ეცადნენ მის გაცნობიერ-

რებას. ამ დარგში ძალიან ბევრი საქმეა შესრულებული. მათი შრომების გარეშე შეუძლებელია XVII – XIX ს-ების ევროპული ლიტერატურების ისტორიის შესწავლა.

თუმცა, ამ პროცესის კვლევისას მისი ისტორიული არსის გააზრებაა საჭირო და ამასთან დაკავშირებით მისი ქვეშეპირი მასშტაბის წარმოდგენაც აუცილებელია. პროცესის არსი – ეროვნული ლიტერატურები, ანუ გარკვეული საზოგადოებრივ-ისტორიული ხარისხისა და სტრუქტურის მქონე ლიტერატურების შეჯამებაა; მასშტაბი კი მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემის შემადგენელი ქვეყნების ერთობლიობაა.

ამ სისტემის ჩამოყალიბება XVII საუკუნიდან იწყება. XVI საუკუნის მეორე ნახევრის ნიდერლანდური რევოლუცია – პირველი ბურჟუაზიული რევოლუციაა ისტორიაში. მას ასეთივე რევოლუციები მოჰყვა ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში. ევროპის ისტორიისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ფრანგულ ბურჟუაზიულ რევოლუციას ჰქონდა, მსოფლიოს სხვა კუთხეებისთვის კი – ინგლისურსა და ნიდერლანდურს. ჰოლანდიელებმა პირველებმა დაიწყეს კაპიტალისტური ურთიერთობების გავრცელება მთელ მსოფლიოში, ისინი ფეოდალური ქვეყნებისგან, ესპანეთისა და პორტუგალიისგან განსხვავებულად მოქმედებდნენ. საკმარისია 1692 წელს შექმნილი ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმიანობა გავიხსენოთ, რომლის კვალობაზეც მალე, იმავე მეთოდებით, ინგლისურმა და ფრანგულმა ოსტ-ინდოეთის კომპანიებმა დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა. ეს კომპანიები კი უკვე სუფთა კაპიტალისტური ტიპის ორგანიზაციები გახლდათ.

XVII ს-დან დაწყებული მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი XIX ს 40-50-იან წლებში დასრულდა. ამ მომენტად შეგვიძლია – ჩინეთისა და იაპონიის „კარის გაღება“ დავასახელოთ.<sup>18</sup>

რა თქმა უნდა, მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემას ქმნიდნენ კაპიტალისტური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნები, და ეს ამ სისტემაში მათ ადგილმდებარეობაზე ახდენდა გავლენას. ქვეყნების ნაწილი ამ სისტემაში თავიანთი ისტორიის ჯერ ფეოდალურ ეტაპზე, ან, უკეთეს შემთხვევაში – კაპიტალისტური ურთიერთობების დამწყებ საფეხურზე ჩაება. მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო სისტემაში ასეთმა ქვეყნებმა კოლონიების, ნახევრად კოლონიებისა ან სხვა ქვეყანაზე დამოკიდებული ქვეყნების ადგილი დაიკავეს.

კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა ყალიბდებოდა XVII – XIX საუკუნეებში, ამ პროცესს მოჰყვა არა მხოლოდ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების, არამედ კულტურული, მათ შორის ლიტერატურული კავშირების განვითარებაც, რომელიც მთელს მსოფლიოზე გავრცელდა. ცნობილია, რომ ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნების ლიტერატურები ინდოეთს, თურქეთს, მოგვიანებით – იაპონიასა და ჩინეთს აღწევნენ. აღმოსავლური ქვეყნების თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეებს ამ პერიოდის საკუთარი ლიტერატურის ისტორიის შესწავლისას კარგად ესმით ამ ფაქტის მნიშვნელობა.<sup>19</sup>

ეს კავშირები ორმხრივ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ ამ საუკუნეების ლიტერატურული პროცესის ანალიზისას, ეს ფაქტი დასავლურ ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომებში არ არის სათანადოდ შეფასებული. ცნობილი და შესწავლილია გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“, მაგრამ არის თუ არა საკმარისად შეფასებული პოეტის აღმოსავლეთთან მიმართების თვით ფაქტი, არა მხოლოდ მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ძალზედ სერიოზულ ეტაპზე, არამედ ახალი ევროპული ლიტერატურის მთელი ისტორიის მნიშვნელოვან მომენტში – განმანათლებლობის ეპოქის ლიტერატურიდან კაპიტალისტური ეპოქის ლიტერატურაში გადასვლისას? ცნობილია, თუ რა ყურადღებით ეცნობოდა ახლო აღმოსავლელ პოეტებს ვ. ჰიუგო, მაგრამ სათანადოდაა თუ არა შეფასებული ის ფაქტი, რომ ფრანგ პოეტს აღმოსავლეთი მაშინ დასჭირდა, როდესაც იგი თავისი „აღმოსავლური ლექსებით“ საფრანგეთში რომანტიკული პოეზიის საფუძვლებს ამყარებდა? და ხომ არ არის რუსული ლიტერატურის ისტორიაში მსგავს პროცესთან დაკავშირებული ის, რომ ჟუკოვსკი მიმართავს შაჰნამეს და მაჰაბჰარატას? ფრიდრიჰ შლეგელის „Über die Sprache und Weisheit der Inder“ – მნიშვნელოვანი ეტაპია გერმანიისა, და არა მხოლოდ გერმანიის გონებრივ განვითარებაში. შესაძლებელია უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა არა მხოლოდ XIX-იდან, არამედ XVIII და XVII ს.-ებიდანაც, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ საერთაშორისო ლიტერატურულ ურთიერთობათა მასშტაბი ევროპის საზღვრებს სცილდებოდა და ამ პერიოდში არა მხოლოდ დასავლეთის ლიტერატურებს მიეკუთვნებოდა დიდი როლი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურების ისტორიაში, არამედ ევროპული ლიტერატურების განვითარების ისტორიაში თავისი წილი შეუტანია აღმოსავლურ ლიტერატურებსაც. ეს ფაქტები არ გაუთვალისწინებიათ დასავლეთის თანამედროვე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენლებს. მეტიც, თავიანთ გამოკვლევებში ისინი არ შეხებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურებს, მათ შორის რუსულსაც. ამის გამო მიიღეს საერთო სურათის მხოლოდ ერთი ნაწილი – დასავლეთევროპელ ხალხთა ლიტერატურების ისტორია მათ ურთიერთკავშირებში. პოლ ვან ტიგემს ზემონახსენებ ნაშრომში ამ სივრცეში ამერიკული ლიტერატურაც ჩაურთავს.

ამიტომ შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში უპირველესი რაც არის საკეთებელი, თუნდაც დასავლეთევროპელ მკვლევართა მიერ მოხაზულ დროის ჩარჩოებშიც, ანუ XVII – XIX ს.-ში, არის – სივრცული საზღვრების გაბედული გაფართოება და მთელი კულტურული კაცობრიობის ლიტერატურათა კავშირების შემოყვანა შესწავლის ორბიტაზე.

ამ კავშირების, ან, უფრო ფართო გაგებით, – ცალკეული ლიტერატურების ურთიერთობების შესწავლისას საჭიროა ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობების, მათ შორის მსგავსება-განსხვავებების ცალკეული ხალხების კულტურული დონეების, აზროვნების ტიპების, მსოფლმხედველობრივი, სარწმუნოებრივი, ცხოვრების წესებისა და გემოვნების გათვალისწინება. აუცილებელია ყველა ქვეყნის კლა-

სობრივი ურთიერთობებისათვის, პოლიტიკური და იდეური ბრძოლისთვის მუდმივად ანგარიშის განევა. ამის გარეშე შეუძლებელია ცალკეული ლიტერატურებს შორის ურთიერთობათა ჭეშმარიტი ხასიათის გაგება.

რა თქმა უნდა, ამ ურთიერთობებში ყველაფრის მხოლოდ გავლენებაზე დაყვანა არ შეიძლება. მათში, როგორც წესი, იგულისხმება ერთი ლიტერატურიდან რაიმე მოვლენის სხვა ხალხის ლიტერატურაში შესაბამის მოვლენებზე ზეგავლენა. გავლენა შეიძლება იყოს ცალმხრივი ან ორმხრივი. პირველის მაგალითია – ფრანგულ ლიტერატურაში იმავე ჟანრის ფორმირებაში ინგლისური გოთიკური რომანის როლი. კიდევ ერთი მაგალითია – განმანათლებლობის ეპოქის ფრანგული ლიტერატურის გავლენა ბაირონის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაზე და შემდგომში ამას მოყოლილი ბაირონის გავლენა ფრანგ რომანტიკოსებზე. თუმცა, როგორც სამართლიანად მიუთითებს ჟ.-მ. კარრე: “ Qui dit influence, dit souvent interpretation, reaction, resistance, combat”<sup>20</sup>. ნამდვილად, ერთი ლიტერატურის მეორესთან შეხებას შეუძლია გამოიწვიოს მასში, ამ პირველ ლიტერატურაში, არსებულ მოვლენათა თავისებური „ინტერპრეტაციები“, „გამომხატულებების“ ჩამოყალიბება; ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს მათდამი „წინააღმდეგობა“, ან მასთან „ბრძოლა“ კი.

ვლ. რეიმონტის რომანში „გლესკაცები“ უდავოდ იგრძნობა, რომ ავტორისთვის ნაცნობია ზოლას ნაწარმოებები, მაგრამ ის კი არ ემორჩილება ფრანგ მწერალს, პირიქით, სხვაგვარი, ზოლასეულისაგან განსხვავებული კონცეფციის შექმნით, იგი იწყებს მასთან იდეურ ბრძოლას. ტოკუტომი როკის წიგნის „მინის ჭიის ბუზლუნის“<sup>21</sup> გაგება საერთოდ შეუძლებელია იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ იაპონელი მწერლისთვის ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებებს, იდეებს, მისი ცხოვრების გაცნობას. იასნაია პოლიანიდან დაბრუნებულმა, სადაც იგი 1906 წელს იმყოფებოდა, ტოკუტომიმ გლესური ცხოვრება აირჩია: გადასახლდა სოფელში, გლესურ თემს შეუერთდა, აიშენა გლესური სახლი, შეიძინა მინის პატარა ნაკვეთი (0,15 ჰა) და მისი საკუთარი ხელით დამუშავება გადაწყვიტა, ამით რომ ეცხოვრა. თუმცა, მისი არაჩვეულებრივი წიგნი, რომელშიც განსაკუთრებული გულწრფელობით, სიმართლითა და დიდი მხატვრული ძალით არის აღწერილი მწერლის „გლესური“ ცხოვრება, ტოლსტოის იდეებისთვის დიდების შარავანდის ჭეშმარიტი მოცილებაა: იგი გვიჩვენებს რომ, ტოლსტოის იდეებით ცხოვრების მცდელობისას იაპონელი მწერალი ე.წ. გაუბრალოების სიყალბეს, თავისი „გლესური“ მდგომარეობის ხელოვნურობასა და ამგვარი შრომის მცდარობას იაზრებს. მაშასადამე, ტოკუტომის წიგნი – მიუხედავად მისი ავტორის დიდი რუსი მწერლისადმი თაყვანისცემისა – მის ზოგიერთ შეხედულებასთან და იდეასთან შეუწყვეტელ პოლემიკას წარმოადგენს.

ერთი ლიტერატურის მოღვაწეთა სხვა ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენისადმი ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება მრავალი მიზეზით

აიხსნება: ავტორთა სხვადასხვაგვარი კლასობრივი პოზიციებით, მსოფლ-მხედველობრივი სხვაობით, შემოქმედებითი ინდივიდუალობებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების თავისებურებებით. თავიანთი შინაარსით და ხასიათით ლიტერატურული კავშირები არა მხოლოდ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, არამედ ყოველ ცალკეულ ლიტერატურაში სრულიად სხვადასხვაგვარი შედეგი შეუძლიათ გამოიწვიონ. **სწორედ მიზიდვისა და განზიდვის ძალათა ასეთი რთული გაერთიანება ქმნის ცალკეული ნაციონალური ლიტერატურების ურთიერთობათა არსს.**

#### IV

თანამედროვე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეორე ამოცანა კვლევის დროითი საზღვრების გაფართოვებაა. საკვლევ ორბიტაზე შუა საუკუნეებიც უნდა გამოჩნდეს.

ამა თუ იმ მასშტაბისა და მნიშვნელობის ურთიერთობა ცალკეული ხალხების ლიტერატურებს შორის ყოველთვის არსებობდა, მათ შორის შუა საუკუნეებშიც. ჩვენ უკვე ბევრი ვიცით, მაგრამ ბოლო დროს ახალ-ახალი ფაქტები ვლინდება და სერიოზულად ავსებს ადრე არსებულ სურათს.

ერთ-ერთი ასეთი ფაქტი – დუნ’ჰუან-ის გამოქვაბულთა მონასტრის ბიბლიოთეკის აღმოჩენაა. ჩინეთის ერთ-ერთ დასავლეთ პროვინციაში, გან’სუ-ს ჩრდილო-დასავლეთით ეს მონასტერსი ოდესღაც ჩინეთის, ტიბეტის, ინდოეთისა და „დასავლური მხარის“ (ადრე ჩინელები ამ სახელს აღმოსავლეთ თურქისტანს, შუა აზიასა და ავღანეთს უწოდებდნენ) გზაგასაყარზე მდებარეობდა. შემდგომში ამ გზებს თავისი მნიშვნელობა დაუკარგავს, დუნ’ჰუან-ის რაიონზე დამპყრობელებმა გაიარეს და აყვავებული და მდიდარი მონასტერი მიყრუებულ ადგილად იქცა. თუმცა, მისი გამოქვაბულების ყოველი კედელი ფრესკებით იყო მოხატული, რომლებიც შეექმნათ არა მხოლოდ ბუდისტურ, არამედ საერო სიუჟეტებზეც, მათ შორის ჟანრობრივზეც კი. ახლა ეს მღვიმეები – სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მსოფლიო საუნჯეა. მონასტერში დიდი რაოდენობით ხელნაწერები და ქსილოგრაფიები ინახებოდა. ჯერ კიდევ XI საუკუნეში ბერებმა ამოქოლეს გამოქვაბულების შესასვლელები და ამ საიდუმლოს მტკიცედ ინახავდნენ. თუმცა, ხმა დუნ’ჰუან-ის განძზე ევროპელ ორიენტალისტებამდე მაინც მივიდა და XIX ს-ის დასაწყისში იქით ექსპედიციები მიემართებოდა. პირველი ვინც მონასტერს ესტუმრა სტეინი გახლდათ (1907 წ.), მერე პელიო (1908 წ.), რომელიც იქ ორჯერ ჩავიდა, შემდგომ კი – ოლდენბურგი<sup>22</sup>. ამის შედეგად რიგ ევროპულ ქვეყნებსი „დუნ’ჰუან-ის ფონდები“ შეიქმნა.

განსაკუთრებული ენერგიით დუნ’ჰუან-ის ხელნაწერთა და ქსილოგრაფიების შესწავლა დაიწყო ჩინელმა მეცნიერებმა და თავიანთი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიისთვის ბევრი ისეთი რამ აღმოაჩინეს, რაც იქამდე უცნობი იყო. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – ბიან’ვენ’-ის ჟანრის ლი-

ტერატურაა. ამ ჟანრის ძეგლთა ორი ტომის თანამედროვე გამოცემა – მოპოვებული მასალის პირველი დიდი პუბლიკაციაა<sup>23</sup>. ამ ლიტერატურის შესწავლა ჩვენთანაც დაინყო<sup>24</sup>.

ჩინელ მეცნიერებს<sup>25</sup> იაპონელი მკვლევარებიც შეუერთდნენ<sup>26</sup>. მათი უკვე არსებული შრომებიდან მკაფიოდ იკვთება, ამ შემთხვევაში, რასთანაც გვაქვს საქმე.

მთელი ბუდისტური კანონი, ანუ უამრავი სუტრებისა და შასტრების ერთობლიობა, სანსკრიტიდან და პალიდან ჩინურ ენაზე VIII ს-ში ითარგმნა. თუმცა, არსობრივად ის, რასაც „ბუდისტურ წერილს“ უწოდებენ – ინდური ფოლკლორის, ზღაპრების, ლეგენდების, თქმულებებისა და გადმოცემების უზარმაზარ საგანძურს მოიცავს. შემდგომში, ეს მასალა თვით ბუდიზმის სფეროში წარმოშობილ საეკლესიო ლეგენდებსა და თქმულებებს შეერწყა, ნაწილობრივ კი თავადვე იქცა მათ საყრდენად. ამ ნიადაგზე შეიქმნა მდიდარი ცხოვრებათა ჟანრის ლიტერატურა, რომელიც თავისი ტიპით ქრისტიანულ „წმინდანთა ცხოვრებებს“ წააგავს.

წერა-კითხვის არმცოდნე მორწმუნეთა უმრავლესობისთვის ამ ლიტერატურის მიუწვდომლობამ და თვით რელიგიურმა პროპაგანდამ განაპირობა ამ მასალის, ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილის, ზეპირად გადმოცემის საჭიროება – „ერისათვის ქადაგების“ სახით, რაც არა მხოლოდ მათთვის იყო განკუთვნილი. სავარაუდოა, რომ შუასაუკუნოვან ბუდისტურ მონასტრებშიც იგივე ხდებოდა, რაც შუასაუკუნეების ევროპის მონასტრებში: ბერებისთვის „წერილისა“ და „ცხოვრებების“ რჩეული ადგილების „ხმამალალი კითხვა“. ცნობილია, რომ სწორედ ამ გზით, ევროპაში შუასაუკუნოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი – „ლეგენდა“ წარმოიშვა. ვინაიდან „ხმამალლა კითხვის“ ან „ქადაგების“ ამოცანა მსმენელთა ყურადღების დაუფლებაა, სიუჟეტური თვალსაზრისით ირჩევდნენ ყველაზე საინტერესო, ემოციურობით გამორჩეულ ადგილებს. იგივე ხდებოდა რელიგიურ ფერწერაშიც, სადაც გამოსახვის საგნად ყველაზე შთამბეჭდავ, არაჩვეულებრივ მოვლენებს ამოარჩევდნენ ხოლმე. შესაბამისად, ჩინურ ენაზე ბუდისტური ტერმინი გადმოცა სიტყვით ბიან', რომელიც ჩინელისათვის სწორედ „არაჩვეულებრივ ამბავს“ ნიშნავდა. „ათასი ბუდას მღვიმე“-ში, რომელსაც დუნ'ჰუან'-ის მონასტერს უწოდებდნენ, კედლები უამრავი ფრესკითაა გამშვენებული, მათ შორის ბევრი ნახატი სწორედ ასეთ სიუჟეტებზეა აგებული. ამ ნახატებს განმარტებების ტექსტიც ახლდა, რასაც ჩინურად – ვენ' ჰქვია. ასე გაჩნდა სიტყვა ბიან'-ვენ', რომელიც ასეთ სურათს აღნიშნავდა, რასაც თან ტექსტიც დაერთვის. ამავე სიტყვას იყენებდნენ „არაჩვეულებრივი ამბების შესახებ მონათხრობის“ – ბუდისტურ წმინდანთა, მოღვაწეთა და მასწავლებელთა ცხოვრებიდან თვალსაჩინო ამბების ზეპირად მოყოლის – „ქადაგების“ აღსანიშნავად. როდესაც ამ ამბების ჩანერა დაინყო, იგივე სიტყვა – ბიან'ვენ'-ი, გარკვეული თხრობითი ჟანრის დასახელებად იქცა. თუმცა, განსაკუთრებულ ლიტერატურულ ჟანრად გარდაქმნისას „საერო ქადაგებამ“ საკუთარი

პირველწყაროს მხატვრულ საწყისებს – ხალხურ ნაამბობს მიმართა. ინდოეთში ამ ნაამბობის თავისებურება პროზისა და ლექსის გაერთიანება იყო: იგი მკითხველზე ზემოქმედების უდიდეს ძალას იწვევდა. ამ საშუალების ათვისება მანამდელ ჩინურ ლიტერატურაში მსგავსი ხერხის არსებობამ განაპირობა. ამგვარად, ბიან'ვენ'-ი იქცა ჟანრად, რომელშიც შეხამებულია თხრობითი მასალის მოყოლის ფუნქციის მქონე პროზა და განსაკუთრებული ფორმით დამუშავებული იმავე მასალის მონოდების ფუნქციის მატარებელი პოეზია.

Except for the above mentioned authors one of the first who emphasized the need to discuss post-colonial countries from the alternative third space, was Homi Bhabha. In his Essay 'The newness of the world' (1994) he writes: "Although Jameson commences by elaborating the 'sensorium' of the decentred, multinational network as existing somewhere beyond our perceptual, mappable experience, he can only envisage the representation of global 'difference' by making a renewed appeal to the mimetic visual faculty – this time in the name of an 'incommensurability-vision'. What is manifestly new about this version of international space and its social (in)visibility, is its temporal measure – 'different moments in historical time ... jumps back and forth'. The non-synchronous temporality of global and national cultures opens up a cultural space – a third space – where the negotiation of incommensurable differences creates a tension peculiar to borderline existences". (Bhabha1994: 218). Simultaneously, according to Bhabha, the third space is an alternative to express neither East and West, nor the positions of both the colonizer and the colonized. Rather it is a place in between the positioned and represented subjects, the space which comprises everything covered by its contextual contents. Bhabha relies upon Derrida and explains that the third spaces represents intervals between a sign and a signifier; while Edward Soja, postmodern political geographer and urban theorist in his collection of works "Thirdspace: journeys to Los Angeles and other real-and-imagined

places” (1996) indicates that Third existential dimension is now provocatively infusing the traditional coupling of historicity – sociality with new modes of thinking and interpretation“ (Soja 1996: 2). To be more concrete it is the space intended to think differently about such notions as place, location, loyalty, landscape, environment, home, city, region, territory and geography. He writes: “I am suggesting that you discard old and familiar ways of thinking about space and spatiality, but rather that you question them in new ways that are aimed at opening up and expending imagination of spatially oriented critics than in the prospects for richer, more innovative, and perhaps more useful ways of seeing and reading made possible by this renewed and heightened attention to spatiality, broadly conceived”. (Soja 1996: 2)

As mentioned above, it is important that culture/literature adequately respond to contemporary challenges so that new narratives be adopted by the culture and social institutions. Considering this based on the analysis of the novel “Santa Esperansa” by Aka Morchiladze we aim to show how the third space, being emerged in the contemporary Georgian fiction, addresses and/or determines the formation of the modernized national identities in the Georgian/postcolonial literary reality. Study of this issue will enable on the one hand to show the value of Georgian literature as the specific case of Post-Soviet/postcolonial country in the global context, as well as in relationship with the Western literary process. On the other hand it will help to analyze self-identification issues in the local space which are vital for Georgia as a transitional country.

Georgia represents a Post-Soviet country which gained independence in 1991 after the break up of the Soviet Union. Since then it has experienced many difficulties with their historical consequences. That year civil war started and the government was overthrown. In addition to that separatist movements started and Abkhazia and Samachablo regions, encouraged by Russia, declared themselves as independent states. Under weak governance criminal increased. Civil and secessionist armed conflicts, hard political, economic and social situation had traumatic impact on the social consciousness. It is worth mentioning that despite these difficulties literary process did not cease. Within Georgian literary critics Bela Tsipuria distinguishes two cultural spaces. The first one is national narrative culture and the other one is alternative culture. She argues that during the Post-Soviet period literary space based on national idea and traditional aesthetics maintained its effectiveness. Since the 1990s it has been obviously based on the new cultural choice made by Georgian modernists. The choice involves activated realist aesthetics and national ideas in response to Sovietization and Stalinist cultural policy. In post-Stalinist period this process led to the formation of national narrative culture space (wifuria 2016: 119). At the same time the characteristics of culture in alternative space involved: cultural openness, overcoming internal barriers, remaining after the removal of the external ones; liberalization of cultural and intellectual processes; adoption of the contemporary Western experiences (wifuria 2016: 123). Accordingly we can argue that the literary product created in Georgian cultural space was to a considerable extent a reflection of local problems and their partial analysis. However it is also clear that the society and the culture as in all tran-

sitional countries were under identity crisis, what hindered creation of new modernized national narrative and new cultural space. As Bhabha points out, transmission of culture from post-colonial stage does not require that national culture be imagined as a continuation of the authentic past. Rather “culture reaches out to create a symbolic textuality to give the alienating everyday an aura of selfhood, a promise of pleasure. The transmission of cultures of survival does not occur in the ordered muse imaginary of national culture with their claims to the continuity of authentic ‘past’ and ‘living ‘present’”. (Bhabha 1994: 172). Proceeding from the above, in our case colonial/Soviet principle of historicism is replaced by non-historicity that is typical to post-coloniality. So if we make chronological categorization first we should deconstruct traditional cultural paradigm, which interprets present as the legacy of the past history and experience of the society and after that we should form new identity based on new aesthetic principles.

Aka Morchiladze is one of the most famous and influential Georgian writers known since the 1990s. Deconstruction of national narrative culture is one of the dominant topic of his writings and is developed in several directions. Initially he reflected on the modern Georgian reality in his texts. His characters face daily problems and challenges of life and often have difficulties cope with the harsh reality. Therefore they become either hostages of the reality, or die. Texts of this type are: “Dogs of Paliashvili Street” (2000), “The Play of Patience in August” (2001), “Paper Bullet” (2006), “Journey to Karabakh” (2004). Between the lines one can see the effort of the author to give a thorough reflection of the real life and stress on the emerging identity crisis, which could have created grounds for value changes. That process would have led to the origins of new identity and narratives.

Another strategy to deconstruct the old identity and narratives is focus on the stories and events that had been marginalized from the national narrative of Soviet times. The texts of this type are: “Flight over Madatov Island and Back”, “To Disappear on Madatov Island”, “The Whale on Madatov” (2004), “Meliksetbash Tbilisi” (2003).

According to Edward Soja, „A third existential dimension is now provocatively infusing the traditional coupling of historicity – sociality with new modes of thinking and interpretation... there is a growing awareness of the simultaneity and interwoven complexity of the social the historical and the spatial their inseparability and interdependence. And this three sided sensibility of spatiality – historicity- sociality is not only bringing about profound change in the ways we think about space it is also beginning to lead to major revisions in how we study history and society.“ (Soja 1996: 3). This concept is absolutely applicable to the novels by Aka Morchiladze, in which the writer evades the real history of Georgia and offers an alternative/hypothetical version of the past. The texts include: “Santa Esperansa”, “The Belt of Secret Keepers”, “The Shy Emerald”. Based on these novels, we can argue that the authentic past is totally rejected in texts, in order to avoid real life identity crisis, numerous daily problems and the past burdened with contested ideologies and traumas. So the author imagines alternative space\* Consequently

---

\* Georgian literary critics emphasize that Santa Esperanza is neither classic Utopia by Thomas More and Sun City of universal happiness by Campanella, nor the human by Zamiatin, Orwell or

---

an imaginary history and a new living space are created, which presumably replace the real ones. In the preface, 'Geocriticism' by Westphal, Robert Telly indicates "As Westphal points out, the referentiality of fiction (and other mimetic arts) allows it to point to a recognizable place, real or imaginary or a bit of both at once, while also transforming that place, making it part of a fictional world. In this sense, geocriticism allows us to understand "real" places by understanding their fundamental fictionality. And vice-versa, of course. We understand "fictional" spaces by grasping their own levels of reality as they become part of our world" (Telly, 2011: X). In author's phantasy, Santa Esperanza is three islands in Black Sea, where Georgians have settled since the twelfth century. The consciousness of this society is not marked with the Soviet colonial traumatic experience. Those islands are inhabited by the descendants of Georgians – Ioanians and Sungals – together with the British and Turks. So it represents an entirely different ethno-culture by its national, ethnic, religious and cultural origins. This imaginary country can be regarded to be a trans-culture. Because Russia, with its political and cultural effects, is completely excluded from the space of this imaginary country, it represents a desired country for Georgians. As the correspondent of "24 Hours" newspaper writes to the editor, "The place is cool. I wish Georgia were like this, damn those Russians..." (Morciładze 2007: 18).

According to Anthony David Smith, nationalism is a form of culture, which involves ideology, language, mythology, symbols and consciousness of a country (Smith 2008:114). Ioane Islands, i.e. Santa Esperanza, in Aka Morciładze's imaginary space comprises all these elements. There is an opening chapter in the novel, telling about the discovery and origins of the Islands. A guidebook and maps are also enclosed for tourists.\* Tourists can get general information of Wikipedia site. Turks, Italians and the English live on the Islands, so this is a four-language country. Four languages are taught at schools, however it is a good manner to speak to people their own native languages. Santa Esperanza (the capital is Saint John, or Santa City), is subject to the British Queen with a special status. The British had had the country under leadership for 125 years and the plot of the novel depicts the end of their governance, as they leave the county. The country is under the control of Governor and has got Parliament. The members of the Parliament are representatives of the old noble families of the Island. There are only 18 old family names on the Island and the older the family name, the higher is the social status. The alternative space is represented in both synchronic present and diachronic historical prism. The space is of hybrid nature. Three culturally different spaces coexist and mingle. They are European space (Italian and British), Asian space (Ottoman), local space (Santa Esperanzian), which combine into one hybrid culture and enable to explain Georgian cultural and social issues by means of the analysis of this hybrid culture. Georgian literary critics argue that the novel makes the reader to think more on Georgia, than on Esperanza Islands.

---

Huksley (Kasrashvili). Therefore we find it appropriate to explain the strategy used by Aka Morciładze by means of post-colonial methodology and refer it to the efforts for escaping from severe reality.

\* The Islands had experienced Ottoman and later British political domination.

What is more, if we join the maps of these islands, we will see reversed map of Georgia. The Utopia of Aka Morchiladze looks like the dream of the East Germany's population about the West Germany during forty years of communist governance, or that of North Koreans about the South, which once used to be the part of them, but now is somehow forgotten, better and desired, it is close, but simultaneously is unattainable. Thus his is entirely a fictional country, a better, European Georgia and it is wholly owned by Aka Morchiladze" (qasraSvili, 2011). As Literary scholar Zaza Shatirishvili points out, Santa Esperanza is an alternative history of Georgia (SaTiriSvili, 2005).

The Islands have their own myths and symbols related to the last governor Ali Bay Chibukh\*. The parts of the broken pipe are scattered around the Island and create a certain type of common myth. The population thinks that those who own more number of pipe parts, should have more rights to govern the Island. This myth has actuality in the novel, namely, the end of civil war symbolically leads to mending the pipe into a whole. Its lost parts are found at Agatia Tsikhistavi's place, who is the descendant of the last governor Ali Bay, so the pipe is pieced together at the Museum.

There are several storylines in the novel. One of the existing cultures in Santa Esperanza is cards game Inti, which actually is a simulation of life based on the principles of attack and self-defense\*\*. The structure of the novel follows the structure of the cards game, comprises four chapters and there are none stories in each chapter. The stories are ordered both vertically and horizontally and enable to form many combination. Inti, by the author's definition, means escape. It is not only playing for the sake of money, rather it is unexpired world and the greatest invention born in Santa Esperanza and expresses their philosophy of life and progress (morCilaZe2007: 67). In general, people of Santa Esperanza represent a society, whose consciousness has been formed under the influence of defense/self-preservation ideology (Georgian consciousness has been also formed under similar circumstances). Visramian Family member lives are shown as the examples of these defense strategies. There are two opposite strategies. The first belongs to the whole ancestral and its head Konstantine Visramian. They are representatives one of the ancient and distinguished family names of the Island. They own a separate Island which is very difficult to enter. There are only tourist routes. They marry only Georgians and think

---

\* According to the author, the Island was discovered in the 12<sup>th</sup> century by the Kings of Georgia and some villages were moved there during the assaults of Mongolians. There was a defensive fortress on the Island, governed by Tsikhistavi. Later due to the deteriorated political situation Georgia lost control over the Islands. Tsikhistavi leaders became Governors and got subject to The Ottoman Empire. The Ottomans left control of the Islands at the disposal of Archilians, however required that they should have changed their denomination. Ali Bay, same as Osman Bay was the last Tsikhistavi of the Island, who resigned and settled in the village. The only person he contacted was a servant, Basila, who lived on the nearby Island. According to the legend Ali Bay smoked the longest pipe with its end on another Island. The servant Basila lighted the pipe. One day Basila refused to light the pipe, Ali Bay broke the pipe and disappeared. There were several mythical versions of why and where he disappeared. The very pieces of pipe here scattered around the Island.

\*\* In the beginning the game was called "L" "Ombre", and later it was named as Megrelian Inti, "because there used to be cases, when losers threw the cards away and left angrily, what supposedly was due to the temperament of Ioanians. "Inti", "Inti" words were often addressed the losers, that means "do as the formers and run away." In general Inti was established in such a way, that it meant survival from losing.

that the main virtues are their ethnic origin and pureness of blood. That is why they call themselves “preserved” what is a form of protecting identity. There is waiting rock on the Island. As the Eldest of the Family Konstantine Visramian mentions, “the members of our family always came here, watched the Sea, waited for a sign from their great Homeland, Georgia. Visramians never forgot who they are” (MorCilaZe2007: 137).

Georgia is the part of the Soviet Union and the closed border hinder communication. Therefore, Visramian Family members often have to kidnap Georgians, or they marry any ethnically Georgian person, who happens to be on the Island. These approach which is free from any kind of feeling and relationship, destroys the lives of not only these people, but also affects the life on the Island. Visramians think that they are the most appropriate candidates to undertake control over the Island after the British leave. While the British intend to maintain constitutional monarchy on the Island and crown Agatia Tsikhstavi (the descendant of Ali Bay) as the Monarch with limited power. Turks, Russians, a Georgians and even Americans knew about the plan. The main thing was that the rest of Esperanza family names were not against it. It was the optimal solution to the problem, accepted by all the parties, except for Visramians, so they choose to revolt and with the help of Sungals a civil war starts. The other defensive strategy, opposite to that of Visramians, is the position by Data Visramian, who lives separately from the Family and does not identifies himself with them. Therefore his identity is also in crisis. He is Inti player and in love with a wistful woman, what is not acceptable within their circle\*. His strategy of life repeats the defensive strategy of Inti, and when his Family members start the war, he leaves the Island with his Catholic Monk friend. This is the only survival for him. Interestingly Konstantine Visramian gives the similar advice to Data, who on the edge of death realizes the dismal outcomes of his undertaking. It is noteworthy that Data’s position coincides with that of the author. The characters runs away from the Island, while the author runs away from the reality and tries to create alternative narrative and identity in imaginary space.\*\*

Obviously, contemporary Western culture requires from other cultures that they focus on the present time and construct new identities in the context of global and local changes, where topics and characters, marginalized from the history, re-appear as the acting subjects of global narratives. The analysis of the texts by Aka Morchiladze shows, that literature makes efforts to overcome periphery-associated barriers and integrate itself with the Western cultural space. The evidence for that is the search for ways to deconstruct traditional Georgian cultural paradigm and identities given in Georgian literary texts. It is also clear the search for new national identities in Georgian literary narratives is under transition and thus represents an unfinished process.

---

\* Wistfulness is another culture on the Island. Women sing at closed club type institutions and help the audience to achieve mental catharsis.

\*\* Interestingly, Aka Morchiladze is an emigrant writer and lives in Great Britain.

**Reference:**

- Tsipuria, Bela. Georgian Text in Soviet/Post Soviet Context. Tbilisi: Ilia University Publishing, 2016 (In Georgian).
- Bhabha, Homi. The Location of Culture. Routledge, 1994.
- Hall, Stuart. "The Question of Cultural Identity". Modernity: An Introduction to Modern Societies. Ed. St. Hall. Wiley-Blackwell, 1995.
- Westphal, Bernard. Geocriticism: Real and Fictional Spaces. New York: Palgrave Macmillan, 2011.
- Tally, Robert T. Spatiality. The New Critical Idiom. London and New York: Routledge, 2013.
- Soja, Edward. Thirdspace: Journeys to Los Angeles and Other Real-and-Imagined Places. Oxford: Blackwell, 1996.
- Nandy Ashis. The Intimate Enemy: Loss and Recovery of Self under Colonialism. Delhi: Oxford UP, 1983.
- Smith Anthony D. National Identity. Tbilisi: Logos Press, 2008 (In Georgian).
- Morchiladze Aka. Santa Esperanza. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing, 2007. <http://www.radiotavisupleba.ge/a/1541964.html> (In Georgian).
- Kasrashvili Irakli. Georgian Utopian Chronicles. 25 may 2010. Web. 10 December 2016 <https://burusi.wordpress.com/2010/05/25/aka-morchiladze/> (In Georgian).
- Kharbedia Malkhaz. Kundzulebis Gotika. The islands of gothic. February, 24. 2011. Web. 10 December 2016 <https://burusi.wordpress.com/2011/02/24/malkhaz-kharbedia-6/> (In Georgian).

**მზია ჯამაგიძე  
(საქართველო)**

**მესამე სივრცის შექმნა როგორც ნაციონალური ნარატივისგან  
თავის დაღწევის მცდელობა\***

**რეზიუმე**

**საკვანძო სიტყვები:** მესამე სივრცე, ნაციონალური ნარატივი. იდენტობის კრიზისი.

თანამედროვე ეტაპზე დასავლური კულტურის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს სხვა კულტურებისადმი განაპირობებს დაკვირვება და ანალიზი ამ პროცესებისა, თუ რამდენად ახერხებენ ისინი ანმყო დროზე ფოკუსირებას და ახალი იდენტობების გლობალური და ლოკალური ცვლილებების კონტექსტში აგებას, სადაც აქამდე ისტორიიდან მარგინალიზებული თემები და ხასიათები შეძლებდნენ გლობალური ნარატივის სუბიექტებად ქცევას. სტატიის მიზანია, თანამედროვე ქართველი მწერლის აკა მორჩილაძის რომანის „სანტა ესპერა“

---

\* პუბლიკაცია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ანსა” ანალიზით, ვაჩვენოთ, თანამედროვე ქართულ მხატვრულ ნარატივში გაჩენილი მესამე სივრცე რამდენად მიემართება და/ან განაპირობებს ქართულ პოსტკოლონიურ სინამდვილეში ნაციონალური მოდერნიზებული იდენტობების ფორმირების პროცესს და რა მიზანს ემსახურება მწერლობის მიერ ამგვარი სივრცის კონსტრუირება.

აღნიშნული საკითხის კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს, ერთი მხრივ, წარმოვაჩინოთ ქართული მწერლობის როგორც პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური ქვეყნის სპეციფიკური გამოცდილების ღირებულება გლობალურ კონტექსტში, დასავლურ ლიტერატურულ პროცესთან მიმართებით და მეორე მხრივ, მოვახდინოთ ლოკალურ სივრცეში იმ თვითედენტიფიკაციური საკითხების და პრობლემების ანალიზი, რომელთა განსაზღვრაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარადამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის.

როგორც პოსტკოლონიალიზმის ერთ-ერთი აღიარებული თეორეტიკოსი ჰომი ბჰაბჰა მიუთითებს კოლონიური საზოგადოებების გამოცდილებაში ყველგან ტიპურია, რომ „კულტურა გადარჩენის არაკომფორტულ და შემანუხებელ პრაქტიკად იქცა“ (Bhabha 1994:175), რაშიც ავტორი გულისხმობს, რომ პოსტკოლონიური ქვეყნების კულტურა გადაიტვირთა „გადარჩენის იდეოლოგიით“ შექმნილი პრდუქტით. ჩვენს შემთხვევაში საბჭოთა პერიოდში ეს მახასიათებელი მიემართება ნაციონალური ნარატივის კულტურას, რამაც პოსტსაბჭოთა ეტაპიდან, ფაქტობრივად, ახალი, მოდერნიზებული ნაციონალური ნარატივის შექმნა გაართულა. მეორე მხრივ, სწორედ ამ რთული გამოცდილების დასაძლევად და დასავლურ კულტურულ პროცესთან ადაპტაციისათვის დამუშავებულია არაერთი თეორია, რომელთა მეშვეობითაც პერიფერიული კულტურების ანალიზი ამარტივებს მათ ერთიან გლობალურ ნარატივში ჩართვას. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი გულისხმობს კულტურების შესწავლას არა ნაციონალური ტერიტორიებისა და ეთნიკურობის მიხედვით, არამედ კულტურთა ანალიზს სივრცითი ფაქტორის გათვალისწინებით. ასეთი მეთოდით კულტურისა და ლიტერატურის შესწავლას გვთავაზობს ბერნრდ ვესტფალის მიერ დამუშავებული „გეოკრიტიციზმი“ (2007), რომელიც ლიტერატურის კვლევებს გეოგრაფიულ სივრცეებთან აკავშირებს, ლიტერატურისა და კულტურის კვლევებში სივრცულობის ცნებას აქტიურდ იყენებს ლიტერატორი რობერტ ტელი „Spatiality“ (2013) თუმცა, გარდა ზემოჩამოთვლილი ატორებისა, ერთ-ერთი პირველი, ვინც პოსტკოლონიურ კვლევებში ალტერნატიულ მესამე სივრცის პერსპექტივიდან შესწავლაზე გაამახვილა ყურადღება გახლდათ ჰომი ბჰაბჰა. ბჰაბჰას მიხედვით, მესამე სივრცე არ არის ორივესთვის კოლონიზატორის და კოლონიზებულიისათვის ან აღმოსავლეთის და დასავლეთის გამოხატვის ალტერნატიული პოზიცია. ეს უფრო არის პოზიციონირებულ სუბიექტსა და რეპრეზენტირებულ სუბიექტს შორის ადგილი, სივრცე, რომელიც მთელი თავისი კონტექსტუალური შინაარსით, მიემართება ყველას, რომელსაც ეს შინაარსი ეხება. ბჰაბჰა ეყრდნობა დერიდას და განმარტავს, რომ მესამე სივრცე ეს არის შუალედები ნიშანსა და აღმნიშვნელს შორის. ხოლო ედვარდ სოჯაპოსტმოერ-

ნული პოლიტიკური გეოგრაფიისა და ურბანული თეორიის ავტორი კრებულში „Third space: Journeys to Los Angeles and Other Real-and-Imagined Places” (1996). შენიშნავს, რომ მესამე სივრცე ეს არის გამიზნულად შექმნილი საცდელი ექსპერიმენტული ტერმინი, იმისათვის, რომ ვიფიქროთ განსხვავებულად ისეთ ცნებებზე, როგორცაა: ადგილი, ლოკაცია ლოალურობა, ლანდშაფტი, გარემო, სახლი, ქალაქი, რეგიონი, ტერიტორია და გეოგრაფია და სხვა.

ედვარდ სოჯას მიხედვით, სივრცისა და სივრცულობის ანალიზი ხშირად შეიძლება აირიოს და დაუპირისპირდეს ტრადიციის კონსტრუქტს, რომელიც მიმდინარე ეტაპზე ვეღარ ამონურავს შეცვლილი კონტექსტით გათვალსწინებით აქტუალური საკითხების არსსა და სპეციფიკას. ამდენად უფრო და უფრო მართებული ხდება ახალი სივრცული გაგების შემოტანა კულტურათა ანალიზისთვის, იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი თანამედროვე სივრცულობის ცნობიერება ჩვენი გეოგრაფიული კრიტიკული წარმოსახვა შემოქმედებითად უნდა გავხსნათ, ხელახალა განვსაზღვროთ ახალი მიმართულებები და შევეწინააღმდეგოთ ნებისმიერ მცდელობას, რომ დავავინროვოთ ან შევზღუდოთ მისი თვალსაწიერი (Soja 1996: 2).

ამ კონცეფციაში თავისუფლად თავსდება აკა მორჩილადის ისეთი რომანები, რომელშიც მწერალი გვერდს უვლის საქართველოს რეალურ ისტორიას და გვთავაზობს წარსულის ალტერნატიულ/ჰიპოთეტურ ვერსიას ასეთი ნაწარმოებებია „სანტა ესპერანსა“, მესაიდუმლის ქამარი“, „მორიდებული ზურმუხტი“, სწორედ ამ რომანების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ლიტერატურულ გამოცდილებაში გარდამავალ ეტაპზე რეალურ სივრცეში გაჩენილი იდენტობის კრიზისისგან თავის დასაღწევად იმისთვის, რომ გვერდი ავუაროთ უამარავი ყოფითი პრობლემებით დამძიმებულ რეალურ სივრცეს, ასევე მრავალგვარი, უმეტეს შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი იდეოლოგიებით დამძიმებულ და ტრავმირებულ წარსულ სივრცეს, უგულვებელყოფილია მთლიანად აუთენტური ისტორიულ წარსული და ხდება ავტორის მერ ალტერნატიული სივრცის წარმოსახვა/გამოგონება. იქმნება ახალი წარმოსახვითი ისტორია, რომლითაც თითქოს ნაცვლდება რეალური სივრცე. სანტა ესპერანსა ეს ავტორის ფანტაზიით შექმნილი, შავ ზღვაში მდებარე სამი კუნძულია, რომელზეც ქართველები მე-12 საუკუნიდან დასახლდნენ, შესაბამისად, ამ საზოგადოების ცნობიერება ჩვენთვის ძალიან ნაცნობი საბჭოთა კოლონიური ტრავმული გამოცდილებით არ არის დამძიმებული. ამ კუნძულებზე ცხოვრობენ ქართველთა შთამომავლები – იოანელები და სუნგალები – ასევე, ბრიტანელები, იტალიელები, თურქები, ეს არის ნაციონალური, რელიგიური, ეთნიკური, კულტურული კუთვნილებით სრულიად განსხვავებული ხალხების საერთო კულტურა – შეიძლება ითქვას, ტრანსკულტურა. ამ წარმოსახვითი ქვეყნის სივრცეში მთლიანად ამორიცხული არის რუსეთი თავისი კულტურული, პოლიტიკური გალენებით, ამდენად ქართველებისთვის სასურველ ქვეყნას წარმოადგენს.

ენტონი დევიდ სმიტის მიხედვით, ნაციონალიზმი ეს არის არის კულტურის ფორმა – რომელიც მოიცავს ქვეყნის იდეოლოგიას, ენას, მითოლოგიას,

სიმბოლიზმსა და ცნობიერებას. (სმიტი 2008:114). აკა მორჩილადის მიერ წარმოსახულ სივრცეში შექმნილი ქვეყანა იოანეს კუნძულები იგივე სანტა ესპერანსა ყველა ამ კომპონენტს მოიცავს. რომანს დასაწყისში ერთვის ცალკე თავი, რომელშიც მოცემულია კუნძულის აღმოჩენისა და დაარსების ისტორია, ასევე დართული აქვს გზამკვლევები ტურისტებისათვის, მოცემულია კუნძულების რუკა, ზოგადი ინფორმაციის მისაღებად ტურისტებისათვის მითითებულია ვიკიპედიას გვერდი. კუნძულზე ცხოვრობენ თურქები, იტალიელები და ინგლისელები, შესაბამისად, ეს არის ოთხენოვანი ქვეყანა. სკოლაშიც ოთხი ენა ისწავლება, თუმცა თანამოსაუბრესან მის მშობლიურ ენაზე გამოლაპარაკება კარგ ტონად ითვლება. სანტა ესპერანსა (დედაქალაქი სენტ ჯონი იგივე სანტა-სიტი). ბრიტანეთის დედოფლის ქვეშევრდომია განსაკუთრებული სტატუსით, მათ 125 წლის წინათ გადაეცათ მართვის უფლებით ეს ქვეყანა, და რომანში განვითარებული სიუჟეტი იმ დროს ემთხვევა, როდესაც ბრიტანელების პოლიტიკური მმართველობა სრულდება და ისინი ქვეყნიდან გადიან. ქვეყნას განაგებს გუბერნატორი და ჰყავს პარლამენტი, რომლის დელეგატები კუნძულზე მცხოვრები ძველი საგვარეულოს წევრები არიან, ასეთი ძველი გვარები კი სულ 18-ია. (გვარის სიძველე, ასევე, სოციალურ სტატუსზეც მინიშნებს). რომანში ალტერნატიული სივრცე იშლება როგორც სინქრონულ ანმყო, ისე დიაქრონულ ისტორიულ ჭრილში, მოთხრობილია კუნძულის აღმოჩენის, დაარსების ისტორია მე-12 საუკუნიდან დღემდე. ეს სივრცე, ჰიბრიდული შინაარსისაა ამ კუნძულზე სამი, კულტურლი იდენტობის თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული კულტურული სივრცეები თანაარსებობს და ერწყმის ერთმანეთს. ევროპული სივრცე (იტალიური (ჯენოვური) და ბრიტანული), აზიურ სივრცე (ოსმალური), ლოკალური/სანტა-ესპერანსული სივრცე, რომლებიც მთლიანობაში ერთ საერთო ჰიბრიდული კულტურას ქმნის და ამავდროულად შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე ქართული კულტურისა და სოციალური სივრცის პრობლემები ავხსნათ ამ სივრცის ანაღზით. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომანი „საქართველოზე უფრო დაგვაფიქრებს, ვიდრე ესპერანსას კუნძულებზე. მით უმეტეს, ამ კუნძულებს თუკი შევავრთებთ რუკაზე და კარგად დავაკვირდებით, შებრუნებულ საქართველოს რუკას დავინახავთ“. (ქასრაშვილი 2011). ხოლო ლიტერატურათმცოდნე ზაზა შათირიშვილი მიუთითებს, რომ სანტა ესპერანსა არის საქართველოს ალტერნატიული ისტორია. (შათირიშვილი 2008).

კუნძულს აქვს თავისი მითები და სიმბოლოები, რომელიც კუნძულის ბოლო მმართველის ალი-ბეის ჩიბუხს უკავშირდება. დამტკრეული ჩიუხის ნაწილები, რომლებიც კუნძულზე არის გაბნეული და ერთგვარ საერთო მითს ქმნის. მაცხოვრებლებს მიაჩნიათ, რომ ვისთანაც მეტი ნაწილია ეს მეტ უფლებებს ანიჭებს კუნძულის პოლიტიკურ მართვაში. ეს მითი რომანის სიუჟეტში ქმედითია, კერძოდ, სანტა ესპერანსაში წამოწყებული სამოქალაქო ომი სრულდება და სიმბოლურად მთლიანდება ჩიბუხიც, რომლის დაკარგული ნაწილებს, აღმოაჩენენ კუნძულის ბოლო მმართველის ალი ბეის შთამომავალ აგათია ციხისთავის მფლობელობაში, საბოლოოდ, ეს ჩიბუხი მუზეუმში მთლიანდება.

რომანში რამდენიმე სიუჟეტური ხაზი ვითარდება სანტა ესპერანსაზე არსებულ კულტურათაგან ერთ-ერთი გახლავთ ბანქოს თამაში ინტი, რომელიც, ფაქტობრივად, ცხორების სიმულაციაა და თადასხმა-თავდაცვის პრინციპით ითამაშება. რომანის სტრუქტურა აგებულია ბანქოს სტრუქტურის მიხედვით, შედგება ოთხი თავისაგან და თითოეულ თავში ცხრა ამბავია მოთხრობილი. ამბები დალაგებულია როგორც ვერტიკალური, ასევე, ჰორიზონტალური მიმართულებით და მრავალი კომბინაციისა და კომპოზიციის აწყობის შესაძლებლობას იძლევა. ინტი, როგორც ავტორი განმარტავს, გაქცევას ნიშნავს. „ინტი არ არის მხოლოდ ფულზე თამაში. ეს არის ამოუწურავი სამყარო და ყველზე დიდი გამოგონება, რომელიც იშვა სანტა ესპერანსაში და რომელიც გამოხატას იქაური ცხორებისა და წინსვლის ფილოსოფიას“ (მორჩილაძე 2006:67) ზოგადად სანტა ესპერანსელები წარმოადგენენ ისეთ საზოგადოებას, რომელთა ცნობიერებაც საუკუნეების განმავლობაში თავდაცვა/გადარჩენის იდეოლოგიის გამომუშავებაში ფორმირდებოდა (ასეთივე გარემოებებში ყალიბდებოდა ქართული ცნობიერებაც). ეს თავდაცვითი ცხოვრებისეული სტრატეგიები რომანში ვისრამიანების საგვარეულოს წევრების ცხოვრების მაგალითზეა ნაჩვენები. აქ ორი ერთმანეთის სწინააღმდეგო სტრატეგიაა განვითარებული ერთი ეკუთვნის მთლიანად საგვარეულოს და მათი გვარის უფროსს კონსტანტინე ვისრამინს ვისრამინები ერთ-ერთ ყველაზე ძველი და გამორჩეული გვარია კუნძულზე. ისინი ფლობენ ცალკე კუნძულს, რომელზე შეღწევა არც თუ ისე იოლია, ამისთვის არსებობს მხოლოდ ტურისტული მარშრუტები, ქორწინდებიან მხოლოდ ქართველებზე და თავინთ მთავარ ღირსებად ეთნიკური წარმომავლობისა და სისხლის სინმინდის დაცვა მიაჩნიათ. ამის გამო ისინი საკუთარ თავს „შენახულებს“ უწოდებენ, რადგან ამ ფორმით ისინი იცავენ საკუთარ იდენტობას. მათ კუნძულზე არსებობს ლოდინის კონცხი. როგორც გვარის უზუცესი კონსტანტინე ვისრამიანი აღნიშნავს: „აქ ყოველთვის მოდიოდნენ ჩვენი გვარის შვილები და გასცქეროდნენ ზღვას, მოელოდნენ ნიშანს დიდი სამშობლოდან, საქართველოდან, ვისრამიანებს არასოდეს დავიწყნიათ ვინ არიან“ (მორჩილაძე 2006:137) საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია და შესაბამისად, ჩაკეტილი საზღვრები კომუნიკაციას ართულებს. ამიტომ ვისრამიანთ საგვარეულოს წევრებს ხშირად უწევთ ქვეყნიდან ქართველების მოტაცება ან ნებისმიერ, შემთხვევით კუნძულზე აღმოჩილ ეთნიკურად ქართველზე ქორწინდებიან. ასეთი მიდგომები კი, რომელიც ყოველგვარ გრძნობას და ურთიერთობას გამორიცხავს, საბოლოო ჯამში, არა მხოლოდ ამ ადამიანთა ცხოვრებას ანგრევს, მთლიანად კუნძულის ცხოვრებასაც ცვლის. ამიტომ ვისრამიანებს მიაჩნიათ, რომ ბრიტანელების კუნძულიდან წასვლის შემდეგ, ისინი ყელაზე შესაფერისი კანდიდატები არიან, საკუთარ თავზე აიღონ კუნძულის მართვა. ბრიტანელების პოლიტიკური ჩანაფიქრი კი გახლდათ, კუნძულზე შეენარჩუნებინათ კონსტიტუციური მონარქია და აგათია ციხისთავი (ალი ბეის შთამომავალი) ეკურთხებინათ შეზღუდული მმართველობის მონარქად. ეს გეგმა იცოდნენ თურქებმაც, რუსებმაც, ქართველებმაც და ამერიკელებმაც

კი. ეს გახლდათ საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტა და ყველა მხარისათვის მისაღები, გარდა ვისრამანებისა. ამიტომ ისინი ამბოხის გაზას ირჩევენ და სუნ-გალების დახმარებით წამოიწყებენ სამოქალაქო ომს.

მეორე თავდაცვითი სტრატეგია, რომელიც რომანში ვისრამიანთა სტრატეგიას უპირისპირდება გხლავთ დათა ვისრამიანის პოზიცია, რომელიც გვარისგან განცალკევებით ცხოვრებს და მათთან იდენტობის განცდა არ აქვს. მისი იდენტობაც კრიზისულია იმ თვალსაზრისით, რომ საკუთარ ოჯახთან ვერ ახერხებს იდენტიფიცირებას, არის ინტის მოთამაშე თავდაცვის ხაზით და უყვარს მოდარდე ქალი, რაც ასევე მიღებული ტონი არ არის მათ წრეში. მისი ცხოვრებისეული პოზიცია ინტის თავდაცვით სტრატეგიას მიჰყვება და როდესაც მისი გვარი ომს წამოიწყებს, ის თავის კათოლიკე ბერ მეგობართან ერთად გარბის კუნძულიდან, რაც მისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა. სხვათა შორის, დათას იმავე რჩევას აძლევს კონსტანტინე ვისრამინიც, რომელიც სიკვდილის პირას მყოფი საბოლოოდ გააცნობიერებს საკუთარი წამოწყების სავალალო შედეგებს. შეიძლება ვთქვათ, რომ დათას ეს პოზიცია ემთხვევა ავტორის პოზიციას – პერსონაჟი გარბის კუნძულიდან, რომ გადარჩეს, ავტორი კი გარბის რეალობიდან და წარმოსახვით სამყაროში ცდილობს, ალტერნატიული იდენტობა და ნარატივი შექმნას.

ცხადია, რომ თანამედროვე დასავლური კულტურის და, მათ შორის, მწერლობის მოთხოვნა სხვა კულტურებისადმი, არის, შეძლონ ანმყო დროზე ფოკუსირება და ახალი იდენტობების გლობალური და ლოკალური ცვლილებების კონტექსტში აგება; სადაც აქამდე ისტორიიდან მარგინალიზებული თემები და ხასიათები შეძლებენ გლობალური ნარატივის სუბიექტებად ქცევას. აკა მორჩილადის ტექსტების ანალიზით, ცხადი ხდება, რომ მწერლობა ცდილობს დაძლიოს პერიფერიულობის ბარიერი და შეძლოს დასავლურ კულტურულ სივრცეში თავის დამკვიდრება. მის დასტურია მწერლის მიერ ტრადიციული ქართულინაციონალური კულტურული პარადიგმისა და ნარატივის დეკონსტრუქციის გზების ძიება ლიტერატურული ტექსტებით, თუმცა ისიც ცხადია, რომ თანამედროვე ქართულ სამწერლობო ნარატივში ახალი ნაციონალური იდენტობების ძიების პროცესი კვლავ ტრანზიტულობის პერიოდს გადის და ჯერ დაუსრულებელი პროცესია.

კონსტანტინე ბრეგაძე  
(საქართველო)

რობაქიძე *contra* სტალინი:

ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის  
მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის  
კულტურფილოსოფიურ ესეებში\*

### შესავალი

თავის ლიტერატურულ წერილებსა და ფილოსოფიურ ესეებში გრიგოლ რობაქიძე მუდამ ხაზს უსვამს ფენომენის „მეტაფიზიკური ახნის“ აუცილებლობას, ე. ი. ფენომენის მითოსური, პირველსაწყისისეული ძირების წვდომის აუცილებლობას და გოეთეს *ურფენომენის* (გერმ. **Urphänomen**), ანუ *თაურმოვლენის* კონცეფციაზე დაყრდნობით თავადაც *მითოსური ჰერმენევტიკის* მეთოდს იმარჯვებს ყოფიერებისა თუ ყოფიერების ფენომენთა ახსნა-გაგებისას. სტალინის ფენომენის ახსნასაც რობაქიძე სწორედ *მითოსური ჰერმენევტიკის* მეთოდზე დააფუძნებს. იმავე ესეში „სტალინი, როგორც არიმანული ძალაუფლება“ (**“Stalin als ahrimanische Macht”**) (Robakidse 1935: 64-106) გერმანულენოვანი კულტურფილოსოფიური ესეების კრებულიდან „დემონი და მითოსი“ (**“Dämon und Mythos”**) (Robakidse 1935) მას სწორედ ეს მეთოდი აქვს მომარჯვებული.

როგორც ეს თავად ესეს სათაურიდანაც ჩანს, რობაქიძე სტალინის პიროვნებას, სტალინის ფენომენს ზოროასტრული მითოსის და რელიგიის ბოროტების, ბნელეთის დემონ *არიმანთან* აიგივებს. საკუთრივ სახელწოდება *არიმანი* ნაწარმოებია ზოროასტრული თეოლოგიის ტერმინიდან **Angra Manyu**, რაც *დამანგრეველ სულს* ნიშნავს (Mythologie www...). ამგვარად, რობაქიძისთვის სტალინი (შესაბამისად, სტალინიზმი) რეალურ ისტორიულ-პოლიტიკურ სივრცეში განასახიერებს ამ დემონურ-დესტრუქციულ ძალას. შესაბამისად, მის მიერ დაფუძნებული ბოლშევიკური ტოტალიტარული ძალაუფლება და ტოტალიტარული სახელმწიფო ამ მეტაფიზიკურ-მითოსური არიმანული დამანგრეველი ძალის ემპირიული გამოვლინებაა კონკრეტულ ისტორიულ დროში, რომელიც რობაქიძის დახასიათებით არის „უმითო დროება“ (**“die mythenlose Zeit”**) (Robakidse 1935: 103), ანუ დესაკრალიზებული, უღმერთო, „განჯადოებული“ (გერმ. **“entzaubert”**) ჟამი. ეს არიმანულ-სტალინური ძალა ყოფიერებაში/ყოფაში ანგრევს ღვთაებრივ ჰარმონიას (რობაქიძის მიხედვით „საკრალურ

\* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის: „სტალინის სახის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ – ხელშეკრულება № DI-2016-47 -ის ფარგლებში.

წყობას“), რისი შედეგიცაა ყოფიერებიდან ღმერთის განდევნა, რაც, პირველ რიგში, ვლინდება ადამიანის ცნობიერებიდან ღმერთის იდეის გაქრობასა და საკრალური ეთოსის მოსპობაში. შემთხვევითი არაა, რომ ესევე ტექსტის მრავალ ადგილზე სტალინი შედარებულია *პრეისტორიულ ხელიკთან*, ანუ *ბიბლიურ გველთან*, რითაც სტალინის არიმანულ-დამანგრეველ მითოსურ-მეტაფიზიკურ არსზეა მინიშნებული: ესეში *სტალინი*, როგორც *ბიბლიური გველი*, არის *თაურშიშის (Urangst)*, *არარას (das Nichts)*, ეგზისტენციალური გამოუვალობისა და უპიროვნობის მეტაფორა.\*

შესაბამისად, არიმანულ-სტალინური ძალა უპირისპირდება ადამიანის *ღვთის ხატობის*, *ღვთის ძეობის* იდეას. ეს კი ტოტალიტარულ სივრცეში, ერთი მხრივ, ხორციელდება იდეოლოგიური და რეპრესიული წნეხის საშუალებით, ხოლო მეორე მხრივ, რაციოსა და ტექნიკური პროგრესის გაფეტიშებით (იდეოლოგიზებული სციენტიზმი და ტექნოკრატიზმი), რაც ადამიანში ანგრევს ღვთისმომიშობის სულსა და სპობს ღვთაებრივ-მისტიკურისადმი მოწინების განცდას. ამავდროულად, ეს პროცესი ავითარებს ღვთისგმობის ისტერიას. ტოტალიტარული სახელმწიფოს დამაარსებელი და მმართველი კი ჩაანაცვლებს ღმერთს, ღმერთის იდეას და თავის თავს დააფუძნებს ფსევდო-ღმერთად.

რობაქიდის მიხედვით, საკრალური წყობა ასევე გულისხმობს მამის მითოსური ხატის ხსოვნას შვილის ცნობიერებაში. სწორედ აქ ვლინდება გოეთეს *ურფენომენის* (თაურმოვლენის) იდეა ყველაზე ცხადად, როგორც მეტაფიზიკური კავშირი ღვთით შექმნილ ქმნილებებს შორის. რობაქიდის თანახმად, სწორედ მამის მითოსური ხატის ხსოვნა ანიჭებს „მე“-ს სულიერი ჭვრეტის უნარს, რათა მან საკუთარი თავი შეიმეცნოს და თანაგანიცადოს მეტაფიზიკური ღვთაებრივი პირველსაწყისების განუყოფელ ნაწილად.

სწორედ გოეთეს ამ მითოსურ-მეტაფიზიკური, ასევე, ფროიდის ფსიქოანალიტიკური (ოიდიპოსის კომპლექსი) პერსპექტივიდან ხსნის რობაქიძე აღნიშნულ ესეში სტალინის ფენომენის, სტალინის პიროვნების არსს: ამ მითოსურ-ფსიქოლოგიური თვალთახედვიდან სტალინი თავისი არსით არის *მამის მკვლელი*, *მამის უარყოფელი*, რომელიც რეალურ ისტორიულ სივრცეში „ბუნებრივად“ უარყოფს *მამულს*, გაუცხოებულია მისადმი და საკუთარი ერისადმი, მოწყვეტილია მათ და მამის უარყოფელი ყალობდება *მამ-ულის* უარყოფლად, *მამ-ულისა* და *მამული-შვილების* მოძულედ: „*მამის მოძულე შინაგანად ხომ მამულის წინააღმდეგ ილაშქრებს და სძულს იგი*“ (**“Der Vater-**

\* ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბიბლიური გველის სახისმეტყველების რობაქიძისეული ინტერპრეტაცია, რომელიც მან გადმოსცა სხვა გერმანულენოვან ესეში „თაურშიშის და მითოსი“ (**“Urangst und Mythos”**):

„ადამიანის „მე“-მ მამინათვე შეიგრძნო თავის დაცემაში (იგულისხმება პირველყოფა – კ. ბ.) საკუთარ მეტაფიზიკურ ზღვართან შეხლა. სახეობრივ გველი თავად არის ეს ზღვარი, საზარელი ცივი ტალღა, რომელიც ღვთაებრივსა და არაღვთაებრივს შორის ენას ელვისებურად ასრიალებს. მისი ხილვისას ადამიანი საშინლად შეიგრძნობს საკუთარ დაცემასა და უმწეობას, რომ შესაძლოა არარაში (**“das Nichts”**) განქარდეს. გველი ჭეშმარიტად პირველშიშის განსხეულებაა“ [აქ და ყველაგან რობაქიძისა და გერმანულ ავტორთა ციტატების თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის – კ. ბ.] (Robakidse 1935: 35).

რობაქიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

**hasser mußte innerlich auch gegen das Vaterland eingenommen sein**”) (Robakidse 1935a: 91). ასეთი უმამო მმართველის აღქმაში კი ხალხი არის მასა, კლასი, უპიროვნო კოლექტივი და არა „ღვთის სხეული“: „ხალხი მასამ ჩაანაცვლა, სული კი – კლასმა“ (**“Das Volk wurde durch Masse ersetzt, die Seele aber durch Klasse”**) (Robakidse 1935a: 76).

ბუნებრივია, რომ სტალინის ან მსგავსი ტიპის მმართველის მიერ დაფუძნებული სახელმწიფო თავისი არსით მხოლოდ ტოტალიტარული თუ იქნება, სადაც დაშლილია საკრალური წყობა, რაც, პირველ რიგში, გამოხატულია ადამიანის ღვთისხატობის იდეის დესტრუირებაში. შესაბამისად, თვითგადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილი ტოტალიტარული სახელმწიფოს მოქალაქე ავლენს უმდაბლეს ამორალურ თვისებებს – ბეზღება, ანგარება, თვალთვალი, გამცემლობა, ღალატი, კვლა. ამგვარად, აქ თავდაყირა დგება უნივერსალური საღვთო მორალი. ონტოლოგიური თვალსაზრისით კი ტოტალიტარული სახელმწიფოს მოქალაქე არის ეგზისტენციალური გამოუვალობის, ეგზისტენციალური შიშის, არარას უცილობელი მსხვერპლი.

გრ. რობაქიძის კულტურფილოსოფიური ესსეები და წერილები არის ერთ-ერთი პირველი ცდა ახსნილიყო და „გახსნილიყო“ სტალინის ფენომენი მითოსურ-ჰერმენევტიკული პერსპექტივიდან. თავის „ეზოთერულ“ ცდებში კი იგი დაეყრდნო პრომეთეს არქეტიპული ხატის კრიტიკას რომანტიზმში (ფრშლეგელი, ფრ. შლაიერმახერი), ნიცშეს დიონისურობისა და ძალაუფლების ნების (**Wille zur Macht**) კონცეფციებს, ფროიდის ფსიქოანალიზსა და გოეთეს თაურმოვლენის (**Urphänomen**) კონცეფციას, ასევე – მეფისტოფელის არქეტიპული ხატის გოეთესეულ რეცეფციას.

## 1. ისტორიის ფუკოსეული ანალიზი, როგორც ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიური ბაზისი

ლექციაში „რა არის განმანათლებლობა“? (ფრანგ. **“Qu’est-ce que les Lumières?”**) (1983) მიშელ ფუკო საუბრობს ისტორიაში არსებულ ისეთ მოვლენებზე, რომელთაც აქვთ ნიშნის თვისება, ანუ აქვთ გარკვეული ფუნდამენტური მახასიათებელი. შესაბამისად, ეს ისტორიული მოვლენები, როგორც ნიშნები, მიუთითებენ ისტორიის მსვლელობისას მომხდარ რაღაც გარდამტეხ ძირეულ ცვლილებაზე, მიუთითებენ ისტორიულ პროცესში ახალი, აქამდე ჯერ არ ყოფილი მოვლენის გაჩენაზე. შემდგომ ფუკო ხაზს უსვამს, რომ ისტორიული პროცესების ანალიზისას სწორედ ამ ტიპის ნიშნები უნდა გამოიყოს და „არქეოლოგია ჩაუტარდეს“ მათ გენეალოგიას, ანუ განისაზღვროს, რა გავლენა, რა ზემოქმედება იქონიეს ამ „იკონურმა“, თვალსაჩინო მოვლენებმა ისტორიის შემდგომ განვითარებაზე, ან რა გავლენას ახდენენ ისინი ანმყოში მენტალობის ფორმირებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით:

„ისტორიის ფარგლებში ისეთი მოვლენა უნდა გამოვყოთ, რომელსაც ნიშნის ღირებულება მიეცემა. ნიშანი რისა? რაიმე საფუძვლის ნიშანი. ამგვარად, უნდა წარმოვაჩინოთ რაიმე მუდმივად არსებული საფუძვლი, რომელმაც ოდესღაც ზემოქმედება იქონია, რომელიც ახლაც ზემოქმედებს და რომელიც მომავალშიც იმოქმედებს“ (Foucault 2005: 842).

მ. ფუკოს მიდგომის საფუძველზე შევეცადეთ გამოგვეყო ის ნიშნები, რომლებიც თავის მხრივ გრ. რობაქიძემ გამოყო სტალინის ფენომენის მითოსური ჰერმენევტიკისას. ეს ფუნდამენტური ნიშნებია:

1. სტალინის უმამობა,
2. სტალინის ნიჰილიზმი,
3. სტალინი, როგორც თანამედროვე ტექნოკრატი ადამიანის ხატი,
4. სტალინი, როგორც დამანგრეველი უპიროვნო ძალა.

## 2. არიშანი (სტალინი) vs. დიონისო

### 2.1 დიონისურობის კონცეფცია ნიცშესა და რობაქიძესთან

კულტურფილოსოფიურ ესსეში „სტალინი, როგორც არიშანული ძალაუფლება“ („*Stalin als ahrimanische Macht*“) (1935) გრ. რობაქიძეს სწორედ დიონისურობის ნიცშეანური კონცეფცია ესახება სტალინის არიშანულობის დაძლევის წინაპირობად. შესაბამისად, სამყაროში, ისტორიაში, ყოფაში დიონისური ეთოსისა და ეთიკის ნაკლებობა იწვევს არიშანული ძალისა და ძალაუფლების გაძლიერებასა და მძლავრობას.

როგორც ცნობილია, ნიცშემ დიონისურობის კონცეფცია განავითარა თავის პირველ ფილოსოფიურ ნაშრომში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ (1872). ამ ნაშრომით ნიცშე შეეცადა დაპირისპირებოდა, ერთი მხრივ, იმ მომენტისათვის გავრცელებულ „ჯოგურ“-მასობრივი ტიპის პოლიტიკურ და სოციალურ მოძღვრებებს – მარქსიზმს, სოციალიზმს, მეორე მხრივ, მატერიალისტურ ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო მოძღვრებებს – პოზიტივიზმს, ვულგარულ მატერიალიზმს, დარვინიზმს. ასევე, ნიცშეს მიზანი იყო ემხილა ახლადდაფუძნებულ და გაერთიანებულ გერმანიის რაიხში გაბატონებული ბიურგერული და მერკანტილური ცნობიერება და ხელოვნების მზარდი კომერციალიზაცია. მისი თანამედროვეობა, ანუ მოდერნის ეპოქა, ნიცშესთვის ეს არის მითოსის, ანუ საკრალური ცნობიერების, საკრალურობის განცდის, საკრალური ცხოველმყოფელობის გაუქმებისა და აღსასრულის ეპოქა (Safran-ski 2007: 277-280).

ამიტომაც, ამ ნაშრომში ნიცშე ცდილობს მითოსის ცნების აღორძინებას და ხელახალ გააზრებას, რასაც იგი ამავე ნაშრომში შემდგომ უკავშირებს დიონისოს არქეტიპულ ხატს, დიონისურობის კონცეპტს: ამგვარად, მითოსის ცნება, მითოსურობის იდეა ნიცშესთან გულისხმობს სწრაფვას საკრალური პირველსაწყისებისაკენ და მათ დიონისურ განცდას, გულისხმობს ამ საკრა-

რობაქიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

ლური სანყისებით თავისებურ კოსმიურ ალტყინებას, მათ კოსმიურ გზნებას („კოსმიური შეგრძნებები“, „*kosmisch empfinden*“), გულისხმობს ამოქმედებული ტოტალური დესაკრალიზაციისათვის, რაც მოჰქონდა რაციონალიზაციისა და ტექნოკრატიზაციის გარდაუვალ და შეუქცევად პროცესს, ალტერნატიული სივრცის შექმნას (Safranski 2007: 284-286):

„დიონისური მაგიის წყალობით ხელახალი კავშირი იკვრება არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ გაუცხოებული, დათრგუნული და მტრადმიჩნეული ბუნებაც ზეიმობს ხელახალ ზეობას თავის დაკარგულ ძესთან, ადამიანთან ერთად. [...] და აი, მივეახლებით დიონისურობას (**“das Dionysische”**) (აქ ნიციშეს მხედველობაში აქვს ზეთჰოვენის მე-9 სიმფონია – კ. ბ.), სწორედ ახლა და ასე გადაიქცევა მონა თავისუფალ კაცად, სწორედ ახლა და ასე მოედება ბოლო ყოველ გამაქვავებელ დისტანციას, რაც ადამიანებს შორის დაამყარა “თავხედმა ჟამმა” (**“freche Mode”**). [...] აი, ასე გადაეჩვევა ადამიანი სიარულსა (**“das Gehen”**) და საუბარს (**“Sprechen”**) და ცეკვით შეუყვება გზას ზეციური სფეროებისაკენ. ადამიანი კი აღარაა ხელოვანი, არამედ თავადაა ხელოვნების ქმნილება: მთელი ბუნების შემოქმედი ძალა თრობის ექსტაზში ცხადდება ადამიანის არსში, რაც განაზრახებს მას პირველერთთან (**“Ur-Eine”**) უმაღლესი ნეტარებისათვის. [...] როდესაც ასე უმონყალოდ დაკოდილი ადამიანის სულში (აქ ნიციშე გულისხმობს მოდერნის ეპოქის მიერ დისოცირებულ, დეზორიენტირებულ, გაუცხოებულ ადამიანს – კ. ბ.) ჩვენი გერმანელი მაისტერის (ვაგნერის – კ. ბ.) მუსიკა გაიჟღერებს, ჭეშმარიტად, რა გაიჟღერებს მაშინ მის სულში? სწორედ რომ ჭეშმარიტი განცდა (**“die richtige Empfindung”**), რომელიც არღვევს ყოველგვარ კონვენციას, არღვევს ადამიანებს შორის ხელოვნურად წარმოქმნილ გაუცხოებასა და გაუგებრობას: ეს მუსიკა დაბრუნებაა ბუნებასთან, რომელიც ამავედროულად თავად ბუნებას განწმენდს, გარდასახავს და განახლებს. სწორედ სიყვარულით შემოსილი ადამიანის სულში იშვის საჭიროება ამ უკუქცევისაკენ, სწორედ მის (ვაგნერის – კ. ბ.) ხელოვნებაში ჟღერს ტრფობად ქცეული ბუნება“ (Nietzsche 2000a: 28-29).

რობაქიძე სრულად იზიარებს ნიციშეს მითოსურობისა და დიონისურობის კონცეფციას (შდრ., მისი ნარკვევი „დიონისოს კულტი და საქართველო“, 1917) და ამით იგი ცდილობს, ერთი მხრივ, იმჟამდ (900-იანი და 10-იანი წლები) პროვინციული და სტაგნირებული ქართული მწერლობის განახლებას და მოდერნისტულ პარადიგმაზე გადაყვანას, მეორე მხრივ, ცდილობს ახალი მითო-საკრალური ცნობიერების დანერგვას. ხოლო შემდგომ ეტაპზე (20-იანი წლები) დიონისურობის იდეითა და საკუთარი დიონისური მოდერნისტული მწერლობით (შდრ. მისი დრამა-მისტერიები „ლონდა“, „ლამარა“, „მალტრემ“, ასევე, რომანი „გველის პერანგი“) რობაქიძე ცდილობს რუსული ბოლშევიზმის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად მოტანილი ტოტალური დესაკრალიზაციისათვის, რომელსაც ანტირელიგიურ და ანტიქრისტიანულ პათოსთან ერთად ასევე თან ახლდა იდეოლოგიზებული ტექნოკრატიზმი, ალტერნატიული საკრალური სივრცის შექმნას:

„თანამედროვე ადამიანის სულში თითქმის სრულიად გაჰქრა რელიგია როგორც მხნე-ძალა სიცოცხლისა, – და აი, პირდაღებულ უფსკრულს ავსებენ ღვთიური ქმნილებით ხელოვნებისა. ფრ. ნიცშემ, ამ ცეცხლეულმა წინასწარმეტყველმა ზესთაადამიანისამ, ახლად გვაგრძნობინა ელინთა ქვეყანა, – და მის აღორძინებაში იგი ხედავდა რამოდენიმეთ სიცოცხლის ტრაგედიის ესთეტიურ ხსნასა. [...] ესთეტიური მნიშვნელობა დიონისოს ფენომენის დღეს საცილო აღარ არის: არ არსებობს თითქმის არც ერთი ესთეტიური საკითხი, რომელიც გადანყდებოდეს გარეშე ამ ფენომენისა. **გარნა რელიგიური მნიშვნელობაც მისი აღსანიშნავია** (ხაზი ჩემია – კ. ბ.): ფრიდრიხ ნიცშემ მიიღო მართო ესთეტიური მხარე დიონისოსი, – **მაშინ როდესაც იგი პირველყოველისა რელიგიურია**“ (ხაზი ჩემია – კ. ბ.). (რობაქიძე II 2012a: 513; რობაქიძე III 2012b: 225).

ამგვარად, გრ. რობაქიძის მსოფლმხედველობაში ვლინდება დიონისურობის შემდეგი მახასიათებლები:

1. დიონისურობა, როგორც ახალი რელიგიური ეთიკა, ახალი არაინსტიტუციონალური რელიგიური კომუნიონი, რაც გულისხმობს სამყაროს/ყოფიერებისა და ადამიანის სულიერი არსის აპრიორულ ღვთითაღესილობას, „ღმერთშემოსილებას“ (რობაქიძე) (შდრ. პოსტულატი, რომელიც რომან „ჩაკლულ სულს“ ლაიტმოტივად გასდევს: ყოველი ადამიანის გული, როგორც ღმერთის ხორცადქცეული ნაწილი).

2. დიონისურობა, როგორც ახალი ეგზისტენციალური პერსპექტივა: როგორც პირველერთთან (Ur-Eine, სადდასა) შერწყმა და საკუთარი შეზღუდული ემპირიული „მე“-ს გადალახვა (რობაქიძისეული „ქცევა“); ამგვარად კი კონკრეტული ისტორიული მოცემულობის დაძლევა და გადალახვა („ბედის სამზღვრის“ გადალახვა).

3. დიონისურობა, როგორც სხვად ქვეცა – „სხვა ჩემი“: ანუ, დიონისურობა, ერთი მხრივ, როგორც საკუთარი შეზღუდული ემპირიული ეგზისტენციისა და ანთროპოლოგიური არსის ახალ ხარისხში განვრცობა და გადააზრება, მეორე მხრივ, როგორც მოყვასის სიყვარულის თავისებური პრაქტიკული ეთიკა, მოყვასის საკუთარ თანაარსად განცდა.

4. დიონისურობა, როგორც მოყვასისათვის შეგნებული, გაცნობიერებული თავგანწირვა (შდრ., ვამეხი, არჩიბალდი, ოლგა, ნატა).

5. დიონისურობა, როგორც ღვთივშემოსილი და საკრალური ზეკაცობა: ნიცშეს „იმანენტური“, „მინიერი“, აპრიორულად ემპირიული ეგზისტენციის კონტექსტში ღირებულებების გადამფასებელი ზეკაცობისგან/ზეკაცისაგან პრინციპულად განსხვავებული რობაქიძისეული „ტრანსცენდენტური“, აპრიორულად ონტოლოგიურ პირველსაწყისებზე ორიენტირებული ზეკაცობა/ზეკაცი, ვისშიც და ვის მიერაც განვითარებული ძალაუფლების ნება გულისხმობს სწორედ საკუთარი შეზღუდული ემპირიულობის – როგორც არსის, ისე ეგზისტენციის – დაძლევას და ტრანსცენდირებას საკრალურ-მეტაფიზიკური პირველსაწყისებისაკენ (შდრ. არჩიბალდი მეკემის „ზეკაცობა“).

რობაქიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

6. დიონისურობა, როგორც ახალი მსოფლმხედველობრივი და ეთიკური პოზიცია, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს მოდერნის ეპოქის მიერ მოტანილი ტოტალური დესაკრალიზაციის პროცესის განეიტრალება და ახლი საკრალური ცნობიერებისა და ეთოსის დამყარება (რობაქიძისეული „მესამე ნაპირი“) (შდრ. ნარკვევი: „დიონისოს კულტი და საქართველო“).

## 2.2. პრომეთე vs. დიონისო

გონის ისტორიაში პრომეთე-დიონისოს დაპირისპირება ტრადიციულია და, როგორც ჩანს, გრ. რობაქიძე სტალინის ფენომენის მითოსურ ჰერმენევტიკაში სწორედ ამ ტრადიციიდან ამოდის, რაც უკავშირდება გერმანულ რომანტიკოსებსა (ფრ. შლეგელი, ფრ. შლაიერმახერი) და ნიცშეს. რომანტიკოსებისა და ნიცშეს მიხედვით, პრომეთეს არქეტიპული ხატი განასახიერებს თანამედროვე სეკულარიზებული ეპოქის მანქანურ-ტექნიკურ ცივილიზაციასა და გამომთვლელ „ცივ“ რაციოს, რომელიც სამყაროს, ყოფიერებას მხოლოდ მატერიალად, საგნად განიხილავს, და რომელიც ბუნების მეცნიერულ-მანქანური ბრუტალური ათვისების საფუძველზე სარგებელს ანიჭებს თანამედროვე მერკანტილური და უტილიტარული ვნებებით შეპყრობილ მომხმარებელ ადამიანს.

ფრ. შლაიერმახერი ნაშრომში „რელიგიის შესახებ“ (1799) თავის თანამედროვეობას „პრომეთეს უწმინდური არსის“ („*der unheilige Sinn des Prometheus*“) ზეობად მოიხსენიებდა (Schleiermacher 1958: 29), ხოლო პრომეთე, როგორც თანამედროვე პრაგმატული მომხმარებელი ადამიანის მეტაფორა, იმავე პერიოდში ფრ. შლეგელმა გამოიყვანა თავის რომანში „ლუცინდე“ (1799):

„სცენის მარჯვენა მხარეს წინა პლანზე დეკორაციის ნაცვლად პრომეთე იყო გამოსახული, რომელიც ადამიანებს ქმნიდა. ის გრძელი ჯაჭვით იყო დაბმული და გავეშებითა და დიდი ძალისხმევით შრომობდა [...] ეგ პრომეთე შეგიძლიათ თქვენთვისვე დაიტოვოთ, პრომეთე – აღზრდისა და განმანათლებლობის გამომგონებელი (“*der Erfinder der Erziehung und Aufklärung*“). სწორედ მისგან მოგეცათ, რომ მოსვენება არა გაქვთ და მუდამ ასე გავეშებულნი და გამეცადინებულნი სულ მუდამ რაღაცას აკეთებთ. [...] პრომეთემ, რომელმაც ადამიანები მუშაობისათვის შეაცდინა და განირა, დაე, თავადვე იმუშაოს, მოიწყინოს და არასოდეს გათავისუფლდეს თავისი ბორკილებისაგან“ (თავი – „იდილია უქნარობის შესახებ“) (Schlegel 1986: 48, 49, 50).

აქ აშკარაა, რომ რომანტიკოსი ფრ. შლეგელის თვალთახედვით პრომეთე, პრომეთეული ტიტანიზმი განასახიერებს თანამედროვე მოდერნის ეპოქის ადამიანის პრაგმატულ და მომხმარებლურ თვისებასა და არსს – თანამედროვე ადამიანი არის Homo Technikus და Homo Faber (ადამიანი მწარმოებელი), რომელიც მუდმივად ცდილობს იყოს შრომის ბაზარზე და მუდმივად აწარმოებდეს მასობრივ სამომხმარებლო პროდუქციას. ცნება „განმანათლებლობა“ (გერმ. *Aufklärung*) შლეგელთან სწორედ ამ ტიპის პროდუქციის წარმოების

ცოდნას გულისხმობს და ამ ცნების ირონიზებით მინიშნებული და ერთი საუკუნით ადრე წინასწარ ნაგრძნობი და განჭვრეტილია, რომ განმანათლებლობა საბოლოო ჯამში დაიყვანება მომხმარებელი და პრაგმატიკოსი ფილისტერის ტექნოკრატულ ალზრდაზე (გერმ. **Erziehung**), რომ განმანათლებლობა, საბოლოოდ, სწორედ ტექნოკრატი და კონზუმერი (მომხმარებელი) ადამიანების გამოყვანას გულისხმობს.

ნიცშეს მიხედვით, პრომეთე განასახიერებს პოზიტივისტურ სულსა და მანქანურ-ტექნიკურ ცივილიზაციას, რომელიც ანადგურებს ბუნებას და ყოველივე საკრალურს სამყაროში, რისი არქეტიპული მეტაფორაც ნიცშესათვის პრომეთესა და სხვა ტიტანების მიერ დაგლეჯილი დიონისოა:

„პრომეთე – ერთ-ერთი ტიტანთაგანი, რომელმაც დიონისო დაგლეჯა, ამიტომაც იტანჯებიან ის და მისი ქმნილებანი სამარადისოდ [...] მხოლოდ დაგლეჯით (**“Zerreiſung”**), მხოლოდ ტიტანთა საქმითაა კულტურა შესაძლებელი (აქ „კულტურა“ თანამედროვე მოდერნული ცივილიზაციის სინონიმია – კ. ბ.) [...] პრომეთე – დიონისოს დამგლეჯავი – ამავდროულად მამა პრომეთეული ადამიანებისა (**“die prometheischen Menschen”**) (Nietzsche 1996: 21).

ამგვარად, რომანტიკოსებისა და ნიცშესათვის პრომეთე განასახიერებს ახალი დროის მოდერნულ ტექნოკრატულ და პოზიტივისტურ ტიტანიზმს.

### 2.3. სტალინი, როგორც თანამედროვე მოდერნული პრომეთეულ-არიმანული ადამიანის ხატი

მართალია, არიმანი თავისი არქეტიპული არსით საკრალური წყობის დამანგრეველი ძალაა, მაგრამ რობაქიძის მიხედვით, იგი ამავდროულად არის მანქანურ-ტექნიკური ცივილიზაციის აღმშენებელი და ამ თვისებით უახლოვდება და ენათესავება პრომეთეს. შესაბამისად, სტალინის არსში თავს იყრის არიმანულობის ორის თვისება – საკრალური წყობის დამამხოველი და დამანგრეველი ძალა/ძალაუფლება (რობაქიძის სიტყვით „ცხოველური ინსტინქტი“, „**Tiersinn**“) და რაციოში გამოვლენილი მანქანურ-ტექნიკური ცივილიზაციის აღმშენებელი ირაციონალური სტიქიური ნება. ამგვარად, სტალინის არიმანულ-პრომეთეული არსი უპირისპირდება ღვთაებრივ დიონისურობას და კონკრეტულ ისტორიულ სივრცესა და ეპოქაში (საბჭოთა სივრცესა და ეპოქაში) ანგრევს მას. ამასთან, თავად სტალინის პიროვნება თავისი არიმანულობის გამო მოკლებულია დიონისურ კოსმიურ გზნებას, უნივერსალურ დიონისურ ეთიკასა და ეთოსს, ანუ სამყაროსა და კაცობრიობის, ადამიანის უპირობო სიყვარულის უნარს.

ესეში „სტალინი, როგორც არიმანული ძალა“ რობაქიძე მიუთითებს სტალინის მიდრეკილებაზე „მექანიკური კონსტრუქციებისა“ („**Hang zum mechanischen Konstruktionen**“) და „საქმოსნობისადმი“ („**Tätertum**“), რითაც მინიშნებულია სტალინის არიმანულ-პრომეთეული ენტელექტის სწრაფვასა

რობაქიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

და (ვ)ნებაზე ბუნების მასშტაბური და დაუნდობელი ტექნოკრატული ათვისებისადმი. ეს კი, რობაქიძის თანახმად, გამონვეულია სტალინის არსში დიონისური ექსტატიურობის სრული მოშლილობით, ვინაიდან მასში დიონისური მორალურ-საკრალური ორგანო – „გული“ – სრულიად უმოქმედოა. ამიტომაც, სტალინის არსება სამყაროს, ბუნებისა და ადამიანების მიმართ ვერ ივსება უნივერსალური და უპირობო სიყვარულით და იგი მათგან სრულიად გაუცხოებულია:

„მასში ჩამკვდარია სიცოცხლით ღებნა. მის გულს არ შეუძლია კოსმიურ გაიხსნას უღრმეს გზებზე. მისი გული არ არის მისტიურად დაგლეჯილი ღმერთის (ანუ, დიონისოს – კ. ბ.) აელვარებული ხორცადქცეული ნაწილი: ის არის ცივი, ყრუ, გაქვავებული. ასეთი ნყოფის ადამიანისათვის უცხოა ექსტაზი. [...] თავად ექსტაზისაგან დაცლილს სხვისი ექსტაზი ვერ აუტანია – სხვისი ექსტაზი მას გულს ვერ უტოკებს, პირიქით, ის მისთვის მძულვარების საგანია. [...] ხოლო ვის არსშიც სიცოცხლის მაღლი მკვდარია, მისი გულიც დახურულია წრფელი აღტყინებისადმი. სიცოცხლის მიმართ ის მტრულად იყო განწყობილი. [...] მას არ ძალუძდა მეტაფიზიურ ეთქვა „შენ ხარ“. [...] მას აკლდა სიყვარულის ნიჭი. სტალინი მბრძანებელი, ძალაუფლებისმპყრობელი („**Machthaber**“), მაგრამ არა – მმართველი („**Herrscher**“), არსება („**Wesen**“) და არა – ადამიანი („**Mensch**“)“ (Robakidse 1935a: 68, 69, 71, 74, 106).

ამიტომაც, „არიმანიზებულ“ სტალინს, პრომეთეს მსგავსად, გამოყავს ადამიანის ახალ ტიპი – „ჰომო ბოლშევიკუსი“, პრომეთეს მსგავსად ისიც „აკეთებს“, „ამზადებს“ ადამიანთა ახალ მოდემას (შდრ., ფრ. შლეგელთან – „**verfertigen**“), რომელთა დესაკრალიზებული ცნობიერება პრომეთეული ტიტანიზმითა და არიმანული დესტრუქტივიზმითაა შეპყრობილი, რომელთა არსებაშიც გული, როგორც მაღალეთიკური ორგანო, სრულიად მოშლილია, ხოლო მათ ქმედებას რაციო წარმართავს. ადამიანის ამ ახალ ბოლშევიკურ ტიპს, რობაქიძის მიხედვით, აქვს ორი ანთროპოლოგიური მახასიათებელი: ცხოველური ინსტინქტი და გამომთვლელი რაციო. შესაბამისად, ცნობიერებაში რაციოს, გამომთვლელი გონების გაბატონება ადამიანში ანგრევს შესაქმის, როგორც უმაღლესი საღვთო რეალობის, აღქმისა და საკუთარი თავის შესაქმის ნაწილად თვითგანცდის (**Selbstgefühl**) უნარს. ამიტომ, რაციოს მიერ დესაკრალიზებული ადამიანური ცნობიერება ხილულ ქვეყანას აღიქვამს მხოლოდ როგორც მატერიას, მხოლოდ როგორც საგანთსამყაროს (**Dingwelt**), გეოლოგიურ ფაქტს, ხოლო ადამიანი აღიქმება არა როგორც ღვთის ხატი, ე. ი. არა როგორც ღვთაებრივი წარმოშობის არსი, ღვთაებრივთან წილნაყარი არსი, არამედ იგი დეტერმინდება, როგორც ერთი რიგითი სტატისტიკური ბიოლოგიური ერთეული:

„სახარებებში ქრისტეს ძე ღვთისა და ძე კაცისა ეწოდება. ღვთისძეობა თანამედროვე ადამიანში თითქმის ჩამკვდარია. ლოგოსის ნაცვლად მასში რაციო მყოფობს. ჰომო საპიენსი ჰომო ტექნიკუსად იქცა. თანამედროვე ადამიანში მხოლოდ ძე კაცისა ცოცხლობს და მისი ღვთაებრივი ნიჭი, რომ იყოს იმაზე უფრო მეტი, ვიდრე ადამიანად ყოფნაა, დაკარგულია. ამიტომაც, რომ მითოსისმქმნელი ძალები („**die mythosbildenden Kräfte**“) (ანუ მეტაფიზიკური

პირველსაწყისების წვდომის, გზნებისა და განცდის სპირიტუალური უნარები – კ. ბ.), სადაც ცხოველმყოფელ ცხადება ღვთისძეობა, თანამედროვე ადამიანში აღარ მოქმედებენ, ვინაიდან მითოსიდან მომდინარე სიცოცხლისმშობი ძალები იქ ცხადყოფენ თავის თავს, სადაც ფენომენში ურფენომენი ჯერ ისევ ქმედებს და ახალ ფორმებს ქმნის. განა თანამედროვე ადამიანი თავის თავში ცხადყოფს და აცნობიერებს თაურმოვლენის მოქმედებას? ვეჭვობ, რომ ეს ასე იყოს. მასში მხოლოდ „ძე კაცისა“, ე. ი. მხოლოდ ფენომენისეული მყოფობს და ყოველ სამყაროულ მოვლენას იგი მხოლოდ ფენომენად განიხილავს. დედამინა მისთვის აღარაა დამბადებელი დიდი დედა – **Magna Mater**, არამედ მხოლოდ გეოლოგიური ფაქტი. [...] სამყაროს განჯადობა (**“Entzauberung”**), მინის, როგორც ღვთაებრიობის დედისეული სხეულის მოკვდინება – ეს არის ის, რისკენაც ბოლშევიკი ადამიანი ისწრაფვის. ისტორიის ამ მსვლელობაში ცხადდება ბოლშევიკური ძალაუფლების ნების ზეობა. ბოლშევიკები მინას აუპატიურებენ, ანგრევენ და შლიან მის წმინდა გამანაყოფიერებელ წიაღს და მინის კოლექტივიზაციაში აღაზევებენ თავიანთ უკიდევანო დემონურ ძალმომრეობას“ (Robakidse 1935a: 82, 83, 84).\*

### 3. ურფენომენის სწავლების რეცეფცია ფილოსოფიურ ესსეში „თაურშიში და მითოსი“

ცნობილია, რომ ქართული მოდერნისტული მწერლობის მთავარი იდეოლოგია და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორი, სწორედ გერმანელ მწერალსა და მოაზროვნეს, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1832) მიიჩნევდა საკუთარი შემოქმედების უპირველეს ინსპირატორად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რობაქიძე, როგორც მოაზროვნე და მოდერნისტი ავტორი გოეთეანელია, რომელიც თავის ესთეტიკურ და პოეტოლოგიურ კონცეფციასა და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას უპირველესყოვლისა სწორედ გოეთეს ურფენომენის (გერმ. Urphänomen) (პირველფენომენი, პირველმოვლენა, რობაქიძის მიხედვით – თაურმოვლენა) მოძღვრებაზე აფუძნებს.\*\*

რობაქიძე თავის ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ წერილებში („სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, „ვაჟას ენგადი“, „ჩემი ცხოვრება“, „თაურშიში და

\* შდრ., იგივე პათოსი და ანალიზია მოცემული ნიციშესთანაც: „მთელი ჩვენი თანამედროვე ყოფა (**“modernes Sein”**) ვლინდება და აღზევდება როგორც ძალაუფლებისადმი ცნობიერი სწრაფვა“ (**“Machtbewusstsein”**), ქედმალობა/ამპარტაენება (**“Hybris”**) (ზუსტად ეს სიტყვა-კონცეპტი შემდგომ იმავე შინაარსით რობაქიძესთანაც გაჩნდება ესსეში „თაურშიში და მითოსი“ – კ. ბ.) და უღმერთობა (**“Gottlosigkeit”**). ჩვენი დღევანდელი დამოკიდებულება ბუნებისადმი ამპარტაენულია. [...] ჩვენ ქედმალობას ვიჩენთ ბუნების მიმართ, როდესაც მას მანქანებით და წარმოუდგენელი ტექნიკური და საინჟინრო გამოგონებებით ვაუპატიურებთ. ქედმაღლურია ჩვენი დამოკიდებულება ღმერთის მიმართ, პირველსაგანთა დიადი ქსელის მიმართ, რომელზეც ჩვენი პრაგმატული მორალითა და ზრახვებით ობობებივით დავძვრებით. ქედმაღლურია ჩვენი დამოკიდებულება ჩვენი თავის მიმართაც, ვინაიდან ჩვენ ისეთ ექსპერიმენტებს ვუწყობთ საკუთარ თავს, რასაც არც ერთ ცხოველს არ მოუწყობდით“ (Nietzsche 2000b: 357).

\*\* აღნიშნულ საკითხზე დანვრილებით იხ. ჩემი სტატია: „გოეთეს სწავლება ურფენომენზე (Urphänomen) და მისი რეცეფცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში“ (ბრეგაძე 2013: 257-298).

რობაქიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

მითოსი“ და სხვ.) მუდმივად წინ წამოსწევს გოეთეს ურფენომენის მოძღვრების არქეტიპულ როლს როგორც მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, ისე მხატვრული შემოქმედების პოეტოლოგიური პრინციპების, შემოქმედებითი მეთოდისა და სახისმეტყველებითი პარადიგმების განვითარებისა და ჩამოყალიბების თვალსაზრისით (თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ერთი მხრივ, ქართული ენისა და მითოსის მსოფლხატი, მეორე მხრივ, საკუთრივ ქართულ ფილოსოფიურ სივრცეში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის), იოანე პეტრიწის და შოთა რუსთაველის მიერ შემუშავებული მსოფლმხედველობრივი პარადიგმები):

„გოეთეს მოძღვრება თაურფენომენის შესახებ ჩემთვის საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა. სინამდვილის ხედვა ჩამოყალიბების პროცესსა და მთელის დინებაში, და არა ცალკეულ მომენტებში – განა მწერლისა (ხაზი ჩემია – კ. ბ.) და მოაზროვნის უმაღლესი ამოცანა არაა?“ (რობაქიძე V 2012c: 361).

ამგვარად, ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედებითი და პოეტოლოგიური ინსპირაციის წყარო, უმთავრესი იდეურ-ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს, ზოგადად, რობაქიძის შემოქმედებას და მის სპეციფიკას საკუთრივ ქართულ მსოფლმხედველობრივ პარადიგმებთან ერთად, არის სწორედ გოეთეს ურფენომენის (რობაქიძის მიხედვით „თაურმოვლენის“) კონცეფცია, რომელიც რობაქიძის მიერ რეციფირებულ სხვა ფილოსოფიურ მოძღვრებათა იმპლიციტური საფუძველია: ანუ, რობაქიძის შემოქმედებაში რეციფირებული სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებანი განხილული და გააზრებულია სწორედ გოეთეს პირველფენომენის მოძღვრების კონტექსტში (მაგ., იგივე, ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეა. შდრ.: „არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავის თავისაკენ, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება თავის თავისაკენ“, რობაქიძე V 2012c: 361). რაც მნიშვნელოვანია, რობაქიძე სწორედ გოეთეს თაურფენომენის პერსპექტივიდან ცდილობს სწვდეს სტალინის პიროვნების არიმანულ შინაგან არსსა და სტალინიზმის მითოსურ საფუძვლებს. თუმცა, ჯერ განვიხილოთ გოეთეს ურფენომენის კონცეფციის რობაქიძისეული რეცეფცია.

როგორც ცნობილია, გოეთემ ურფენომენის კონცეფცია თავისი ბუნებისმეტყველური კვლევების, კერძოდ, ბოტანიკური კვლევების ფარგლებში განავითარა, როდესაც მან წამოაყენა ე. წ. პირველმცენარის (**Urpflanze**) იდეა, რომლის თანახმადაც ორგანული ბუნების ცალკეული ფორმების (გოეთეს მიხედვით „**Gestalt**“), ამ შემთხვევაში, მცენარეთა სამყაროს კონკრეტული ფორმების ეგზისტენცია დეტერმინებულია მათივე მეტაფიზიკური პირველსაწყისებით: ანუ, მცენარეთა სამყაროს მრავალფეროვან სახეობებს („გემტალტ“-ებს) საფუძვლად უდევს ყველა მცენარისათვის ერთი საერთო, საყოველთაო მეტაფიზიკური შინასახე (გოეთეს მიხედვით „**Typus**“), ანუ პირველმცენარე. შესაბამისად, ბუნების ფენომენები, ამ შემთხვევაში, მცენარეთა სამყაროს ფორმები ემპირიულ სინამდვილეში ვლინდებიან როგორც ამ

პირველმცენარის, ანუ ურფენომენის უსასრულო ემპირიული ემანაციები, რაც ნიშნავს იმას, რომ გოეთეს ონტოლოგიური დაშვების თანახმად, პერსპექტივაში შესაძლებელია მცენარეთა ახალ-ახალი, ჯერ არ არსებული სახეობების მუდმივი და უსასრულო წარმოქმნა:

„პირველმცენარე (**“Urpflanze”**) სამყაროს გასაოცარი ქმნილება და მისი გასაღებია. [...] ამ მოდელის მიხედვით შესაძლებელია მცენარეთა უსასრულო გამოგონება. ეს ნიშნავს: ის მცენარეები, რომლებიც ახლა არც კი არსებობენ, შემდგომში შეძლებენ არსებობას. და ეს პოეტური და ფერწერული გამონაგონი კი არ არის, არამედ ჭეშმარიტი და უცილობელი რეალობაა. ამავე კანონის მისადაგება ყველა სხვა დანარჩენ ცოცხალ არსზეა შესაძლებელი“ (Goethe 2000a: 323-324).

ამგვარად, აქ ისიც ირკვევა, რომ გოეთე პირველმცენარის იდეას საფუძვლად უდებს ორგანული ბუნების სხვა ფორმებსაც, მაგ., ცხოველთა სამყაროს (იხ. მისი ლექსი „ცხოველთა მეტამორფოზა“/**“Metamorphose der Tiere”**) და ადამიანის ანთროპოლოგიურ არსსაც (იხ. მისი პოეტური ციკლი „ორფიკული პირველსიტყვები“/**“Urworte. Orphisch”**) (ბრეგაძე 2012: 166-167).

ნარკვევში „მცენარეთა მეტამორფოზის ახსნის ცდა“ (**“Versuch die Metamorphose der Pflanzen zu erklären”**) (1790) ერთნაირად მცენარეებზე დაკვირვების საფუძველზე გოეთე ასევე ავითარებს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, მცენარის საფეხურებრივი განვითარების (გოეთეს მიხედვით „მეტამორფოზის“, ან „ზეალსვლის“/**“Steigerung”**) ყოველ ეტაპზე თითოეული სეგმენტი, მაგ. ფოთოლი, თავის თავში პოტენციურად შეიცავს მთლიანი მცენარის შინადასახეს და შესაბამისად, ამ ცალკეული სეგმენტიდან (მაგ., ფოთლიდან) მთლიანი მცენარის აღმოცენების უნარს (Goethe 2000b: 101).

ესეში „თაურშიში და მითოსი“ რობაქიძე, ზოგადად, ადამიანის და, კონკრეტულად, მოდერნის ეპოქის ადამიანის არსებობის ონტოლოგიას სწორედ გოეთეს ურფენომენის (შესაბამისად, პირველმცენარის) კონცეფციაზე დაყრდნობით ხსნის, რასაც რობაქიძე სუბიექტის ზღვრისეულ ვითარებაში ჩაყენების კონტექსტში ავითარებს. აქ ეგზისტენციალური საზღვრის როლს მეტაფიზიკური შიშით აღძრული სიკვდილის ფენომენის ინტენსიური განცდა ასრულებს, რომლის მოქმედების შედეგადაც სუბიექტი თავისებური ან-ან-ის მდგომარეობაში აღმოჩნდება: ერთი მხრივ, აქ სიკვდილი ვლინდება, როგორც აპრიორული ფენომენი, რომელიც საბოლოო ზღვარს უდებს სუბიექტის შემდგომ ეგზისტენციას და გადაჰყავს იგი არარასეულ განზომილებაში, ანუ, აქ სიკვდილი გვევლინება სუბიექტის *სუბიექტურობის*, მისი *თვითობის (Selbst)* გაქრობისა და მოსპობის აპრიორულ წინაპირობად; ხოლო, მეორე მხრივ, რობაქიძე უშვებს მეტაფიზიკურ ზღვარზე მყოფი სუბიექტის თავის მითოსურ პირველსაწყობთან, ანუ პირველფენომენისეულ ტრანსცენდენტურ სივრცეში დაბრუნებისა და მისი არაემპირიულის სფეროში შემდგომი ეგზისტენციის შესაძლებლობასაც:

რობაქიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

„ჩვენ თაურშიშისთვისა ვართ განწირულნი.

თუმცა ყოველი ზღვარი ორლესულია (**“zwietschneidig”**), და სწორედ იქ, სადაც არარადმქმნელი (**“nichtend”**) სიცარიელე ჩასაფრებულა, იქვე მოისმის ღვთის სუნთქვაც. დაუშრეტელად ღვივის ჩვენში თაურსაწყისი (**“Urbeginn”**). იგი იდუმალ მყოფობს ყოველ საგანსა და ყოველ მოვლენაში“ (Robakidse 1935b: 36).

ამგვარად, სწორედ ამ ზღვრისეულ ვითარებაში სუბიექტის წინაშე წარმოიქმნება ეგზისტენციალური ან-ან: სუბიექტი ან კარგავს თავის სუბიექტურობას და არარასეულ განზომილებაში ქრება, ან მისი სუბიექტურობა საკუთარი ტრანსცენდირებადი ენტელექიისა და ცნობიერებისეული ნებელობის საფუძველზე ტრანსცენდირებს და უერთდება არაემპირიულ, მეტაფიზიკურ პირველფენომენისეულ განზომილებას. შესაბამისად, აქ საკითხი დგას ასეც: თუ, რა არის სუბიექტის სუბიექტურობის, პიროვნულობის არსებობის წინაპირობა – მხოლოდ ემპირიული სინამდვილე, თუ არაემპირიული სინამდვილეც; ანუ, შეუძლია თუ არა სუბიექტს საკუთარი ენტელექიის საფუძველზე, რომელიც ორგანული ბუნების სხვა ფორმებისაგან (მაგ. მცენარეებისაგან) განსხვავებით თავისთავად კი არ ვითარდება, არამედ საკუთარი ცნობიერებისეული ნებელობის საფუძველზე, ე. ი. შეუძლია თუ არა სუბიექტს ტრანსცენდირება (გადალახვა, გადასვლა), ანუ ზღვრისეული მდგომარეობის დაძლევისას საკუთარი სუბიექტურობის არაემპირიულ და ტრანსცენდენტურ სინამდვილეშიც შენარჩუნება.

სუბიექტის ამ აპრიორული ზღვრისეული ეგზისტენციის ჰერმენევტიკას რობაქიძე ესსეში შემდგომ ახორციელებს სწორედ გოეთეს ურფენომენის კონცეფციის ჭრილში:

„სავსებით არამართებული ჩანს მარადიული კვლავმობრუნების ამგვარი (ე. ი. ნიცშესეული – კ. ბ.) გააზრება: არა ცალკეული უბრუნდება თავისთავს მარადიულად, არამედ მარადიული უბრუნდება თავისთავს ცალკეულში, ე. ი. თაურსაწყისი. იგია ამ ქვეყნად ყველა მოვლენის თაურმითოსი. [...] თაურმცენარის იდეამ ერთბაშად გადანყვიტა უმნიშვნელოვანესი პრობლემები. პირველად მსოფლიო ისტორიაში მთელი ყოფიერება სახეობრივ-ბუნებითი მჭვრეტელობის საფუძველზე (**“bild- und natursichtig”**) მითოსურ რეალობად იქნა შემეცნებული. [...] თაურმცენარე მცენარის მითიური სინამდვილეა – არა ისტორიული ფაქტი, ერთჯერადი მოვლენა, არამედ კოსმიური, რომელიც მუდმივად ვლინდება. თაურმცენარე მითოსის გრძნობად-პოეტური სახეა. [...] ასე თვლემს ყოველ საწყისში პირველსაწყისი და მარადიული ხორცს ისხამს ცალკეულში. და როდესაც ცალკეული (**“das Einzelne”**) მარადიულის (**“das Ewige”**) გამანაყოფიერებელ მოქმედებას თავის თავში შეიგრძნობს, მაშინ ის მარადიულის თანაზიარი შეიქნება. და შემდგომ მისთვის (ე. ი. ცალკეულისთვის, ანუ სუბიექტისთვის – კ. ბ.) ის მომაკვდინებელი ზღვარი აღარ იქცევა უცილობელ საფრთხედ, და საკუთარი თვითობაც (**“Selbst”**) გადარჩება მეტაფიზიკურ ზღვართან შეხლისას“ (Robakidse 1935b: 38, 41-42).

ამგვარად, გოეთეს *ურფენომენის* კონცეფციაზე დაყრდნობით რობაქიძე ესსეში „თაურშიში და მითოსი“ ავითარებს ონტოლოგიურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სუბიექტი („ცალკეული“) თავისი ტრანსცენდირებადი შინაგანი არსის (ენტელექიის) საფუძველზე იმთავითვე ისწრაფვის ურფენომენისაკენ, ანუ პირველსაწყისისეული ეგზისტენციისაკენ, მეტაფიზიკური პირველსაწყისებისაკენ. თავის მხრივ კი, ობიექტი, ამ შემთხვევაში *ურფენომენი*, ანუ მეტაფიზიკური პირველსაწყისი, ემპირიულ სინამდვილეში ვლინდება ორგანული ბუნების მრავალფეროვანი ფორმების სახით – მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, თავად ადამიანის მრავალფეროვანი ანთროპოლოგიური არსი და მისი ისტორიული ყოფა, რომელიც ვლინდება ეროვნული კულტურების მრავალფეროვნების სახით. ამგვარად, *ურფენომენი* (პირველფენომენი, თაურფენომენი) ვლინდება მოვლენათა სამყაროს, ე.ი. ემპირიული სინამდვილის ფენომენებში, რომლებიც კვლავ უბრუნდებიან ურფენომენისეულ ეგზისტენციას. აქ გვაქვს სუბიექტ-ობიექტის დიალექტიკური მთლიანობა და მათი ურთიერთგამომდინარეობა. შესაბამისად, საკუთარ ეგზისტენციაში ყოველი ცალკეული სუბიექტი მუდმივად, უსასრულოდ კი არ გადის სიკვდილ-სიცოცხლის ერთსა და იმავე ციკლს, რასაც ნიცშეს მიხედვით საფუძვლად უდევს *სიცოცხლე (Leben)*, როგორც ყოფიერების ირაციონალური აპრიორული პირველსაწყისი, არამედ ყოფიერებაში მარადიული, ანუ ურფენომენისეული მარადიულად ვლინდება ემპირიული სინამდვილის ცალკეულ ფორმებში, მათ შორის ადამიანის ანთროპოლოგიურ არსშიც, და მარადიულობისაკენ, ანუ ურფენომენისაკენ სწრაფვის უნარს ანიჭებს მათ – მცენარეებსა და ცხოველთა სამყაროში ეს სწრაფვა გაუცნობიერებელია, ხოლო ადამიანში გაცნობიერებული და საკუთარ ცნობიერებისეულ ნებელობაზე დაფუძნებული (შდრ. გოეთეს ციკლი „ორფიკული პირველსიტყვები“) (ბრეგაძე 2012: 178-181).

ამგვარად, რობაქიძის მიხედვით *ურფენომენი* მარადიულად ვლინდება ემპირიული სინამდვილის ფენომენებში, რომლებიც შემდგომ აპრიორულად უბრუნდებიან პირველფენომენისეულ ჭეშმარიტ ეგზისტენციას, ვინაიდან ემპირიული სინამდვილის ფენომენთა მრავალსახოვნებას, ანუ *გეშტალტებს*, ერთი საერთო, საყოველთაო *შინასახე* (გოეთეს მიხედვით *ტიპი*) უდევს ონტოლოგიურ საფუძვლად (მაგ., გოეთესთან მცენარეთა სამყაროს მრავალფეროვნება თავს იყრის *პირველმცენარეში*, ანუ ერთიან საყოველთაო მცენარესეულ *ურფენომენში*). თუმცა, შემდგომ რობაქიძე ერთგვარად აფართოვებს გოეთეს ურფენომენისეულის სფეროს და მისკენ მიმართავს როგორც ცალკეული სუბიექტის, ისე ერებისა და, შესაბამისად, მთელი კაცობრიობის ეგზისტენციას, რომლებიც, ერთი მხრივ, არიან პირველადამიანის (ამ შემთხვევაში ბიბლიური ადამის) ემპირიულ გამოვლინებებს ისტორიულ სივრცეში, სადაც, როგორც ცალკე სუბიექტი, ისე ყოველი ცალკეული ერი და მთელი კაცობრიობა თავის თავში ატარებს პირველადამიანის შინასახეს. ხოლო სუბიექტის, ერისა და, შესაბამისად, კაცობრიობის ონტოლოგიური ამოცანა და მისი ეთიკური მზაობისა და ქმედების საფუძველია ამ პირველადამი(ანი)სეული,

რობაქიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაქიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

ანუ ურფენომენისეული სანყისებისაკენ შეუქცევადი სწრაფვა, რაც რობაქიძის ონტოლოგიური დაშვების თანახმად აპრიორულადაა მოცემული ადამიანის (შესაბამისად, კაცობრიობის) შინაგან არსში (რობაქიძე 2012d: 371).

შესაბამისად, რობაქიძის მიხედვით, გოეთეს ურფენომენის მოძღვრებაში მთელი ემპირიული სინამდვილე და მასში მოცემული ორგანული ბუნების ფენომენები მოიაზრება არა როგორც *საგანთსამყარო (Dingwelt)*, ე. ი. მოიაზრება არა როგორც წმინდად მატერიალური სინამდვილე, არამედ როგორც პირველსანყისებისაკენ წინმსწრაფველი ცხოველმყოფელი ფენომენები, რომელთა არსებობის საფუძველსაც სწორედ მეტაფიზიკური პირველფენომენისეული რეალობა ქმნის, რასაც რობაქიძე სხვაგვარად „მითოსურ რეალობას“ უწოდებს. ამგვარად, რობაქიძის (შესაბამისად, გოეთეს) თანახმად, ყოფიერებაში მუდმივად, დაუსრულებლად მოცემულია ურფენომენის მეტაფიზიკურიდან ფიზიკურში, მითოსურიდან ისტორიულში და პირუკუ მიმოქცევა.

### **3.1. სტალინის უმამობა და ნიჰილიზმი ურფენომენის კონცეფციის პერსპექტივიდან**

რობაქიძის მიხედვით, სტალინის „არიმანიზება“ გამოწვეულია სწორედ იმით, რომ სტალინის პიროვნებაში არ იყო მოცემული მამის არქეტიპული მითოსური პირველხატის გზება და განცდა. ამიტომაც, სტალინის ღარიბ ოჯახში მხოლოდ სისასტიკე და უსიყვარულობა სუფევდა, სადაც *მამასა და შვილს*, როგორც *თაურფენომენსა და ფენომენს*, შორის მეტაფიზიკური კავშირი შეფერხდა: სტალინის შემეცნებაში იყო სვლა მხოლოდ *წინ*, ანუ ვითარდებოდა *ფენომენი*, ხოლო სვლა *უკან*, ანუ *ურფენომენის* ხსოვნა და კოსმიური განცდა, სრულიად მოშლილი და გაუქმებული. ამიტომაც, მის არსში საერთოდ არ მყოფობდა „მითოსის მქმნელი ძალები“ („*die mythosbildende Kräfte*“), ანუ ის სპირიტუალური შემეცნების ძალა, რომლის საფუძველზეც, რობაქიძის თანახმად, ადამიანს შესწევს უნარი, ერთი მხრივ, მუდმივად განიცადოს მეტაფიზიკური პირველსანყისების მოქმედება და, მეორე მხრივ, საკუთარ არსებაში მოიპოვოს ე. წ. „შუაგული“ („*Mitte*“), ე. ი. შემეცნება ერთდროულად წარმართოს როგორც *წინ*, ისე *უკან* და ასე განიცადოს ე. წ. „მარადიული ანმყო“, ანუ ჰქონდეს „დიდი შუადღის“ მარადიული გზება:

*„აღმოსავლეთმა იცის, რას ნიშნავს მამა: ის არის თესლი, რომელიც კოსმიურ ანაყოფიერებს. [...] ის მეტაფიზიურ სიცოცხლეს აგრძელებს შვილის ყოველ ფიზიურ ხტილსა და უჯრედში. აქ მყოფობს მამის შთამომავლობითი ხსოვნა. სადაც ეს ხსოვნა მკვდარია, იქ სიცოცხლე შეფერხებულია. სტალინის სახლში ეს ხსოვნა შეფერხებული იყო. შვილმა დანყევლა მამა, თესლი და ამით თავად შესაქმე შეიძულა. მისთვის ამიერიდან აღარ არსებობდა სიყვარული, მისთვის აღარ არსებობდა სიხარული. სიცოცხლის დერიტა მოშხამა მამისადმი ამოუვსებმა მძულვარებაში. ასეთი უმამო თავის უმამობას თუკი მისტიურ*

ვერ დაძლევს, მასში იმთავითვე მუდამ გაუქმებულია ერთი უარსებითესი რამ – სიცოცხლით ლხენა. [...] სტალინს პირდაპირ სტანჯავდა სამყაროს მრავალფეროვნება. მეტიც: მას თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. ის ისწრაფვოდა ნგრევისაკენ, რათამასში მბორგავი განადგურების ნება გამოეცადა და მისთვის გასაქანი მიეცა“ (Robakidse 1935a: 67, 68, 72).

თავად სტალინს ამ მეტაფიზიკური უფსკრულის „მისტიური დაძლევის“ („*mystisch überwinden*“) არც უნარი ჰქონდა და არც სურვილი, მისი არიმანული ენტილექია მას სწორედ იმ სწავლებებისაკენ იზიდავდა, სადაც მოცემული იყო *მითოსის*, ანუ მეტაფიზიკური პირველსაწყისებისა და საკრალური დიონის-სურობის სრული უარყოფა და განადგურება. ამიტომაც, რობაქიძის დაკვირვებით, სტალინი სრულიად „ბუნებრივად“ მივიდა ვულგარულ მატერიალიზმამდე და რუსულ მარქსიზმამდე:

„ამიტომ მისთვის ნიჰილიზმი სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო. [...] თუკი დამტკიცდებოდა, რომ ადამიანი მაიმუნების მდომას ეკუთვნის, მაშინ რჩეულნიც ყოველგვარ ხიბლს დაკარგავდნენ: ნაპოლეონი აღარ იქნებოდა რაიმე განსაკუთრებული რამ, არამედ ერთ-ერთი მრავალთავანი. [...] მაგრამ აქ შეფარვით სხვა აზრიც იყო ჩაქსოვილი: თუკი ადამიანი თავის არსში მაიმუნის მსგავსია, მაშინ ამით სრულ აბსურდად წარმოჩნდებოდა ბიბლიისეული შესაქმის სწავლება ადამიანის ღვთისმსგავსების შესახებ. ამგვარად კი ბოლო მოეღებოდა ღვთის ხატობისა და მსგავსების იდეას. სტალინიც მოექცა ნიჰილისტების გავლენის ქვეშ და ვნებიანად შეუდგა საბუნებისმეტყველო კვლევების შესწავლას. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს კვლევები მას უცილობლად მიიყვანდა ღვთის უარყოფამდე. მაგრამ ის ვერ აცნობიერებდა, რომ ღვთისაგან მოწყვეტილი, უღმერთო ადამიანი თავად სამყაროსთან დაკარგავდა ყოველგვარ კავშირს. შესაძლოა, ქვეცნობიერად მას ესეც უნდოდა: დაარღვევდა საკრალურ წყობას საგნებს შორის, თავად სიცოცხლეც შეფერხდებოდა. ეს გათვლა კი ზედგამოჭრილი იყო მათთვის, ვისაც სიცოცხლე იმთავითვე სტანჯავდა. სტალინს ძლიერი, ცივი ლოგიკა და გამახვილებული მეხსიერება („*Gedächtnis*“) ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონდა ხსოვნა („*Erinnerung*“). ის დაშორდა ღმერთს და შთაინთქა თავისსავე მეამბოხე ძალაუფლებაში“ (Robakidse 1935a: 72, 73-74).

აქ რობაქიძემ ზუსტად შენიშნა, რომ სტალინში სწორედ ხსოვნის („*Erinnerung*“) მეტაფიზიკურ-სპირიტუალური უნარის შეგნებული მოშლა იყო ის ფუნდამენტური ანთროპოლოგიური დარღვევა, რის საფუძველზეც სტალინმა „მისტიური“ კავშირი განყვიტა როგორც მითო-მეტაფიზიკურ პირველსაწყისებათან (დიონისურობასთან), ურფენომენის წიაღთან, ისე „დაზაინ“-თან, ანუ ფენომენტა სამყაროსთან, სიცოცხლესთან, კაცობრიობასთან, სამშობლოსთან, ადამიანთან.

#### 4. სტალინი, როგორც დამანგრეველი უპიროვნო სამყაროული ძალის (Kraft/Wille/Macht) განსახიერება

ესსეში „სტალინი როგორც არიმანული ძალა“ რობაქიძე სტალინის კიდევ ერთ არსობრივ არიმანულ მახასიათებელს გამოყოფს – მის უპიროვნობას, სტიქიურ, დამანგრეველ და ყოვლისნამლეკავ ბუნებას, რითაც იგი უახლოვდება და ემსგავსება თავად ყოფიერების არსს, ყოფიერების ფუნდამენტურ მახასიათებელს, ანუ, უახლოვდება და ემსგავსება სამყაროს, როგორც ძალაუფლების ნებას. სტალინის არსის დახასიათებისას, რობაქიძე, ფაქტიურად, ეხმინება ნიცშეს ონტოლოგიურ ხედვას, რომლის მიხედვითაც, *სამყარო ძალაუფლების ნებაა*, ანუ უსაშველო და უსაზმნო ენერგიათა უსასრულო და მარად ერთი და იგივე გამოვლენაა:

„ის აღარ არის ადამიანი, არამედ ის არის არსება, საზარელი, საშინელი არსება [...] თავად გათავისუფლდა რა ყოველგვარი კომპლექსებისა და თვითშეზღუდვისაგან, ის უკვე მოქმედებს როგორც ბრმა და წამლექავი ბუნების ძალა“ (Robakidse 1935a: 104).\*

ამგვარად, რობაქიძის მიხედვით, სამყაროს, როგორც „წმინდა“ ნების უსასრულობასა და სტიქიურობას, სრულად შეესაბამება სტალინი, როგორც „წმინდად“ სტიქიური პოლიტიკურ-იდეოლოგიური ნება, ძალა და ძალუფლება. შესაბამისად, სტალინისტიური სახელმწიფოს „ფუნქციონირების“ საფუძველი, საბოლოო ჯამში, არის არა რაციო, გამომთვლელი გონება, არამედ ირაციონალური პოლიტიკური ძალაუფლების ნება, რომელიც შეუზღუდავად და სტიქიურად ვლინდება კონკრეტულ პოლიტიკურ ძალადობაში მილიონობით ადამიანის მასობრივი რეპრესიების, მათი ყოვლისმომცველი პოლიტიკური ზედამხედველობის, დამორჩილებისა და დამონების სახით.

\* შდრ.: „და გნებავთ უწყოდეთ, თუ რა არის >>სამყარო<< ჩემთვის? გნებავთ გიჩვენოთ ის ჩემს სარკეში არეკლილი? ეს სამყარო სხვა არაფერია, თუ არ უსაშინლეს და უზარმაზარ ძალთა ნიალი, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, რომელიც არც მცირდება და არც იზრდება, რომელიც არც ამოიწურება და არც აღივსება, არამედ გარდაისახება და მუდმივად უცვლელადი ერთი სიდიდე რჩება მისგან. იგია ვითარცა მეურნეობა გასავალისა და შემოსავლის გარეშე, ზრდისა და შემცირების გარეშე. იგი სხვა >>არაფრისგანაა<< შემოსაზღვრული, იგი მხოლოდ თავად უნესებს თავისთავს საზღვრებს. მასში არაფერია ამონურვადი და განქარვებადი, მასში არაფერი ფართოდება უსასრულოდ. არამედ სამყარო არის განსაზღვრული ძალა, რომელიც განსაზღვრულ სივრცეშია მოქცეული. ამ სივრცეში არაფერი რჩება “ცარიელი”, ის ამ ძალით ამოივსება, იგია ამ ძალთა თამაშის ნიალი, ამ ძალთა ტალღების თამაში, ერთდროულად ერთი და მრავალი. ეს ძალნი უცებ ერთ ადგილას მოიყრიან თავს და შეიყრებიან, ამავდროულად კი სხვაგან მცირდებიან... სამყარო თავის თავში მობობოქრე სტიქიურ ძალთა ზღვაა, მარად თავისთავის გარდამსახველი, მარად თავის თავში ჩაბრუნებული, თავისთავში უკუმიქცეული, კვლავდაბრუნების უსასრულო წლინადებში განრთხმული.[...] ის მუდმივ ქმნადობაშია, ის ვერ ძლება თავის თავით, იგი არ ცნობს მოყრჩეობასა და გადალასს. ესაა ჩემი დიონისური სამყარო (“meine dionysische Welt”) – სამყარო მარად და უსასრულდ თავის თავის ქმნისა, მარად და უსასრულოდ თავის თავის ნგრევისა, იგია ჩემი მიღმიერება სიკეთისა და ბოროტებისაგან, სამყარო ყოველგვარი მიზნის გარეშე. გნებავთ გარქვათ მისი სახელი, რომელიც არს ყველა მის გამოცანათა გასალბი? ეს სამყარო ძალა უფლებების ნებაა და სხვა არაფერი (“Wille zur Macht”). და თავად თქვენც ძალაუფლების ნება ხართ და სხვა არაფერი“ [Fr. 38/12, 1885] (Nietzsche 1996: 157-158).

სტალინის არიმანულობის ეს სტიქიური და უმართავი ანთროპოლოგიური თუ ონტოლოგიური მახასიათებელი გოეთესეულ მეფისტოფელთანაც ამჟღავნებს სიახლოვეს, ვინაიდან გოეთეს მეფისტოფელიც წარმოჩნდება სამყაროში დაუსაბამოდ ამოქმედებულ უსაშველო დამანგრეველ ძალად, სამყაროულ „ბრმა“ ნებად (თავად ამ პერსონაჟის ონომასტიკაც კი ამ თვისებაზე მიუთითებს: ძვ. ებრ. *mephir* – „დამანგრეველი, *tophel* – „მატყუარა“; იხ. Erläuterungen ... 2001: 21-22). ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სტალინის არიმანულობა, როგორც მისი დამანგრეველი ბუნება, არსობრივად და თვისობრივად უახლოვდება მეფისტოფელის ბუნებას. ამგვარად, შესაძლებელია საუბარი სტალინის ერთდროულად არიმანულ, მეფისტოფელურ და პრომეთეულ-ტიტანურ არსზე, რომელიც ყოფიერებიდან, „დაზაინ“-იდან, ადამიანის ცნობიერებიდან განდევნის ღვთაებრივ დიონოსოს და ამით ანგრევს სამყაროს საკრალურ წყობას.\*

### დასკვნის მაგიერ

გრ. რობაქიძე სიცოცხლის ბოლომდე გოეთეანელად დარჩა და მისთვის ონტოლოგიური თუ ანთროპოლოგიური შემეცნების პროცესში სიცოცხლის ბოლომდე ძვირფასი და საფუძველმდები იყო გოეთეს ურფენომენის (თაურმოვლენის) კონცეფცია, როგორც „დაზაინ“-ის საგანთა და მოვლენათა მითოსური ახსნის საფუძველი და მეთოდოლოგია. გამოუქვეყნებელ ესეებში „ტეხნე და მითოსი“ („*Techne und Mythos*) (1955) (Robakidse 2011: 276-281) მოხუცი რობაქიძე ისევ და ისევ უბრუნდება გოეთეს თაურმოვლენის კონცეფციას:

„გოეთე სწვდა თაურმცენარის („*Urpflanze*“) პირველსახეს, ვინაიდან ის მცენარის ზრდას, მისი სიტყვებითვე რომ ვთქვა, ერთდროულად „წინ და უკან“ („*vorwärts und rückwärts*“) ჭვრეტდა: ე. ი. ჩანასახიდან კვირტამდე და კვირტიდან ჩანასახამდე. სწორედ ამ ორი მიმართულების გადამკვეთ პუნქტში მცენარეში, რომელიც თავისი განვითარების არც ერთ ფაზაზე არაა მთლიანად მოცემული, გოეთემ განჭვრიტა მთლიანი/მთელი მცენარის წარმოსახვითი ხატი: თაურმცენარე. სწორედ აქაა ყოველი მითოსის წიაღი. „ის არასოდეს მომხდარა, მაგრამ ყოველთვის მყოფობს“, თქვა რომაელმა ავტორმა სალუსტუსმა ბერძნულ მითებზე. ეს არის მითოსურობის („*das Mythische*“) ყველაზე მხვედრი განსაზღვრება. გოეთესაც შეეძლო ეთქვა: თაურმცენარე არასოდესაა რეალურ მცენარეში მოცემული, მაგრამ ვირტუალურ ის მცენარის განვითარების ყოველ საფეხურზე მყოფობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: თაურმცენარის ხატი ქმნადობაში მყოფი მცენარის მარადიულად თანამდევნი წამია.

\* შდრ.: „მე ვარ სული, ვინც მუდამ უარყოფს! / და ეს სრული უფლებითა და მართებულებით, ვინაიდან ყოველი, რაც წარმოიქმნება და წარმოიშობა, / ღირს არს, რათა განადგურდეს; / და სჯობს არც არაფერი წარმოქმნილიყო. / ამადაც, ყოველი ნგრევა და განადგურება („*Zerstörung*“), რასაც თქვენ ცოდვასა და ბოროტებას უწოდებთ, / ჩემი არსებითი ელემენტია“ (ზნკარედული თარგმანი ჩემია – კ. ბ.) (Goethe 1964: 170).

რობაკიძე contra სტალინი: ბოლშევიკური ბელადის ხატისა და სტალინის არიმანული არსის მითოსური ჰერმენევტიკა გრიგოლ რობაკიძის კულტურფილოსოფიურ ესსეებში

[...] „წინ და უკან“ („**vorwärts und rückwärts**“). ეს ბიპოლარულად წარმართული მეთოდი ერთადერთი სწორი მიდგომაა მოვლენის მთლიანი შეცნობისათვის. „წინ“ ნიშნავს „საით“ („**Wohin**“), უკან – „საიდან“ („**Woher**“). თითოეული მათგანი თანაბრადღირებულია, ვინაიდან თუკი „საით“-ს მეტაფიზიურ განვიხილავთ, იგი ყოველთვის „საიდან“-ზე მიუთითებს. თუკი ადამიანი მხოლოდ „საით“-ზეა მიმართული, მაშინ ის იმთავითვე აღმოჩნდება უსასრულო „ახლა“-ს (**Jetzt**) სიცარიელეს ტყვეობაში და ამით თავსაც დაიღუპავს. მაგრამ თუკი მან იცის, „საით“-ში როგორც სწვდეს და შეიგრძნოს „საიდან“, მაშინ ის მიმდინარე „ახლა“-ში მუდმივად მოსწყვეტს თავის თავში გაყურსულ მეტაფიზიურ წამს და ამგვარად ყოველ ხტილსა და ყოველ წამს მოიპოვებს მადლს“ (Robakidze 2011: 277, 278).

სტალინს და მისი არიმანული რეჟიმის მიერ გამოყვანილ საბჭოთა ადამიანს სწორედ ეს მადლი აკლდა – საკუთარი თავის, ყოფიერების, სამყაროული ფენომენების ერთდროულად ორი მიმართულებით ჭრეტისა და განცდის სპირიტუალური უნარი. ამიტომაც, სტალინში, საბჭოთა მოქალაქესა და, ზოგადად, თანამედროვე მოდერნის ეპოქის ადამიანში ამ ორმხრივი შემეცნებითი პროცესის უნარის მოშლილობა მათს შინაგან განცდაში აუქმებდა მეტაფიზიკური პირველსაწყისების ხსოვნასა და აქ და ახალა მათ ცხოველმყოფელ განცდას. ეს შინაგანი მდგომარეობა კი მათში ამძაფრებდა საპირისპირო, არიმანულ ვნებებს, რაც შემდგომ ვლინდებოდა პოლიტიკური ძალაუფლების ნებისა და პოლიტიკური ძალადობის აბსოლუტიზმში ან ბუნების მასშტაბურ იდეოლოგიზებულ ტექნოკრატულ ათვისებასა და ნგრევაში. შესაბამისად, როგორც სტალინში, ისე საბჭოთა მოქალაქეში *სიცოცხლის* დიონისურ-საკრალური გზნება/განცდა, სიცოცხლით ლხენა, უპირობო, უანგარო უნივერსალურ-კოსმიური სიყვარული შეფერხებული იყო.

#### დამონშებანი:

Bregadze, K'onst'ant'ine. „Goetes Sts'avleba *Urpenomenze* da K'ant'is T'ranstsendent'aluri Pilosopia“. *Germanuli Romant'izmi*. Tbilisi: gamomtsemloba „meridiani“, 2012 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „გოეთეს სწავლება ურფენომენზე (Urphänomen) და კანტის ტრანსცენდენტალური ფილოსოფია“. *გერმანული რომანტიზმი*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012).

Bregadze, K'onstantine. „Goetes Sts'avleba *Urphenomenze* da Misi Retsepsia Grigol Robakidzis Shemokmedebashi“. *Kartuli Modernizmi (Gr. Robakidze, K. Gamsakhurdia, G. T'abidze)*. Tbilisi: gamomtsemloba „Meridiani“, 2013 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „გოეთეს სწავლება ურფენომენზე (Urphänomen) და მისი რეცეფცია გრიგოლ რობაკიძის შემოქმედებაში“. *ქართული მოდერნიზმი (გრ. რობაკიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე)*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013).

*Erläuterungen und Dokumente. Johann Wolfgang Goethe: Faust. Der Tragödie ertser Teil*, von U. Gaier, Stuttgart: Reclam. 2001.

Foucault, M. *Was ist Aufklärung* (S. 837-848); in: *M. Foucault, Schriften in 4 Bänden. Dits et Ecrits*, Frankfurt am Main: Shurkamp. Bd IV. 2005.

- Goethe, J. W. *Faust. Gesamtausgabe*, Leipzig: Insel. 1964
- Goethe, J. W. v. *Werke, Hamburger Ausgabe in 14 Bänden*, München, Deutscher Taschenbuch Verlag. Bd. XI, 2000a.
- Goethe, J. W. v. *Versuch die Metamorphose der Pflanzen zu erklären* (S. 64-101); in: *Werke, Hamburger Ausgabe in 14 Bänden*, München: Deutscher Taschenbuch Verlag, Bd. XIII. 2000b.
- Mythologie www...: *Ahriman*; in: <https://mythologie.infobro.de/index.php/a/18-ahriman-der> (Letzte Änderung – 05.02.2018).
- Nietzsche, Fr. *Die nachgelassenen Fragmente*, hrsg. von G. Wohlfahrt, Stuttgart: 1996. Reclam.
- Nietzsche, Fr. *Die Geburt der Tragödie aus dem Geiste der Musik*; in: *Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe in 15 Bänden (KSA)*, hrsg. von G. Colli und M. Montinari, 7. Aufl., München: Deutscher Taschenbuch Verlag / de Gruyter. Bd. I. 2000a.
- Nietzsche, Fr. *Zur Genealogie der Moral*; in: *Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe in 15 Bänden (KSA)*, hrsg. von G. Colli und M. Montinari, 7. Aufl., München: Deutscher Taschenbuch Verlag / de Gruyter. Bd. V. 2000b.
- Robakidze, Grigol (a). “Xelovneba da Sinamdvile”. *Nats’erebi 5 t’omad, t’. II*. Tbilisi: Lit’erat’uris Muzeumis Gamotsema, 2012 (რობაკიძე, გრიგოლ. „ხელოვნება და სინამდვილე“. *ნანერები 5 ტომად*, ტ. II. თბ.: ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 2012).
- Robakidze, Grigol (b). “Dionisos K’ult’i da Sakartvelo”. – *Nats’erebi 5 T’omad, t. III*. Tbilisi: Lit’erat’uris Muzeumis Gamotsema, 2012 (რობაკიძე, გრიგოლ. „დიონისოს კულტი და საქართველო“. *ნანერები 5 ტომად*, ტ. III. თბ.: ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 2012).
- Robakidze, Grigol (c). “Chemi Tsovreba”. *Nats’erebi 5 t’omad, t’. V*. Tbilisi: Lit’erat’uris Muzeumis Gamotsema, 2012. (რობაკიძე, გრიგოლ. „ჩემი ცხოვრება“. *ნანერები 5 ტომად*, ტ. V. თბ.: ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 2012).
- Robakidze, Grigol (d). “Int’erviu Grigol Robakidzestan”. *Nats’erebi 5 T’omad, t’. V*. Tbilisi: Lit’erat’uris Muzeumis Gamotsema, 2012 („ინტერვიუ გრიგოლ რობაკიძესთან“. *ნანერები 5 ტომად*, ტ. V. თბ.: ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 2012).
- Robakidze, Gr. *Techne und Mythos* (S. 276-281), in: *N. Gagnidse/Margret Schuchard, Grigol Robakidze (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen*, Aachen: Shaker. 2011.
- Robakidze, Gr. *Dämon und Mythos. Eine magische Bildfolge*, Jena: Eugen Diederichs Verlag. 1935.
- Robakidze, Gr. *Stalin als ahrimanische Macht* (S. 64-106); in: *Gr. Robakidze, Dämon und Mythos. Eine magische Bildfolge*, Jena: Eugen Diederichs Verlag. 1935.
- Robakidze, Gr. *Urangst und Mythos* (S. 25-42); in: *Gr. Robakidze, Dämon und Mythos. Eine magische Bildfolge*, Jena: Eugen Diederichs Verlag. 1935.
- Safranski, R. *Romantik. Eine Deutsche Affäre*, München: Hanser. 2007.
- Schlegel, Fr. *Lucinde*, Frankfurt am Main: Insel. 1986..
- Schleiermacher, F. *Über die Religion. Reden an die Gebildeten unter ihren Verächter*, Hamburg: Mainer. 1958.

**Konstantine Bregadze**  
(Georgia)

### **Robakidze contra Stalin:**

## **The Mythological Hermeneutics of Stalin's Ahrimanic Essence and the Image of the Bolshevik Leader in Grigol Robakidze's Philosophical Essays**

### **Summary**

**Key Words:** Grigol Robakidze, Stalin, Dionysos, Ahriman.

In his literary and philosophical essays Grigol Robakidze (1880-1962) always stresses the necessity of “a metaphysical explanation” of a phenomenon, or in other words the necessity to penetrate into the source or mythical phenomenon. He bases his method of mythical hermeneutics on Goethe's Proto-Phenomenon (German: *Urphänomen*) and applies the method to perceive existence and existential phenomena.

While explaining the phenomenon of Stalin, Robakidze bases his argument on the hermeneutical method and in the essay *Stalin as Ahriman's Power (Stalin als ahrimanische Macht)* (Robakidze 1935: 64-106) appearing in his German cultural philosophical collection of essays, published in 1935, entitled *Demon and Myth* (“Dämon und Mythos”) Robakidze is widely concerned by it.

As it can be seen from the essay's title, Robakidze identifies Stalin's personality with Zoroastrian myths and the evil, dark lord Ahriman. The name Ahriman itself is derived from the Zoroastrian theological term Angra Manyu meaning “devastating soul: (Mythologie www:...). Thus, Stalin (respectively, Stalinism) in the real historical-political space embodies this demonic-destructive power; As a Bolshevik totalitarian power and the leader of the totalitarian state he manifests the metaphysical-mythical ahrimanic destructive force in a specific historical time, which Robakidze calls “the time without myths” (“die mythenlose Zeit”) (Robakidze 1935a:103), or the desacralized, godless, “disenchanted” time (“entzaubert”). This Ahrimanic-Stalinist power in the totalitarian state and by this state destroys the primary divine order (Robakidze's “Sacred Order”), resulting into the expulsion of God from existence, first of all being manifested in the idea of God being exiled from human consciousness, as well as the destruction of divine ethos in human spirit.

Consequently, the Ahrimanic-Stalinist power is opposed to the idea of human being a God-like image, the idea of being God's son. This is done in the totalitarian space, through ideological and repressive pressure, and on the other hand, by the fetish of rationalism and technological progress (ideological scientism and technocracy), which destroys the soul of Godly fear and the beauty of the divinity and mysticism. At the same time, this process results in the hysteria for God's denial.

The founder and ruler of the totalitarian state will replace God, the idea of God and establish himself as a pseudo-God. The ruler of the totalitarian state, due to his ahrimanic essence, abolishes the sacred structure, which is primarily manifested in the destruction of the idea of God-like nature in the human being. It is not accidental, that Stalin in the text of the essay is compared to the prehistoric lizard, or biblical snake, which is an indication of the mythological-metaphysical essence of Stalin's ahrimanic-destructive nature; thus, in the essay Stalin serves a biblical snake, a metaphor of *primordial fear* (Urangst), *nothingness* (das Nichts), existential inability and impersonality.

According to Robakidze, the sacrilege also implies to the memory of the mythical image of the father in the son's consciousness. It is here that the idea of Goethe's *Urpheänomen* (Primary Phenomenon) is most clearly depicted, as a metaphysical connection between the creations of the God: hence, the genetic mystical-sacred union of the father and the child, this mythical and mystic memory is enables the "self" to have a memory of the metaphysical basis. Robakidze argues that the memory of my father's mythical images gives the "self" the ability of spiritual cognition, which is vital in order to understand and feel the similarity between one's self and metaphysical divinity.

Robakidze, in his essay, bases his explanation of Stalin's phenomenon or his personal essence, on the one hand, on Goethe's mythological metaphysical perspective and on the other hand, on Freud's Psychoanalysis (Oedipus Complex): From this mythological and psychological approach Stalin in his essence is a patricide, neglecter of his father, who in real historical space "organically" rejects his homeland, is alienated towards it as well as his nation, is detached from them and the denier of his father becomes the rejecter of his homeland, and nation: "The father-hater is against the fatherland and hates it as well ("Der Vaterhasser mußte innerlich auch gegen das Vaterland eingenommen sein") (Robakidze 1935a: 91). The lack of fatherhood in such rulers leads him to understand people as a mob, class, impersonal collective and not "God's embodiment": "The people were replaced by Mob, and the soul by class": ("Das Volk wurde durch Masse ersetzt, die Seele aber durch Klasse") (Robakidze 1935a: 76).

It is natural that the state, established by Stalin or any other similar ruler, would only be totalitarian, in which the sacrilege is dissolved, which is primarily expressed in the destruction of the idea of human being God's image. Consequently, a citizen of a totalitarian state, mainly obsessed with the instinct of self-preservation, reveals the lowest ethical qualities – insolence, insult, chauvinism, betrayal, treachery, killing, etc. Thus, the universal divine morality at this stage is being turned upside down. From an ontological point of view, a citizen of a totalitarian state is a victim of existential disability, existential fear and non-existence.

Grigol Robakidze's cultural philosophical essays and letters are one of the first attempts to explain and "explore" Stalin's phenomenon from the Mythological Hermeneutical perspective. In his "esoteric" experiments, Robakhidze used several approaches: the critique of Prometheus archetypal image found in Romanticism (Friedrich Schlegel, Friedrich Schleiermacher), Nietzsche's Dionysian concepts and the *Will To Power* (Wille

zur Macht), and Goethe's idea of the primary phenomenon (Urphänomen), as well as the Goethe's reception of the archetypal image of Mephistopheles.

In a lecture entitled "What is Enlightenment?" (French: "Qu'est-ce que les Lumières?") (1983) Michel Foucault addresses such occasions in history, which have one and the same characteristic, or a certain fundamental feature, and the necessity to identify the common processes from which they stem. Thus, such historic events, as signs, indicate about the turning point in history, emerge of a totally recent historical process unfamiliar for us before. Further, Foucault emphasizes that these types of signs should be distinguished while analyzing historical development and an "archaeological survey" of their genealogy must take place or as Foucault notes "it is genealogical in its design and archaeological in its method"; to put it in other words the impact of these events on the subsequent development of history should be measured, or how they affected the formation of mentality and values:

*"The present may be interrogated in an attempt to decipher in it the heralding signs of a forthcoming event. In his other texts on history, Kant occasionally raises questions of origin or defines the internal teleology of a historical process. In the text on Aufklärung, he deals with the question of contemporary reality alone. He is not seeking to understand the present on the basis of a totality or of a future achievement. He is looking for a difference: What difference does today introduce with respect to yesterday?"* (Foucault 2005:842).

Based on Michel Foucault's approach, the main features can be identified, which on the other hand Grigol Robakidze stressed while researching the mythological hermeneutics of Stalin's phenomenon. The fundamental ones are:

1. Stalin's fatherlessness;
2. Stalin's Nihilism;
international mistrust, the buildup and only gradual dismantling of arsenals of weapons of mass destruction, the rise and fall of the Iron Curtain, the Berlin Wall, and World Communism, not to mention countless personal tragedies and stories of suffering. Correspondingly, all this might equally have justified to treat world citizenship with weariness, or cosmopolitanism with condescension. However, in our increasingly globalized and interconnected world of the twenty-first century, where cultural exchange and language knowledge between the world's people, nations, and especially youths have become requirements and even benchmarks of personal accomplishments and outlooks, and of educational achievements and ambitions, such limitations need not, and should not apply any more.

This research therefore urges political, social, cultural, artistic and literary stakeholders from all over the world, and from all strata of society, to contribute to a development where "illusion" is gradually and progressively replaced with "dream", "potential", "goal", finally "reality". This author has tried to do his part, for instance firstly by writing this article in one of his "second languages" (English), secondly by having conducted the research that is its basis in altogether seven languages (including foreign literature sources, or passages of the empirical research when the interviewees spontaneously switched to other languages, as shown earlier for the "Transitional Cosmopolitan"), or thirdly by presenting the research results at conferences in several "yet other languages" (one of them being Russian).

Finally, and in answer to the title of this research: having compared the political illusion of cosmopolitanism and the cultural reality of multilingualism in scholarly and fictional literature, both sides could benefit from each other, and be enriched as a result: fictional literature, from the complex and thorough conceptualization of academic writing, and scholarly literature, from the sheer audacity and enthusiastic embodiment of cultural, linguistic and educational ideals in their main protagonists. Our empirical research has shown that those protagonists can step out of the realm of idealized fiction and become everyday reality, which is a professional goal and probably also a private dream that we as educators already work towards and harbor in our souls, in our classrooms and in our daily lives.

### References

- Aitchison, Jean. *Language Change: Progress or Decay?* (3rd edition). Cambridge: Cambridge University Press, 2001.
- Apeltauer, Ernst. "Multilingualism in a Society of the Future?" *European Journal of Education* vol. 28, no. 3 (1993): 273-294.
- Appiah, Kwame Anthony. "Cosmopolitan Patriots". *Cosmopolitanism: Thinking and Feeling Beyond the Nation*. Eds. Pheng Cheah and Bruce Robbins. Minneapolis and London: University of Minnesota Press, 1998: 91-114.
- Appiah, Kwame Anthony. *Cosmopolitanism: Ethics in a World of Strangers*. New York and London: W.W. Norton, 2006.

- Aronin, Larissa, and Muiris Ó Laoire. "Exploring Multilingualism in Cultural Contexts: Towards a Notion of Multilinguality". *Trilingualism in Family, School and Community*. Eds. Charlotte Hoffmann and Jehannes Ytsma. Clevedon: Multilingual Matters, 2004: 11-29.
- Bang, Fibiger Peter. "Iranian Cosmopolitanism: World Religions at the Sassanian Court". *Cosmopolitanism and Empire: Universal Rulers, Local Elites, and Cultural Integration in the Ancient Near East and Mediterranean*. Eds. Myles Lavan, Richard E. Payne, and John Weisweiler. Oxford and New York: Oxford University Press, 2016: 209-230.
- Barron-Hauwaert, Suzanne. "Trilingualism: A Study of Children Growing up with Three Languages". *The Multilingual Mind: Issues Discussed by, for and about People Living with Many Languages* Ed. Tracey Tokuhama-Espinosa. Westport, Connecticut and London: Praeger, 2003: 129-150.
- Bassnett, Susan. "Language and Identity". *The Linguist* vol. 39, no. 3 (2000): 66-71.
- Beck, U. "The Cosmopolitan Perspective: Sociology of the Second Age of Modernity". *British Journal of Sociology* vol. 51, no. 1 (2000): 79-105.
- Brennan, Timothy. *At Home in the World: Cosmopolitanism Now*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1997.
- Brennan, Timothy. "Cosmopolitanism and Internationalism". *New Left Review* vol. 2, no. 7 (2001): 75-84.
- Bruckner, Pascal. "The Edge of Babel". *Partisan Review* vol. 63, no. 2 (1996): 242-254.
- Carter, April. *The Political Theory of Global Citizenship*. London and New York: Routledge, 2001.
- Carter, April. "Migration and Cultural Diversity: Implications for National and Global Citizenship". *Challenging Citizenship: Group Membership and Cultural Identity in a Global Age*. Ed. Sor-Hoon Tan. Aldershot: Ashgate, 2005: 15-30.
- Clifford, James. "Traveling Cultures". *Cultural Studies*. Eds. Lawrence Grossberg, Cary Nelson and Paula A. Treichler. New York and London: Routledge, 1992: 96-116.
- Crystal, David. *Language Death*. Cambridge: Cambridge University Press, 2000.
- Dharwadker, Vinay. "Introduction: Cosmopolitanism in its Time and Place". *Cosmopolitan Geographies: New Locations in Literature and Culture*. Ed. Vinay Dharwadker. New York and London: Routledge, 2001: 1-13.
- Dinan, Desmond. *Ever Closer Union: An Introduction to European Integration* (4th edition). Basingstoke: Palgrave, 2010.
- Edwards, John. *Multilingualism*. London: Routledge, 1994.
- Fishman, Joshua A. "The New Linguistic Order". *Foreign Policy* vol. 113 (1999): 26-40.
- Grovogui, Siba N. "The New Cosmopolitanisms: Subtexts, Pretexts and Context of Ethics". *International Relations* vol. 19, no. 1 (2005): 103-113.
- Gunesch, Konrad. "Degrees of Multilingualism and of Cosmopolitanism: The Establishment of a Relationship and Perspectives for Future Research". *Multilingualism: Learning and Instruction*. Eds. Martha Gibson, Britta Hufeisen and Cornelia Personne. Baltmannsweiler: Schneider Verlag, 2008: 187-198.
- Gunesch, Konrad. "Intercultural Understanding via Local and Global Educational Citizenship: A Contribution to International Education via a Lived-in Substantiation of Multilingualism and Cosmopolitanism". *Journal of Research in International Education* vol. 12, no. 2 (2013): 173-189.
- Gunesch, Konrad. "Cosmopolitanism and Cosmopolitan Cultural Identity as a Model to Enrich International Education". *The Sage Handbook of Research in International Education* (2nd edition). Eds. Mary

- Hayden, Jack Levy and Jeff Thompson. London, Thousand Oaks and New Delhi: Sage Publications, 2015: 59-72.
- Hannerz, Ulf. "Cosmopolitans and Locals in World Culture". *Global Culture: Nationalism, Globalization and Modernity*. Ed. Mike Featherstone. London: Sage Publications, 1990: 237-251.
- Hannerz, Ulf. *Cultural Complexity: Studies in the Social Organization of Meaning*. New York: Columbia University Press, 1992.
- Hannerz, Ulf. *Transnational Connections: Culture, People, Places*. London and New York: Routledge, 1996.
- Herdina, Philip, and Ulrike Jessner. *A Dynamic Model of Multilingualism: Perspectives of Change in Psycholinguistics*. Clevedon: Multilingual Matters, 2002.
- Himmelfarb, Gertrude. "The Illusions of Cosmopolitanism". *For Love of Country: Debating the Limits of Patriotism*. Ed. Joshua Cohen. Boston: Beacon Press, 1994: 72-77.
- Himmelfarb, Gertrude. *The New History and the Old: Critical Essays and Reappraisals* (2nd edition). Cambridge, Massachusetts and London: Harvard University Press, 2004.
- Kellman, Steven G. *The Translingual Imagination*. Lincoln and London: University of Nebraska Press, 2000.
- Kemp, Peter. *Citizen of the World: Cosmopolitan Ideals for the 21<sup>st</sup> century*. Amherst: Prometheus Books, 2011.
- Klaus, David. "The Use of Indigenous Languages in Early Basic Education in Papua New Guinea: A Model for Elsewhere?" *Language and Education*, vol. 17, no. 2 (2003): 102-111.
- Kotchimidova, Christina. "Looking for the God of Language". *Language Crossings: Negotiating the Self in a Multicultural World*. Ed. Karen Ogulnick. New York and London: Teachers College, Columbia University, 2000: 127-130.
- Kymlicka, Will. *Politics in the Vernacular: Nationalism, Multiculturalism, and Citizenship*. Oxford: Oxford University Press, 2001.
- Maurais, Jacques. "Towards a New Linguistic World Order". *Languages in a Globalising World*. Eds. Jacques Maurais and Michael A. Morris. Cambridge: Cambridge University Press, 2003: 13-36.
- Mazlish, Bruce. "The Global and the Local". *Current Sociology* vol. 53, no. 1 (2005): 93-111.
- Morgan, Carol. "Multilingualism and Multilingual Language Learning". *Bilingualität und Schule? Ausbildung, wissenschaftliche Perspektiven und empirische Befunde*. Ed. Walter Weidinger. Wien: Öbv&Hpt, 2001: 41-48.
- Nagai, Yasuko, and Ronah Lister. "What is our Culture? What is our Language? Dialogue towards the Maintenance of Indigenous Culture and Language in Papua New Guinea". *Language and Education* vol. 17, no. 2 (2003): 87-104.
- Nicholson, Michael. "How Novel is Globalization?" *Politics and Globalization: Knowledge, Ethics and Agency*. Ed. Martin Shaw. London and New York: Routledge, 1999: 23-34.
- Papastephanou, Marianna. "Arrows not yet Fired: Cultivating Cosmopolitanism Through Education". *Journal of Philosophy of Education* vol. 36, no. 1 (2002): 69-86.
- Pollock, Sheldon. "Cosmopolitan and Vernacular in History". *Cosmopolitanism*. Eds. Carol A. Breckenridge, Sheldon Pollock, Homi K. Bhabha and Dipesh Chakrabarty. Durham and London: Duke University Press, 2002: 15-53.

- Pollock, Sheldon, Homi K. Bhabha, Carol A. Breckenridge, and Dipesh Chakrabarty. "Cosmopolitanisms". *Cosmopolitanism*. Eds. Carol A. Breckenridge, Sheldon Pollock, Homi K. Bhabha and Dipesh Chakrabarty. Durham and London: Duke University Press, 2002: 1-14.
- Robbins, Bruce. "Comparative Cosmopolitanisms". *Cosmopolitics: Thinking and Feeling Beyond the Nation*. Eds. Pheng Cheah and Bruce Robbins. Minneapolis and London: University of Minnesota Press, 1998: 246-264.
- Scholte, Jan Aart. *Globalization: A Critical Introduction*. London: Macmillan, 2002.
- Sifakis, Nicos, and Areti-Maria Sougari. "Facing the Globalization Challenge in the Realm of English Language Teaching". *Language and Education* vol. 17, no. 1 (2003): 59-71.
- Seaton, Paul. "European Dreamin' [sic]: Democratic Astigmatism and Its Sources". *Cosmopolitanism in the Age of Globalization: Citizens Without States*. Eds. Lee Trepanier and Khalil M. Habib. Lexington: The University Press of Kentucky, 2011: 306-337.
- Steiner, George. *After Babel: Aspects of Language and Translation* (3rd edition). Oxford and New York: Oxford University Press, 1998.
- Sterling, Richard W. *Ethics in a World of Power: The Political Ideas of Friedrich Meinecke*. Princeton: Princeton University Press, 1958.
- Stroińska, Magda. "The Role of Language in the Re-Construction of Identity in Exile". *Exile, Language and Identity*. Eds. Magda Stroińska and Vittorina Cecchetto. Frankfurt am Main: Peter Lang, 2003: 95-109.
- Tomlinson, John. *Cultural Imperialism: A Critical Introduction*. London: Pinter, 1991.
- Trepanier, Lee, and Khalil M. Habib. "Introduction". *Cosmopolitanism in the Age of Globalization: Citizens Without States*. Eds. Lee Trepanier and Khalil M. Habib. Lexington: The University Press of Kentucky, 2011: 1-10.
- Werbner, Pnina. "Introduction: Towards a New Cosmopolitan Anthropology". *Anthropology and the New Cosmopolitanism: Rooted, Feminist, and Vernacular Perspectives*. Ed. Pnina Werbner. Oxford and New York: Berg, 2008: 1-32.
- West, Morris Langlo. *Harlequin*. New York: William Morrow, 1974.
- West, Morris Langlo. *Proteus*. New York: William Morrow, 1979.
- West, Morris Langlo. *The Ringmaster*. London and Melbourne: William Heinemann, 1991.

**კონრად გუნეში**  
**(არაბთა გაერთიანებული საამიროები)**

**პოლიტიკური ილუზიისა და კულტურული რეალობის შედარება  
სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში: კოსმოპოლიტიზმის  
კონცეპტი და ოცნებები მულტილინგვისტურობაზე სამეცნიერო  
დისკურსსა და მე-20 საუკუნის პოლიტიკურ რომანში**

**რეზიუმე**

**საკვანძო სიტყვები:** კოსმოპოლიტიზმი, მულტილინგვიზმი, პოლიტიკური ილუზია, კულტურული რეალობა, მხატვრული ლიტერატურა, მეოცე საუკუნის პოლიტიკური რომანი.

წინამდებარე კვლევა აანალიზებს, ადარებს და აფასებს მეოცე საუკუნის მეცნიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში კოსმოპოლიტიზმის პოლიტიკური ილუზიისა და მულტილინგვიზმის კულტურულ რეალობას. მიზანი სამმაგია: კოსმოპოლიტიზმისა და მულტილინგვიზმის კონცეპტების დასაბუთება, რაც დაგვეხმარება ილუზიებისა და ოცნებებიდან ისინი პირადი პოტენციალისა და მომავლის რეალობისკენ მივმართოთ, ახალ კონცეპტუალურ და ემოციურ ბაზაზე დავაფუძნოთ მწერლობა და ხელოვნება.

კოსმოპოლიტიზმი მიმოხილულია როგორც პერსონალური კულტურული იდენტობის მაჩვენებელი მსოფლიოს მოქალაქეობის მოდელი, რომელიც მოიცავს როგორც მოქმედების, ისე რეფლექსიათა გლობალურ და ლოკალურ სფეროებს, როგორებიცაა პერსონალურ იდენტობაზე დამყარებული კონკრეტული საქმიანობები. ეს განსაზღვრება კომპლექსურ ლიტერატურულ მატრიცაზეა დაფუძნებული, რაც შედარებითი და ტრანსდისციპლინური წყაროების სინთეზის შედეგია, როგორებიცაა პოლიტიკის აკადემიური სივრცე, ფილოსოფია, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია და კულტურული კვლევები. თავის მხრივ, ისინი კავშირშია დისციპლინათშორის სივრცეებთან, ევროპულ ან ინტერნაციონალურ კვლევებთან. გარდა ამისა, აღნიშნული მატრიცა ექვემდებარებოდა არსებით კრიტიკულ ნააზრევს; ყველა უპასუხოდ დარჩენილი კითხვა გადამისამართებოდა ემპირიული ძიებისკენ.

მულტილინგვიზმი განისაზღვრება როგორც მინიმუმ სამი უცხოური ენის სამუშაო დონეზე ცოდნა. ეს გახლავთ ენის სრულყოფილი ცოდნის ყველაზე მოთხოვნადი აკადემიური კვალიფიკაცია, რომელსაც ის უპირატესობაც გააჩნია, რომ მულტილინგვიზმის თეორიულ ჩონჩხს/სტრუქტურას და ემპირიულ კვლევას დავის საგნად აღარავინ აქცევს. ხარისხობრივად, აკადემიური წრები, ძირითადად თანხმდებიან, რომ ამდენი ენის მშობლიურთან

მიახლოებული კომპტენცია არც რეალისტურია და არც საჭირო, ამგვარად მულტილინგვური ინდივიდებისთვის განსაზღვრავს თვითეული ამ ენის ცოდნის მაღალ დონეს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარსა და ოცდამეერთე საუკუნის პირველ ორ დეკადაში აკადემიურ ლიტერატურას მულტილინგვიზმის, ისევე როგორც კოსმოპოლიტიზმის შესახებ მაღალი კომპეტენცია გააჩნია მხოლოდ კონცეპტუალური დეტალების შესახებ. სხვაგვარად, ორივე ველისთვის დამახასიათებელია იდეები, რომლებიც საუკუნეებს და ზოგჯერ ათასწლეულსაც სწვდება, როგორც, მაგალითად, კოსმოპოლიტიზმისთვის ბერძნული სტოიკოსების ხანა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი და მეორე საუკუნეები, ასევე, ამ ორი ველის კავშირს მხოლოდ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი ასაბუთებს. მათ შორის ყველაზე დეტალურია ფრანგი ფილოსოფოსის პასკალ ბრუკენის 1996 წლის სტატია, რომელშიც ავტორი მხოლოდ რამდენიმე სიტყვითა და კონკრეტული მაგალითებით იფარგლება.

კონტრასტისთვის, მულტილინგვიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის დამჯერებელი და კავშირი შეგვიძლია მეოცე საუკუნის რიგ რომანებში აღმოვაჩინოთ, რომლებიც ავსტრალიელ მწერალ მორის ლანგლო ვესტს (1916-1999) ეკუთვნის. ჩვენ ვესტის რომანებს განვიხილავთ როგორც გამორჩეულად ნაყოფიერს შედარებითი ანალიზისთვის; ზოგიერთი მათგანი საერთაშორისოდ აღიარებულ ფილმდაც იქცა, რომლებიც მედია ანალიზისადმი მიძღვნილ ნაშრომებს ამდიდრებს, ამავე დროს, სერიოზულ გავლენას ახდენს ენისა და კულტურის ფაკულტეტის სტუდენტებზე, მწერლებსა და კინორეჟისორებზე. ეს კვლევა ყურადღებას ამახვილებს ლანგლო ვესტის ერთ-ერთ რომანზე, სახელწოდებით “The Pringmaster” („მანუჟის ინსპექტორი“) (1991).

ნაშრომის ემპირიული ნაწილი ემყარება სტატიის ავტორისა და თერთმეტი მრავალენოვანი სტუდენტის კვლევას. იმ სტუდენტებისა, რომლებიც წარმოადგენენ სამი სახის კოსმოპოლიტიზმს: „მენინავე სტუდენტები“, „გარდამავალი კოსმოპოლიტიზმი“ და „ინტერაქტიული კოსმოპოლიტიზმი“. ასე რომ, ემპირიულ ნაწილს მრავალი ფუნქცია გააჩნია: მას წვლილი შეაქვს როგორც აკადემიურ ლიტერატურაში კოსმოპოლიტიზმის ახალი ნიშნების აღმომჩენს, იძლევა პასუხს კონცეპტუალურ დარჩენილ კითხვებზე, ასევე ავსებს სამეცნიერო კომპარატივისტულ ანალიზსა და კოსმოპოლიტიზმსა და მულტილინგვიზმზე არსებულ ლიტერატურას, იკვლევს როგორც აკადემიურ, ისე მხატვრული ლიტერატურის რეალურ ცხოვრებასთან შესაბამისობას და სრულყოფს მათ პრაქტიკული დაკვირვებებით.

მოკლედ რომ მიმოვიხილოთ ამ კვლევის შედეგები პრაქტიკული დაკვირვებებით ასეთია: მხატვრული ლიტერატურა და ემპირიული კვლევა, არაერთი ასპექტით უფრო მეტის მომცემია, ვიდრე კოსმოპოლიტიზმზე შექმნილი მთელი აკადემიური ლიტერატურა. ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ კოსმოპოლიტიზმი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო პოლიტიკური ილუზია. ამ აზრს ზოგიერთ აკადემიურ სტატიაში გამოთქამენ, როგორც რეალობას; ორივეგან

რაციონალური განხილვა, ისევე როგორც პროფესიული და უტილიტარული მოტივაციები ბუნდოვანდება კოსმოპოლიტიზმისა და მულტილინგვიზმის შესახებ ნაკითხულ მოხსენებებში, თუმცა ემპირიული ცოდნა ცხოვრებაზე გვეთავაზობს კულტურის უფრო ღრმა გაგებას და ლინგვისტური კავშირების აღმოჩენას პიროვნულად ადამიანებს შორის, იძლევა ინტერაქტიული საქმიანობის და ორმხრივი ურთიერთობების საშუალებას. მდიდარი ლექსის მქონე პოლიგლოტებმა, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა და მიღწევებისა, შეიძლება უკანა პლანზე გადაინაცვლონ და წინ წამოიწიონ ახალგაზრდებმა, რომლებიც ცოდნის დაუფლებისაკენ და განათლების მიღებისკენ ისწრაფვიან. და ბოლოსდაბოლოს ცხოვრებასაც და მხატვრულ ლიტერატურასაც, როგორც ჩანს, შეუძლია ბევრი რამ გვასწავლოს ჩვენ, მასწავლებლებსა და მეცნიერებსაც. პოლიტიკური გადაღლისა და კულტურული პესიმიზმის მიუხედავად, ევროპასა და მის კავშირებს გარეთ, საერთაშორისო ურთიერთობებსა და უერთიერთანამშრომლობის პერსპექტივა შეიძლება აღმოჩნდეს ოპტიმისტური, თუ ჩვენ შევკრებთ უკვე არსებულ საუკეთესო სამეცნიერო ძალებს. ინდივიდუალური და ჯგუფური იდენტიფიკაციისა ან ინსპირაციისათვის.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, ეს კვლევა შეიძლება მოაზრებულ იქნას, როგორც მე-20 საუკუნის პოლიტიკური, კულტურული და ლინგვისტური სფეროების ანალიზი და მათი ლიტერატურული და თეორიული გამოვლინება, ის ხელს შეუწყობს: ენის ორმხრივი სწავლებასა და კულტურული მიღწევების გაზიერებას, მონინავე აზრების გაზიარებას და ინტერაქტიულ საქმიანობას გლობალური კუთხით, რაც ნიშნავს კონკრეტული პროზაული ან პოეტური ნაწარმოების ფილმად ქცევას. მე-20 საუკუნეში, ვიმედოვნებთ, რომ ეს ლიტერატურული და ემპირიული გააზრებანი და გამოხატვები ადამიანებს რეალურ ცხოვრებაში დიდ დახმარებას გაუწევს.

## ნონა კუპრეიშვილი (საქართველო)

### ეროტიზმის მხატვრული რეპრეზენტაციები

დღევანდელი კონტექსტში ეროტიზმის თემა საყოველთაო და უმტკივნეულოა, თუმცა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე (უფრო ზუსტად, XIX საუკუნის 90-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცნლეულში) ვითარება რამდენადმე განსხვავებული და ხშირად წინააღმდეგობრივიც იყო. ამ წინააღმდეგობრიობაში მართებულად გარკვევისთვის, ვფიქრობ, თვალი უნდა მივადევნოთ ეროტიზმის, როგორც მოდერნისტული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი კონცეპტისა და ეროტიზმის, როგორც პრე და პოსტ-რევოლუციური ქართული მწერლობის ინტერესის ობიექტის მხატვრულ რეპრეზენტაციებს, რომლებიც უაღრესად ანგარიშგასაწევ ინფორმაციას გვანვდის იმდროინდელი პარადიგმატული ცვლილებების, სერიოზული სოციო-კულტურული ძვრების არსსა და შედეგებზე. და კიდევ ერთი რამ: ეროტიზმის თემა ითხოვს სპეციალურ მიდგომას, რადგან ქართული ლიტერატურა, ერთი შეხედვით მაინც, საკმაოდ ასკეტური და თავშეკავებულია.

პრინციპულად მნიშვნელოვანია თვით ამ ცნების, ეროტიზმის განმარტება, რადგან, ერთი მხრივ, სექსუალობასთან, მეორე მხრივ კი, პორნოგრაფიასთან არსებული მყიფე საზღვრების გამო ხშირად ტერმინოლოგიური აღრევა ხდება. სხვებზე უკეთ დეტერმინირებას მიხეილ ეპშტეინი ახერხებს, როდესაც ეროტიკას მეტასექსუალურ ცნობიერებასა და წარმოსახვას უწოდებს, რომელიც სხეულს იმიტომ გვაშორებს, რომ მასთან განწყენებული, თუმცა იმავდროულად უფრო გამახვილებული ფორმით დაბრუნდეს. და კიდევ: სექსუალობა – ესაა ნდომა, საჭიროებები და მოთხოვნილებანი მაშინ, როდესაც ეროტიკა უპირატესად სურვილია (Эпштейн 2003: ).

დღევანდელი კონტექსტში ეროტიზმის თემა თითქოს საყოველთაო და უმტკივნეულოა, თუმცა მისი დამუშავებისას ეს განსხვავებები ხშირად გათვალისწინებული არ არის. როგორი იყო ვითარება ეროტიზმის, როგორც მოდერნიზმის ერთ-ერთი ძლიერი კონცეპტის, მხატვრული რეპრეზენტაციის თვალსაზრისით პრე და პოსტრევოლუციური ქართული მწერლობის კონტექსტში? აღმოჩნდა, რომ არაერთი მიზეზის გამო ეს კვლევის საკმაოდ ფართო საგანია. ამგვარ დამოკიდებულებას კი, პირველ ყოვლისა, ქმნის ის ფაქტი, რომლის კონსტანტირება ასე შეიძლება: ქართულმა მწერლობამ შეძლო არ გამხდარიყო ევროპულ-რუსული მოდერნიზმის პლაგიატორი (გალაკტიონი), პირუკუ, მან დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა თავისებური სინთეზირებით, ანუ როგორც გრ. რობაქიძე იტყოდა, ქორწილით, შეძლო თავისი ორიგინალური ფერი შეეძინა ამ დიდი განახლებისთვის (გრ. რობაქიძე, ცისფერყან-ნელები, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია).

„სირცხვილის კულტურის“ ფენომენი, რომელიც არაერთი სხვა ქვეყნის კულტურასაც ახასიათებს, იქნებ ახდენდა კიდევ გავლენას ჩვენს ლიტერატურაში ეროტიზმის თემის დამუშავების ინტენსიურობაზე. ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტები საუბრობენ ბრწყინვალედ თარგმნილი „ვისრამიანის“ გავლენაზე „ვეფხისტყაოსანსა“ და შემდგომი პერიოდის საერო მწერლობაზე და არცთუ უსაფუძვლოდ. (სხვათა შორის, „ვისრამიანი“ კ. გამსახურდიას მოდერნისტული რომანის „დიონისოს ღიმილის“ შთაგონების ერთ-ერთ წყაროდაც იქცა). იყო ყაზბეგის პროზაც, რომელშიც ვ. კოტეტიშვილმა ყაზბეგისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ხევის სიკვდილი სწორედ რომ სქესობრივი სიყვარულის ფონზე დაინახა (კოტეტიშვილი 2016: 273), თუმცა კლასიკურ ეროტიკულ ტექსტად კრიტიკოს თ. ვასაძეს ბარათაშვილის „საყურე“ მიაჩნია და ეს ნამდვილად ასეა.

მოდერნისტული ხელოვნების ახალ ესთეტიკას მრავალ სხვა სიახლესთან ერთად ადამიანის აქამდე ფარული ინტიმური ცხოვრებისადმი გამძაფრებული ინტერესი მოჰყვა, რომელიც იმთავითვე დაუკავშირდა ორ სტიქიას: დიონისურსა და აპოლონურს. თვით ფრ. ნიცშეს კულტუროლოგიური იდეების ტრანსფორმაციის ჭრილში კარგად ჩანს, ამ თვალსაზრისით, პრიორიტეტთა გადანაცვლების ტენდენცია. ნაშრომში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ აპოლონური სანწყისა აქცენტირებული, ხოლო მოდერნიზმის ერთგვარ მანტრად ცნობილ ნაშრომში „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ – დიონისური, როგორც შემოქმედებისთვის სიცოცხლის მომნიჭებელი ინსტინქტური მფეთქავი ძალა. დიონისიზმი ნიცშესთვის ადამიანის სულის ირაციონალობის გამოვლენაა, მისი ძლიერი გრძნობადი სტიქიაა. ასევე აღიქვეს იგი მისმა მიმდევრებმაც, რომელთა შორის ქართველი მოდერნისტებიც იყვნენ.

ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის პროცესში ქართული ლიტერატურის ჩართვის თარიღად 1900-იან წლებს მიიჩნევენ, თუმცა იქვე იმა-საც აღნიშნავენ, რომ უფრო ადრეც, კერძოდ კი, XIX საუკუნის 900-იანი წლებში შეინიშნება ერთთგვარი კონცეპტუალური ძვრები, რომელთა საილუსტრაციოდ, როგორც წესი, ასახელებენ საერთო კონტექსტიდან აშკარად ამოვარდნილ მწერალს, შიო არაგვისპირელს, თავისი ფსიქოლოგიური ნოველებით (ბრეგაძე 2013: 5). თუმცა ეროტიზმის თეორიული წანამძღვრების გათვალისწინებით, ეს აშკარად არ უნდა იყოს ფსიქოლოგიური დისკურსი, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არამედ რაღაც უფრო მეტი, რასაც საგანგებო ახსნა სჭირდება: „ ქართველ მწერალთაგან პირველმა შ, არაგვისპირელმა მოიგანა ... განცდა – მოპირდაპირე სქესთა ურთიერთობისას უმთავრესია ვნება და არა სულთა ერთობა... მხოლოდ ეხახუნებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი. არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგება... ადამიანი... სისულელე... ხა!... ხა!... ხა!...“ (დოიაშვილი 2005:372).

ქართველი ქალის რელიგიურ-პატრიოტული ამალღებულობის ნაცვლად მისი სხეულებრიობით (რუსები რომ телесность-ს ეძახიან) შეპყრობილობა, ოჯახის ლამის სრული კრახი თუ არა, მისი კრიტიკულ ზღვარზე არსებობა,

პერსონაჟებისა და თავად ავტორის მწარე შინაგანი მონოლოგები გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებთან, რომლებიც, პირველ ყოვლისა, არაგვისპირელის მიერ კრიზისული ხანის ხელოვნებით, შესაძლოა, უნებლიე და სწორედ ამიტომაც ლოგიკური ინტერესით უნდა აიხსნას. სად უნდა ჩაესუნთქა მოდერნიზმის ბაცილა საბეითლო საქმის შესასწავლად ვარშავაში წასულ ხელმოკლე ახალგაზრდას? შესაძლოა იქვე, პოლონეთში, სადაც უკვე ცნობილი იყო იმხანად ბერლინში თვით ედვარდ მუნკთან და ავგუსტ სტრინდბერგთან სახელოვნებო წრეში გაერთიანებული სტანისლავ პშებიშევსკის სახელი. და ამას, ალბათ, არც იმან შეუშალა ხელი, რომ არაგვისპირელი ორი წლით ადრე დაბრუნდა სამშობლოში (1895), ვიდრე პშებიშევსკი იმხანად ავსტრიელების მიერ დაკავებულ კრაკოვში თავის ბოჰემურ ცხოვრებასა და სკანდალურ სამწერლო მოღვაწეობას გაშლიდა (1897). საგულისხმოა, რომ ეროტიზმისა და სექსუალურობის მომძლავრება არაგვისპირელის მიერ იმ მადეკონსტრუირებელ ძალადაა მიჩნეული, რომელიც სამყაროს ჰარმონულობას ემუქრება, აქედან ის სკეპსისი და ურწმუნობა, რომელიც მთელ რიგ მის ნოველებში იგრძნობა. მაგ. ნოველის „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ სათაურიც კი მიგვანიშნებს ქართველი ქალის სიმბოლურ-ალეგორიული ხატის ნგრევაზე, რომელიც სრული ეგოიზმითა და ეროტიზმით, მეტიც მძაფრი სექსუალური ინტრესითაა ჩანაცვლებული. 1916 წელს ვ. კოტეტიშვილს არაგვისპირელისადმი საგანგებოდ მიძღვნილ „შავ ნიგნში“ (ასე ერქვა ამ ნაშრომს) მწერლის მოდერნიზმთან მიკერძოება ეჭვქვეშ არც დაუყენებია. მას შემთხვევით ეპიგრაფად არც გალაკტიონის სტრიქონები შეურჩევია ლექსიდან „ხელოვნება“ (1914): „ვის უნახავს შავი ნიგნი, ნიგნი ნითელ ასოებით, / დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით...“. შავი ფერის ემბლემის მქონე ხელოვნება ადრეული გალაკტიონისთვის ბედისწერად აღიქმება. მისი საიდუმლოს ამოხსნა მოითხოვს ხელოვანის მთელ სულიერ ენერჯიას და შესაძლოა, სიცოცხლესაც (ეს თემა შემდგომ განვითარდა „მე და ღამესა“ და „მთანმინდის მთვარეში“). ამიტომაც ამ ურთულეს გზაზე პოეტს ქალი, როგორც ფრთებგახუნებული მუზა, უკვე აღარ გამოადგება: „... თქვენ მხატვრებო, თქვენც მგოსნებო, დაგრჩათ კიდეც ქალში რამე სანეტარო, საოცნებო?!“ (ქალი და ხელოვნება, 1913). რაც შეეხება კონკრეტულ სახეებთან მიახლოებულ ქალებს, პირობითი სათაურით „მერი“ – ეს, როგორც თ. დოიაშვილი შენიშნავს, იდეალის ძიების პოეტური გამოხატულებაა და ძირითადად მაინც იმას ადასტურებს, რომ მოდერნიზმსად ჩამოყალიბებამდე გალაკტიონი ამ პერიოდისთვის სრულიად დაკარგული რომანტიკული ტრადიციის აღდგენას ცდილობდა. საგულისხმოა, რომ გალაკტიონმა ხელოვნების ყოვლისშემძლეობისადმი თავისი ურყევი რწმენა იმავე პერიოდის ეროტიკული ხასიათის ლექსში „გეტერა“ (1914) გამოხატა. მასში ანტიკური ხანის კურტიზანი ქალის, ფრინას, ისტორიაა გამოყენებული, რომელიც, მიუხედავად მორალური დაცემისა, თავისი სრულყოფილი სილამაზის გამო მოქანდაკის მიერ აფროდიტეს ქანდაკების პროტოტიპად იქნა გამოყენებული, ხოლო მანძილი კურტიზანო-

ბიდან მითოლოგიურ არსებამდე ის გზაა, რომლის დაფარვა და გადაფარვაც მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია. „ამ ლექსის მიხედვით აშკარაა, რომ მაძიებელი გონების ჭაბუკმა (გალაკტიონმა -ნ.კ.) ხელოვნების... არც თუ ადვილად შესამჩნევი თვისება შენიშნა – ... ხელოვანის ქმნილებაში ამქვეყნიური მნიშვნელოვანი და ზადი რალაც მანქანების, გრძნეულების წყალობით მშვენიერებად გადაისახება...“ (ბრეგაძე 2008: ). სწორედ ამ თვისებით გამოირჩევიან ეროტიზმის თემასთან შეჭიდებული ჩვენ მიერ შერჩეული ავტორებიც.

კიდევ ერთი გალაკტიონამდელი მწერალი, იოსებ გრიშაშვილი. მას პირიქით, საყვედურობდნენ, რით არ გიშრება კალამი ქალისადმი ასეთი მგრძობელობისთვისო, თუმცა თამამი ეროტიკული ხასიათის ლექსებმა, რომლებსაც იგი წამლერებით კითხულობდა, პუბლიკის ყურადღება მაშინვე მიიქცია. თავის ბუნებრივ პოეტურ ნიჭსა და ინტუიციის დაყრდნობით, გრიშაშვილი სპონტანურ მოდერნიზტადაც კი გვევლინება, რომელიც აღმოსავლურ-ქალაქური მოტივების ევროპულთან მისადაგების მცდელობით (გრიშაშვილი, მე და ევროპა, 1922) საკუთრივ ქართული მოდერნიზმისთვის ზემოთ ნახსენებ ინტონაციურობას ქმნის. ცხადია, ეს არ იყო და ვერც იქნებოდა ისეთი სიღრმისა და მიზანდაახულობის მხატვრული პროდუქცია, როგორც გრ. რობაქიძეს გამოარჩევდა, თუმცა იმავე რობაქიძის აზრით, „მზიური კისკასით სავსე რითმებით...“ გრიშაშვილის ადრეული პოეზია (აქცენტი კეთდებოდა ერთ-ერთ ლექსზე „ბარაშკაჯან“) „ავლაბრის ხალხური პოეზიის საუცხოო სტილიზაციას წარმოადგენდა“. „რა ლექსი გასურს არ გამიჭრას მაჯამა, / მუხამბაზი, თეჯლისი თუ მაჯამა! / ეს გოგონა საკადრისი მეფეთა, / აქ პირველად ქურციკივით მეფეთა. / სიხარულმა თვალი ცრემლით მონამა, / გავიმარჯვე სიყვარულის მონამა. / ახ, ნეტავი, კიდევ ერთხელ მეხილე... / შენ – მუშთარი, მე კი – შენი მეხილე“. ცხადია, იგი უფრო გულახდილ ლექსებსაც წერდა, რის გამო „კოცნის პოეტიც“ შეარქვეს. „სამოქალაქო არღის კაკაფონიისგან“ (ტ. ტაბიძე) გადაღლილი საზოგადოების ნაწილს აქამდე დახურულ თემების მიმართ პოეტის მიერ გამჟღავნებული სიმსუბუქე და ანცობა მოსწონდა, თუმცა შესაძლოა მისი პოეტური შესაძლებლობების პიკადაც მიაჩნდა. მოდერნიზტული ლიტერატურის სულ უფრო მეტმა გავრცელებამ და ხელმისაწვდომობამ კი ამ უაღრესად კოლორიტულ პოეტში სრულიად ახალი შესაძლებლობები გახსნა. „გრიშაშვილი, პირველ ყოვლისა, პირწავარდნილი დეკადენტი. არ იფიქროთ, ვითომ ევროპაში შობილ მოდერნიზმს მასზე გავლენა ჰქონოდა: იგი არც ბოდლერსა და ვერლენს იცნობს და არც ბალმონტის და ბრიუსოვის სმენია რა... იგი პირმშო შვილია აღმოსავლეთისა“ – ესეც რობაქიძეა, მისი შეფასება კი ისევ და ისევ დასავლეთ-აღმოსავლეთის კულტურათა სინთეზის მაილუსტრირებელი მასალის დემონსტრირებაა. მოგვიანებით ეს იდილია დაირღვევა, გრიშაშვილი და გრ. რობაქიძე სონეტის, შემდეგ კი „სალომეას“ თარგმანთან დაკავშირებით, ცხარე პრობლემიკას გამართავენ, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მათი გზების გაყოფით დასრულდება. თავად გრ. რობაქიძეს, გამორჩეული პოეტიკა-ლექსიკისა და პოეტური რიტმის, ამასთან კი რამდე-

ნადმე ხელოვნური სონეტების ავტორს, მოდერნისტული პოეტიკის მოთხოვნათა მიხედვით შექმნილი აქვს ეროტიზმით დამუხტული არაერთი სტრიქონი. თუმცა მისი მისწრაფება, რომელსაც მხატვრულ და „ქართული აღმოსავლეთის ევროპული სიმბოლიზმის ტექნიკით“ ამეტყველების ამოცანასაც უწოდებს, განხორციელებულია მგრძობელობით გამორჩეულ იქნებ ყველაზე სახასიათო ლექსში „დიდი შუადღე“ (1918): „ფერწერული პეიზაჟის ფონზე სიციხით გათანგული წყვილის შეხვედრა“ მასში შთამბეჭდავადაა აღწერილი „...ცხელ ნირვანაში მოთენთილი მძიმედ ვეშვებით , / ვით მდინარეში შეძირული ნელი კალასო, / ხელდება ჟინი ალესილი ქარვის კალოსი! / დიდი შუადღის ავხორცობით და-ვიკარგებით..“/. სწორედ ეგზოტიკურ რითმებზე კალასო – კალოსი დაყრდნობით ლექსმცოდნე თამარ ბარბაქაძე ასკვნის (მისი განმარტებით, „კალასო“, როგორც მუხის ხე წყალში დებით რკინასავით გამაგრებული, მამრის სიმბოლოა, ხოლო „ქარვის კალო“ – ქალურ საწყისს განასახიერებს), რომ „დიდი შუ-ადღე“ აღმოსავლური ატრიბუტიკით დასავლური მითოლოგიიდან ნასესხები პანისა და ნიმფის შუადღის შეხვედრის რემინისცენციაა (ბარბაქაძე 2004: 49). რობაქიძე წარმატებით იყენებდა რელიგიურ მასალასაც. გავიხსენოთ „მინის სჯული, ხორალი მისტერიიდან „ჯვარი ვაზისა“, „წმინდა ნინო“, სადაც წმინდანობისა და ეროტიზმის კონცეპტების აქამდე უჩვეულო დაახლოებას ვხედავთ: ქალწულო ნინო! / მოდიხარ ჩრდილებით: / დალურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული. / ვით რკინა ხორასანის – / ჩვენც გულახდილები / შენ წინ ვეფინებით ელვარე სიყვარულით... შენ გეაღერსება ვაზნარის ფურცელი. / მოგელის მარადის დედული ვენახი./ და ოდეს გიხილავს : ტორტმანობს, ირევა, / ვით წყაროს მუცელი – / რომელსაც დაეცემა დედალი ირემი...“

ცნობილია, რომ ევროპული მოდერნიზმის მითოლოგიური პლანი რუსული „ვერცხლის საუკუნის“ მიერ საკმაოდ ბუნდოვანი მისტიკით იქნა გართულებული. დიონისოს თავისი ფილოსოფიის ცენტრალური ფიგურად მიიჩნევს, მაგალითად, ვიარ. ივანოვი, 1907 წელს გამოცემული ლექსების კრებულის „ეროსის“ ავტორი. დიონისო მისთვის თავისუფალი შემოქმედების მეტაფორადაც აღიქმება. დიონისიზმის ენტელექტია, ანუ სასიცოცხლო ძალა, ვ. ივანოვის მიხედვით, ვერტიკალური, მსხვერპლის გამღები და ეროტიულია. ყველა ქალი პოტენციური „ვაკხანკა“, იგივე დიონისოს მსახურია, რომელიც ოჯახთან, როგორც სამყაროსეული კავშირის მოძველებულ ფორმასთან, ერთად უნდა გარდაიქმნას .აი, მაშინ იქცევა ეს ოჯახი ახალ თემად (инщина), მასში კი ეროსის ახალი ტიპი განსხეულდება. მოდერნიზმის ამ იდეის რეალიზებას რუსი ფილოსოფოსი თავის მეულლესთან ლიდია ზინოვიევა-ანიბალთან ერთად ყოფით დონეზეც ცდილობდა, თუმცა ცვალებადი წარმატებით. რუსული მოდერნიზმის მეორე დიდი იდეოლოგი ვლ. სოლოვიოვი კი გოეთესგან ნასესხები „მარადიული ქალურობის“ ცნებას სოფიის, ანუ ღვთაებრივი სიბრძნის, მარადიული სულით მსჭვალავს. მასთან მიუკარებლობის, მოუხელთებლობის, თითქმის უსხეულობის ბლონდით, Fleur-ით, შემკული ეს იდეა როგორღაც ინდივიდუალობის ნიშნებს იძენს და ამკარად გამოხატულ ეროტიკულ ხასიათს

ავლენს. ამაში დაგვარწმუნებს თუნდაც სოლოვიოვის მიმდევრის, ალექსანდრ ბლოკის, ლექსების ცნობილი ციკლი მიძღვნილი „მშვენიერი ქალბატონისადმი“. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა ყურადღება ამ მხატვრული სახის ბლოკისეულ ტრიადად ტრანსფორმაციაზე გაგვემახვილებინა: ა) „მშვენიერი ქალბატონი“, ვლ. სოლოვიოვის სოფის, იმავე ღვთაებრივი სიბრძნის, ანარეკლი, რომელშიც ახალგაზრდა ბლოკის ეროტიკული წვაა (томление) გამოხატული: ბ) საეჭვო რეპუტაციის „უცნობი ქალბატონი“ (ნეზნაკომკა); გ) დაბოლოს, რუსეთი, როგორც ახლობელი, სასურველი ქალი, რეალისტური, თუმცა სუბლიმირებული პოეტური სახე: О, русь моя, жена моя, /До боли ясен нам скорный путь...“. პოეტური იდეალის მსგავსი „გამინიერება“, თუ გავითვალისწინებთ ქართულ პოეტურ ტრადიციას, შეუძლებელი იყო (ჩვენთან სამშობლო მხოლოდ დედასთან ასოცირდებოდა), ასე რომ, ევროპიდან მოსულ ყველა სხვა ახალი ლიტერატურული მიმართულების მსგავსად, „გამინიერებამაც“ აქ ქართული ელფერი მიიღო.

თავისთავად მრავლისმთქმელია ის რეაქცია, რომელიც საზოგადოებას ცისფერყანწელი პოეტის პ. იაშვილის დარიანულ ციკლზე ჰქონდა. ლალი ავალიანიც ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ „დარიანული ეროტიკა კარგად მიესადაგა სიმბოლიზმის დოგმატს“, ... თუმცა პაოლომ იგი მზის სიცოცხლის დამამკვიდრებელი სინათლით გაანათა... (ავალიანი 2017: ). შეიძლება ასეც ითქვას, ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში ეს პროცესი ყოველგვარი მისტიკურობის გარეშე განხორციელდა, უპირატესად წარმოსახვის დახვეწილი თამაშით და სწორედ ესაა არსებითი მომენტი. „მარადიული ქალურობა“ კი მოდერნისტული კულტურის, განსაკუთრებით კი ფროიდიზმის გავლენით, დარიანულ ციკლში სიამოვნების ობიექტადაა წარმოდგენილი, თუმცა პორნოგრაფიაში არ და ვერ გადადის, რადგან ყველაფერი ისევ და ისევ მოდერნისტული ესთეტიკის ფარგლებშია მოქცეული. თვით „დარიანი“ (როგორც ეს ჩემთან საუბარში ამ ისტორიასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ ელენე ბაქრადეს აქვს ნათქვამი), დორიან გრეისგან უნდა იყოს წარმომობილი და ესეც ცისფერყანწელებისთვის ოსკარ უაილდის, როგორც უპირობო ავტორიტეტის, მნიშვნელობას ადასტურებს.

შინაგანად შეუბოჭავი ქალი, რომელიც ეპატაჟურობით გაამართლებდა „პირველთქმის“ ავტორის მონოდებას „გიყვარდეთ ქალი ვნებიანად“, აშკარად სჭირდებოდა „ცისფერ ორდენს“. ამიტომაც იქმნება პაოლო იაშვილისეული ელენე დარიანის ლიტერატურული მისტიფიკაცია, რომელმაც არა მარტო გამოჩინისთანავე შექმნა აქამდე არნახული პოეტური თავგასულობის პრეცედენტი, არამედ XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისში ქართველი ქალის ზნეობრივი დაცემისა და გადაგვარების მაცნედაც კი იქცა. „უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი, / დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი, / სავენებო გზაზე სიბნელეა, არ სჩანს არავინ, / სასიზმრო ლოცვა გიგალობე უკანასკნელი...მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ადამიანს, / (ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა!) / და დაღონებულს ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს, /

ვარდისფერ ენით მომაგონებს გამთბარი კატა “. ის, რომ პოეტის მიერ ამ და მსგავსი ლექსების დეკლამაციის დროს დარბაზს რამდენიმე ქალი ტოვებს, რომ გელათში ექსკურსიის დროს ქალები თავიანთ პროტესტს იმით გამოხატავენ, რომ უარს ამბობენ ამ აღვირახსნილობის მქადაგებლებთან ერთად მგზავრობაზე, ისიც, კიტა აბაშიძეს, რომელმაც გონივრულად განჭვრიტა „ყანწელთა“ ლიტერატურული მომავალი, „პორნოგრაფისტების დამცველს“ უწოდებენ და ა.შ., ფასეულობათა გადაფასებაზე საზოგადოების ჩვეული რეაქციაა და იმავე რანგის მოვლენა, როგორც ტ. ტაბიძის ლექსში პაოლოს სახელით დანტეს ან შექსპირის უარყოფის მცდელობა („პაოლო იაშვილს მომენყინა ყვითელი დანტი,/ ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა!... შექსპირს უარი!/? რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთპოვენი მხოლოდ ყრუ არი, / და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი...“). თვით ის ფაქტი, რომ ყანწელთა შორის სწორედ პაოლო იაშვილი სქესის არაორაზროვანი გაორებით სრულიად ახალ პლასტს შლიდა და ტაბუირებისა და აკრძალვების მიღმა იხედებოდა, საზოგადოებისგან განსხვავებით, აღრმავებდა სხვა შემოქმედთა პოეტურ ფანტაზიას, ქმნიდა მის ყოვლისმომცველობასა და სისავსეს. ამგვარ შემოქმედთა შორის ისევ გამოირჩა ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები ი. გრიშაშვილი, თავისი კოდირებული ლექსით „ქალს უღვაშებით, კეპით და ჯოხით“ (1922), რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში ისევ და ისევ თ. ბარბაქაძემ ამოსწია და ასეთი შეფასებაც მისცა: ერთი შეხედვით, „ეს ლექსი ტრადიციულად ქალს ეძღვნება, მაგრამ თვით ეს ტრფობის ადრესატი ახალი, ევროპულად მოტივირებული ყაიდისაა...“ იგი „პაოლო იაშვილის მისტიფიცირებულ ორეულს, ელენე დარიანს, უნდა ეძღვნებოდეს...“ ასე რომ, „პაოლო იაშვილი // ელენე დარიანი – ცისფერყანწელთა ბოჰემის ნაწილი... იოსებ გრიშაშვილის ამ ლექსის მუზაა“ (ბარბაქაძე 2017:183).

თუ გადავხედავთ საუკუნის დასაწყისის სოციო-კულტურული ცხოვრების დინამიკას, იგი არაერთი ფორმით, მათ შორის ქალთა ჰაბიტუსითაც, ამჟღავნებდა მოდერნიზმის ყოველდღიურობის სფეროში შეღწევადობის ხარისხს. სწორედ ქალის სურვილი, საჯაროობა მიენიჭებინა საკუთარი ინტიმისთვის, ერთი მხრივ, ბადებდა საკმაოდ უკომპლექსო მანდილოსნებს, რომლებიც უკვე თბილისის კაფეებსა და ყავახანებს ამშვენებდნენ, მეორე მხრივ, კი ქმნიდა პოეტებს, რომლებიც მზად იყვნენ ეგემნათ დარიანისეული გამოცდილება, რათა იგი შემდგომ ლიტერატურულ ფაქტად ექციათ. ერთი ასეთი ქალბატონის, ელენე ბაქრაძის, მისწრაფება იმთავითვე განწირული აღმოჩნდა. თანაც ისე, რომ უკმაყოფილების ექომ ჩვენს დრომდეც მოაღწია... ამ მხრივ უფრო ილბლიანი გამოდგა ნიჭიერი პოეტი ნინო თარიშვილი, რომელიც ასეთი დახვეწილი პოეტური ფორმით გამოხატავდა თავის აუცილებელ გარდასახვას: „ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“/, არც ნასაღებად დაჰკეცავენ ქირმანის შალებს, /არც ქართულ კაბას ჩამაცმევენ ჯვარის სანერად,/ არც ვერცხლის ქამარს მომავლებენ სევდიან წელზე...“. მომდევნო სტრიქონებს კი, როგორც ამბობენ, ჰყავს თავისი პირდაპირი ადრესატი (თუ ადრესატები, პაოლო იაშვილი და იოსებ გრიშაშვილი), თუმცა ეს მხოლოდ

ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ელენე დარიანისეული ეგზალტაციის ამ ტალღისებური ძალის ზემოქმედება ძლიერი იყო: „შენი ნამნამები კიდევ მაკოცებენ, / დარდებს გააცილებს ვნების ქარავანი, / დამფრთხალ სონეტებად ფარდა იკეცება / და ხარ პოეტებში ლექსის ფალავანი...“, ან კიდევ „მე შენზე ვფიქრობ დროგამოშვებით, / როცა უქოლგოთ დავდივარ მზეში. / ჩვენ სასტიკ სურვილს არ მოვეშვებით / და მიაღერებ, როგორც რამზესი.../ ფოთლები ნაზად უკრავენ თარებს, / შენი ხელები მოვლენ ირმებად. / სიცოცხლეს ვერვინ ვერ დაამთავრებს, / უთუოდ ყველა გადაირევა“. და მართლაც, პირველმა ქართველმა მოდერნისტებმა ისე დამუხტეს ჰაერი უჩვეულო პოეტიკის, მხატვრულ ფორმათა მრავალფეროვნების, შემოქმედებითი თვითრეალიზაციის საგრძნობლად გააქტიურებული შესაძლებლობებით, რომ იქმნება ეგზისტენციალური საზღვრების გაფართოების პოეტისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ილუზია. ნინო თარიშვილის პოეტური „აღსარებები“, ვფიქრობთ, ერთი ასეთი მშვენიერი ილუზიის შედეგიცაა. ის, რომ მისი პოეტური ენერგია მალევე ჩაქრა, მეტყველებს არა მარტო საბჭოთა ცენზურის სიტლანქეზე, არამედ მისი შთაგონების მიანსპირეებელი ხმებითა და ფერებით სავსე გარემოს გაქრობაზეც. „ჩვენ თუ ორივეს გრძნობა დაგვნებდა, / დავწურავთ განცდებს, ვით მწვავე მტევანს, / ვნება ავისხათ ტანზე ჯაგნებად / და წინ გავუსწროთ ადამ და ევას...“ – ნინო თარიშვილის ამ უკანასკნელმა სტრიქონებმა ეროტიზმის მხატვრული ადაპტაციის ნიუანსებში გარკვევისთვის ჩვენთვისვე სრულიად მოულოდნელად იმ პერიოდის ქართული რეალობისგან საკმაოდ დაშორებული, თუმცა ეროტიზმის პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული მწერლის შემოქმედების ალუზია შექმნა. ეს მწერალი დევიდ ლოურენსია.

უკან დაბრუნების, ადამისა და ევას პირველყოფილ სინმინდესთან მიახლების დაახლოებით ასეთ ტრაექტორიას სახავდა XX საუკუნის პირველი ოცნლეულის იქნებ ყველაზე სკანდალური ინგლისელი მწერალი დევიდ ლოურენსი (გარდ. 1930 წელს), ავტორი საკულტო ეროტიკული რომანისა „ლედი ჩატერლეის საყვარელი“ (1928). ნიგნში, რომელშიც გაერთიანებულია მყარი არგუმენტაციითა და პირდაპირობით გამორჩეული ფილოსოფიური ესეები „ფსიქონალიზი და ქვეცნობიერი. პორნოგრაფია და უხამსობა“, ლოურენსის ასეთ მოსაზრებასაც ვეცნობით: „...რაციონალურობამდელი ცნობიერება რჩება ჩვენში მთელი ცხოვრების მანძილზე და იქცევა ჩვენივე ცნობიერების ძლიერ ფესვად. გონება კი – ყვავილია, რომელიც ამ ფესვზე ამოიზრდება. ესაა კულმინაცია და იმავდროულად მიჯნაც. საბოლოო მიზანი არა ცოდნის ფლობაა, არამედ ყოფნა. კაცობრიობისთვის ყველაზე სახიფათო აღმოჩნდა დევიზი „შეიცან თავი შენი“. საკუთარი თავი უნდა შეიმეცნო უფრო იმიტომ, რომ იყო ის, რაც ხარ. „არ განემსგავსო საკუთარ თავს“ – აი, ყველაზე მნიშვნელოვანი დევიზი...“ (Ллоурენс 2003: ). და ერთიც: ზემოთ ნახსენებ რომანთან დაკავშირებული კიდევ ერთი ლოურენსისეული მოსაზრება: „მე ყოველთვის მსურდა ინტიმური ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის წარმომესახა როგორც ბუნებრივი და ძალიან მნიშვნელოვანი და არა სამარცხვინო და მე-

ორეხარისხოვანი რამ.... ეს ურთიერთობები ისევე მშვენიერია და ამაღლებული, როგორც ადამიანის შინაგანი გაშიშვლებული „მე““. ლოურენსი, რომელიც გარკვეულ ინტერესს იჩენდა თავისი უდიდესი აღმოჩენით, ფსიქონალიზით, მოდერნიზმის მკვებავი ფროიდის სწავლებისადმი, მასზე უფრო შორს წავიდა, ანუ ქვეცნობიერის ყველაზე ფარულ შრეებს მიღმა გავიდა, რითაც ადვილად დაძლია მოდერნიზმის სანყის ეტაპზე დეკლარირებული მოთხოვნა „პალტოს ღილს მიღმა შეღწევის“ შესახებ. თუმცა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ეროტიზმისა და პორნოგრაფიის გამყოფ ხაზზე განუხრელად ისე იარა, რომ აქამდე სახელგატეხილ „ქვენა გრძნობებსა და მისწრაფებებს“ დიდი მხატვრული დამაჯერებლობა შესძინა, აიყვანა ისინი ესთეტიკური ტკობის სიმაღლეზე (აქ ისევე გავიხსენოთ გალაკტიონის „გეტერა“). ამასთან თავისი პროტესტი არსებული რეალობისადმი ფროიდთან თითქმის ერთდროულად ჩამოაყალიბა და მას „კულტურით უკმაყოფილების“ (სწორედ ასე ერქვა ფროიდის მიერ 1930 წელს შექმნილ ნაშრომს) სახე მიანიჭა.

ქართველი პროზაიკოსები (მ. ჯავახიშვილი, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია), რომლებიც ევროპის უნივერსიტეტებში ისმენდნენ ლექციებს, მართლაც რომ, შუბლით შეეხნენ მოდერნიზმის „მიტოსს მოკლებულ დროს“, საკმაოდ თამამად შეიჭრნენ ქვეცნობიერით პროვოცირებული ადამიანის უმართავი გრძნობების სამყაროში (რაც, როგორც აღვიშნეთ, პრინციპულად არ იყო აქამდე ასე თუ ისე ნაცნობი ფსიქოლოგიზმი), თუმცა ლოურენსის შინაგანი თავისუფლების მსგავსი კონდიციისთვის, (რაც ჩვენი კულტურის იმდროინდელ კონტექსტში შეუძლებელიც იყო) არ მიუღწევიათ. ამის მიზეზად ზოგიერთი ლიტერატორი ზემოთ ნახსენებ „სირცხვილის კულტურას“ ასახელებს, თუმცა ქართველის ფსიქოტიპში ღრმად ჩახედული ამ ავტორებისთვის (გავიხსენოთ მათი ქართველთმადიებლობისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილები) მსგავსი ჩარჩოები სერიოზული დაბრკოლება ვერ იქნებოდა. საამისოდ ზედმეტად დიდი იყო ამ „მონოკლიანი ჩოხოსნების“ (და ეს განსაკუთრებით კ. გამსახურდიაზე ითქმის) ინტერესი მოდერნისტული მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეებისა და პრაქტიკისადმი. ვფიქრობ, აქ უფრო სხვა მიზეზებმა იჩინა თავი, რომელთა გარშემო საინტერესოდ საუბრობდნენ „ლიტერატურული გაზეთის“ მიერ მონყობილ მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ დისკუსიაში ზ. ქარუმიძე, პ. ჩხეიძე და კ. ბრეგაძე. (ლიტ. გაზეთი 2017:10-13). გარდა იმისა, რომ ქართულ მწერლობაში მოდერნიზმისადმი მზაობა, ფაქტობრივად, პირველი მსოფლიო ომის დროს გამოიხატა, იგი კულტურის სხვა სფეროებშიც (სხვათა შორის, მხატვრულ-ესთეტიკურთან და ფილოსოფიურთან ერთად ეკონომიკურ აზროვნებაშიც) ანალოგიური გარღვევისკენ მონოდებასაც შეიცავდა. იყო მოლოდინი, რომ ასეთი კატასტროფული და მასშტაბური ომის დამთავრებას რევოლუციური კატაკლიზმებიც მოჰყვებოდა. ამიტომაც მომავალი მსოფლმხედველობრივი, სტრუქტურული, სახელოვნებო ცვლილებები არა ეპიზოდურად ან ატომიზირებულად, არამედ ერთდროულად და მასშტაბურად უნდა რეალიზე-

ბულიყო (გ. ქიქოძე). ეს, მართლაც, იყო ევროპული ორიენტაციის სერიოზული მოდერნული პროექტი, რომლის პრაქტიკულ დადასტურებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა („სწორედ იმ ხანებში პოლიტიკური „მოდერნიზმიც“ განხორციელდა – პირველი რესპუბლიკა მოდერნული პროექტი იყო“ – კ. ბრეგაძე). გამორჩეული შემოქმედებითი ახალთაობა საკუთარ თავს ამ პროექტის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდა. აქედან მათი მოღვაწეობის მრავალპლანიანობა (აკი ბევრ მათგანს მოგვიანებით რენესანსული ტიპის მოღვაწე უწოდეს), მტკივნეული, მაგრამ საჭირო გადასვლა, ვთქვათ, მწერლობიდან პუბლიცისტიკაზე და პირუკუ. ამ პირობების გათვალისწინებით, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ მ. ჯავახიშვილმა მისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ იმდროინდელ სამწერლო სტილსა და მიმართულებებს შორის ნეორეალიზმი აირჩია, განსხვავებით რობაქიძე-გამსახურდიასგან, რომლებიც თავისი მწერლური ტემპერამენტის შესატყვის მოდერნისტულ ტოპიკას ამკვიდრებდნენ.

მწერალი ზ. ქარუმიძე, რომელიც ერთგან ქართულ მწერლობაში ეროტიზმის თემის შესახებ საუბრობს, სამართლიანად უწოდებს რობაქიძეს მოდერნიზმის „განმსიტყვებელს“ და გამსახურდიასთან ერთად „მათი წარმოსახვის თამამ თამაშს, ერთგვარი მანერიზმით მონოდებულს“, მოდერნისტული ხელოვნების მსოფლმხედველობასთან უშუალოდ დაკავშირებულ, მის საზღვრებში მოქცეულ მხატვრულ პრაქტიკად მიიჩნევს. თუმცა აქვე მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ აცხადებს: „ჯავახიშვილთან „სიყვარული აღგვამალღებს“ სქემა იმდენად ჩაჯდა, რომ ეროტიკა გამოირიცხა სიყვარულის თემიდან“. ეს შეფასება, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია, რადგან ნაკლებად მიესადაგება „ეკას“, „უპატრონოს“, „ყბაჩამ დაიგვიანას“, „მუსუსის“ თუ „ოქროს კბილის“, თუნდაც „ცოფიანის“ ავტორს, რომ არაფერი ვთქვათ „თეთრ საყელოსა“ და ისეთ საეტაპო რომანზე, როგორიც „ჯაყოს ხიზნებია“, რომელშიც ე.წ. პირველი პლანი, სასიყვარულო სამკუთხედს რომ გადმოშლის, ეროტიზმისა და სქესის საკითხების ძირფესვიან ცოდნას ეფუძნება. ნიშანდობლივია, რომ ქართული მწერლობის არაერთ ნიმუშთან ერთად ჯავახიშვილის „ეკას“ ზოგჯერ „ექსპლიციტური დალაღობის ჭრილში გატარებული სექსუალობის“ გამოვლინებად მიიჩნევენ (ზედანი, სექსუალური დალაღობის შესახებ ქართულ ლიტერატურაში). თუმცა ეს თავისთავად საინტერესო მოსაზრება მაინც ცალმხრივი მგონია. გარდა ამისა, ჩვენ მოდერნიზმით პროვოცირებულ იმ ლიტერატურული მოდელებზე ვამახვილებთ ყურადღებას, სადაც დალაღობა, როგორც სამართლებრივად დასჯადი ქმედება კი არ არის ინტერესის ობიექტი, არამედ შეგრძნებათა და განცდათა მთელი ის გამმა, რომელიც ეროტიზმის კლასიფიკაციასაც ექვემდებარება. რაც შეეხება ფროიდიზმის გავლენას ჯავახიშვილის ადრეულ პროზაზე, ამის შესახებ „ოქროს კბილისა“ და „კურდღელის“ მაგალითზე საფუძვლიანი ანალიზი მოგვცა თ. დოიაშვილმა წერილში „მიხეილ ჯავახიშვილი და ფსიქონალიზმი“ (ლელვარი 2005: 270). ყურადღება მასში ჩვენთვის საინტერესო კუთხითაცაა გამახვილებული: „მიხეილ ჯავახიშ-

ვილის მიერ დახატულ სიყვარულში იგრძნობა ერთგვარი სინთეზი ტრადიციულის და იმ სიახლისა, რომელიც ეპოქამ მოიტანა და რომელსაც მხარს უმაგრებდა გარკვეული მეცნიერულ-ფილოსოფიური თეორია. მწერალი სიყვარულს წმინდა გრძნობად მიიჩნევს, მაგრამ უარყოფს გავრცელებულ აზრს, თითქოს სიყვარულის საფუძველი მაინცდამაინც სულთა ნათესაობა იყოს...“.

სამწუხაროდ, მ. ჯავახიშვილი მონმე გახდა იმისა, თუ ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ რამდენად მახინჯი სახე მიიღო ქალთა პიროვნული თავისუფლების იდეამ, როგორ მზაკვრულად დაუკავშირეს იგი სწორედ რომ სექსუალური ძალადობის, როგორც ქალის უფლებრივი ჩაგვრის ფაქტებს და ანტითეზად სექსუალური ცხოვრების სრული უკონტროლობა წამოაყენეს. ჯავახიშვილის ცუცქია, რომანიდან „თეთრი საყელო“ ამ ტრანსფორმაციაზე მწერლის მწვავე სატირაა. ცუცქია არა მარტო მორალურად არამდგრადია, არამედ საკმაოდ პრაგმატული იმისთვის, რომ მაქსიმალური სარგებლობა მიიღოს შექმნილი ვითარებისგან. ჯავახიშვილი საკუთარ პერსონაჟს სიღრმისეულად ჭვრეტს და ამიტომაც ეს მხატვრული სახე მედროვის კვალიფიკაციას ღებულობს. ცუცქია მწერლისთვის თითქმის იგივე მოვლენაა, როგორც ჯაყო, ოღონდ ქალთა თანასწორობის უფლებებისთვის მებრძოლის მანტიით. გამომსახველობით საშუალებათა სიმკვეთრე, რომელსაც აქ ჯავახიშვილი მიმართავს, გადმოსცემს იმ სიმწარესა და იმედგაცრუებას, რომელიც რევოლუციამდელ პერიოდში პიროვნების თავისუფლების, ქალის ადეკვატური თვითგამორკვევის, და სხვა ამ რიგის მოვლენების მწერლობაში ასახვის სულ უფრო მზარდი ტენდენციების იგნორირებამ გამოიწვია. სწორედ ამას გულისხმობს „ლიტერატურული გაზეთის“ ზემოთ ნახსენები დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე, როდესაც აცხადებს: „ გასაბჭოებას რომ გადავრჩენილიყავით... ახლა სულ სხვა ქვეყანა იქნებოდა. განვითარების ერთობ მალალ დონეზე ვიქნებოდით“ (იქვე:11).

არადა, კ. გამსახურდიას მოდერნისტული რომანი „დიონისოს ღიმილი“, მწერლის ევროპული ოდისეის შემოქმედებითი ნაყოფი, მაშინ გამოქვეყნდა (1926), როდესაც საქართველოს გასაბჭოების პროცესი შეუქცევადი გახდა. მან ქართველ მკითხველს დიდი ევროპელი მოაზროვნეებითა და საკუთარი სამშობლოს ბედისწერით ანთებული მხატვრული ფანტაზიის ძალა აჩვენა. (რომანს „დაკარგული თაობის“ წიგნსაც უწოდებენ – ს.სიგუა). ამ ტექსტმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა მოდერნიზმის შესაძლებლობათა მთელი სპექტრი. ამასთან შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო მოდერნიზმის ლიტერატურის კონტექსტში ეროტიზმის ადგილის რეზიუმირება მოგვეხდინა, არამედ დაგვეჩვენა პირდაპირი კავშირი დიონისოს, როგორც მითოსური პერსონაჟის, მისტერიასა და ევროპის დიდ მრუმე ქალაქებში ჩაკარგულ საკუთარი „დაშლილი სუბიეტურობის“ მაძიებელ ქართველს შორის. გავიხსენოთ, პირველი შეხვედრა დიონისოსთან რომანში ხალილ ბეის სურათის „დიონისოს მეორედ მოსვლის“ ნახვით იწყება, რასაც წინ უძღვის ჯენეტის სალონში გამართული საუბარი დასავლეთის სულიერ კრიზისზე (ჯალიაშვილი 2006), იმ დეჰუმანიზაციის-

თვის წამონყებულ დესტრუქციაზე, რომელსაც მთელი განათლებული დასავლეთი მოუცავს. სწორედ ამ კრიზისის დაძლევის გზაზე კონსტანტინე სავარსამიძე, მის მიერ საკუთარი ეგზისტენციალური მიზანდასახულობის ძიებისას განცდილ სირთულეთა (შეიძლება ასეც ითქვას, წარუმატებლობათა) გადასაფარად ჰედონისტურ-დიონისური ნიღბით იმოსება და „ბაკხანტურ-მენადურ ქალებთან (მისის ბლუტი, ლუჩია, ინგებორი) სექსუალურ თამაშებს ეძლევა (სიგუა 2002). თუმცა ეროტიზმი აქ არა მარტო ქალებისადმი, არამედ მშვენიერი ყმანვილისადმი, თავად „დიონისოს ამქვეყნიურ ემანაციად“ აღიარებული ფავრიზისადმი ლტოლვაშიც გამოიხატება. ეს ეპიზოდები რომანში დიდი ექსპრესიითა და მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული. მოგვიანებით, 30-იანი წლების დასასრულს, სტალინიზმის ხანაში შექმნილ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ეფემერულად გაიფრთხილებს ხელოვნების სუბსტანციურობის განმსაზღვრელი ავტონომიურობისა და ქალისადმი ლტოლვით, მასში ჩაკარგვით იმავე ხელოვნების ლალატის თემა, რომელიც შორეული ანარექლია იმ შემოქმედებითი თავისუფლებისა, რასაც დიონისოს ღიმილსა“ და იმავე პერიოდში დაწერილ რამდენიმე ნოველაში (ტაბუ, ქალის რძე, ლილ) ვხვდავთ.

#### დამონშებანი:

- Avaliani L. *P'aolo Iashvili*. Tbilisi: 2018 (ავალიანი ლ. *პაოლო იაშვილი*. თბილისი: 2018).
- Barbakadze T. I. Grishashvilis “T’ertset’ebit Dats’erili Utsnobi Leksi”. *Lit’erat’uruli Dziebani*, XXXIII. Tbilidi: Tsu gamomtsemloba, 2017 (ბარბაქაძე თ. ი. „გრიშაშვილის ტერცეტებით დაწერილი უცნობი ლექსი“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXX III. თბილისი: თსუ გამომცემლობა 2017).
- Barbakadze T. *Gr. Robakidze. 13 Sonet’i. Shens Sonet’ebshi Gadareva Shek’ruli Rok’avs*. Tbilisi: gamomtsemloba “saari”, 2004 (ბარბაქაძე თ. გრ. *რობაკიძე. 13 სონეტი. შენს სონეტებში გადარევა შეკრული როკავს*. თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2004).
- Doiashvili T. Gza “Art’ist’uli Q’vavilebisk’en”. *Lit’erat’uruli Dziebani*, XXXI. Tbilisi: 2005 (დოიაშვილი თ. გზა „არტისტული ყვავილებისკენ“. *ლიტერატურული ძიებანი*. XXXI. თბილისი: 2005).
- Doiashvili T. Mikheil Javakhishvili da Psikoanalizi. K’r. *Lelvari*. 2005 (დოიაშვილი თ. მიხეილ ჯავახიშვილი და ფსიქოანალიზი. კრ. *ლელვარი*. 2005).
- Bregadze K’. *Kartuli Modernizmi*. Tbilisi: gamomtsemloba “meridiani”, 2013 (ბრეგაძე კ. *ქართული მოდერნიზმი*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013).
- Bregadze L. Khelovneba da Khelovani Galak’t’ionis Adreul Shemokmedebashi. *Galak’t’ionologia*. T’. IV. Tbilisi: 2008 (ბრეგაძე ლ. ხელოვნება და ხელოვანი გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაში. *გალაკტიონოლოგია*. ტ. IV. თბილისი: 2008).
- Grishashvili I. *Tkhzulebani*. T’. I. Tbilisi: 1961 (გრიშაშვილი ი. *თხზულებანი*. ტ. I. თბილისი: 1961).
- K’ot’et’ishvili V. *Ts’erilebi*. Tbilisi: gamomtsemloba “art’anuji”, 2016 (კოტეტიშვილი ვ. *წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016).
- Sigua S. *Kartuli Modernizmi*. Tbilisi: gamomtsemloba “didost’at’i”, 2002 (სიგუა ს. *ქართული მოდერნიზმი*. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2002).
- Jaliashvili M. *Kartuli Modernist’uli Romani. Jvartsmuli Dioniso*. Tbilisi: 2006 (ჯალიაშვილი მ. *ქარ-*

- თული მოდერნისტული რომანი. ჯვარცმული დიონისო. თბილისი: 2006).
- Lourens, D. G. *Psikhoanaliz i Bessoznatel'noe. Pornografiya i Nepristoinost'*. M.: 2003 (Люренс, Д. Г. Психоанализ и бессознательное. Порнография и непристойность. М.: 2003).
- Erotizm bez Granits. Sbornik Statei*. M.: HLO, 2014 (*Эротизм без границ. Сборник статей*. М.: НЛО, 2014).
- Epshtein, M. *Mezhdu Lyubov'yu i Seksual'nost'yu*. 2003 (Эпштейн, М. *Между любовью и сексуальностью*. 2003).

**Nona Kupreishvili**  
(Georgia)

## Artistic Representations of Eroticism

### Summary

**Key words:** erotic, metasexual awareness, modernist project, conceptual shifts.

As it is known, soviet literary criticism used to discuss socio-cultural facts and even literary texts within the frameworks of Marxist ideology that extremely restricted the area of scientific study. So, there were also lots of taboo themes that analysis were prohibited. Among them was concept of eroticism that mainly was equated with so called notion of love lyrics. However pre and post-revolutionary Georgian poetry and prose ascribed by us as the era of modernism, includes very interesting material with regard to aforesaid.

Principally significant is definition of itself this theme, as eroticism, because due to fragile borders existed on the one hand at sexuality and on the other hand at pornography, the terminology is often messed up. Michael Epshtein better determined aforesaid than others, calling eroticism as metasexual awareness and fancy, separating from our body in order to return to it in abstract, though at the same time in more accented form. And moreover: sexuality – means confidence, needs and requirement, when eroticism principally is desire.

What kind of condition was faced within the context of pre and post-revolutionary Georgian writing from the standpoint of artistic representation of eroticism, as one of the strongest concept of modernism? It appeared that due to several reasons it is broad subject of study. And such attitude first of all is created by the fact that can be stated as follows: Georgian writing managed not to become plagiarist of European and Russian modernism, vice versa, under the usual synthesis of western and eastern cultures as Gr. Robakidze used to say, that, with a marriage it managed to form its original color for this great renewal.

There also was Kazbegi's prose, where V. Kotetishvili perceived the most important problem for Kazbegi – death of ravine, exactly under the background of sexual love. Though, critic T. Vasadze considers Baratashvili's "Sakure" as classical erotic text and it is exactly so.

Dionysian and Apollonian. Even within the context of transformation of Fr. Nietzsche's culturological ideas is obvious the tendency of priorities movement. Apollo's initial is emphasized in the paper "Birth of tragedy from the soul of music", but Dionysian in the paper "So would say Zaratustra" known as a certain mantra of modernism as life giving instinctual beating power of creation. According to Nietzsche's opinion, Dionisism is a show of irrationality of human soul, his/her strong sensual power. It was also the same way apprehended by it followers, among whom were also Georgian modernists.

"Sh. Aragvispireli was the first among Georgian writers, who brought the feeling – upon relation of opposite genders the most important is the passion and not the union of souls ... they only touch each other and nothing more. Neither soul and nor flesh correspond each other ... human ... stupidity... ha!...ha!...ha!..."

It is to be noted that Galaktion expressed his firm faith to omnipotence of art in the erotic verse of the same period "Getera" (1914). There is provided the history of courtesan Frina from ancient period, who despite of moral decadence was applied as Aphrodite sculpture prototype due to his perfect beauty, but the distance from flirting to mythological creature is the way that can be concealed and covered only through art.

Based on its natural poetical talent and intuition Grishashvili is even spontaneous modernist, who trying to associate eastern-urban reasons to European creates above mentioned intonation itself for Georgian modernism. It is obvious that it was not and even would not be artistic product of such depth and intention that would distinguish Gr. Robakidze, though according to the opinion of the same Robakidze, Grishashvili's early poetry "full of solar and lively rhymes" represented remarkable stylization of Avlabari artistic poetry".

Itself eloquent is the very reaction that society related to Dariani period of Tsisperkantseli poet P. Iashvili. Lali Avalishvili also emphasizes that "Dariani's eroticism was well associated to the doctrine of symbolism", - though Paolo lightened it with a light strengthening solar life.... Herein we may also say that this procedure in our literary space was fulfilled without any mysticality, par excellence with perfected play of fancy and exactly this is essential instant. "Eternal femininity" is represented as an object of pleasure in Dariani period influenced by modernistic culture, especially by Freudism, though it does not and even can not move to pornography, as everything is still within the frameworks of modernistic aesthetics.

The first Georgian modernists charged the air to fell fantastic theory of poetry, variety of artistic forms and creative self-realization with activated potentials that there is created poet's quite important illusion for the expansion of existential borders. Many erotic texts, or passages are created within this context and their authors are not only Gr. Robakidze, or P. Iashvili, but also young poet Nino Tarishvili, adherent of modernistic prose K. Gamsakhurdia and M. Javakhishvili, prominent representative of neorealism.

მაკა ელბაქიძე, მანანა შამილიშვილი, ადა ნემსაძე  
(საქართველო)

მეორე მსოფლიო ომი და ქართულ-იტალიური ნონკონფორმისტული  
გამოცდილება  
(ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით)\*

წინამდებარე სტატია არის ნაწილი ფუნდამენტური კვლევისა, რომელიც მიზნად ისახავს უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთული, წინააღმდეგობრივი და „ცუდად წაკითხული“ ეტაპის მეცნიერულ შეფასებას კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე; ანალიზს იმ პროცესებისა, რომლებიც განვითარდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1956 წლის 14–25 თებერვალი), როცა მაღალი ტრიბუნიდან ოფიციალურად გაცხადდა სტალინიზმის ეპოქის დასასრული. რა შეიძლება, ზოგადად, ითქვას ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე? „ფაშიზმის, როგორც საერთო მტრისა და საერთო ფიზიკური საშიშროების განცდის მიზეზით, 1941-1945 წლები ანტისაბჭოთა დისკურსის იატაკქვეშეთის პერიოდი იყო, როდესაც ის შედარებით ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, მისი ამ „მოდუნების“ ფონზე კი წარმატებით მიმდინარეობდა საბჭოთა მენტალური კორელატის – homo sovieticus-ის ჩამოყალიბება: სამამულო ომი დიქტატურის ნისქვილზე ასხამდა წყალს... საბჭოთა ხალხების იდენტობათა გამოკვეთის სურვილიც კი ღალატად მიიჩნეოდა... ამ ფონზე, ცხადია, მეტი სიმწვავეთ მოჩანდა ყოველი ნაბიჯი, გადადგმული დინების საწინააღმდეგო მიმართულებით“ (რატიანი 2018: 168–170). ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ქართველი ემიგრანტების მიმართ, რომელთაც ჯერ კიდევ 20-იანი წლების შუახანებიდან მიაწვდა „ხალხის მტრის“ იარლიყი, ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი „ფაშისტებად“ შერაცხა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სამშობლოდან იძულებით გადასახლებული არაერთი ჩვენი თანამემამულე, განსაკუთრებით შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ცდილობდა არა მხოლოდ კალმით, არამედ იარაღითაც ებრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის დასამხობად. ამ თვალსაზრისით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალების გარდა, ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ინახავს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებული საცავებიც. წინამდებარე სტატია ეყრდნობა რომში, გათავისუფლების ისტორიულ მუზეუმში მიკვლეულ საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც ქართული საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ფაქტებს ფენს ნათელს.

\* სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (# 217512) „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ)“ ფარგლებში.

\* \* \*

II მსოფლიო ომის დაწყებამ ქართულ ემიგრაციაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ევროპაში იძულებით გადასახლებულ ქართველთა ერთი ნაწილი, რომელთა შორისაც სოციალ-დემოკრატები სჭარბობდნენ, გერმანიას უნდობლად უყურებდა და თავის მოკავშირედ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მიიჩნევდა\*, მეორე ნაწილს კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად საბჭოთა კავშირის ნაციისტურ გერმანიასთან დამარცხება მიაჩნდა\*\*.

თავის მხრივ, გერმანიამაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრები კავკასიისა და აზიის ხალხების ნაციონალისტური და ანტიბოლშევიკური განწყობა. გერმანიის არმიის რიგებში შედიოდა რამდენიმე ეროვნული ლეგიონი. 1941 წელს OKW-მ (Oberkommando der Wehrmacht – ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა) სომხური და ქართული ლეგიონის შექმნის განკარგულება გასცა. ამ სამხედრო შენაერთში შედიოდნენ, ძირითადად, ემიგრანტები და წითელი არმიის რიგებში მებრძოლი, ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცები (მათ შორის იყო განსაკუთრებული დანიშნულების კავკასიური შენაერთი „ბერგმანი“). სულ „ჩამოყალიბებულ იქნა 13 აზერბაიჯანული, 12 სომხური, 12 ქართული და 8 ჩრდილოკავკასიური ბატალიონი. საერთო ჯამში, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე კავკასიელთა რიცხვი 100.000 ადამიანს აღემატებოდა“ (ჯავახიშვილი 2005: 102-105). მათ 1942 წლის ოქტომბრამდე წვრთნიდნენ დასავლეთ უკრაინაში (თუმცა, მიუხედავად თავიანთი შორსმომავალი მიზნებისა, გერმანელები ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ ე.წ. „აღმოსავლურ ბატალიონებს“ და იყენებდნენ ისეთი „მეორეხარისხოვანი“ ამოცანებისთვის, როგორებიცაა სანგრების გათხრა, მომარაგება და ზურგის დაცვა).

გერმანიაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ნაციისტური მთავრობის მაღალჩინოსანთა განსაკუთრებული ნდობით, პოლიტიკური გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, სახელდობრ: მიხეილ ახმეტელი – აღმოსავლეთის („ვანზეეს“) სამეცნიერო-

\* 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე, ემიგრანტი მიხეილ ქავთარაძე თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „გერმანია დაეჯახა იმ ძალას, რომლის ნაქცევაც აუცილებელი წინასწარი პირობა იყო ჩვენი თავისუფლებისათვის. იყვნენ ემიგრანტები, რომელთაც ოცი წელი თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს. ამ ოცი წლის განმავლობაში ვერცერთი ნამდვილი მოკავშირე ვერ იპოვეს და როდესაც იმ ქვეყანამ, რომელიც სინამდვილეში ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირე იყო ჩვენთვის..., რუსეთს შეუტია, ზემოხსენებული ქართველები შეძრწუნდნენ და ეს მოვლენა ჩვენთვის უარყოფით საქმედ ჩათვალეს. მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელ გერმანიას განაგებდა არასიმპათიური რეჟიმი და, ამავე დროს, ეს გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის სიმპათიურ დემოკრატიულ ქვეყნებსაც ეომებოდა“ (ქავთარაძე 2007: 111-112).

\*\* „ქართველები იმედოვნებდნენ, საჭიროების შემთხვევაში გერმანელებზე სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინათ. იმ ხანებში გავრცელებული აზრის მიხედვით, გერმანია კავკასიის მიმართ I მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტიკას გაატარებდა... დამოუკიდებლობის იმედი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გერმანელებმა II მსოფლიო ომის დროს დაიკავეს ჩრდილო კავკასია. აქ გერმანია განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა, ვიდრე მის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ჰიტლერის ანტიჰუმანური კანონების გამო საშინელ ტანჯვას განიცდიდა“ (გაბლიანი 1998: 9).

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; ალექსანდრე ნიკურაძე – ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, გამოჩენილი ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი; ექიმი გიორგი მაღალაშვილი; ვერმანტის გენერალ-მაიორი შალვა მაღლაკელიძე; ქართული ქვედანაყოფის „ქართული ცხენოსანი SS“-ის ხელმძღვანელი, შტანდარტენფიურერი ფრიდონ ნულუკიძე; გერმანული შეიარაღებული ძალების ოფიცრები: დიმიტრი შალიკაშვილი, გივი გაბლიანი, მიხეილ ალშიბაია, მიხეილ ქავთარაძე; „კავკასიის საგანგებო შტაბის“ თანამშრომელი ალექსანდრე ცომიაია; საქართველოს ყოფილი ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელი; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ნერეთელი; ენათმეცნიერი კიტა ჩხენკელი; პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე შალვა ამირეჯიბი, ასევე „აბვერისა“ და „გესტაპოს“ თანამშრომელი მიხეილ კედია (ჯავახიშვილი 2011: 42-43). ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 10-იან წლებში მთავრობის ხელშეწყობით გაემგზავრა ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად. სწავლობდა ჯერ ბერლინის, შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. თუმცა მასაც, ბევრი ქართველი ახალგაზრდის მსგავსად, არ დასცალდა, რომ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამოუკიდებელი საქართველოს წინსვლისა და განვითარების სამსახურში ჩაეყენებინა. მასაც, როგორც ათასობით მის თანამემამულეს, ემიგრანტის მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა, თუმცა არც ევროპაში გადასახლების შემდეგ დაუშურებია ძალისხმევა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. სხვადასხვა დროს იყო სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წევრი, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, მონაწილეობდა „კავკასიის კონფედერაციის“ საქმიანობაში, თანამშრომლობდა ჰაიდარ ბამატის ჟურნალ „კავკასიასთან“. 1940 წლის შემოდგომაზე, როდესაც გერმანიის საგანგებო წარმომადგენელმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა გააუქმა, აუცილებელი გახდა ისეთი ავტორიტეტული პიროვნების მოძიება, რომელიც გერმანიის ხელისუფლების წინაშე ქართული ემიგრაციის დაცვას შეძლებდა. ეს მისია მიხეილ კედიას დაეკისრა. მან, მოგვიანებით ქართველ შინდლერად წოდებულმა\*, დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, გერმანელებს დაუმტკიცა, რომ ისინი ისლამის მიმდევარი ქართველები იყვნენ, ხოლო როცა ნაცისტებმა ქართველი ებრაელების დაპატიმრებებიც დაიწყეს (რეპრესირებულთა შორის მოხვდა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი, ეროვნული საგანძურის საფრანგეთში გატანის ერთ-ერთი ორგანიზატორი), მათი გათავისუფლება მხოლოდ ქართველი ემიგრანტების ჩარევითა და მიხეილ კედიას ძალისხმევით გახდა შესაძლებელი\*\*.

\* იხ. ჯავახიშვილი, ნ. *ქართველი შინდლერი*. ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი, 2011. მარტი. 3. გვ. 42-49; ქართველები უცხოეთში. ნ.1. თბილისი, 2012. გვ. 113-115.

\*\* მიხეილ კედიაშვილმა მითი, რომ ქართველ მაჰმადიანთა მსგავსად, ქართველი ებრაელებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო რწმენით მოსეს რჯულის მიმდევარნი. ნოე ჟორდანისა, ალექსანდრე ქორქიას, კონსტანტინე კანდელაკის, ევგენი გეგეჭკორისა და მიხეილ კედიას მიერ

ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილის მსგავსად, მიხეილ კედიაც ფიქრობდა, რომ საქართველოს ბოლშევიკური ანექსიისგან განთავისუფლება ნაცისტური გერმანიის მხარდაჭერით შეიძლებოდა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე, ანუ 1941 წლის ივნისამდე, ბერლინში შემუშავებული იყო საბჭოთა კავშირში შემავალი არარუსი ხალხების გადაბირების სპეციალური გეგმა, რომელსაც თავად ადოლფ ჰიტლერი კურირებდა. ნაცისტები იმედოვნებდნენ, რომ ამ ხალხების, მათ შორის ქართველების ეროვნულ გრძობებზე თამაშით კრემლს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდნენ. მიხეილ კედიასაც, არაერთი მისი თანამოაზრე ემიგრანტის მსგავსად, სწორედ ამ თვალსაზრისით აძლევდა ხელს ნაცისტებთან თანამშრომლობა. Amt VI C\*, RSHA-ს\*\* საზღვარგარეთული დაზვერვის დივიზიონის რუსული ბიურო მჭიდროდ თანამშრომლობდა მის გარშემო თავმოყრილ ნაციონალისტებთან, რომლებმაც ბერლინში ერთგვარი „კვლევითი ინსტიტუტიც“ ჩამოაყალიბეს და რეიხის სამსახურში ჩააყენეს ქართულ დიასპორაში „ჩანერგილი“ საკონტაქტო პირები და იატაკქვეშა მოკავშირეები\*\*\*. რუსული ბიურო, რომელიც უაღრესად მოსურნე იყო საბჭოთა კავშირიდან უტყუარი ინფორმაციის მიღებისა, მალე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ინფორმაციის მოპოვების საუკეთესო წყაროს ქართველები წარმოადგენდნენ. ამ მიზნით და კედიას შუამდგომლობით მომზადდა საქართველოში გადმოსასხმელი პარაშუტისტთა ჯგუფები „თამარ I“ და „თამარ II“. 1943 წლის ოქტომბერში მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა „სამეკავშირეო შტაბი“, რომელსაც წესრიგში უნდა მოეყვანა ის სამხედრო ერთეულები, რომლებშიც ირიცხებოდნენ გერმანელთა ინიციატივით ბანაკე-

გაყალბებული საბუთებით ათასზე მეტი ქართველი და ევროპელი ებრაელი გადაურჩა სიკვდილს. ამ თავგანწირვის გამო მიხეილ კედიამ პარიზის დიდი რაბინის, ვაისის, და ებრაული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელის, მოსერის, მაღლობა დაიმსახურა. შესაბამისად, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ის გერმანელებთან თანამშრომლობის გამო სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადეს, თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მან ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება, რომელიც გამყარებული იყო შესაბამისი დოკუმენტებითა და იმ ადამიანთა მტკიცებულებებით, რომლებიც მან უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

\* Amt VI C – რეიჰის უშიშროების ადმინისტრაციის (RSHA) ერთ-ერთი განყოფილება – საზღვარგარეთის სადაზვერვო სამსახური. დაარსების დღიდან მას ხელმძღვანელობდა სს-ის ბრიგადენფიურერი უოლტერ შულენბერგი.

\*\* Reichssicherheitshauptamt (რეიჰის უშიშროების მთავარი სამმართველო, შემოკლებით RSHA) იყო სს-ის რაიხსფიურერის, გერმანიის პოლიციის შეფის ჰეინრიხ ჰიმლერისა და მისი მოადგილის, რაინჰარდ ჰაიდრიხის განკარგულებით შექმნილი ორგანიზაცია (დაარსდა 1939 წლის 27 სექტემბერს). სამმართველოში გაერთიანდა 2 უწყება: უშიშროების სადაზვერვო ქვედანაყოფი სდ, რომლის ფუნქციაც იყო პარტიის დაცვა რეალური და წარმოსახვითი საფრთხეებისგან და უშიშროების პოლიცია (ზიპო), რომელიც მეთვალყურეობდა კრიმინალურ და საოლქმლო პოლიციას.

\*\*\* როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, გერმანელი „მფარველებისადმი“ კედის რწმენა ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. ნაცისტების პროგრამაში ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის შესახებ არ იყო გათვალისწინებული არავითარი მატერიალური რესურსი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ნავთობით მდიდარი კავკასიის რეგიონში არსებული დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის. თუმცა შორსმომავალ პერსპექტივაში ალფრედ როზენბერგის ოფისი გეგმავდა ოკუპირებული აღმოსავლეთის ტერიტორიებზე ე.წ. ანტირუსული სანიტარული კორდონის (არასასურველი იდეოლოგიის გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩატარებული ღონისძიებების ერთობლიობა) მოწყობას რუსეთს დაქვემდებარებული სახელმწიფოებისთვის, რომელთა შორის ქართველებს (როგორც არიული რასის წარმომადგენლებს) ენიჭებოდათ გარკვეული პრივილეგიები, ოღონდ გერმანიის მეურვეობის ქვეშ (Dallin 1981: 226-9).

ბიდან გამოყვანილი ქართველები. ექვს თვეში შტაბმა მოახერხა ქართველი და კავკასიელი მუშების უფლებრივად ევროპელ მუშებთან, ხოლო ქართველი ჯარისკაცების – გერმანელ ჯარისკაცებთან გათანაბრება. მიუხედავად გერმანიის მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობისა, ქართული ემიგრანტული მოძრაობის ლიდერი არ ეთანხმებოდა „ნაცისტების მხეცურ პოლიტიკას“ და მეგობრობდა ჰიტლერთან დაპირისპირებულ გავლენიან გერმანელებთან\*. სწორედ მისი მრავალრიცხოვანი კონტაქტების იმედით, რომლებიც ისევ და ისევ ქართულ საქმეს უნდა მოხმარებოდა, დაუკავშირდა მიხეილ კედიას ცნობილი სასულიერო პირი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის მკვლევარი, მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი\*\*.

როგორც იტალიის არქივებში დაცული დოკუმენტებიდან ჩანს\*\*\*, მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ბელგიის ვიზა ბრიუსელში გარდაცვლილი ქართველი ქალბატონის, სოფიო გოკიელის ანდერძთან დაკავშირებული ფორმალობების მოსაგვარებლად\*\*\*\*, გერმანიის მთავრობა კი მის მოთხოვნას უპასუხოდ ტოვებდა. კედიამ იოლად მოახერხა მამა მიქელის სამოგზაურო საბუთებით უზრუნველყოფა და სრული მზადყოფნა გამოთქვა, დახმარებოდა მღვდელს დიდი ხნის ოცნების ასრულებაში – ქალბატონი გოკიელის ნაანდერძევი თანხით რომში ქართული კათოლიკური კოლეგიუმის დაარსებაში. ეს

\* ერთ-ერთი მათგანი იყო გრაფი ფონ შულენბურგი, რომელიც 1944 წლის 20 აგვისტოს ჩამოახრჩვეს ჰიტლერის წინააღმდეგ წარუმატებელი შეთქმულების შემდეგ.

\*\* მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი (1897-1958) ჯერ კიდევ 1913 წელს კონსტანტინოპოლში გაჰყვა ქართველ კათოლიკე მოწესიებს, რომლებიც იქაურ სამონასტრო სკოლებში სწავლის მსურველებს არჩევდნენ. 1913-17 წლებში ის კონსტანტინოპოლის ქართულ კათოლიკურ სავანეში იღებდა განათლებას (იხ. პაპუაშვილი 2016). 1917 წლიდან კი სწავლა განაგრძო ქალაქ ეტალის (ზემო ბავარია) ბენედიქტელთა სააბატოში. 1919 წლის აგვისტოში საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის მოლაპარაკების შედეგად, სხვა შვიდ ქართველ სტუდენტთან ერთად მიქელ თარხნიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა დეკემბერში თურქეთში გაემგზავრა კონსტანტინოპოლის კაპუცინების კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად და მას შემდეგ საქართველო აღარ უნახავს. 1924 წელს ფილოსოფიასა და თეოლოგიაში ცოდნის გასაღრმავებლად იგი ვენაში ჩავიდა, 1929 წლიდან კი ის რომშია, სადაც ჯერ ბერძნულ კოლეგიუმში შედის თავისუფალ მსმენელად, შემდეგ კი სწავლობს პაპის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. იქვე იცავს დისერტაციას „თეატინელთა სამოციქულო ღვაწლი საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში“ და მოიპოვებს თეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. 1931 წლის 6 აგვისტოს მიქელ თარხნიშვილი მღვდლად აკურთხეს რომის მახლობლად, გროტაფერატას ბიზანტიური წესის სააბატოში. 1934 წელს მიიღო დავალება – საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში მყოფ ქართველთაგან აღეზარდა წარმომადგენლები აღმოსავლური ეკლესიისათვის. ამ მიზნით იგი გაემგზავრა ბენედიქტელ მამებთან ჯერ პარიზში, შემდეგ კი დეგენდორფში (ბავარია). 1934-1936 წლებში ქართველ კათოლიკეთა სულიერი მოძღვარი იყო ბელგიაში, გერმანიასა და საფრანგეთში. 1936-1942 წლებში ბენედიქტელ ბერებთან იმყოფებოდა ბავარიაში (ჯერ დეგენდორფში, შემდეგ მეტენში).

\*\*\* (ინფორმაცია მოპოვებულია მიქელ თარხნიშვილის დაკითხვის ოქმიდან (1944 წლის 29 ივლისი. რეგინა კოელის ციხე), რომელიც დაცულია იტალიის პოლიციის გადამდგარი კომისრის, ჯუზეპე დოსის არქივში. იხ. გაზ. L'EUROPEO, 573. 7 ოქტომბერი, 1956, გვ. 23-26. იხ. ასევე: David Alvarez & Robert A. Graham, *Sj. Nothing Sacred. Nazi Espionage Against the Vatican, 1939-1945*. Franc Cass. London. Portland, OR. 1997. pp.92-113).

\*\*\*\* 1941 წლის თებერვალში ბრიუსელში გარდაცვლილმა მდიდარმა ქვრივმა, ელენე გოკიელმა 360 000 ბელგიური ფრანკი უანდერძა წმინდა მარიამის უბინოდ ჩასახვის ქართულ კათოლიკურ კონგრეგაციას, რომლის ცენტრი სტამბოლის მონასტერში იყო განთავსებული. (იხ: ლაღანიძე, მ. *პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვაწლი*. „ლიტერატურული ძიებანი“. XXXVII, 2016, გვ. 238-243) და თავისი ანდერძის განმკარგულებლად ამ კონგრეგაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ევროპაში, მიქელ თარხნიშვილი დაადგინა.

იქნებოდა ერთგვარი რელიგიური კომუნა, რომლის კედლებშიც ქართველ ახალგაზრდებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, კათოლიკური სამყაროს წიაღში ეროვნული ფესვებისგან მოუნყვებლად მოეხდინათ თავიანთი კულტურული და ნაციონალური იდენტობის დემონსტრირება. სამწუხაროდ, ნაანდერძევი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაგრამ კედლამ დაარწმუნა მღვდელი, რომ სხვა წყაროებიდან შეძლებდა დამატებითი დაფინანსების შოვნას. ამ მიზნით კედია დაუკავშირდა გერმანიის საელჩოს რომში და რეკომენდაცია გაუწია მამა მიქელს პოლიციის ატაშესთან, ჰერბერტ კაპლერთან\*. ამავდროულად, მიხეილ კედია ესაუბრა თავის მეგობრებს Amt VI-იდან თარხნიშვილის გეგმების შესახებ. ქართველ ნაციონალისტთა ლიდერი ხვდებოდა, რომ მისი „პროექტი“ ერთნაირად დააკმაყოფილებდა ორივე მხარის ინტერესებს: ერთი მხრივ, RSHA-ს მიერ გაღებული თანხებით მიქელ თარხნიშვილი შეიძენდა შენობას ქართული კოლეგიუმისთვის და აისრულებდა თავისი დიდი ხნის ოცნებას, მეორე მხრივ, გერმანელებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ კოლეგიუმი სადაზვერვო და პროპაგანდისტული მიზნებისთვის. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სასიკეთოდ წაადგებოდა ქართულ ნაციონალიზმს. გულმხურვალე კათოლიკესა და პატრიოტის, მიქელ თარხნიშვილის ძალისხმევით კოლეგიუმი მალევე გახდებოდა ქართული ეროვნული იდენტობის ერთგვარი სიმბოლო და ნაციონალური მისწრაფებების გავრცელების ძლიერი ცენტრი.

თავდაპირველად Amt VI გულგრილად მოეკიდა კედიას შეთავაზებას. ამ ორგანიზაციის შეფი, უოლტერ შელენბერგი, სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ წამოწყების მიმართ, ამიტომ უარი განაცხადა არაპრაქტიკული სქემის განხილვაზე, თუმცა მოგვიანებით RSHA-ს შეფს ერნსტ კალტენბრუნერს, გული მოუბრუნდა ამ იდეის მიმართ. კალტენბრუნერმა გაისხენა, რომ მისი წინამორბედი, რაინჰარდ ჰაიდრიხი, ძალისხმევას არ იშურებდა კათოლიკური ეკლესიის კულუარებში შესაღწევად და ამ მიზნით გავლენიანი სასულიერო პირების გამოყენება სურდა. გერმანიის დაზვერვა დიდი ხანია ეჭვობდა, რომ რომის მონასტრებში და რელიგიურ ინსტიტუტებში ასობით ებრაელი, ანტიფაშისტები და გაქცეული სამხედრო ტყვე პოულობდა თავშესაფარს. ე.წ. „რომის სამაშველო ხაზის“ ცენტრი ვატიკანის გალავნის შიგნით იყო მოქცეული და

\* ჰერბერტ კაპლერი – სს-ის ობერშტურბანფიურერი. გესტაპოს წარმომადგენელი რომში 1939-1944 წლებში. პროფესიით ელექტრიკოსი, ის 1932 წელს შეუერთდა სს-ის რიგებს. 1937 წელს Sicherheits polizei-ს (უშიშროების პოლიცია) ლიდერთა სკოლის წარმატებით დასრულების შემდგომ კაპლერმა ისეთი ტალანტი გამოამჟღავნა საიდუმლო პოლიციაში სამსახურისას, რომ მამინვე მიიქცია ბერლინში უმაღლესი ხელმძღვანელობის ყურადღება. ის შეიყვანეს პოლიციის ატაშეთა იმ პირველი გუნდის შემადგენლობაში, რომელიც გაიგზავნა გერმანიის დიპლომატიური მისიით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. კაპლერის უშუალო უფროსი, დიპლომატიის ძველი სკოლის წარმომადგენელი, გერმანიის ელჩი იტალიაში, ჰანს გეორგ ვონ მაკენსენი, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი დისტანცია დაეცვა თავის ახალ ატაშესთან, ამიტომ კაპლერის ოფისი განთავსდა არა გერმანიის საელჩოში, არამედ საელჩოს კულტურული განყოფილებისათვის განკუთვნილ სხვა შენობაში, ტასოს ქუჩა ნომერ 20-ში, რომელიც მალე ყველა რომაელისთვის (და ამაში, უდავოდ, დიდი წვლილი კაპლერსაც მიუძღვის) იქცა პოლიციური ტერორის სიმბოლოდ (Alvarez & Graham 1997: 72-73).

გაქცეულთა ერთი ნაწილი ჩრდილო ამერიკული კოლეგიუმის შენობის მახლობლად იმალებოდა. ასეთ ვითარებაში კედიას გეგმა შესაძლებლობას მისცემდა გერმანულ დაზვერვას, მოკავშირეთა ჯარებისა და პოლიციის ზურგში საკუთარი „უსაფრთხოების კუნძული“ შეექმნა. სწორედ ამ გარემოების გამო RSHA-მ ქართველებთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა\*.

მიხეილ კედიას რეკომენდაციით მამა მიქელ თარხნიშვილი რომში ჩავიდა და მას შემდეგ, რაც ვატიკანს მიანოდა ოფიციალური ინფორმაცია ქართული კოლეგიუმის გახსნის მცდელობის შესახებ, პოლიციის ატაშეს ოფისში გამოცხადდა, სადაც ის მიიღო კაპლერის ასისტენტმა, კურტ ჰასმა. მართალია, საელჩოს ჯერ არ მიეღო ბერლინიდან არავითარი თანხა, მაგრამ ჰასმა დაარწმუნა მღვდელი, რომ აუცილებლად დაუკავშირდებოდა დედაქალაქში შესაბამის უწყებებს და რამდენიმე კვირის შემდეგ პასუხს აცნობებდა.

იმავედროულად, ბერლინში Amt VI-ის ოფიცრები ხვეწდნენ თავიანთ გეგმებს ქართულ კოლეგიუმთან დაკავშირებით. ისინი აპირებდნენ ამ დანესებულების საჯაშუშო ბაზად გამოყენებას. ბერლინთან მუდმივი კავშირის მიზნით იგეგმებოდა შენობის სარდაფში რადიოსადგურის განთავსება. კოლეგიუმში „ჩანერგავდნენ“ რამდენიმე აგენტსაც, რომლებსაც შეარჩევდნენ ე.წ. „ქართული ლეგიონის“ რიგებიდან. ისინი საგანგებო მომზადებას გაივლიდნენ და როგორც სხვადასხვა სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებს, რომში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა და სხვადასხვა რელიგიურ ინსტიტუციაში თავისუფლად შეღწევის საშუალება ექნებოდათ. რამდენადაც მამა მიქელი რომსა და ვატიკანში ერუდირებული და უაღრესად პატიოსანი პიროვნების რეპუტაციით სარგებლობდა, გადანყდა, რომ კოლეგიუმის რექტორად მას დანიშნავდნენ.

1943 წლის ოქტომბერში მამა მიქელი ხელახლა გამოცხადდა გერმანიის პოლიციის ატაშეს ოფისში. კურტ ჰასმა ამჯერად საიმედო ინფორმაცია დაახვედრა: ბერლინიდან უკვე მოსულიყო დიდი ხნის ნანატრი დაფინანსება. პოლიციის მაღალჩინოსანმა დაარწმუნა მღვდელი, რომ თანხა ანონიმურადამფინანსებელმა გაიღო, რამაც საბოლოო ჯამში ქალბატონი გოკიელის ანდერძთან ერთად 1 200 000 ლირა შეადგინა, ეს კი სავსებით საკმარისი იყო კოლეგიუმის დასაარსებლად. მას შემდეგ, რაც ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელება მიულოცა, ჰასმა დაყოვნება სთხოვა მღვდელს და რამდენიმე კითხვა დაუსვა: ჰქონდა თუ არა მას კონტაქტები ვატიკანში, იცნობდა თუ არა რომელიმე კარდინალს ან მაღალი სამღვდლოების წარმომადგენელს და ა.შ. მამა მიქელმა გულუბრყვილოდ უპასუხა, რომ მართლაც ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა ბევრ მნიშვნელოვან ფიგურასთან ვატიკანში, მათ შორის აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციის პრეფექტთან, კარდინალ ტისერან-

\* გერმანულმა დაზვერვამ იმთავითვე უარი განაცხადა, თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა სამი გერმანულენოვანი კოლეგიუმი რომში: სანტა მარია დელ ანიმა, გერმანიკუმი და ტევეტონიკუმი. პირველ ორ კოლეჯში მცხოვრები გერმანელი და ავსტრიელი მღვდლები არ მალავდნენ თავიანთ მტრულ განწყობას ნაცისტების მიმართ, ტევეტონიკუმის მდებარეობა ვატიკანის ტერიტორიაზე კი შეუძლებელს ხდიდა მის კედლებში ჯაშუშური საქმიანობის წარმოებას.

ტთან. მაშინ ჰასმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შესთავაზა მღვდელს, შეეკრიბა ვატიკანში გერმანიისთვის საჭირო ინფორმაცია და ახლად დაარსებულ ქართულ კოლეგიუმში რადიოსადგურის გამართვის ნებართვა მიეცა. ამ შეთავაზებით გაოგნებულმა მამა მიქელმა უხეშად უპასუხა კაპლერის თანამემნეს, რომ ამგვარი ქმედება რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მისი, როგორც სასულიერო პირის, მოწოდებას და რომ ის არასოდეს მიიღებდა მონაწილეობას ჯაშუშურ საქმიანობაში, განსაკუთრებით – ვატიკანის წინააღმდეგ. მღვდლის პასუხით უკმაყოფილო ჰასმა კარისკენ მიუთითა სტუმარს და ყოველგვარი თანხის გადმორიცხვაზე უარი განუცხადა.

პოლიციის ატაშეს ოფისში უშედეგო ვიზიტის შედეგად შემფოთებულმა მიქელ თარხნიშვილმა დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს, ვასილ (ბასილიუს) სადათიერაშვილს მიმართა\*. ამ უკანასკნელმა თანაგრძნობით მოუსმინა თანამემამულეს და აღუთქვა, რომ დაუყოვნებლივ მიიღებდა ზომებს – გაემგზავრებოდა ბერლინში, პირადად დაელაპარაკებოდა მიხეილ კედიას და აღმოფხვრიდა ამ გაუგებრობას. დღემდე გაურკვეველია, რა თვალსაზრისით იყო ჩართული სადათიერაშვილი ამ ოპერაციაში, თუმცა ის კი ფაქტია, რომ მამა მიქელთან საუბრის შემდეგ მან მიაშურა კაპლერის ოფისს და დახმარება შესთავაზა. კაპლერმა ბასილუსს 50 000 ლირა გადაუხადა და რამდენიმე დღით ბერლინში გაგზავნა, რათა RSA-ს ოფისში ეწარმოებინა მოლაპარაკებები კედიასთან, კაპიტან რეიმანთან (Amt VI-ის ვატიკანის ბიუროს უფროსთან) და Amt VI-ის რუსული სექციის წარმომადგენლებთან. გერმანელ მაღალჩინოსნებს არ სურდათ ხელიდან გაეშვათ პროექტი, რომლის ფარგლებშიც სოლიდური თანხა იყო გათვალისწინებული სადაზვერვო ოპერაციებისთვის, არადა ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში მათ მიქელ თარხნიშვილი უშლიდათ ხელს. კედია ამტკიცებდა, რომ მღვდლისთვის კიდევ ერთხელ უნდა შეეთავაზებინათ თანამშრომლობა, თან სათანადოდ განემარტათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ გერმანელებთან თანამშრომლობით იქნებოდა შესაძლებელი. ისიც აუცილებლად დათანხმდებოდა, ქართული ნაციონალიზმის სასარგებლოდ ემოქმედა. Amt VI-ის პროფესიონალებმა იმთავითვე უარყვეს კედიას წინადადება. მათი თვალსაზრისით, მამა მიქელი ნამდვილად

\* თარხნიშვილი და სადათიერაშვილი ერთ ოთახს იყოფდნენ კონსტანტინოპოლის სემინარიაში. 1917 წლის 18 თებერვალს ერთად შეაღეს სოფელ ეტალის ბენედიქტელთა სააბატოს სასწავლებლის კარი (იხ. პაპუაშვილი 2016). სადათიერაშვილი 1920 წელს დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია, მაგრამ 1937 წლიდან ის ჩანს იტალიაში, როგორც რამდენიმე სკანდინავიური გაზეთის კორესპონდენტი. ის, ასევე, თანამშრომლობდა გაზეთ Corriere Diplomatico Consolare-სთან, რომელსაც რომში გამოცემდა თვითმარქვია არისტოკრატი ჯიაჩინტო კოტინი-აგოსტინელი, სადათიერაშვილის მეგობარი და ფინანსური მრჩეველი. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმიდან ცოტა ხნის შემდეგ ქართული ფაშისტური მოძრაობის, „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი ვასილ სადათიერაშვილი ქართულ დელეგაციასთან ერთად ბერლინში გაემგზავრა, რათა გერმანიის მთავრობის წინაშე ეშუამდგომლა ქართული მონარქიის აღსადგენად. 1943 წლის სექტემბერში უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბასილიუსი რომში ცხოვრობდა, ყიდდა გაურკვეველი წარმომავლობის ნახატებს, თარჯიმნად მუშაობდა გერმანიის სამხედრო სარდლობის ოფისში და, იმავდროულად, თანამშრომლობდა გესტაპოსთან, როგორც ინფორმატორი.

არ იყო ისეთი გულუბრყვილო, რომ პატრიოტული სულისკვეთებით ალტიკინებულს სს-სთან თანამშრომლობის პერსპექტივა არადა ჩაეგდო. ეს ფაქტი უფრო გააძლიერებდა, ვიდრე შეამცირებდა მის წინააღმდეგობას. უფრო მეტიც. გერმანული მხარე დარწმუნებული იყო, რომ მარადიული ფასეულობებისკენ მიდრეკილ მღვდელს არ ეყოფოდა გაქანება და ენერგია არალეგალური სადაზვერვო ცენტრის გასაძლოლად.

პროფესიონალ ჯამუშებს სურდათ მამა მიქელის თამაშიდან გამოყვანა და საბოლოოდ მათმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა. გადაწყდა, რომ მიქელ თარხნიშვილისთვის, შეთანხმებისამებრ, გამოეყოთ თანხა ქართული კოლეგიუმის დასაარსებლად, სადაც „არაოფიციალური ადმინისტრატორის“ სტატუსით იმუშავებდა ვასილ სადათიერაშვილი. მას დაევალებოდა დანესებულების ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის წარმართვა. ვიდრე მამა მიქელი დაკავებული იქნებოდა კოლეგიუმის ბიბლიოთეკისთვის სასულიერო წიგნების შეძენით, სამლოცველოს მოწყობითა და სტუდენტებისთვის სათანადო სამოსის შერჩევით, ბასილიუსი უხელმძღვანელებდა კოლეგიუმისთვის განკუთვნილი შენობის რეკონსტრუქციას. ფართობის განახლება გულისხმობდა საკუთრივ სადათიერაშვილისთვის განკუთვნილი ორი ოთახის მოწყობას, რომელთაგან ერთ-ერთში მოათავსებდნენ რადიოგადამცემს, მეორე კი აგენტთა თავშესაფრად იქნებოდა გამოყენებული. ბასილიუსს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ეს გეგმა რომში დაბრუნებისთანავე განეხორციელებინა. მამა მიქელმა სიხარულით მიიღო სემინარიისდროინდელი მეგობრის შეთავაზება და მას კოლეგიუმის ადმინისტრატორის პოსტი ჩააბარა. გეგმის შემდეგი პუნქტი იყო კოლეგიუმისთვის ალესანდრო ბრისეს ქუჩაზე შენობის შეძენა. ბერლინში მიაჩნდათ, რომ შენობა უცილობლად ვატიკანის სახელით ყოფილიყო რეგისტრირებული. ნაცისტები მაღალჩინოსნები ფიქრობდნენ, რომ ლატერანის ხელშეკრულების შედეგად (რომელიც ვატიკანმა იტალიასთან 1929 წელს დადო), რომის პაპის მთელი უძრავი ქონება ექსტრატერიტორიულად იყო აღიარებული და საერთაშორისო სამართლით დაცული.

საარქივო დოკუმენტებში ჩანს, რომ მიქელ თარხნიშვილმა და ვასილ სადათიერაშვილმა შეადგინეს ოფიციალური განაცხადი რომის პაპის, პიუს მე-12-ისადმი, რომელშიც შეახსენეს პონტიფექსს იმ ისტორიული კავშირების შესახებ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქართველ კათოლიკეებს წმინდა საყდართან აკავშირებდა, ასევე გამოხატეს მადლიერების გრძნობა, რომ, როგორც იქნა, რეალობად იქცა ქართველ სასულიერო პირთა ხანგრძლივი ოცნება მარადიულ ქალაქში ეროვნული რელიგიური კერის დაარსებისა. მათ თხოვნით მიმართეს პიუს მე-12-ს, ნება დაერთო, ანონიმი ქველმოქმედის მიერ გაღებული თანხებით კოლეგიუმისთვის შესაბამისი შენობა შეეძინათ. საპასუხო წერილში პაპმა აღნიშნა, რომ წმინდა საყდარი ყოველთვის მოხარული იყო რომში ეროვნული სასულიერო კერების დაარსებით, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისა, რომლებშიც კათოლიკეები რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. კონგრეგაცია, რომელსაც სათავეში კარდინალი ტისერანი ედგა, ად-

მინისტრაციულადაც იყო პასუხისმგებელი ქართველი კათოლიკეების მიმართ და, შესაბამისად, საგანგებო მიზეზიც ჰქონდა მამა მიქელის წინადადების მხარდასაჭერად. ქართული კათოლიკე სამღვდლოება თურქეთში უკიდურესად იყო შევიწროებული იქაური მთავრობის მიერ, რომელიც მას ჯაშუშობასა და სავალუტო მაქინაციებში სდებდა ბრალს. სათუო გახდა, ქართველ კათოლიკეებს შეენარჩუნებინათ სტამბოლის მონასტერი, რომის კოლეგიუმი კი, იმ შემთხვევაში, თუ მათ თურქეთიდან გააძევებდნენ, მათთვის საიმედო თავშესაფარი გახდებოდა.

1943 წლის 28 დეკემბრისათვის ალესანდრო ბრისეს ქუჩაზე მდებარე შენობის შესასყიდად ყველა ფორმალთა უკვე მოგვარებული იყო, საბუთებს ორმხრივად მოეწერა ხელი და დამონჭდა ვატიკანის ადმინისტრაციაში მონსენიორ ჯულიო გუადეტიასა და ვატიკანის ნოტარიუსის სავერიო ურმანის მიერ. 1944 წლის 5 იანვარს კარდინალმა ტისერანმა ოფიციალური წერილით შეატყობინა ბასილიუსს, რომ შენობა უკვე გადასული იყო წმინდა საყდრის მფლობელობაში: „მას შემდეგ, რაც პონტიფექსს მოხსენდა მამა მიქელ თარხნიშვილისა და თქვენ მიერ ხელმოწერილი კეთილშობილური თხოვნის შესახებ, მოხარული იყო, ებოძებინა თავისი უწმინდესი კურთხევა ანონიმი შემომწირველისთვის და ყველა იმ პირისთვის, რომელთაც ძალისხმევა არ დაიშურეს პროექტის სისრულეში მოსაყვანად“\*.

ამჯერად საჭირო იყო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რათა ოჯახური ვილა – კოლეჯად, შესაბამისად კი, ჯაშუშთა ბაზად ექციათ. მამა მიქელთან შეთანხმების შესაბამისად, სარემონტო სამუშაოებს მონასტრის ადმინისტრატორი, ბასილიუსი ხელმძღვანელობდა. ჯაშუშთა თავშესაფრად განკუთვნილი ორ ოთახის მოსაწყობად იგი კონსულტაციებს გადიოდა ლეიტენანტ უნტევენგერთან, საელჩოში მომუშავე სს-ის კავშირგაბმულობის გენერალთან. უნდა აღინიშნოს, რომ ლეიტენანტის მონაწილეობა ამ საქმეში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნიკური ექსპერტის ფუნქციით. გადაწყვიტეს რა ბასილიუსის გამოყენება თავიანთი მიზნებისთვის, გერმანელები ბოლომდე არ ენდობოდნენ ქართველ აგენტს, რადგან იგი კორუმპირებული და უპრინციპო პიროვნების რეპუტაციით სარგებლობდა. ოფიციალურმა პირებმა ბერლინიდან გააფრთხილეს ჰერბერტ კაპლერი, რომ ბასილიუსისთვის თავალი კარგად ედევნებინა. მას შემდეგ, რაც სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა და საიდუმლო ოთახებიც მზად იყო რადიოგადამცემის დასამონტაჟებლად, გადაწყვიტეს სადათიერაშვილი ბერლინში გაეგზავნათ, მის ადგილას კი უფრო საიმედო აგენტი გაემწესებინათ.

რაც შეეხება მამა მიქელ თარხნიშვილს, კურტ ჰასთან საუბარმა იგი დაარწმუნა, რომ თანხები, რომლებსაც მისი ოცნება რეალობად უნდა ექცია, არა ანონიმი ქართველი შემომწირველის, არამედ ნაცისტებისა იყო, მაგრამ გადაწყვიტა, დროებით დადუმებულიყო. ის რაციონალურად მიუდგა შექმნილ

\* ტისერანი ბასილიუს სადათიერაშვილს. 5.01.1944. ჯუზეპე დოსის არქივი (იხ, ასევე: Alvarez & Graham 1997: 107).

სიტუაციას: ქრისტიანობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში არაერთ მთავრობას დაეფინანსებინა ეკლესიის საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები და ამჯერადაც ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორც ქართული კოლეგიუმის დაარსება იყო, აიტანდა ამგვარ მორალურ ფლექსიურობას. კოლეგიუმის სარემონტო სამუშაოები წარმატებით მიინეცდა წინ, ამ ფაქტით ფრთაშესხმულ მიქელ თარხნიშვილს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ იმ ორ ოთახში, რომელთა სადათიერაშვილისადმი მიკუთვნებაზე თავად გასცა განკარგულება, რადიოგადამცემს ამონტაჟებდნენ და რომ ბერლინის გეგმები ქართულ კოლეგიუმთან დაკავშირებით მხოლოდ რადიოგადამცემით არ შემოიფარგლებოდა.

თებერვლის შუა რიცხვებში ბასილიუსი ხანმოკლე ვიზიტად ეწვია რეიხის დედაქალაქს და რომში ექვს ახალგაზრდა ქართველთან ერთად დაბრუნდა, რომლებიც სასტუმრო „კონტინენტალში“ დააბინავა. მამა მიქელის წინაშე მან ეს ახალგაზრდები გულმხურვალე ქართველ კათოლიკეებად წარადგინა, რომლებსაც თითქოსდა სურდათ სასულიერო მოღვაწეობისთვის მოსამზადებლად თეოლოგიასა და ფილოსოფიას დაუფლებოდნენ. მამა მიქელი სწრაფად გაეშურა სასტუმრო „კონტინენტალისკენ“ თავისი კოლეგიუმის პოტენციური ბინადრების გასაცნობად, თუმცა სახტად დარჩა უხეში და არაკომუნიკაბელური ახალგაზრდების ნახვით, რომლებმაც იგი საკმაოდ ცივად მიიღეს. შემფოთებული მღვდელი მეორე დღესვე ეწვია მონსენიორ არატას, აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციაში კარდინალ ტისერანის მოადგილეს, და ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ უამბო. ვატიკანის ოფიციალურმა პირმა, რომელსაც იმ დროისათვის 20 წელი ჰქონდა გატარებული პაპის დიპლომატიურ სამსახურში, საეჭვოდ მიიჩნია ექვსი უცნობი სემინარისტის უცაბედი გამოჩენა, ამიტომ ურჩია მღვდელს, ისინი უკან, გერმანიაში, გაეგზავნა. მამა მიქელმა ეს საკითხი კარდინალ ტისერანთანაც განიხილა, რომელმაც შესთავაზა, სათანადოდ გამოეცადა ყმანვილები და კოლეგიუმში მხოლოდ ღირსეულნი მიეღო.

მამა მიქელი დაჰყვა კარდინალის რჩევას და კანდიდატებთან ხანმოკლე გასაუბრების შედეგად აღმოაჩინა, რომ სასულიერო მოღვაწეობისთვის არც ერთი მათგანი არ გამოდგებოდა. თავის მხრივ, ისინიც გაენდვნენ მღვდელს, რომ მხოლოდ იმ მოტივით დათანხმდნენ ბასილიუსის წინადადებას, რომ რომში უსაფრთხოდ და მატერიალურად უზრუნველყოფილებს ეცხოვრათ. ცხადია, ექვსივე მათგანი თვითმარქვია იყო. ისინი შეარჩიეს ქართველთა ლეგიონიდან, განვრთნეს და იტალიის დედაქალაქში საჯაშუშოდ გაგზავნეს. ერთ-ერთ მათგანს ადმინისტრატორის პოსტზე არაკეთილსაიმედო ბასილიუსი უნდა შეეცვალა. მამა მიქელი არ იყო ამ გეგმის ნაწილი და მისმა გაუთვალისწინებელმა უარმა ნაცისტებთან თანამშრომლობაზე RSHA-ს გეგმები ჩაშალა. ოპერაციის განხორციელება საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

აღესანდრო ბრიზეს ქუჩაზე მდებარე შენობის რეკონსტრუქცია გვიანდებოდა, შესაბამისად, იძაბებოდა ურთიერთობა მამა მიქელსა და ბასილიუსს

შორის. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სადათიერაშვილმა საგანგებოდ ჩამოაშორა მღვდელი ყოველგვარ ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ საქმეებს, არადა მამა მიქელისთვის ცნობილი გახდა, რომ კოლეგიუმის ეზოში გამავალ ორ ოთახში ბასილიუსს რადიომიმღების დამონტაჟება ჰქონდა განზრახული. მღვდელი გაოგნებული დარჩა, როცა ვატიკანში აცნობეს, რომ მის მეგობარს რომში გერმანიის ჯაშუშად იცნობდნენ. ამ ფაქტით აღშფოთებულმა, მან კატეგორიული უარი განაცხადა თავისი კოლეგიუმის ტერიტორიაზე რადიოგადამცემის დამონტაჟებაზე, რითაც, ფაქტიურად, ჩაშალა Amt VI-ის გეგმები. მით უფრო, რომ იდგა 1944 წლის გაზაფხული და მოკავშირეთა ძალები უკვე რომის მისადგომებთან იყვნენ განლაგებულნი.

როდესაც მოკავშირეებმა იენისის დასაწყისში რომი დაიკავეს, კონტრდაზვერვის მთავარი სამიზნე (პრიორიტეტი N 1, ანუ პირველი იმ 100 ეჭვმიტანილ აგენტს შორის რომში, რომლებიც უყოყმანოდ უნდა დაეპატიმრებინათ) ბასილიუს სადათიერაშვილი იყო, მაგრამ მოხერხებული ქართველი მაისის ბოლოს გაქრა რომიდან და მის კვალს ველარასოდეს მიაგნეს. პოლიციამ უგულვებლყო ის ფაქტი, რომ ქართული კოლეგიუმისთვის განკუთვნილი შენობა წმიდა საყდრის კუთვნილება იყო და 18 იენისს იქ რეიდი ჩაატარა\*. შენობის ერთადერთი ბინადარი, იტალიელი დარაჯი, დაკითხვაზე წაიყვანეს, შენობაში კი ჩხრეკა ჩაატარეს. შესასვლელი იმ ოთახებში, რომლებიც ბასილიუსს თავისთვის ჰქონდა შეგულებული, ძველი გარდერობის უკან აღმოჩნდა. ოთახები ცარიელი იყო, მაგრამ პოლიციამ სახურავზე რადიომონყობილობის ანტენა აღმოაჩინა\*\*. ფიქრობდნენ, რომ მამა მიქელმა, როგორც ნაცისტთა მოკავშირემ, გაქცევით უშველა თავს, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას არც კი უცდია დამალვა – წიგნებში ჩაფლული, ის ჩენტროპრეტიში, ლარიბი პილიგრიმი მღვდლების თავშესაფარში აღმოაჩინეს, სადაც მას შემდეგ გადაბარებულყო, რაც მისი კოლეგიუმი დაიხურა. ვინაიდან ავადსახსენებელი პროექტის მონაწილეთაგან მღვდელი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც მოკავშირეების ხელში აღმოჩნდა, იგი დააპატიმრეს და როგორც გამოძიების ცენტრალური ფიგურა, რეგინა კოელის ციხეში გამოამწყვდიეს. მიქელ თარხნიშვილს, როგორც გულმხურვალე კათოლიკეს, არ უნდოდა ვატიკანიც გაეხვია ამ საჩოთირო საქმეში, ამიტომ თავდაპირველად სიტყვაძუნწი იყო და შეკითხვებს თავს არიდებდა, მაგრამ მოგვიანებით, დაკითხვებისას, პოლიციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოამჟღავნა. გამოძიებიდან ორი თვის შემდეგ კონტრდაზვერვის ოფიცრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ჯაშუშობის ბრალდებით მიქელ თარხნიშვილის სასამართლოსთვის გადასაცემად. რთული იქნება მისი დაკა-

\* ჩხრეკაში უშუალო მონაწილეობა მიიღო ჯუზეპე დოსიმ, რომლის არქივსაც ეყრდნობა წინამდებარე სტატია.

\*\* რადიოგადამცემთან დაკავშირებით ჯუზეპე დოსის ჩანაწერებში ფიგურირებს ვინმე აბულაძე, რომელმაც გაიტანა კოლეგიუმის შენობიდან რადიოაპარატურა და ჯაშუშთა მაკომპრომიტირებული სხვა ნივთები. დოსი ამტკიცებს, რომ ეს აბულაძე ერთ-ერთია იმ ექვსი თვითმარქვია სემინარისტისგან, რომლებიც ბასილიუსმა ბერლინიდან რომში ჩამოიყვანა (L'EUROPEO 1956: 25-26).

ვება გერმანიასთან კოლაბორაციის ბრალდებითაც, ვინაიდან ყველა დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ბრალდებულმა აღნიშნული საქმის შესახებ არაფერი იცოდა“ (Alvarez & Graham 1997: 107). გამომძიებლების რეკომენდაციით, მეკავშირეებმა გაათავისუფლეს მღვდელი, ოღონდ გარკვეული შეზღუდვით: ომის დასრულებამდე ის პაპის რომელიმე ინსტიტუტში უნდა დარჩენილიყო.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მიქელ თარხნიშვილმა დარჩენილი ცხოვრება ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესწავლას მოახმარა. მისი მეცნიერული კვლევის მიმართულება იყო საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა, ქრისტიანული აღმოსავლეთი და ბიზანტიზმისტიკა. 1948 წელს მან გამოსცა იაკობის ჟამისწირვის ქართული ნუსხის გერმანული თარგმანი გამოკვლევითურთ, რასაც მალე მოჰყვა ქართული ჟამისწირვის ტექსტების გამოცემა ლათინური თარგმანით. აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რომელიც მან გასწია იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ქართული ვერსიის ტექსტის დასადგენად, რომლის გამოქვეყნებას მეცნიერი ვერ მოესწრო (მის მიერ მომზადებული ძეგლი 1959 წელს გამოსცეს რ. დრაგემ და ჟ.გარიტმა ქართულ და ლათინურ ენებზე). მიხეილ თარხნიშვილმა იულიუს ასფალგთან ერთად გერმანულ ენაზე გადაამუშავა და გამოაქვეყნა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, შედგენილი კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ I ტომის საფუძველზე; პირველმა სწორედ მან გაშიფრა და მეცნიერულად გააანალიზა ოთხი ქართული ასომთავრული წარწერა, რომლებიც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად გათხრილ წმიდა თეოდორეს სახელობის ქართული მონასტრის მოზაიკურ ფილებზე აღმოაჩინა. მეცნიერის ეს გამოკვლევა შევიდა 1955 წელს იერუსალიმში იტალიურ ენაზე გამოცემულ ვირჯილიო კორბოს წიგნის „მწყემსთა მინდვრის გათხრები და შემოგარენის მონასტრები“ VIII თავში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მეცნიერის პირადი ურთიერთობა და თანამშრომლობა ევროპაში მოღვაწე ქართველოლოგებთან. როდესაც 1949 წელს პარიზში კალისტრატე სალიას ინიციატივითა და რედაქტორობით დაიწყო ჟურნალ „ბედი ქართლისას“ გამოცემა, მიხეილ თარხნიშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ ფაქტს და ჟურნალის აქტიური თანამშრომელი გახდა. სწორედ „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა გაგრძელებებით მისი ნაშრომი „ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში“. მიქელ თარხნიშვილის გამოკვლევები იბეჭდებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის ისეთ ავტორიტეტულ ორგანოებში, როგორებიცაა *Byzantische Zeitschrift*, *Le Muséon*, *Oriens Christianus*, *Archiv für Liturgiewissenschaft* და სხვა. მეცნიერი აწვდიდა ცნობებს საქართველოს შესახებ ევროპულ ჟურნალებსა და ენციკლოპედიებს (*Enciclopedia Cattolica*, *der Christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart*).

მიქელ თარხნიშვილი გარდაიცვალა რომში 1958 წლის 15 ოქტომბერს. დაკრძალეს ვატიკანში მოღვაწე უცხოელ მამათა საერთო აკლდამაში. მისმა მოწაფემ და კოლეგამ გერმანელმა ქართველოლოგმა, იულიუს ასფალგმა

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ შეკრიბა ბიოგრაფიული ცნობები და გამოაქვეყნა ვრცელი ნეკროლოგი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე. მანვე შეადგინა მიქელ თარხნიშვილის შრომების ბიბლიოგრაფიაც.

ე.წ. „რომაული პროექტის“ მეორე ქართველი მონაწილე, მიხეილ კედია, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ყოველი ქმედება „ბოლშევიკების საზიანოდ“ და თავისი სამშობლოსა და ხალხის სასიკეთოდ იყო მიმართული. სიცოცხლის ბოლო წლები მან შვეიცარიაში გაატარა, თავისი მთავარი მიზნის აღუსრულებლობით იმედგაცრუებულმა: დიდი სამამულო ომი საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა; „ერთიანი ძმური ოჯახის“ წევრი საბჭოთა საქართველო აქტიურად ჩაება სოციალისტური აღმშენებლობის ფერხულში; ქართველ ემიგრანტებს საბოლოოდ გადაენურათ სამშობლოში დაბრუნების იმედი. საქართველოს მონატრებას ზოგი სამეცნიერო მოღვაწეობით იქარვებდა, ზოგი – მწერლობით და პუბლიცისტობით, ზოგი კი სამუდამოდ ჩაიძირა უიმედობის მორევში. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მიხეილ კედიაც, რომელმაც 1953 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

#### დამონებანი:

- Alvarez, David & Graham Robert, A, Sj. *Nothing Sacred. Nazi Espionage Against the Vatican, 1939-1945*. Franc Cass. London. Portland, OR. 1997. pp.92-113
- Gabliani, Givi. *Chemi Mogonebani (meore msoplio omi)*, t<sup>o</sup>. 1, Kutaisi : s/s «st'ambis» sagamomtsemlo tsent'ri, 1998 (გაბლიანი გ. *ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)*, ტ. I, ქუთაისი: ს/ს „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1998).
- Quei Falsi Frati, lavovavono per le SS. L'EUROPEO*, 573. 7 Ottobre, 1956, Gp. 23-26.
- Dallin, Alexander. *German Rule in Russia, 1941-1945: A Study of Occupation Policies*. 2<sup>nd</sup> edition. Boulder: Westview, 1981.
- Papuashvili, Nugzar. *Bizantiuri Ts'esis K'atolik'eebi St'ambolsa da Et'alshi*. Kartvelologia. Sametsniero Zhurnali. Tbilisi, 2016. N 4, გვ. 59-68 (პაპუაშვილი, ნ. *ბიზანტიური წესის კათოლიკეები სტამბოლსა და ეტალში*. ქართველოლოგია (სამეცნიერო ჟურნალი). თბილისი, 2016, 4, გვ. 59-68).
- Kavtaradze, Mikheil. *Tskhovrebis 100 Ts'eli* (mogonebebi, ts'erilebi, targmanebi). Tbilisi, 2007 (ქავთარაძე, მ. *ცხოვრების 100 წელი* (მოგონებები, წერილები, თარგმანები, ლექსები). თბილისი, 2007).
- Kartvelebi Utskhoetshi*. Ts<sup>o</sup>.1. Tbilisi:2012. Gv.113-115 (*ქართველები უცხოეთში*. ნ.1. თბილისი, 2012. გვ. 113-115).
- Ratiani, Irma. *Kartuli Mts'erloba da Msoplio Lit'erat'uruli P'rotsesi*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2018 (რატიანი, ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018).
- Javakhishvili, Nik'o. *Kartveli Shindleri*. Ist'oriani: Ist'oriul-shemetsnebiti Zhurnali. Tbilisi, 2011, mart'i. N3, გვ.42-49 (ჯავახიშვილი ნ. *ქართველი შინდლერი*. ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი, 2011, მარტი. 3, გვ. 42-49).
- Javakhishvili, Nik'o. *Kartul-ebrauli Megobrobis Ist'oriis Brts'q'invale Purtseli*. Goris Sakhelmts'ipo Universit'et'is mier Gamotsemuli Sametsniero Shromata K'rebuli „Eldar Mamistvalishvili – 75“. Gori,

2015, გვ. 421-440 (ჯავახიშვილი ნ. ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული „ელდარ მამისთვალიშვილი – 75“. გორი, 2015, გვ. 421-440).

**Maka Elbakidze, Manana Shamilishvili, Ada Nemsadze**  
(Georgia)

## **World War II and Georgian-Italian Non-conformist Experience** (New archival materials)

### **Summary**

**Key words:** World War II, Mikheil Tarkhnishvili, Micheil Kedia, Georgian emigrant's struggle against the Bolsheviks, Gestapo, Vatican, Giuseppe Dosi Papers.

The outbreak of World War II caused immense reaction in Georgian emigration. One wing, including social-democrats, regarded Britain and France as Georgia's political allies, and the other gravitated to Berlin, because it saw in Nazi Germany an instrument for re-establishing the independent national homeland which had been extinguished by the Bolsheviks. Hoping to benefit on nationalist and anti-Bolshevik sentiments among the Caucasian and Asiatic peoples of the Soviet Union, the German army recruited several national units from these peoples. Even before the invasion of the Soviet Union in June 1941, Amt VI C, the Russian desk in the foreign intelligence division in RSHA (Reich Main Security Office), had developed a close relationship with the more fanatical nationalists around the émigré leader Micheil Kedia. The Russian bureau, which was very desperate to get information from the Soviet Union, soon came to consider the Georgians one of its most important assets. For this purpose and Kedia's direct solicitation the group of paratroopers "Tamar I" and "Tamar II" was formed to land in Georgia.

Despite the active cooperation with the German government, the leader of the Georgian emigrant movement did not agree with the "Nazi brutal policy" and kept close friendship with influential Germans who were in confrontation with Hitler. In the hope of Kedia's numerous contacts, famous Georgian theologian and Kartvelologist Mikheil (Michael) Tarkhnishvili applied to him for an assistance.

Archival documents, particularly "Interrogation of father Michael, 29 July 1999, Regina Coeli Prison" show that the priest had a cherished dream – to establish a Georgian Catholic College in Rome. To carry out this goal, a large amount of money was needed. Kedia assured his countryman that he could easily secure financing from other sources who would be happy to contribute to such a noble project.

For Kedia the college would become a symbol of Georgian identity and a centre for nurturing nationalist aspirations in the young seminarians who would leave there. In return for their support, the Germans would be allowed to use the college for certain in-

telligence and propaganda purposes. They planned to set up a wireless station inside the college for direct contact to Berlin. It also expected to send to the college several agents selected from the so-called “Georgian legion”, which Germany had recruited from Georgians living in European exile or captured while serving in Red Army Units. These agents would be trained in espionage, but would pose as clerical students in order to move freely about Rome without arousing suspicion and to ease their penetration of ecclesiastical institutions.

So, Kedia instructed father Michael to apply for the funds at the office of Herbert Cappler of the German embassy. Herbert Cappler was SS Obersturmbannführer who held the post of police attaché at the embassy of Italy. His office was situated at 20 Via Tasso, an address that would become notorious among Romans as a synonym for police terror. On September and October 1943 Michael Tarkhnishvili visited Cappler’s office twice. He was told that an anonymous benefactor had contributed generously the handsome sum to start college. But he was also asked if he could pass on any information that he might pick up from the friends inside Vatican and if he can allow the Germans to set up a radio station in the new Georgian College.

Father Michael’s surprise gave way to shock. What German official had suggested was completely out of question. He pointed out that such activity would be contrary to his priestly calling and that he could never agree to participate in espionage, especially against Vatican. In that case he was told that the money for Georgian College would not be forthcoming and without farther argument he was shown to the door.

By that time a new character appeared on the scene. His name was Vasil (Basilius) Sadatierashvili and he had been Mikhael Tarkhnishvili’s room-mate in a Constantinople seminary. Politically active in “White Giorgi”, the Georgian fascist movement, he was acting as an interpreter for the military command on the Corso d’Italia and as an occasional informant for the Gestapo on the Via Tasso.

He was ordered to carry out espionage activities in Georgian College to fulfil the main task of German intelligence service – to infiltrate the Vatican by placing agents in the many ecclesiastical institutions in Rome.

It’s hard to believe but it’s true that the campaign involving professionals of the Reich Main Security Office have failed as a result of the non-conformism and principle stand of the Georgian priest on the one hand and the appearance of Allied forces on the outskirts of Rome on the other. Since Michael Tarkhnishvili was the only participant in the affair in allied hands, he soon found himself in Regina Coeli prison. After two months of investigation counterintelligence officers concluded that there was not sufficient evidence to hold subject for trial on espionage charges. It would be difficult to even charge subject as a collaborator of the Germans. Upon his release from prison, Father Michael entered a papal institution where he remained happily engrossed in his books until his death in the late 1950s. Basilius Sadatierashvili had disappeared from Rome and was never found. As of Micheil Kedia, he settled down in Switzerland. The dream of his life – liberation of Georgia from Bolshevich occupation had failed miserably. Disillusioned he committed suicide in 1953.

გაგა ლომიძე  
(საქართველო)

### სტალინი: დემიურგის მიწიერი განსხეულება\*

სტალინის სახეს ქართულ ფოლკლორში რამდენიმე ტენდენცია უკავშირდება. ფოლკლორშიც, მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, გამოხატულია ოფიციალური ძალაუფლების ინტერესები\*\* და ბელადი ასახულია ისე, როგორც ამას გაბატონებული კულტურა მოითხოვდა. სტალინისადმი მიძღვნილ ფოლკლორულ ლექსებში, შინაარსის თვალსაზრისით, შეგვიძლია გამოვყოთ, ძირითადად, სამი პლასტი: სოციალური, მითოსური და რესენტიმენტთან დაკავშირებული. სამივე პლასტი ერთმანეთთან მჭიდროდ, ჯაჭვისებურადაა გადაბმული.

სოციალური შინაარსის ლექსებში სტალინის როლი დაკავშირებულია „მესამე დასის“ იდეური პლატფორმის ცხოვრებაში განხორციელებასთან – მუშების და გლეხების პოზიციების წინ წამოწევისა და მათი ინტერესების გათვალისწინებასთან („მოსპო ბრწყინვალე წოდება, მოუსვა რკინის ცელია“\*\* .../მშრომელთა ხელში გადავიდა/წყალი, მინდვრები, გორები..“ („ჩვენნი ქვეყანა განითლდა“)). ცხადია, ოფიციალური მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, აქაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროპაგანდა. ფოლკლორულ ლექსებში ის, ძირითადად, მოხსენიებულია შემდეგი ეპითეტებით: აწივი („თვალი შორს უჭრის არწივსა“), რკინა („რკინა ხარ, დიდო ბელადო/რკინა ფოლადად დებული“), ფოლადი („ფოლადის გმირი ქებული“). საგულისხმოა, რომ რკინა, ფოლადი, როგორც უფრო იაფფასიანი ლითონი ოქროს საპირისპიროა და ამ გაგებითაც, მნიშვნელობების გადაადგილება აქ წარმმართველია. აქაც უკუნიშნით ხორციელდება ალქიმიური პროცესი და საერთოდ, ადგილებს ცვლიან მნიშვნელობები დემიურგის ამ მიწიერი განსხეულების მიერ წარმოებულ დესემიოტიზაციის პროცესში. აქედან უკვე ბუნებრივად მომდინარეობს სტალი-

\* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის: „სტალინის სახის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ – ხელშეკრულება № DI-2016-47-ის ფარგლებში.

\*\* ყველაფრის მიუხედავად, მაინც არის ცდუნება, რომ სტალინის სიცოცხლეში, ოფიციალურად გამოქვეყნებულ ფოლკლორულ ლექსებშიც ვიპოვოთ ორმაგი კოდირების პრინციპით შესრულებული ლექსები და, ვთქვათ, „გურული სიმღერა“, თავისი ტონალობის გათვალისწინებით, პაროდიად მივიჩნიოთ: „ლაითურში ჩაი დავრგეთ/და ურეკში მანდარინა./ვენაცვალე სტალინის ხელს./კოლექტივში მოგვცა ბინა“. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „კარიკატურა, პაროდია, კოსტიუმირებული წარმოდგენა და მისი საპირისპირო რამ – მხილება, – ყველა ეს მიმართულია იმ პირების და საგნების წინააღმდეგ, რომელთაც ავტორიტეტზე აქვთ პრეტენზია და რაიმე ნიშნით გამოირჩევიან.“ (ფროიდი 1990: 77). თუმცა გასათვალისწინებელია იმდროინდელი ცენზურა, რომელიც, პრაქტიკულად, გამოორიცხავდა ისეთ ტექსტებს, რომლებიც ორმაგ ნაკითხვას დაექვემდებარებოდა.

\*\*\* „რკინის ცელი“ სიკვდილს მოგვაგონებს. მაგრამ აქაც გამართლებულია სიკვდილის სიმბოლო, რამდენადაც დემიურგის დამანგრეველ-შემოქმედ ბუნებას სავსებით შეესაბამება ეს სახე.

ნის, როგორც დემიურგის სახე და კონტექსტი: „სტალინისტურმა კულტურამ მხატვრული ორგანიზაციის სფეროდ პირველადი და უშუალო გამოაცხადა, რაშიც პარტიის მანიპულაციის გამოცდილებას ეფუძნებოდა, რომლის თანახმადაც, ის თავიდანვე სოციალურ დონეზე კონცენტრირდებოდა. იმავდროულად, ავტონომიურ შემოქმედებით საქმიანობაში ის დემიურგის (ახალი სინამდვილის შემქმნელის) სახის თემატიზებით იყო დაკავებული, რისი განხორციელებაც თავისი შესაძლებლობებით ავანგარდმა ვერ მოახერხა“ (გროისი 2011: 73) ერთ-ერთი ფოლკლორული ლექსის სტრიქონებიც ამაზე მიგვანიშნებს: „ჩვენი ქვეყანა განითლდა,/ სულ სხვა გვაქვს მთა და ველია..“ „სულ სხვა მთა და ველი“ შემოქმედი – დემიურგია. ამიტომაც სტალინისადმი მიძღვნილ ფოლკლორულ ლექსებში ჩნდება ეპითეტები: მზე („სტალინ, მზედ გაგვიბრწყინდება“), სახემზიანი (სტალინო, სახემზიანო), (უფრო იშვიათად – მთვარე), მამა („ეს გაუმარჯოს პირველად/ჩვენს ბელადს მამა სტალინსა“ („სტალინს“)). ერთ ფოლკლორულ ლექსში „შენმა მარჯვენამ იცოცხლოს“ ასეთი სტრიქონებია: „შენი სიტყვები, ბელადო,/ჩამოდი ოქროს მილითა“. საგულისხმოა აქ მთქმელის და ობიექტის პოზიციონირება: მთქმელი – ქვემოთაა ხოტბის ობიექტთან მიმართებაში, რაზეც ზმნა „ჩამოდის“ მოგვანიშნებს. ამდენად, „ოქროს მილით“\* მოუბარი ბელადი ერთგვარ ახალ მოსედ თუ აპოკალიფსის ანგელოზად წარმოგვიდგება, რომელიც ადამიანებს ახალ ჭეშმარიტებას ან ძველი სამყაროს ნგრევას ამცნობს. სოციალური და მითოსური პლანები სრულიად ეთანხმება მესამე, რესენტიმენტთან დაკავშირებულ პლასტს. კოლონიური ცნობიერების ნაკვალევი იგრძნობა ფოლკლორულ ლექსებში („სტალინ, შენ ხარ მტერზე ტყვია,/ჩვენ შენს ირგვლივ დარაზმული“ („სიმღერა ბელადზე“); „უძღვევლია სტალინი,/მტერი ველარას ჰბედავსო“ („სიმღერა სტალინზე“); „ფოლადო, მტერზე ნაცადო“ („შენმა მარჯვენამ იცოცხლოს“); „შენ აგვიშენე სამშობლოს/ციხე-კოშკები სვიანი,/თან გალავანიც მავლე/მაგარი, ფოლადიანი..//მტერს შიშის ზარი დაეცას,/დაიწყოს კვილ-ღრიალი..“ („დიდ სტალინს“); „გამაგრდა ქვეყნის საზღვრები,/მაგრა ჩასჭიდე ხელია./მტერ მიჯნას ველარ გადმოვა,/დაედო მკვდრისა ფერია“ („უნდა ვიამბო ახლები“)) და გამოხატულია ერთი მხრივ საზღვრის, საკუთარი ტერიტორიის და მტრის ოპოზიციის და, მეორე მხრივ – მნიშვნელობების შენაცვლებაში, სადაც სუსტი ძლიერი ხდება და პირიქით. პარადიგმის ცვლილება, სადაც მნიშვნელობები ადგილებს ანაცვლებენ, ცხადია, სტალინის ფიგურას უკავშირდება. ამავე დროს, ეს არის თავდაცვის მექანიზმის მუშაობის შედეგი – კოლონიური ცნობიერების შედეგად გამომუშავებული პრინციპების ჩანაცვლება უპირატესობის შეგრძნებით, რაც სტალინის ქართულ წარმომავლობას და აქედან გამომდინარე, მისი, როგორც მხსნელის სახეს უკავშირდება. ამდენად, სტალინი ქართველი ერის ყველაზე მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ მარკერთან, შოთა რუსთაველთან ერ-

\* ამავე დროს, მილი აპოკალიფსურ სიმბოლიკას უკავშირდება, რასაც შუასაუკუნეების ფრესკებში ვხვდებით. ამ თვალსაზრისითაც, ეს სახე არ ეწინააღმდეგება დემიურგის კონცეფციას, რომელმაც ძველი სამყარო უნდა გაანადგუროს და ახალი ისე ააშენოს.

თად, ერთ სიბრტყეში განიხილება: „განა ტყუილად მიმღერა შოთამ,/„ვეფხისტყაოსნის“ მითხრა ბნკარები, –/დიახ, ამ მკერდმა სტალინი შობა,/ვინც განთიადის გახსნა კარები“ („კავკასიონი“). ფოლკლორულ ლექსებში ხშირად შემოდის აშკარად ფალიკური სიმბოლო – რკინის/ფოლადის ხმალი, როგორც კოლონიური ცნობიერებისთვის შურისძიების სიმბოლო: „მტკიცე ხარ, მტკიცე, ბელადო,/სახანჯლე ფოლადივითა!/ რასაცა დაჰკრავ, გადასჭრი,/უდრეკო ლენინივითა“ („სიმღერა ბელადზე“); „სიმართლის ხმალი უჭირავს,/სიმტყუნეს თავსა ჰკვეთავსო“ („სიმღერა სტალინზე“); „დიახ, ამ მკერდმა სტალინი შობა,/ვინც განთიადის გახსნა კარები./ამინევიცა ცა ჩემის მხრებით,/ლამის ზვინები გამიხევიცა“ („კავკასიონი“)\*; „ზღვას იქით გადახიზნული,/ზღვას აქეთ გადმოიყვანე./რკინა ხარ, დიდო ბელადო/რკინა ფოლადად დებული;/ვერ შეგაშინებს ვერავინ,/ხმალი გაქვს ამოღებული“ („დიდ სტალინს“).

ფოლკლორი, ისევე როგორც მხატვრული ლიტერატურა\*\*, გამოხატავდა ოფიციალურ ინტერესს და ასახავდა ბელადს ისე, როგორც ოფიციალურ პოზიციას სურდა. ერთ-ერთ, ორთოდოქსიისგან თავისუფალ და ცენზურისგარეშე სივრცედ რჩებოდა ანეგდოტები და ხუმრობები, რისი შეთხზვის თუ თხრობის გამოც, არაიშვიათად ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ ან აპატიმრებდნენ.

არსებობს მენშევიკი კაკი წერეთლის ხუმრობა სტალინის შესახებ, რომლის მიხედვითაც, სტალინი, თავისი ქართული აქცენტით გათვალისწინებით, ასე აყალიბებდა მარქსიზმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დებულებას: „Битие определяет сознание“ („ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“), სადაც „Бытие“ (ყოფიერება) ჩანაცვლებულია „Битие“-თი („ცემა“). წერეთლის ეს ხუმრობა იუმორით ნათელს ფენს მარქსის ფილოსოფიის ანტი-ინეტერპრეტაციას და სტალინის მმართველობის ძალადობრივ მეთოდს. ამერიკე-

\* საგულისხმოა, რომ კავკასიასთან და კერძოდ, საქართველოსთან სტალინის გაიგივებას არაერთი ფაქტი აქარწყლებს იმ თვალსაზრისით, რომ სტალინი საკუთარ თავს ქართველთან არ აიგივებდა. იური ბორევი თავის წიგნში იგონებს, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომების ავტორები, სტალინური პრემიის ლაურეატები, სტალინმა მიიწვია და რუსულად ელაპარაკებოდა. ამბობდა, „თქვენ, ქართველები..“; „ისინი. რუსები..“ ვინ ეგონა თავი 1940-იანების ბოლოს სტალინს: ქართველი? რუსი? თუ ღმერთი? (ბორევი 1991: 230)

\*\* თუმცა ოფიციალურ მხატვრულ ლიტერატურაშიც არსებობდა ოპოზიციური რიტორიკის არაერთი მაგალითი. კერძოდ, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი სტალინზე, რომელშიც „ბელადი“ ჯალათთან არის გაიგივებული და კითხვას, თუ ვინ არის ეს კაცი, ასეთი პასუხი მოსდევს: „სტალინია —სამშობლო სისხლისფრად რომ მოხატა, სტალინია, ქართველებს სული რომ ამოხადა“. ასევე, ირონიის აშკარა მაგალითებიც გვხვდება. „ირონია ძალიან ახლოა პარადოქსთან.. თუკი პარადოქსში ერთმანეთის გამოძრისხავი ცნებები ერთიანდება მათი შეუთავსებლობის მიუხედავად, ირონიაში – სიტყვებით გამოთქმულია ერთი და იგიულისხმება – სხვა, მისი საპირისპირო. ამ გზით, ირონია გამოვლენს იმის ნაკლოვანებას, რაზეც ლაპარაკობს მოსაუბრე.“ (პროპი 2006: 84). აქ უნდა გავიხსენოთ ისევე გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „უცხოელი ბავშვი“: „შორს გაფენილო/მინდვრების ტილო,/და გიგანტურო/დრუბლების ჩრდილო!/ნისლეების მძიმე/მტევნები მთაზე/რა სიმდიდრეა,/რა სილამაზე./ნარინჯის ვრცელი/და ფორთოხალი,/თურინჯი, თუთა/და ფორთოხალი./მძივები ნაზი,/ცვარი კამაზე.../რა სიმდიდრეა!/რა სილამაზე!/ეს ოცნებაა,/ოცნება ლაღი./შენ რა, პატარავ?/სხვისია ბაღი./სხვისია მძიმე/მტევნები ვაზზე,/შვეება, სიმდიდრე/და სილამაზე.“ ამ სოცრეალისტური ესთეტიკით დაწერილ ლექსში, დასაწყისში წარმოდგენილი პოზიტიური სურათი სრულიად იცვლება ლექსის ბოლოს, როდესაც ირკვევა, რომ ეს, სავარაუდოდ, საბჭოთა სოციალისტური სიუხვე „სხვისია“.

ლი მკვლევარი დანიელ რანკურ-ლაფერიერი ამ ხუმრობას ფსიქოანალიტიკურ ჭრილში კითხულობს, სადაც „ცემის მეტაფორული ოიდიპოსური ასპექტი (მთვრალი მენაღე მამა ცემდა სოსოს, ხოლო ზრდასრული სტალინი, რომელიც მამა გახდა, ცემდა თავის შვილებს) ქვეყანას მასობრივ რეპრესიებად და ქვეყანაში გულაგის ტერორად მოუბრუნდა („ყველა დროის და ხალხის მამამ“ თავისი თანამოქალაქეების გაჟლეტვის პოლიტიკა განახორციელა).“ (რანკურ-ლაფერიერი 1988: 59). თუკი გავიხსენებთ, რომ ფროიდისთვის ხუმრობა და იუმორი არაცნობიერის და ცნობიერის მიმართებას უკავშირდება და თავისი სტრუქტურით სიზმარს მოგვაგონებს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხუმრობა შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზე-მე მე-ს საშუალებას აძლევს, რომ ის აზრები გამოხატოს, რაც საზოგადოების მხრიდან ჩახშობილი ან აკრძალულია. ამდენად, სიცილს განმწმენდი ფუნქცია აკისრია და ერთგვარი ნერვული მარეგულირებლის როლს ასრულებს: დაგროვილი უარყოფითი ფსიქიკური და ემოციური ენერგია, რომელიც შეკავებული ან ჩახშობილია, ხუმრობის წყალობით, გარეთ გამოდის, რაც განწმენდის/კათარზისის წინაპირობა ხდება. სწორედ სიცილის საშუალებით, კომედიაში განწმენდის შესახებ საუბრობდა არისტოტელე. ძველ წეს-ჩვეულებებში ითვლებოდა, რომ სიცილი მგლოვიარე მდგომარეობისგან ათავისუფლებს ადამიანს. ძველ წეს-ჩვეულებებში სიცილი აკრძალულია და სიცილი და სერიოზული მდგომარეობა ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც ცოცხალ, მატერიალურ სამყაროში მცხოვრები ადამიანები და მკვდრებით, იმქვეყნიურ საუფლოში მყოფი არსებები. თუმცა, მთელ რიგ რიტუალებში (მათ შორის, ინიციაციისას) სიცილი ახლის დასაწყისის, სიცოცხლის განსახიერებაა და მას თან ახლავს რიტუალური სიცილი (პროპი 2006: 172). როგორც ვლადიმირ პროპი მიუთითებს, მიცვალებულთა საუფლოში მიმავალმა ადამიანმა უნდა დაფაროს, რომ ცოცხალია და ამ შემთხვევაში სიცილისგან თავი უნდა შეიკავოს, ვინაიდან სიცილი – ცოცხალი ადამიანის მთავარი ნიშანია. ქრისტიანობაში პოზიციები შენაცვლებულია\*: „ქრისტიანობაში სწორედ სიკვდილი, ეშმაკი, ქალთევზები იცინიან; ქრისტიანული ღვთაება არასდროს იცინის, „იესო არასდროს იცინოდა,“ – უთხრა ტურგენევემა მხატვარ ა. ივანოვს“ (პროპი 2006: 185).

შემორჩენილია კიდევ ორი ანეგდოტი, რომელიც ფსიქოანალიტიკური ნაკითხვის საშუალებას იძლევა. „საპირველმანისო დემონსტრაციაზე, ღრმად მოხუც ადამიანებს მოაქვთ პლაკატი, წარწერით: დიდი მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის! მათთან მიიღებენ ვიღაც სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი კაცი:

– თქვენ რა, დაგვცინით? თქვენს ბავშვობაში სტალინი ჯერ დაბადებულს არ ყოფილა!

– ამიტომაც ვუხდით მადლობას!“ (ტელესინი 1986: 43). და კიდევ ერთი ანეგდოტი: „– ვინ არის მამაშენი? – ეკითხება მასწავლებელი ვოვას.

\* ამ მხრივ საგულისხმოა უმბერტო ეკოს რომანი „ვარდის სახელი“, სადაც თითქოს არისტოტელეს „პოეტიკის“ მეორე ნაწილს ეძებენ, სადაც ის კომედიაზე საუბრობს, მაგრამ ეს წიგნი აკრძალულია მამათა მონასტერში, ვინაიდან სიცილი არაქრისტიანულად ითვლება.

- ამხანაგი სტალინი!
- დედაშენი ვინაა?
- საბჭოთა სამშობლო!
- და ვინ უნდა გამოხვიდე?
- ობოლი!\*\* (ტელესინი 1986: 94).

იმ ფონზე, როდესაც ხუმრობებში მინიშნებაა იმაზე, რომ სტალინის გარეშის გამო, პრაქტიკულად, არაპირდაპირ საყვედურობენ დედამისს, აშკარა ნინააღმდეგობაშია ფოლკლორულ ლექსებში გამოხატული პოზიცია: „იმ შენი მშობლის ჭირიმე,/ვინაც გიმღერა ნანაო,/ვინც თავის კალთით გაზარდა/ბელადი შენისთანაო“ („სიმღერა სტალინზე“).\*\*

არანაკლებ ირიბ ინფორმაციას გვანვდის თვით სტალინის ახალგაზრდობისდროინდელი ლექსები. მაგალითად, ლექსში „მთვარე“ მეტ-ნაკლებად შეფარულად უკვე ვლინდება მომავალი ბელადის ე.წ. ჰიპერტროფირებული „მე“: „ნაზად შესცინე ქვეყანას/შენ ფეხ-ქვეშ გადაჭიმულსა;/მყინვარს დამღერე ნანინა,/ზეციდან გადმოკიდულსა.“ ამაზე მიუთითებს, ერთი მხრივ, ლირიკული მე-ს, როგორც ზემოთ მდგომის პოზიცია მიწასთან მიმართებაში. ამავე დროს, მომავალში მნიშვნელობების შენაცვლების რესენტემენტული მოტივი აღწევს სამომავლო დაპირების შემცველ სტრიქონებში („კარგად იცოდე, რომ ერთხელ/ძირს დაცემული, ჩაგრული/კვლავ აღემართვის მთას წმინდას,/იმედით აღტაცებული“). კიდევ უფრო მრავლისმთქმელია იესოსადმი მიძღვნილი ლექსი „შხამით აღსავსე ფიალა“, რომლის შესახებაც გიორგი გაჩეჩილაძე წერს: „1895 წელს, ქრისტეშობის დღეს, 25 დეკემბერს, ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“, პირველი გვერდის მარჯვენა მხარეს, აქვეყნებს 16 წლის სემინარიელი ჭაბუკის, სოსო ჯულაშვილის ქრისტეშობისადმი მიძღვნილ ლექსს: „ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,/ კარის-კარ დანრიალებდა;/ ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,/ ხმა ტკბილად აწკრიალებდა;/ მის საოცნებო ჰანგებში;/ ვითარცა სხივი მზიური, /ისმოდა თვითონ სიმართლე/ და სიყვარული ციური,/ ბევრს აუძგერა იმა ხმამ/ გული, ქვად გადაქცეული;/ ბევრს გაუნათლა გონება,/ ბნელ-უკუნეთად ქცეული./ მაგრამ, დიდების მაგიერ,/ სად ჩანგმა გაინკრიალა;/ განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა/ შხამით აღვსილი ფიალა.../ და უთხრეს: „შესვი, წყეულო,/ ეგ არის შენი ხვედრიო!/ შენი არ გვინდა სიმართლე,/ არც ეგ ციური ხმებიო!“ სტალინმა იცის გურამიშვილის სტრიქონები: „ვია, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!“ მაცხოვარს, რომელიც ფეხს ბანს საიდუმლო სერობის მონაწილე მონაფეებს, კურნავს კეთროვანებს, მკვდრეთით აღადგენს ლაზარეს და არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი“, სემინარიელმა

\* ცნობილია სტალინის დამოკიდებულება ბაჰევეების მიმართ, როდესაც მისი ბრძანებით 3 მილიონი ბავშვი დახოცეს (Orlov A. The secret history of Stalin's crimes. N.Y., 1953)

\*\* ამავე რიგში ერთიანდება ისეთი ოპოზიციური გამოვლინებები, რომლებიც სტალინის გამოსახულების შეურაცხყოფას ითვალისწინებს: „დიდებაშვილი ანტონ ილიას ძე, მათურელი დავით ფავლენის ძე, ორივე არის კოლმეურნე, მათ სტალინის სურათზე, რომელიც ეკიდა კედელზე, მიანერეს უცენზურო სიტყვები: დაგაჯ\*ი თავზე და ულვაშზე!/მოგიტყ\*ნ ცოლი და დიდება! სურათი წარწერით ინახება საქმეში, დევს კონვერტში.“ (ფონდი 6, საარქივო 43523, ტ. 3, ყუთი 109) (ამ მასალის მოწოდებისთვის ავტორი მადლობას უხდის ადა ნემსაძეს).

პოეტმა დიდების მაძიებელ ამპარტავნად აღიქვა. ეს ნიშნავს, რომ სემინარი-ელ სტალინს არ სჯერა, რომ „ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თვისა“. სემინარიელ სტალინს სჯერა, რომ ადამიანმა შექმნა ღმერთი ხატად და სახედ თვისა; რომ ყველა შეუიარაღებელი მოციქული დამარცხდა და ყვე-ლა შეიარაღებულმა მოციქულმა გაიმარჯვა. ამ სტრიქონების დაწერიდან 10 წლის შემდეგ, სტალინი ბოლშევიკების და სოცდევების, შეიარაღებული ტე-რორისტების რაზმის მეთაური“ (გაჩეჩილაძე 2015: 19-20).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოფიციალური ფოლკლორი, ოფიციალური მხატვრული ლიტერატურის მსგავსად, სტალინს მესიის ნიშ-ნების მქონე ფიგურად მოიხსენიებს, ხოლო კონიუნქტურისგან თავისუფალ ხუმრობებსა და ანეგდოტებში, ოპოზიციური, არაკანონიკური ტექსტების მსგავსად, სტალინის სახე ნეგატიური ნიშნით გვევლინება, სადაც სიცილის ეფექტი, როგორც ფსიქიკის თავდაცვის მექანიზმი, კათარზისულ ფუნქციას ასრულებს.

#### დამონშებანი:

Borev, Yuri. *Kratkij Kurs Stalinizma*. Yuzhno-sibirskoe knizhnoe izdatel'stvo, 1991 (Борев, Юрий.

Краткий курс сталинизма. Южно-сибирское книжное издательство, 1991).

Freud, Sigmund. *Jokes and Their Relation to the Unconscious*. W. W. Norton & Company; The Standard edition, NY, 1990.

Gachechiladze, Giorgi. “P’olit’ik’is P’oet’ik’a (Ilia Chavchavadze, Ak’ak’i Ts’eret’eli, Vazha-Pshave-  
la, Galak’t’ioni da St’alini)”. *IX Saertashoriso Simp’oziumi. Lit’erat’uratsodneobis Tanamedrove P’roblemebi. T’raditsia da Tanamedrove Mtse’rloba*. Nats’ili I. Tbilisi: Tsu Shota Rustavelis Kartuli Lit’erat’uris Inst’it’uti, 2005 (გაჩეჩილაძე, გიორგი. „პოლიტიკის პოეტიკა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი და სტალინი)“. *IX საერთაშორისო სიმპოზი-უმი. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. ტრადიცია და თანამე-დროვე მწერლობა*. ნაწილი I, თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუ-ტი, თბილისი: 2015).

Groys, Boris. *The Total Art of Stalinism: Avant-Garde, Aesthetic Dictatorship, and Beyond*. Verso, NY, 2011. “Khalkhuri Leksebi da Simgherebi St’alinze”. *Gaz. “K’omunist’I”*. Tbilisi: 1939 („ხალხური ლექსები და სიმღერები სტალინზე“. გაზ. „კომუნისტი“, თბილისი: 1939).

*Lenini da St’alini Kartul Folk’lorshi*. Tbilisi: Tbilisi: gamomtsemloba “sakhelgami”, 1937 (ლენინი და სტალინი ქართულ ფოლკლორში. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1937).

Propp, Vladimir. *Problemy Komizma i Smekha. Ritual’nij Smekh v Fol’klore*. Iabirint, 2006 (Пропп, Владимир. Проблемы комизма и смеха. Ритуальный смех в фольклоре. Лабиринт, М., 2006).

Rancour-Laferriere, Daniel. *The Mind of Stalin: A Psychoanalytic Study*. Ardis, NY, 1988.

*St’alini Kartul Khalkhur P’oeziashi*. Tbilisi: 1919 (სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში. თბილისი: 1949).

T’abidze, Galak’t’ion. *Tkhzulebani Tormet T’omad*. T’. VII, 1972 (ტაბიძე, გალაკტიონ. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. VII. თბილისი: 1972).

Telesin, Julius. *1001 izbrannyj sovetstskij politicheskij anekdot*. Tenafl, N.J. Ermitazh, 1986 (Телесин О. *1001 избранный советский политический анекдот*. Танефлав, Нью-Джерси, 1986).

**Gaga Lomidze**  
(Georgia)

## **Stalin: Earthly incarnation of Demiurge**

### **Summary**

**Key words:** social realism, joke, folklore, resentment.

Several tendencies are connected to Stalin's image in Georgian folklore. In folklore, as well as in fiction, the interests of the official government are expressed and an image of the leader is reflected according to the requirements of the prevailing culture. In folkpoems dedicated to Stalin we can outline three basic tendencies, in terms of content: social, mythological and resentment. All three layers are closely linked to each other.

In the poems of social content the role of Stalin is related to the implementation of ideological platform of the so-called «third group» (Georgian Social Democrats) in the lives of workers and peasants and taking into consideration their interests. A significant influence of propaganda is obvious here, as in the case of fiction literature. In folk poems Stalin is often mentioned by the following epithets: eagle, iron, steel. It is noteworthy that iron, steel, as the cheaper metals is the opposite of gold, and in this sense the shift of values is quite obvious here. The alchemical process is produced inversely and, meanings exchange positions in the process of desemiocratization, lead by this earthly incarnation of demiurge. In the folk poems dedicated to Stalin we can also find the following epithets: the sun, the sunny-faced, the father.

Social and mythic layers completely correspond to a third layer – resentment. The trace of colonial mentality can be felt in folk poems and it is expressed in the opposite notions of the border, own territory and the enemy, on the one hand and in the shift of meanings, when a weak becomes strong, on the other hand. The paradigm shift, where the values exchange places, is obviously associated with Stalin's figure. At the same time, it is the outcome of the work of the Defense Mechanism – the replacement of the principles developed by colonial mentality with the feeling of superiority connected to the Georgian origin of Stalin and perception of his image as the personification of Savior. Thus, Stalin is considered on the same level as Shota Rustaveli, one of the greatest figures in Georgian culture. In folk poems clearly phallic symbol – an iron/steel sword is often used as a symbol of revenge also associated with the colonial mentality.

Folklore, as well as fiction, expressed the official position and reflected an image of the Leader according to the interests of the official power. The only space that was free from censorship and orthodoxy, was jokes and anecdotes, for which their authors sometimes were imprisoned or put to death. A laughter has a cathartic function and acts as a kind of nervous regulator: accumulated negative mental and emotional energy that is retained or suppressed, is discharged, thanks to a joke, which results in cleansing/catharsis.

ბელა ნიფურია  
(საქართველო)

### კონსტანტინე ბრეგაძის „მოდერნი და მოდერნიზმი“

ევროპული მოდერნისტული კულტურისა და ქართული მოდერნიზმის მემკვიდრეობის ხელახლა ათვისება, მისი შინაარსისა და მნიშვნელობის სრულად გაცნობიერება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა. ამ ამოცანას ქართველი მკვლევარები ბოლო ხანს თანმიმდევრულად ახორციელებენ. ამავე დროს, რაც უფრო ინტენსიური ხდება კვლევის პროცესი, მით უფრო ნათლად ჩანს, თუ რამდენად დიდია ქართული მოდერნიზმის რესურსი, რამდენად მრავალმხრივი შეიძლება იყოს ქართული მასალის შედარებითი კვლევა ევროპულ მოდერნიზმთან მიმართებით, და, ამას გარდა, რამდენად საჭიროა ქართულ გარემოში უშუალოდ ევროპული ტექსტების ანალიზი.

სწორედ ამ ნიშნით, კონსტანტინე ბრეგაძის წიგნი „მოდერნი და მოდერნიზმი“ (თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018) განსაკუთრებით საყურადღებო ნაშრომია. წიგნში განხილულია: მოდერნიზმის თეორიული პრობლემები (ისტორიული მოდერნი და ლიტერატურული მოდერნიზმი); რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ევროპული ტექსტი მოდერნიზმისა და მოდერნულობის პრობლემებთან მიმართებით (მოდერნული მგრძობელობა გოეთეს „ფაუსტში“, შექსპირის „ჰამლეტის“ დეკონსტრუქცია არნო ჰოლცთან, ფრანც კაფკას „განაჩენი“); და, რაც მთავარია, ქართული მოდერნიზმის არაერთი პრინციპული საკითხი (ქართული მოდერნიზმი როგორც ოქციდენტრიზმი, ლიტერატურული ტრადიციის გაგება ქართულ მოდერნიზმში, ქართული მოდერნისტული ლიტერატურის ევროპული და ნაციონალური კონტექსტი); ქართული მოდერნიზმის პოეტური მემკვიდრეობა (გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“, კონსტანტინე გამსახურდიას ურბანისტული ლირიკა).

კონსტანტინე ბრეგაძე, როგორც გერმანისტი, მოდერნიზმს (ევროპულსაც და ქართულსაც) უმეტესად გერმანული მოდერნიზმის პერსპექტივიდან განიხილავს: ცხადია, გერმანულ ფილოსოფია, შოპენჰაუერიდან ნიცშემდეგ, მართლაც მოიცავს მოდერნიზმის წანამძღვრებსაც და უშუალოდ მოდერნისტულ, ფუნდამენტურ ტექსტებსაც; ქართულ მოდერნიზმის ისეთი მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედებაშიც, როგორც კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძეა, მოდერნიზმი სწორედ გერმანული არხით შემოედის. ნიშანდობლივია, რომ უშუალოდ ამ თემაზე კონსტანტინე ბრეგაძეს უკვე გამოცემული აქვს მნიშვნელოვანი წიგნი (იხ. კ. ბრეგაძე, „ქართული მოდერნიზმი (კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, გ. ტაბიძე)“, თბილისი: მერიდიანი, 2012).

ამჯერადაც, მის წიგნში „მოდერნი და მოდერნიზმი“, ანალიტიკური ბაზისის სახით ფიგურირებს: გერმანული ფილოსოფია; გერმანული რომანტიზმი როგორც მოდერნისტული პოეზიის წინამორბედი; ბერლინი როგორც მოდერნიზმის კულტურული ცენტრი; გერმანული მოდერნისტული ტექსტები. მართალია, ინერება და კვლავ დაინერება ნაშრომები რომლებშიც მოდერნიზმის სამყარო, უწინარესად, რომანული ან ინგლისური კულტურული პერსპექტივიდან არის დანახული და სადაც კულტურული ცენტრი, რაღა თქმა უნდა, პარიზია, მაგრამ საგულისხმო სწორედ ის არის, რომ განსხვავებული ლინგვოკულტურული პრიზმიდან დანახული ტექსტები და კულტურული პროცესები, მათ შორის ქართული მოდერნიზმი, საბოლოოდ ერთიან და თანხვედნილ სურათს ქმნის და ეს ხედვები, სხვადასხვა მკვლევართა ინტერპრეტაციით, არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს ერთმანეთს. ყოველი ცალკეული ტექსტის შემთხვევაშიც, ის ინტერპრეტაციული პოზიცია, რასაც კონსტანტინე ბრეგაძე გვთავაზობს, ყოველთვის გულისხმობს თანხვედრისა და დიალოგის შესაძლებლობას, და ქმნის თანხმობის თუ შეთანხმების სიტუაციას. ამგვარი კულტურული ღიაობა შეიძლება სრულიად ბუნებრივ მოვლენად ჩანდეს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში, მაგრამ, დიდი ხნის მანძილზე, სრულიადაც არ იყო ამდენად ბუნებრივი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობისთვის. შესაბამისად, ისეთი წიგნები, როგორც „მოდერნი და მოდერნიზმი“, ქართულ გარემოში აღადგენს არა მხოლოდ დასავლურ კულტურულ კონტექსტთან ინტელექტუალურ კავშირს, არამედ ამ კონტექსტში მიღწეული აკადემიური თავისუფლების და აზრთა გაზიარების სულისკვეთებასაც.

ქართული მოდერნიზმის კულტურული მნიშვნელობის ხელახალი გათავისება იმ ერთგვარი ნიჰილიზმის დაძლევისასაც გულისხმობს, რომლის თანახმადაც საქართველოში მოდერნიზმი მხოლოდ ეპიგონური ან ფრაგმენტული მოვლენა იყო. თუკი დღეს კვლავ ვხდებით ამგვარ შეხედულებას, ეს უშუალო შედეგი შეიძლება იყოს საბჭოური კულტურული პოლიტიკისა, რომელიც ამკვიდრებდა აზრს, რომ მოდერნისტული ტენდენციების ფარგლებში არც შექმნილა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები და ქართველმა მწერლებმა ნამდვილ შემოქმედებით სიმაღლეს მხოლოდ მას შემდეგ მიაღწიეს, რაც მოიხადეს ამა თუ იმ მოდერნისტული მიმდინარეობის „საყმანვილო სენი“. ქართული მოდერნიზმის მემკვიდრეობის სათანადოდ შეფასება, რაც არ უნდა ანაქრონულად ჟღერდეს ეს, დღეს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის აქტუალური ამოცანაა. საბჭოური იდეოლოგიზირებული კრიტიკის მიერ ამ კულტურული მემკვიდრეობა დამცირებამ, კულტურული მეხსიერებიდან მისი ნაშლის მცდელობამ, თვით საბჭოთა პერიოდში, რეალურად ვერ განყვიტა ქართველ მკითხველთა ემოციური კონტაქტი ამ ტექსტებთან და ავტორებთან; თუმცა ნამდვილად განყვიტა ინტელექტუალური კავშირი და ანალიტიკური პრაქტიკა. წიგნში „მოდერნი და მოდერნიზმი“ კონსტანტინე ბრეგაძე იშვიათად ეხება ქართულ მოდერნიზმზე საბჭოური იდეოლოგიური აგრესიის გამოცდილებას, რომელიც მისთვის, როგორც ჩანს, დაძლეულია.

ის, უწინარესად, ესთეტიკური თანასწორობის პოზიციიდან უდგება დასავლურ და ქართულ საკვლევ მასალას და მისი დამოკიდებულება ქართულ მოდერნისტულ ტექსტებთან წმინდად ინტელექტუალურია, ის იკვლევს ტექსტებს იმ თეორიული ინსტრუმენტებით, რომლითაც, ზოგადად, მიმდინარეობს ევროპული მოდერნიზმის კვლევა. კვლევისას, ამ ტექსტებთან მიმართებითაც იკვეთება სურათი, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპული მოდერნიზმის უმნიშვნელოვანესი ტექსტების კვლევის შედეგად (მათ შორის, ამ წიგნის ფარგლებში) მიღებულ სურათს. ნათელი ხდება, რომ ქართული მოდერნისტული ტექსტები მოდერნიზმის მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პრობლემათა აღქმას და რეპრეზენტაციას სიღრმისეულად ახდენენ. ისინი ქართულ ენობრივ-კულტურულ სივრცეში ეპასუხებიან, ასახვენ იმ სულიერ და გამომსახველობით ძიებებს, რაც მოდერნიზმმა მთელი ევროპის და მსოფლიოს მასშტაბით გაააქტიურა. ამავე დროს, წიგნში ეს ჩანს არა მხოლოდ ქართული მოდერნიზმის ცენტრალური მოვლენის, გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილების“ მოდერნული მგრძნობელობის კვლევისას, არამედ, თუნდაც, კონსტანტინე გამსახურდიას ურბანისტული ლირიკის ანალიზისას, იმ ტექსტების მაგალითზე, რომლებიც თავად ამ ავტორის შემოქმედებაშიც არ ცხადდება ცენტრალურად. შესაბამისად, როგორც კონსტანტინე ბრეგაძე მიიჩნევს, „ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის ორიგინალური და უნიკალური შემადგენელი ნაწილია, რამდენადაც იგი ახერხებს ანთროპოლოგიური, ეგზისტენციალური და ონტოლოგიური პრობლემატიკის ძირეულ გააზრებას საკუთარი ორიგინალური მხატვრული რიტორიკისა და ორიგინალური მხატვრულ-სახისმეტყველებითი პარადიგმების მოხმობით“ (გვ. 150).

ქართული მოდერნიზმის ევროპული ორიენტაცია, მისი ოქციდოცენტრიზმი ერთ-ერთი პრინციპული საკითხია, რომელსაც, თითქოსდა, თავისთავად გულისხმობდა ქართველ მოდერნისტთა თაობის კულტურული არჩევანი. თუმცა საქართველოსთვის ეს არჩევანი ახლაც, საუკუნის შემდეგაც, საჭიროებს დემონსტრირებას და დეკლარირებას. ცისფერყანწელებმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონ ტაბიძემ, მოდერნისტების მთელმა თაობამ ქართულ კულტურაში მოახდინეს ევროპული კულტურული ორიენტაციის, როგორც კულტურული და ნაციონალური განვითარების პერსპექტივის თანმიმდევრული დეკლარირება. მართალია, თანადროულ ევროპულ კულტურასთან დაკავშირების ამოცანა ქართულ ლიტერატურაში შემოდის რომანტიკოსთა თაობიდანვე, და გამოკვეთილ სახეს იღებს სამოციანელთა თაობაში, მაგრამ სწორედ მოდერნისტთა თაობამ დაუკავშირა მას „ქართული რენესანსის“ კონცეფცია და აქცია ეს შემოქმედებით მიზნად. თუკი ილია ჭავჭავაძისთვის, უწინარესად, ევროპული სოციალური განვითარების მოდელის ათვისებაა საქართველოს ერ-სახელმწიფოდ ფორმირების წინაპირობა, ქართველი მოდერნისტებისთვის ამგვარ წინაპირობად ცალსახად ცხადდება ევროპული კულტურის ათვისების გზით ესთეტიკური

„ხელახლა დაბადება“. 1910-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს განცხადებები მიმართულებას აძლევს ქართული ნაციონალური მიზნების რეალიზაციის ამბიციასაც. მაშინ როცა, სულ რამდენიმე წელიწადში, მოდერნისტთა თაობის ორიენტირი ძალადობრივად იქნება შეცვლილი საბჭოთა რეჟიმის მიერ, ჩვენთვის ცხადია, რომ ეს მიზანი მაინც მუშაობს, მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე, ქართულ კოლექტიურ ესთეტიკურ მემკვიდრეობაში. დღესდღეობით კი ქართული მოდერნიზმის მემკვიდრეობისადმი ანალიტიკური პოზიციის გაძლიერება, კვლევა, მოდერნისტულ ტექსტთა სათქმელისა და სულისკვეთების გაცნობიერება კი ერთ-ერთი გზაა თანამედროვე ქვეყნის რეალური ესთეტიკური და სოციალური პოტენციალის რეციონალიზაციისა და, შესაბამისად, რეალიზაციისა. ამ მიზანს ემსახურება კონსტანტინე ბრეგაძის ახლადგამოცემული წიგნი.

**Bela Tsipuria**  
(Georgia)

### **Konstantin Bregadze’s “Modernity and Modernism”**

#### **Summary of the review**

**Key words:** Konstantin Bregadze, Georgian Modernism, Modernity.

Konstantin Bregadze in his new book *Modernity and Modernism* (Tbilisi: Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2018) continues pursuing his research goals of studying European and Georgian Modernism. In his study, he applies to German philosophical and poetical tradition in order to interpret not only some classical texts by German authors but also those by Georgian Modernists. While re-assessing the legacy of Georgian Modernism, he sees it as an inalienable, though unique part of European Modernism. This scholarly position is proved in the book through a very thorough analysis and innovative interpretation of some important literary texts, and of some major aesthetical principles and cultural priorities tracked by Georgian Modernists.

The book is, definitely, an important contribution to contemporary Georgian literary studies, and it’s agenda of reconnecting with the legacy of European and Georgian Modernism, which have been neglected and banned in Georgia in the recent Soviet past.

## „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“

ქართული ლექსის ისტორია და თეორია სრულყოფილი ვერ იქნება აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში გავრცელებული მყარი სალექსო ფორმების სპეციფიკის შესწავლისა და გაანალიზების, საქართველოში მათი გავრცელების მიზეზებისა და მასშტაბების ახსნის გარეშე, მით უფრო, რომ ქართული ლექსის რეფორმებმა მეტ-ნაკლები სისრულით აირეკლა ამ ფორმების შემოტანის სიხშირე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლექსმცოდნეობაში არსებობდა ცალკეული მყარი სალექსო ფორმების შესწავლის ტრადიცია, მაგრამ კვლევას სისტემური ხასიათი არ ჰქონია. საჭირო იყო წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალი, თანამედროვე ტიპის მონოგრაფიის შექმნა. სწორედ ამგვარი ხასიათისაა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადებული და 2018 წელს გამოცემული ორნიგნეული „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“ (რედაქტორი – ირმა რატიანი).

პირველი ნიგნი ჩვენში ევროპული და აღმოსავლური კულტურული სამყაროდან ამა თუ ეტაპზე შემოსული მყარი სალექსო ფორმების ისტორიასა და სტრუქტურას ეთმობა, მეორე ნიგნში კი თავმოყრილია ქართველი პოეტებისა და მთარგმნელების მიერ ათვისებული უცხოური სალექსო ფორმების ორიგინალური თუ თარგმნილი ნიმუშები.

პირველი ნიგნი ოთხ ათეულ სტატიას აერთიანებს. ნაშრომების ავტორები არიან ქართული ლექსის ცნობილი მკვლევრები: აპოლონ სილაგაძე, თამარ ბარბაქაძე (პროექტის ხელმძღვანელი), თამარ ლომიძე, ლევან ბრეგაძე, ემზარ კვიციანიშვილი და მარიკა ჯიქია. აქვე, დამატების სახით, დაბეჭდილია ლანა გრძელიშვილის, ლალი თიბილაშვილისა და გუბაზ ლეთოდიანის წერილები.

აპოლონ სილაგაძის ნაშრომი „ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები“, რომლითაც იხსნება ნიგნი, თეორიული მნიშვნელობისაა. აქ ჩამოყალიბებული დებულებები განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მყარი სალექსო ფორმების გაგებას და, მეორე მხრივ, ამ ფორმების ადგილს ლექსწყობის სისტემაში. სხვადასხვა მყარი სალექსო ფორმის შესახებ მსჯელობისას ნიგნში შეტანილი სტატიების ავტორები ამ პოსტულატებს ითვალისწინებენ და ეყრდნობიან.

დადგენილია, რომ მყარი სალექსო ფორმების განახლებისა თუ ახალი სქემების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს გარე გავლენები. აპოლონ სილაგაძე, განიხილავს რა აღმოსავლური სამყაროს გავლენას ქართულ ლექსზე, ამ გავლენათა შედეგების კლასიფიკაციასაც გვთავაზობს. მკვლევარი პროფესიულად მსჯელობს შაირის, მუსტაზადის, რობაის, მუსამმატის, მუხამბაზის, თახმისის, ლაზალის, თეჯნისის და ბაითის შესახებ, ერთმანეთს ადარებს ორიგინალურ აღმოსავლურ სქემებსა და მათი გავლენით შექმნილი ფორმების თავისებურებებს და გვიჩვენებს, თუ რა ცვლილებები განიცადეს ამ აღმოსავლურმა მყარმა სალექსო ფორმებმა ჩვენს პოეზიაში.

გარდა აღმოსავლურისა, ქართულ პოეზიაში ძველთაგანვე არაერთი ევროპული მყარი სალექსო ფორმა დამკვიდრდა. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ ბერძნული და ლათინური პოეზიიდან მომდინარე ელეგიური დისტიქი და ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში გავრცელებული იამბიკო. ეს უკანასკნელი ქართულ სასულიერო პოეზიაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ წარმოდგენილ წიგნში იამბიკოს ორი სტატია ეძღვნება: წერილში „ქართული იამბიკოს კვლევის ისტორიიდან“ თამარ ლომიძე არამარტო მიმოიხილავს ამ სალექსო ფორმის კვლევის ისტორიას ქართულ ფილოლოგიაში, არამედ წარმოაჩენს იამბიკოს დეკლამაციისათვის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშან-თვისებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სილაბურ-ტონური იამბიკოებზე დაკვირვების შედეგად და სხვა ტექსტების გათვალისწინებით, ნაშრომში გამოთქმულია ჰიპოთეზა ძველი ქართული ენობრივი აქცენტუაციის შესახებ, ნაჩვენებია, თუ როგორ იკითხებოდა უძველესი იამბიკოები საუკუნეების წინათ.

ძველი ქართული სასულიერო მწერლობა მდიდარია იამბიკოთა ერთი განსაკუთრებული სახეობით – ორგანზომილებიანი იამბიკოებით ანუ იმგვარი ტექსტებით, რომელთა ნაკითხვა ჰორიზონტალურადაც არის შესაძლებელი და ვერტიკალურადაც, ოღონდ ვერტიკალურად – გარკვეული წესით: აკროსტიქულად, ტელესტიქურად ან მესოსტიქურად. იამბიკოთა ამ განსაკუთრებულ სახეობას ეძღვნება ლევან ბრეგაძის სტატია „ორგანზომილებიანი იამბიკოები“. ავტორი მიუთითებს, რომ ორგანზომილებიან ტექსტთა სახეობების აღმნიშვნელი ტერმინები დასაზუსტებელია, რადგან ხშირად მათ არასწორად იყენებენ. მთავარი მაინც სტატიაში იამბიკოების ორგანზომილებიანობის ფუნქციის – ანუ აკრო-ტელე-მესოსტიქების დანიშნულების გარკვევაა. რა არის აკროსტიქი – მხოლოდ ორნამენტულ-გრაფიკული ხერხი თუ იგი რაიმე საიდუმლოს ინახავს? – ესაა კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც ცდილობს მკვლევარი. მისი ინტერპრეტაციით, ორგანზომილებიანი იამბიკოს სტრუქტურა ძალიან მოგვაგონებს სამყაროს ქრისტიანულ მოდელს: ჰორიზონტალური ტექსტი ხილული სამყაროა, რომელშიც უხილავად მყოფობს მისი შემოქმედიც, ხილულ ჰორიზონტალურ სამყაროს თითქოს ზეციდან ვერ-

ტიკალურად ეფინება სამყაროს შემოქმედის უხილავი, მხოლოდ განდობილ-თათვის დასანახი ძალა და მადლი.

სალექსო ფორმის სტრუქტურულ თავისებურებათა მიმართებას ნა-წარმოების შინაართან წიგნში კიდევ ერთი წერილი ეძღვნება. ესაა თამარ ლომიძის გამოკვლევა „ანბანთქებათა სტრუქტურა და ფუნქციები ქართულ პოეზიაში“. ანბანთქება, რომელიც აქამდე თვითმიზნურ პოეტურ ჟანრად მიიჩნეოდა, მკვლევარმა შინაარსისა და ფორმალურ თავისებურებათა ურ-თიერთმიმართების ასპექტში განიხილა და გაარკვია, რომ ანბანთქების ძი-რითადი მახასიათებლები შეესაბამება ე.წ. კლასიკური ეპისტემის იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ჩამოაყალიბა მიშელ ფუკომ თავის ნაშრომში „სიტყ-ვები და საგნები“.

აღმოსავლური სამყაროდან, გარდა ანბანთქებისა, ქართულ პოეზიაში არაერთი სალექსო ფორმა შემოვიდა და დამკვიდრდა – მუხამბაზი, რობაი, ლაზალი, ბაიათი, დუბეითი, ყოშმა, უჩლამა... ეს იმ აღმოსავლურ მყარ ფორ-მათა ჩამონათვალია, რომელთაც მონოგრაფიაში სპეციალური ნაშრომები ეძღვნება (ავტორები: აპოლონ სილაგაძე; მარიკა ჯიქია).

ქართულ ლექსმცოდნეობაში დასახელებულ აღმოსავლურ სალექსო ფორმათაგან ყველაზე უკეთ შესწავლილია მუხამბაზი, ზოგი ფორმა კი – თუნ-დაც უჩლამა და ყოშმა – მხოლოდ სპეციალისტთათვის თუ არის ცნობილი. სწორედ ამის გამო უჩლამასა და ყოშმას შესახებ წერილების გაცნობისას მკითხველს ალბათ გააკვირვებს საილუსტრაციოდ მოტანილი ტექსტები. მარიკა ჯიქიას წერილიდან „უჩლამა ქართულ პოეზიაში“, მაგალითად, ირკვე-ვა, რომ ქართული პატრიოტული ლირიკის ორი გამორჩეული ნიმუში – რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ და ილია ჭავჭავაძის „ჩემო კარ-გო ქვეყანავ“ უჩლამას ცალკეულ სახეობებს მიეკუთვნება.

